ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

4

1983



ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

310

გამოცემის ოცდამეექვსე წელი

4

აპრილი

1983

თბილისი

სსრ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა და კოეზია

3. კოლაუ ნადირაძე — პეტრე ჰაბუკიანის ხსოვნას. ლექსი
4. ზოთა ნიშნიანიძე — გალაღა დალი შამუგიას გმირობასა და ორიოდ კოცნაზე. ლექსი
6. რეზო ჰეიშვილი — რასამონი. მოთხრობა
14. ანდრო გუაჩიძე — ლექსები
16. ოტია იოსელიანი — საით გავიქეცი და სად წავიქეცი. (ავტობიოგრაფიული ნოველები)
41. ტაგუ მეზურიშვილი — ლექსები
44. ოთარ ჩხეიძე — უხსენებელი. მოთხრობა
51. ლევან ბალაზონია — ილბალი. მოთხრობა
69. ლერწ ალიბოლნაკი — ლექსები
73. გადრი ჭოხონელიძე — ზამთრისპირა ჩანაწერები. მოთხრობა
83. დარეჯან გატიაშვილი — ლექსები

ნარკვევი

84. ვანო ჩხიკვაძე — „ბრძილი ვენახი ვიხილა“

ჩვენი კალენდარი

88. გურამ შანჯიკიძე — 50
89. რეზო ჰეიშვილი — 50

წერილები

91. სოსო სიხუა — ერთი სამყაროს მრავალი სახე
103. როსტომ ბეჟანიშვილი — მზით სავსე ოქროს ტტევანი
108. ვლადიმერ ოგანეზი — დაბრილი წერო... თარგმნა დოდო სანოკიძემ
114. გურამ კეტრიაშვილი — მშვიდობა თქვენსა მოსვლასა. (წერილი მეორე)
132. ემზარ კვიტაიშვილი — „ამ მარტოხელა ვიჭაკი კაცი“
146. ციალა არდაშელია — კეთილვანი

წიგნების მიმოხილვა

159. ამირან რობაქიძე — „გადაიხედე ჩემი გულიდან“
160. ცოტა რამ „ცისკრის“ ახალგაზრდა ავტორებზე

მთავარი რედაქტორი

ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:

გივი ალხაზიშვილი
თედო ბეჟიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გივი გეგეჭკორი
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დოლაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
ვაჟა ლორთქიფანიძე
ზოთა ნიშნიანიძე
გურამ შანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ჯანსუღ ჩარკვიანი
ავთანდილ ჩხიკვიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წერეთელი
ტარიელ ჭანტურია
გადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

კოლაუ ნადირაძე

პეტრე ჭაბუკიანის ხსოვნას

დამიგვიანდა, ვერ მოგისწარ და ველარ გნახე
მუდამ ოცნებით შეპყრობილი და ფიქრიანი.
მენატრებოდა შენთან ყოფნა და საუბარი...
სამშობლოს დარდით დაღარული მენახა სახე,
ჭკვიან თვალებით შორს მჭვრეტელი და სევდიანი:

ვინღა გაუთევს სათაფლიის ტყეებს და წყაროს
ღამეებს, შენებრ დაუცხრომელ ალერსით, ნეტავ?!
იქ ყოველი ხე შენ გაზარდე და შენით ხარობს,
იქ შენზედ წყარო მგლოვიარე მწუხარედ გალობს...
ვაგლახ, აღარ ხარ, მშობლიურ ცას უკვე ვერ ხედავ,
გვირაბის კარსაც მზრუნველ ხელით დღეს ვინღა კეტავს!

მორჩა, გათავდა! ველარ წავალთ, რომ ვინახულოთ
ძმათა გმირების — მხეიძეთა მყუდრო სავანე,
რომ ჩვენი გულით და ძალ-ღონით მას ვემსახუროთ
რასაც გმირობა, თავდადება მათი გვავალებს!
ვერ ვნახავთ ერთად დიდი მეფის დავითის საფლავს,
საკანს, სად თამარ ათ წელინადს განისვენებდა!..
ო, ბრწყინვალებას თან ყოველთვის ვარამი ახლავს —
გელათის არეც კაეშანს და დუმილს დანებდა!
მაგრამ, შენ მაინც დიდი რწმენით გული გიცემდა
შენ, თვით ბაგრატის ნანგრევებიც იმედს გირწევდა!

გახსოვს, ხვამლის მთას გასცქეროდი ფიქრით გართული,
მეც შენთან ვიდექ, და დაისი ნელად ქრებოდა...
ორთავეს ერთი ჩვენ აჩრდილი გვევლინებოდა;
ღვთისმშობლის ხვედრი — საქართველო, მიწა ქართული!.

დამიგვიანდა, ვერ მოგისწარ და ველარ გნახე
მუდამ ოცნებით შეპყრობილი და ფიქრიანი!
მენატრებოდა შენთან ყოფნა და საუბარი,
სამშობლოს დარდით დაღარული მენახა სახე,
ჭკვიან თვალებით შორს მჭვრეტელი და სევდიანი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა ნიშნიანიძე

ბალადა დალი შამუგიას გმირობასა და ორიოდ კოცნაზე

I

ვის სმენია ალპინისტი დალი შამუგია,
მის ტრაგიკულ სიყვარულზე ვის რა გაუგია?

მე ვიყავი თექვსმეტი წლის — ის კი ოცდაათის,
ერთ სუფრაზე სულ უბრალო გვქონდა მასლაათი.

ქალი ისე მიღიმოდა, ისე შემცქეროდა
თითქო ცელქი ბიჭი ვარ და ვხტები კენწეროდან:

— რეალურის მისტიკურთან მიჭირს შეთავსება,
არ მეგონა კაცი კაცს თუ ასე ემსგავსება.

გიცქერით და მაგონდება წლები შორეული,
ღმერთო ჩემო, ხომ არა ხარ მისი ორეული?

— „დალის ვთხოვოთ“... — მასპინძელი ადგა მაგიდიდან,
მოუტანა გიტარა და... გედიც აქვითინდა:

— „ეხ, გიტარავ, მიყვარხარ,
კიდეც მეყვარები,
მაგრამ ვეღარ გიხუტებ
ძველი ნეტარებით.
რა ხანია ჩასვენდა
ჩემი ზეკარები,
ვისაც ერთდროს ვუყვარდი,
ვეღარ ვეყვარები.
ეხ, გიტარავ დაგამსხვრევ,
სასჯელს გამოგიტან,
რაც გულს მიკლავს, მიდაგავს
ის ვერ გამოგითქვამს“...

იმ საღამოს შეკითხვებით ქალი გავაბეზრე
შეკითხვებით ყველაფერზე თითქმის არაფერზე.

გაცილებაც ვერ შევკადრე — ახლდნენ მეზობლები.
მითხრა: იმ კაცს ისე ჰგავხართ — სულ, სულ მეხსომებით.

ახალგაზრდავ, ერთს გაკოცებთ და კითხვებსაც მოვრჩეთ
და მაკოცა ერთი-ორჯერ... კიდევ ერთი-ორჯერ...

II

მისი მწარე ოდისეა ასე მოწყობილა:
წაუღია ბევრი სპირტი, ბევრი ორცხობილა.

ბებუთი და რევოლვერი უბით წაუღია
და წასულა მარტოდმარტო დალი შამუგია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს, ბებუთო, რევოლვერო, ალბათ უკეთურებს
ბევრჯერ შეხვდით და ქალიშვილს ბევრჯერ უერთგულეთ.

...ამოთხარა გულისწორი საძმო სამარიდან,
პარაკლისიც გადუხადა და ქერჩს გაარიდა.

ააღლიტეს თუ რამ ჰქონდა საწყალს ასაღლეტი
და მოჰყავდა ჯარისკაცი რკინის სასახლეთი.

კატარღები... ნავტიკები... მთვრალი მატროსები...
მატროსივით მოყვინთავდა მთვარე ბადროსებრი.

მერე გზები... ფურგუნები... მერე ეშელონი..
გზის დაბომბვა... ჰოსპიტალი და ცდა ჯერჯერობით...

ომი იყო და მგზავრობას ომი ართულებდა
სულ ტირილი, სულ მუხლებზე დგომა პატრულებთან.

სადგურებზე წითელი ჯვრის ფურგონ-საზიდრები
დაჭრილების გინება და კოცნა სანიტრების...

. . . . . .

ჩიტებივით გადაფრინდა წლები მხიარული,
ბევრი შევსვი ცის მანანა, ბევრიც სინანული.

სულს კი შერჩა წარუშლელად, როგორც ნაკორძალი,
ტრაგიკული ისტორია კოლხი ამორძალის...

III

განა მარტო ფრესკებზეა ჩვენი წმინდანები,
წმინდანები განა მარტო გვყვანან ფრთიანები!

ეს, გიტარავ, თუ მიყვარხარ, განა აუგია?
შენში მიყვარს ოცნება და დალი შამუგია.

შენ დალი ხარ, კავკასიის მთებში დაღუპული.
ტირილი ხარ ჯერ უთქმელი, ყელში დაგუბული.

თურმე მწყემსებს დაუნახავთ უშბის ქარაფიდან
განთიადზე ანგელოსი როგორ გადაფრინდა.

ეს, გიტარავ, გაკოცებ და ბალადასაც მოვრჩეთ,
ერთი-ორჯერ გაკოცებ და.. კიდევ ერთი-ორჯერ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეზო ჭეიშვილი

რასამონი

ᲘᲛᲓᲐᲜᲣᲚᲘᲡ გარდაცვალებიდან ოთხი წლის თავზე ოთხმა მეცნიერ-თანამშრომელმა აკადემიის პრეზიდიუმში სამი სათაურით (ორი ერთმანეთს დაემთხვა) წარადგინა ოთხი მოგონება, სადაც მწერლის ცხოვრების ერთ უმნიშვნელო ეპიზოდზე იყო ლაპარაკი.

მეცნიერი თანამშრომლები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ამტკიცებდნენ — სამნი ვიყავითო და ოთხივენი თხრობდნენ ერთსადაიგივეს მცირეოდენი სახესხვაობით.

შემდგომად ამისა ასპარეზზე გამოვიდა მეხუთე მოწმე, ვინაც საჯაროდ თქვა: იმ დღეს მეც იქ გახლდით და არ ვიცი, რა მოსაზრებით, ჩემი სახელი არ მოიხსენიესო. მეო, დაუმატა მანვე, მართალია, მწერალი არ მინახავს, მაგრამ პატარა მოგონებას გამოვაქვეყნებ პრესაში და მაგთმაო (ოთხეულს გულისხმობდა) ყველაფერი არ მათქმევინონო.

ამ უჩვეულო განცხადებას მეცნიერებათა აკადემიის გაფართოებული პრეზიდიუმი მდუმარედ შეხვდა, მეცნიერ-თანამშრომლებს ხმა არ გაუღიათ და რატომღაც აღარც მეხუთე მოწმეს შეუსრულებია დანაქადები.

ᲠᲐᲢᲘ

ᲞᲘᲠᲒᲐᲛᲝᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ იყო. ნიტო მარტის ბოლო, ნიტო აპრილის დასაწყისი. დავაზუსტებ რიცხვს, თუ ეს აუცილებელია. ფეხბურთის სეზონი იხსნებოდა და პირველ მატჩზე დასწრებას ვაპირებდით მე, მამია და უშანგა. მე და მამია ვამთავრებდით, უშანგას, თუ არ ვცდები, დამთავრებული ჰქონდა ინსტიტუტში სწავლობდა. წავედით სტადიონზე მე, უშანგა და მამია. ბილეთები არ გვქონდა. ჭირდა მაშინ ბილეთები. კი არ ჭირდა, არ იშოვნებოდა. მაღალ დონეზე ნაწილდებოდა. ვის ვეთამაშებოდით? მოსკოვს. ნიტო „სპარტაკს“, ნიტო „ტორპედოს“. ესე იგი, უბილეთოდ ვაპირებდით შესვლას. სხვა დროსაც შევსულვართ, კი, უბილეთოდ, რასაკვირველია. ყიდდნენ, რაღა თქმა უნდა, სპეკულიანტები შესასვლელ ბილეთებს, რაზედაც ჩვენ ხელი არ მიგვიწვდებოდა. დიახ. გავიარეთ როგორღაც პირველი კორდონი, მეორე კორდონი, მესამე კორდონი და მივადექით ეზოს, მებილეთეების ხერგილებს. შეიძლებოდა გაძრომა, რაღაცნაირად ვახერხებდით.

ცხელოდა. წლის იმ დროისათვის უ ვეულო ამინდი იდგა. ხეები ახალი ა წვანებული იყო და ჩრდილ-ჩრდილ მ დიოდით. ჩრდილში დაგვაკავეს სამთა ვენი. დიახ. როგორ არ მახსოვს. მე ვ ყავი, უშანგა იყო და — მამია. ბეტ არავინ. მწერალი თავისთავად. ადრევე შეამჩნიე თუ არაო... არ მახსოვს. შეიძლება შევამჩნიე, ვერ გეტყვით. ზღვა

ხალხი ასკდებოდა შესასვლელებს, ღობესა და მესერს. ხერგილებსა და ხერგილებსშუა ხალვათობა იგრძნობოდა შედარებით და უბილეთოებს იოლად გამოარჩევდით ბილეთიანებისაგან. დიახ. თხელი პალტო ეცვა, თუ არ ვცდები. მწერალს კი, დიახ. ადრე არ მენახა. მამია მიმტკიცებდა, როგორ არა, ნანახი გყავსო. შეიძლება. როგორც გითხარით, ლურჯი ან კუბოკრული, რაღაც იმდაგვარი გაცვეთილი პალტო ეცვა. ქუდი არა. ქუდი არ ეხურა. გაბერილი პორტფელი ეჭირა. კი, ტყავის. მე მგონი, ტყავის. ბილეთს თხოვდნენ და არა მაქვსო. ბატონო? დიახ, მანქანაში. არა მაქვსო. საბუთიც არ ჰქონდა. უფროსს ვუთხარი, ეს ვინ არის, იცით თქვენმეთქი? რატომ ვუთხარი, რა ძალა მადგა, ვინ მექაჩებოდა ენაზე, როცა მე თვითონ არ ვიცოდი, ვინ იყო, ვერ გეტყვით. შენ თვითონ ვინა ხარო, მითხრა იმან, უფროსმა... დიახ. ხმა არ ამოგიღიბინეს, ესეც მატკინეს, კეფა, დიახ.

ერთი სიტყვით, განვაგრძო, არა? საბუთს არ ვატარებო, არც ვმუშაობო, პორტფელს ხომ ატარებო. კიო, მაგრამ გაჩითვის უფლება არა გაქვთო. გულზე ჰქონდა ახუტებული. ტყავის, კი, სუფთა ტყავი უნდა ყოფილიყო, ოღონდ ნახმარი. ძალიან შეშინებული იყო, როგორც მაშინ მომეჩვენა. არა მაქვს ბილეთიო, იმეორებდა, არც მოსაწვევი მაქვსო, მოსაწვევი რა შუაში იყო; არც სავიზიტო ბარათი არა მაქვს, არც საშვიო. პირველად შაშს ამბობდა. მერე მივხვდი, საშვზე ლაპარაკობდა. მივაყურე კი, ნამდვილად. კარი უფროსმა მოგვიხსნა და უჰაეროდ დაგვტოვა. პირმრგვალი ახალგაზრდა დარჩა ჩვენთან. გამყოლი, ასე რომ ვთქვათ. ჰაერი არ გვეყოფაო, თქვა იმ კაცმა, ბატონო? დიახ, მწერალმა. ჰაერი არ გვეყოფაო. პირმრგვალი გამყოლი სიცილით კინაღამ დაიხრჩო. იცი, ვინ არი ეს კაცი, რო იცინი-მეთქი, მე ვუთხარი. ისე, რაც მართალია, მე თავად არ ვიცნობდი. მწერალს, დიახ. მითხრა მამიამ ადრევე, როგორ არა, იცნობდიო... თურმე ერთხელ შეხვედრა მოვუწყვეთ ინსტიტუტში. შეხვედრა მახსოვს, მწერალი — არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა
NATIONAL LIBRARY

დიახ, მწერალია-მეთქი, მე ვუთხარი გამყოლს. რას ლაპარაკობო. მწერალია-თქვა. იყოს მერეო, რამდენი მწერალია ამ ქვეყანაზე, ვინ დათვლისო, თუ მწერალია, წაიდეს და წეროსო, ასე მიპასუხა.

დიახ, რას გვიზამენო, იმ კაცმა მკითხა გზაში. მწერალმა, დიახ... არ ვიცი, მე ვუთხარი. იმაზე მეტი რაღა უნდა ექნაო! გააჩერეს მანქანა და გადმოგვყარეს კუკიის სასაფლაოსთან. ნიტო კუკიასთან, ნიტო პეტრე-პავლესთან. პირდაპირ აქ მოგვიყვანესო? იკითხა იმ კაცმა. დავბრუნდით ფეხით. მე მაქვსო ტაქსის ფულიო, იმ კაცმა თქვა. სად იყო ტაქსი ან მანქანა. ბილიკ-ბილიკ მოვდიოდით. პალტო გახსნილი ჰქონდა, პერანგის საყელო ამოჩაჩული, თმა აშლილი, უბერავდა ცოტას მაღლობზე, კი, ნამდვილად უბერავდა. თურმე შემთხვევით მოხვედრილა ის კაცი სტადიონთან: ფეხბურთიზე არ დავდივარო. არც იცოდა, ვინ თამაშობდა. გამხდარი იყო რაღაცნაირად... ქვედა კბილები აკლდა, არა — ზედა... შეიძლება ქვედა. დიახ. წამოვედით ფეხით. თავქვე დავეშვით. კუკიაზე ვიყავით კი, კუკიაზე დიახ. ვჩქარობდით. მერე ტაიმს მივუსწროთ იქნებათქვა, ვამბობდით. ან მივუსწრებდით, ან არა. ან რადიოში მოვუსმინოთ, ან ტელევიზორშიო, ტელევიზორი, მგონი, არ იყო. რომ გიიგო ის კაცმა, ფეხბურთზე გავრბოდით, დარჩა. ტაქსის ფულს მოგცემთ, თუ გინდათო. როგორ არ გვინდოდა. არ გამოვართვეთ. მე მგონი, არ ქონდა. მამიამ მითხრა გზაში, იცი მაგ ვინ არიო? ვინ არი-მეთქი? სხვაზე მეუბნებოდა, მეგონა და გამიკვირდა. მოვიხედე. ის კაცი იდგა მაღლობზე. ნიავი ურხევდა პალტოს კალთებს. ქუდი არ ეხურა, ნაღდად მახსოვს. პორტფელში რა ჰქონდა, ვერ გეტყვით. იმ დღის შემდეგ აღარ შეხვედრივარ. მე-

რაჯაბ ფეიზვილი
მოთხრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე მოკვდა და ვასვენებაში რომ ვიყავი, ვიცი... შეიძლება სხვას მარხავდნენ, ვერ გეტყვით.

არაფერს!

მ ა ბ ი ა

პორტფელში რა ჰქონდა, არ უთქვია. ჩვენ არ დავინტერესებულვართ. აპრილის თვე იყო. წავედით სტადიონზე მე, უშანგი და საშა. მეტი არავინ... სამნი ვიყავით, კი, სამნი. მივედით. არ მივსულიყავით ჯობდა. უბილეთოებს იჭერდნენ, ქალაქგარეთ, უკაცრიელ ალაგებში გაყავდათ და უფეხბურთოდ ტოვებდნენ. იმ იმაში მოეხვდით ჩვენ და მწერალიც. გვითხრა, მიცნეს და მაინც თქვენთან ერთად წამომიყვანესო. მიცნესო კი, ასე თქვა. იქნებ მართლაც იცვნეს. ადვილი შესაძლებელია. თეთრი პარუსინის ხალათი და მუქი, ყომრალი ფერის პიჯაკი ეცვა. ბილეთს თხოვდნენ, რომ მივედი. სახენაყვავილარი კაცი ელაპარაკებოდა. მე ვუთხარი, ნაყვავილარს, ეს იცით-მეთქი ვინ არის? სხვებს, ჩემიანებს ხმა არ ამოუღიათ. იქედან ვასკვნი, რომ მხოლოდ მე მომეპყრნენ ნამეტანი უდიერად. იდაყვი გაღუნული დამრჩა, ახლა ვმართავ, არა უშავს... შეგვიყვანეს მანქანაში, ყველანი კი. ჩამოგვყარეს თბილისის ზღვასთან, სადღაც იმ რაიონში. წამოვედით ფეხით. იქნებ მივუსწროთ მეორე ტაიმსო. მწერალი თურმე ფეხბურთზე არ დადიოდა, არც იცოდა, ვინ თამაშობდა. მაშინ ცნობილი კი არ იყო ახლანდელივით. ცემდნენ კი, როგორ არ ცემდნენ ზოგიერთები პატივს. მე ასპირანტურაში ვსწავლობდი უკვე. კი, მართალი უთქვამთ. ბილეთები არ გვქონდა. იმასაც არ ჰქონია, თუმცა რად უნდოდა. გამხდარი, წვერგაუპარსავი, საშუალოზე მაღალი კაცი ჩანდა. კაშნე არ მახსოვს... აჰ, კბილი? კბილი კი, რამდენიმე კბილი აკლდა ზევით თუ ქვევით. ლაპარაკში ხელი არ ეშლებოდა. მანქანაში შემოგვიჩივლა, მიცნო ერთ-ერთმაო, ბატონო იმმანუილ, ასე დამიძახა და შემდეგ გადაეკვეო. იქნებ მოეყურა. არ ვიცი, რომ ეცნოთ იზამდნენ? შეიძლება. თუმცა, ვინ იცის.

ფეხით წამოვედით იქედან ყველანი. ნაბილიკარი გადმოვიარეთ და უგზოზე დავეშვით. მალე დაიღალა და ყვითლად გაყვავილებულ ბუჩქთან გაჩერდა. იდგა, გვიყურებდა და ვერ გვხედავდა.

და... ბევრი არ ულაპარაკია. არ უგინებია. არა. ნამდვილად არა. ნაწყენი და უკმაყოფილო იყო კი. შეშინებულს უფრო გავდა. მიცვნესო, ამბობდა. ფეხბურთი არ ნაყვარება.

ჩამოვუსწარით მეორე ტაიმს. რადიოში მოვუსმინეთ. მოვიგეთ დიდი ანგარიშით ანდა პირიქით. მგონი, მინიმალური სხვაობით წავაგეთ. აღარ მახსოვს.

უ შ ა ნ გ ი

მე, რატი და საშა წავედით სტადიონზე. კარგი დღე იყო, მზიანი. იქვე ალაგბრივ ვიშოვნით ბილეთებსო, საშამ თქვა. დავუჯერეთ და ვერ ვიშოვნეთ. უამრავი ყალბი ბილეთები დაესაღებინათ ადრევე და ზოგ-ზოგებს ამოწმებდნენ. ჩამოართვეს კიდეც ვიღაც-ვიღაცეებს სიაბანდი ბილეთები. ნახეკარი უბილეთოდ ყოფილიყო ისედაც მოსული. მაგარ თამაშს ვარაუდობდნენ და თანაც მაშინ ტელევიზორი, უფრო სწორედ, ტელეგადაცემა არ იყო და ხომ მოგეხსენებათ... რაღა გავაგრძელოთ და ვერ ვიშოვნეთ, ვერც ყალბი ვიშოვნეთ, ვერც ნამდვილი. ფულიც არ გვქონდა იმდენი, ხელზე რომ გვეყოდა. შესასვლელამდე მივედით რაღაცნაირად და გავგაჩერეს, შიგ არ შეგვიშვეს, უკანაც ვეღარ გამოვბრუნდით, გავნაპირდით, დაგვაკავეს. მწერალი მანქანაში დაგვიხვდა. ადრევე შეეყვანათ. იჯდა კი. ჰაერი? ჰაერი იყო. პორტფელი ედო მუხლებზე. არ გავხსნიო, ამბობდა. უფლება არა გაქვთო. არც გაუხსნია. რატომ თხოვდნენ, არ ვიცი. ადრეც მოგახსენეთ, კირუხ ბილეთებს ეძებდნენ-მეთქი, შეიძლება — ამიტომ. ცემით არა, მე არ დამინახავს, პატივისცემაზე

ლაპარაკობთ არა? არა, ნამდვილად არა. მე არ დამინახია, ყოველ შემთხვევაში. ნაყვავილარი სახე ჰქონდა, ვინაც კარი მოგვიკეტა. არა. არც გვარი მახსოვს, არც სახელი. რომ ვნახო, ნაყვავილარი სახით ვიცნობ. შიგ დარჩა რიგითი, ლოყებდაბერილი ბიჭი, ვისაც ვუთხარი: ეს იცი (მწერალზე მივათითე) ვინ არის-მეთქი? ვინც უნდა იყოსო, წესრიგის დარღვევის უფლება არავის არა აქვსო, მითუმეტეს მაგასო. ასე თქვა: მითუმეტეს მაგასო. მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია იმ სიტყვებისათვის და ახლა კი ვკვირობ, რატომ თქვა, მითუმეტეს მაგასო.

პორტფელში რა ქონდა, არ უთქვია, ჩვენ ხომ ერთ არ ვკითხავდით, რა გაქვს შიგ, ბატონო იმმანუელ?

თეთრი ბლუზა და ყავისფერი პიჯაკი ეცვა. ცხელო, გვითხრა, ქალაქგარეთ რომ გავედით. ცოტა ხნის შემდეგ ხმადაბლა ჩაილაპარაკა: მირბის, მიმაფრენს უგზოუკვლოდ ჩემი მერანი და შემდეგ შავი ყორანონო, ყორანიო კი, ასე თქვა. სხვებს არც გაუგონიათ, მე გვერდით ვუჯექი და იმიტომ გავიგონე.

არსენალის მთაზე ჩამოგვყარეს. თუ ჩქარა ვივლით, ტრამვაის გაჩერებამდე თუ მალე მივალთ, ფეხბურთს კიდევ მივუსწრებთო, საშმ თქვა. ბრძენი იყო ეს საშა. წამოვჩქარდით. მწერალი დაიღალა. უშმელს გავდა. ფეხბურთი არ მაინტერესებსო, გვითხრა და დარჩა. სად? იქვე სასაფლაოსთან. თავდადმართში გაჩერდა. ღარ მახსოვს, მივუსწარით თუ არა ფეხბურთს.

ალექსანდრე

(ერთი ეპიზოდი პოეტის ცხოვრებიდან)

რა ხნის ვიქნებოდი მაშინ... არ ვიქნებოდი დიდი ხნის. დაბეჭდილიც მქონდა რამდენიმე ლექსი. იმმანუელს, რასაკვირველია, ვიცნობდი, უფრო სწორედ, ვიცოდი ვინც იყო. სტადიონთან აღრევე დავინახე. თავჩაღუნული დადიოდა ვერხვების ხეივანში. გავიფიქრე კიდეც, აქ რას დადის, რას აკეთებს-მეთქი. მიდიოდა და მოდიოდა ხროვას ასხლტილი მგელივით. ცოტა ხნის შემდეგ შედგა, შესასვლელებთან მიჯგლეთილ ხალხს დაუწყო გაოცებული თვალებით ყურება. შემდეგ რაც მოხდა, იცით და დავუმატებ, რომ იქ, იმ ალაგას მიგვიყვანეს, სადაც მწერალი სცემდა ბოლთას. არც იმას არ ჰქონია ბილეთი. ნაყვავილარი სახის კაცმა უთხრა: ან ბილეთი წარმოადგინეთ, ან საშვიო. არც ერთი არ ჰქონდა. როგორ მივიდა იქამდე, ჩემთვის პირადად დღემდე გაურკვეველია. ალბა აქ რას მიკეთებო, ჰკითხა იმ ახალნაყვავილარმა და ასე შემდეგ. მე, რატი და მამია ვიყავით. ჩვენ სამნი. დიახ. მეტი? მეტი არავინ, მე მგონი, არავინ. იმ ჯორფლიან კაცს ვუთხარი, ეს, იცით, ვინ არის-მეთქი? ეს თავად ვინ არის, გაიგეთო, ხელქვეითებს ჩემზე გადაულაპარაკა.

...ბილეთი არ მქონდა, მაგრამ არც უკითხიათ, გაქვს თუ არაო, ეგრევე შემაგდეს მანქანაში. შემდეგ შემოიყვანეს პოეტი. ხელმეორედ მომესალმა. გამარჯობათ ბატონო იმმანუელ-თქვა, მე ვუთხარი. დიახ. მწერალს. პოეტი ვთქვი? მწერალს. ხელი ჩამომართვა, გაეხარდი ჩემი დანახვა. ადრე ალბათ ვერ შემხედა. როგორა ხარო, მკითხა. არ მიცნობდა და — მაინც. დაჯდა. ადგილი გავუთავისუფლეთ. თვალების ცეცება დაიწყო, რომ ავიძარით. რას გვიზამენ, დაინტერესდა. ძირს რომ ჩამოგვყარეს, სადა ვართო, იკითხა. მახათაზე აღმოვჩნდით. ქვემოთ ახალი ამწვანებული ქალაქი გამოჩნდა. დანაწევრებული, შორეული ხმები ამოვიდა გობის ფსკერიდან. მწერალი ამ ხმებს აყურადებდა, გეშნაკრავივით იდგა და აღარ მოდიოდა. ზოლებიანი, თუთუნისფერი, ძველი პიჯაკი ეცვა. მეჩხერ თმას უბურდავდა ნიავი. მამიამ გვითხრა, ავჩქარდეთ, იქნებ მეორე ტაიმს მივუსწროთო, მაგას თუ ვუყურეთ, კარგად წავა ჩვენი საქმეო. წამოხვალთ, ბატონო იმმანუელ-თქვა, შეეკითხე. კიო. ტაქსი

რეჯო ჭეიშვილი
მოთხრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავაჩეროთო. რა უნდოდა იქ ტაქსს. ფეხით წამოვედით. მეო, იმმანუელმა გვითხრა, მიცანეს და მაინც წამომიყვანესეო. ბორძიკ-ბორძიკით მოდიოდა. რამდენჯერმე დაუცურდა ფეხი და კინაღამ წაიქცა, თუმცა თავის შეკავებაც არ უცია, როგორც შევატყვე. პორთფელიც უშლიდა ხელს. დიდი, გაბერილი პორტფელი იყო. სუფთა ტყავი, კი. ერთხელ ფეხზე გაძვრა და სილა ჩაეყარა საქუსლეში. გაფერთხა ფეხსაცმელი, ჩაიცვა და აქ დავრჩებიო, მითხრა, მანქანის ფულს მოგცემთო, მოგვცა თუ არა, არ მახსოვს. მე მგონი, — არა. მიცვნეს და მაინც წამომიყვანესეო, კიდევ აღნიშნა. ფეხბურთზე კი საერთოდ არ დავდივარო, სტადიონში ქუდი რომ ჩამიგდოს ვინმემ, ამოსატანად არ ჩავალო; ერთსო არყის სუნი ასდიოდაო. ადიოდას კი არ ამბობდა, — ასდიოდას და ს-ზე აკეთებდა მახვილს. ვის-მეთქი, ვის ასდიოდა-თქვა, დავაპირე კითხვა და ვეღარ გავუბედე. დავტოვეთ იმ ალაგას. ფეხბურთს მიეტიროდით და პოეტი აღარ გვიდარდია. ´ამას ყოველდღე ვხედავ-მეთქი, გავიფიქრე, ამ თამაშს კი მისდღეშში ვეღარ ვნახავ-თქვა. როგორ არ ვიცნობდი, ყოველ შემთხვევაში ვიცოდი, ვინც იყო. პოეტი ვთქვი? რა მნიშვნელობა აქვს. დიახ. სხვისი რა მოგახსენოთ და მე ვეთაყვანებოდი. როგორ ვიფიქრებდი, თუ ასე ადრე აღესრულებოდა. ის დღე კი, სანამ სული მიდგას, ჩემი მეხსიერებიდან არ ამოიშლება.

პორტფელში რა ჭონდა, არ ვიცი, ვერაფერს მოგახსენებთ, რა დღე იყო, რიცხვი? შეიძლება დაზუსტება. მაგ არ არის ძნელი. იმ წლის აპრილის პირველი კვირის ბოლო ან ბოლოსწინა დღე უნდა ყოფილიყო.

V.

მიკვირს, როგორ მოახერხეთ გამოძახება.

ვიცოდი და არ მჯეროდა ამ საშუალების.

მანდით დიდი ხანი, ანდით წამის მეწამწამდია გასული და ცხადია, ... ლაფერი მახსოვს.

წინასწარ უნდა განვაცხადო: ჩემს გადაწყვეტილებაში ბრალი არავის მიუძღვის; უმორჩილესად გთხოვთ, არავინ დაადანაშაულოთ.

ახლად ამწვანებული, ვეებერთელა ვერხვების შტოებს ზვეით ჩანდა ლურჯი ცა. აცხუნებდა შუადღის მზე, სილაჟვარდისაკენ წასული გამთბარი ჰაერი ათრთოლებდა გრძელყუნწწა ფოთლებსა და ხის მჯადა ყვავილების მწვანედ დაფრქვეული ბუსუსების უჩინარ ფარდას.

მოედინებოდა ხალხის მდინარე.

მოდიოდნენ გროვა-გროვად, ჯგუფ-ჯგუფად. მოდიოდნენ მუქი სათვალეებით, გაკეცილი გაზეთებით, მზისუმზირის კვნტებით, სიგარეტის ფუილ-ფუილით. გამეტებით აწვებოდნენ ერთმანეთს რკინის მესერთან, შედიოდნენ შემორაგულში და კმაყოფილნი იხედებოდნენ უკან. უკანდარჩენილნი კი წინმიმავალთ აწვებოდნენ კვლავ, თავიღა დარანებით შედიოდნენ შემორაგულში და დასიცხულნი ბრუალობდნენ ერთხანს. მოდიოდნენ და მოდიოდნენ დანარჩენები მოკანკალე ფოთლების ქვემოთ, დაფოთლილი ჰამაკივით მოქანავე ლურჯი ცის ქვეშ.

უზარმაზარ, კენწეროსკენ გაწვრილებულ, გაბაცებულ, დაკბილული ფოთლების პიგმენტის ფონზე მზის ლაქებით დაფორაჯებულ ვერხვებს ასანთის ღერებად ანაწილებდნენ, ვიცოდი. ელექტროხრხის გულისგამწიწკანელი, შორეული ხმა წვდებოდა საადანღაც ყურთასმენას. ვერხვის ხიდან მშვენიერი წუმწუმა გამოდისო, ამტკიცებდა ვიღაც სადღაც. ჩემს გასაგონად, რა არის წუმ-წუმა? წუმ-წუმა, წამ-წამი. გადავხედე უმადურ ადამიან-წუმწუმათ, მივეყრდენი ვერხვს და დავაცქერდი აშუადღეისას ალურჯებულ წყალს, — ადამიანების მდინარეს. არა იყო რა ცისქვეშეთში იმ დღეს იმ მდინარის სილურჯეში აროკლილი ახლად გაფოთლილი ხეების ჩრდილებზე მშვენიერი.

მოდიოდნენ მუქი სათვალეებით, მზი-

სუმზირის კვნტეთი, პურჭყინით, სიგარეტების ლურჯი კვამლის ფრიალით, მიიწევდნენ ამაოების მიზნისაკენ, შემორაგული წრისაკენ. ო, როგორ მიყვარდნენ ისინი, — ადამიანები და დასახერხად განწირული ხეები. დაწიწილაკდებოდნენ ხეები უმცირეს ღერებად, გაჭრებოდნენ ჩრდილები ხეთა და კაცთა; ჩრდილებს გაყვებოდნენ პატრონები და იმ ასიათასთაგან არ დარჩებოდა მზის საუფლოში არც ერთი ასი წლის შემდეგ. ტირილი მომინდა ამის გახსენებაზე. ვული დამიმძიმდა და მოვიდა ერთი წუმწუმა, მომთხოვა ბილეთი, არა მაქვს ბილეთი-მეთქი, ვუთხარი წუმწუმას. თუ არა გაქვს, ბატონო იმანფილო, წამიბრძანდით ჩვენთანო, მითხრა წუმწუმამ. წავედი. არც იმანფილობის დამდასტურებელი საბუთი გაქვთ პორტფელშიო, დაინტერესდა შავ მანქანასთან. არც ეგა მაქვს-მეთქი, ვუთხარი. ექნებაო, თქვა მეორემ, ვისაც არყის მსუბუქი სურნელი ასდიოდა. თუ შეიძლება, პორტფელი მიბოძეთ, ბატონო იმანფილო, თქვა მეორემ. არ მივეცი. მაშინო, დაბრძანდით, გაარკვევენ, ვინცა ხართო. ვიღაც სიგარეტის ხრჩოლებით გამოეყო ნიაღვარს და ეგო, ესა და ეს კაციაო, განაცხადა ასიათასთაგან ერთმა. ვინც გინდა ის იყოსო, ან ბილეთი უნდა ქონდეს, ან საბუთიო, უთხრეს სავსებით სამართლიანად. რაღაც ხომ მართლაც უნდა ქონდეს ხროვისაგან გაკიდებანებულს. მაშინ, ბატონო იმანაო, ცოცხლადო, დაიძახა, ხელი შემაშველა და მანქანაში ამახტუნა, ვინც ბატონი იმმანფილი მიწოდა თავდაპირველად, ვინაც არყის მსუბუქი სუნი ააბილავა ზეფირში. მისი თანამდებობისათვის შეუფერებლად სისხლჭარბი, ფერხოროცვანი, მოძრავი კაცი ჩანდა. იმნაირი ცოცხალი, უაზრო თვალების ადამიანები სულ რაღაცას ითვალიერებენ და მისდასასარგებლოს როცა ვერ აღმოაჩენენ, დაცინინან საგნებს, მოვლენებს, მათ გარშემო მყოფ ადამიანებს და თავიანთ თავს მსუბუქად. სახენაყვავილარი, ცხვირის ერთი ნესტო მეორეზე თხელი და ოდ[illegible]ნავ მოკლე რომ ჰქონდა, ვერხვებმეც[illegible] დავტოვეთ. დროს რომ უქმად არ დაკარგავდა, ეტყობოდა; ბევრს გაუყენებდა ჩემს გზას, ბევრ იმნაირ ვერხვს დაანაწილებდა წუმწუმებად.

...ჩაგვსვეს მანქანაში, წაგვიყვანეს და გადმოგვსხეს კუკიის სასაფლაოზე. სასჯელის უმაღლესი ზომა ხომ არ შემიფარდეს-მეთქი. გავიფიქრე თავდაპირველად. ახლა იარეთ ფეხითო, გვითხრეს. ასეთი აღმოჩნდა საბოლოო განაჩენი. სახენაპატიებმა ახალგაზრდამ მკითხა გამოთხოვებისას, თმა ხომ არ გცვივთ თქვენ შემთხვევითო. რატომ მკითხა, არ ვიცი. პასუხი არ გამიცია, რადგან კაბინიდან მძღოლმა დაუძახა: კიდევ ბევრს ილაილავავ თუ წამოხვალო! გადი, შენ საქმეს მიხედეო, იმან უთხრა და კაბინაში ჩაჯდა. მძღოლს, რომელსაც ფეხბურთზე აგვიანდებოდა, გაზინთული პიჯაკი ეცვა. შეუმჩნევლად ქსეტინებდა დიდი ცხვირითი ლაპარაკის დროს. უფროსობასთან ცოტა მწყრალად უნდა ყოფილიყო. არ უყვარდა, ვისაც ემსახურებოდა, სიძულვილს არ ამჟღავნებდა და მაინც ვერ ფარავდა.

წამოვედით ბილიკ-ბილიკ. გორას რომ გადმოვადექით, ჩავარდნილი, მზეში გატრუნული ქალაქი დავინახეთ. ფანჯრის მსხვრევის ხმა შემომესმა მთაწმინდის უბნიდან. ბურთი მოუხვედრებია ფანჯრისათვის წელზევით შიშველ ბიჭს. გადაუადღებულს მაყივარი მამლების ხმა შეუერთდა ნისლივით ზევით ამომავალ, დაგუდულ ქრიამულს. მორზეს ანბანივით ჩაერთო ტრანსპორტის საყვირები მოჭედილ გუგუნში. განაპირებული ბიჭისა და გოგონას ხმა ამოვიდა სოლოლაკიდან. შემომყევი, გოგო შინო, ეუბნებოდა ვაჟი. მარტო ვარ, რის გერიდებაო. არაო, უარობდა გოგო, მარტო რომ ხარ, მითუმეტეს არ შემოგყვებიო, თანაც დედა გამიჯავრდებაო. ამ ხმებით სავსე ნიავი გამოფარფატდა ფერდობზე, დამწვარი შამ-

რეზო ჭეიშვილი
მოთხრობა

ბის, აყვავებული ნუშის სუნი გამოიყოლა. შორიახლო ყვაოდა კურდღლისტუჩა — უცვეთელა, ნუშატამას გადაფეთქილ ბუტკოებს დატრიალებდა ახლადგაღვიძებული ფუტკარი.

...რაც ყოფილა, იგივ იქნება და რაც მომხდარა, იგივ მოხდება: არაფერია მზის ქვეშ ახალი.

დიახ. პორტფელში მედო ქუდი, ბლოკნოტი, „საბჭოთა ქალი“, „შაშვიკაკაბი“ და ცალხაზიანი, ცარიელი რვეული, ვიმეორებ, ცალხაზიანი, ცარიელი რვეული.

ჩემი საქციელი შეაფასეთ უარყოფითად. სხვას ნურამც და ნურამც ნუ დაადანაშაულებთ. ნახვამდე.

გელოდებით!

VI

ისევ ებრძოდა ღამით ზარები ზარებს.

აპრილის ღამის ქარი მიაქროლებდა ნუშატამას ვარდისფერი ყვავილების ნამუსრევს. საწერი მაგიდის ფეზე გამობმული ჭინკა ქვითინებდა გულსაკლავად. ქარი ახლიდა ახლად გაფოთლილ ჟვერს მინას. აქვითინებული ჭინკა ფხაჭნიდა პარკეტს. ვის რად უნდაო შენი ლექსი, შენი არაკი, შენი უთქმელი ნათქვამი.

...შენ მართალი ხარ, ლურჯი ედემი ქარმა დაბურდა, მაისი გაქრა და ბაღი ჩემი გაუდაბურდა...

როცა ფერდობზე ყვაოდა ყვითელი უცვეთელა, როცა ვარდისფერ ნუშატამას ბუტკოს დაბზუოდა ნაზამთრალი ფუტკარი და წყლის ნათლია აპარპალებდა გამქვირვალე, ისრმისფერ ქერეჭებს ხელისგულისდადება ტბორზე, ის კაცი დაჰყურებდა მზეში აბრჭყვიალებულ ქალაქს და აოცებდა იმ გაზაფხულის ატმის ყვავილების სულში აროემოსვლა, ჩაფერფლილი ვნების სიმსუბუქე, მზის ნაადრევი სიყვითლე, ვერხვის ხეების მჭადა ყვავილების ბუსუსების სიმწვანე, ხალხის მთვლემარება.

დიახ. პორტფელში ედო საკუთარი ხარჯით სახელმწიფო სტამბაში გადაბეჭდილი ხუთი ათასი მოსაწვევი ბარათი. ათვალიერებდა რკინის მესრისაკენ მისწრაფებულ, შემორგაულში თავშერგულ ხალხს, ეტირებოდა და გულზეახუტებულ, მოსაწვევებით გატენილ პორტფელს არ უშვებდა ხელს. ვისთვის უნდა დაერიგებინა ამდენი მოსაწვევი ბარათი. ჭირდებოდა ვინმეს? მოვიდოდნენ კი რკინიგზელთა სასახლეში ეს პატიოსანი მოქალაქენი.

დაგერიგებია, შე კაი კაცო, ან მოვიდოდნენ, ან — არა!

VII

პრეზიდიუმზე ოქვეს: მართალია, სხვა დროს არ ჩაუდენია ასეთი რამ, ამნაირ უსაქციელობაში შემჩნეული არ გვყოლია, მაგრამ ამჯერზე ნამეტანი მოინდომაო; ჯერ არ მოიფხანა, შემდეგ მოღლეტა დააპირაო. ხალხი, მკითხველ საზოგადოებაზე მოგახსენებთ, არც კი იცნობს მაინცდამაინც, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, საყოველთაო სიყვარულით ვერ სარგებლობს და თავი უნდა შევაკავებინოთ გრანდიოზულ სპეკტაკლ-საღამოსაგან, თორემ მაყურებელი სასახლეში არ მოვა, ძალით მაგას ხალხს არავინ მოუყვანს და შეურცხვებით, თავი მოგვეჭრება საშვილიშვილოდ; პასუხი უნდა მოეთხოვოს იმას, ვინც ეს საქმე წამოიწყო, ვინც ის ადამიანი საამსაქმედ წააქეზაო. ამხანაგებო, აქ სხვანაირადაც დგას საკითხი, მართლა ასე ალია ბალია ხომ არ არის. რკინიგზელთა სასახლეს ვერ დავუთმობთ. გამორიცხულია. თუ მაინცდამაინც. ჯერ ენას ნუ მივუტანთ, იქნებ სხვანაირად მივუდგეთ, თავადვე ვთქმევინოთ საღამოზე უარი. ასეა თუ ისეა, ყველა ვხვდებით, ამნაირი საღამო არ უნდა გაიმართოს.

არც გაიმართებაო, დაიძახა ვიღაცამ ქვემოდან.

რაიო?!

არ გაიმართება, ძალიანაც რომ გინდოდეთ, რადგან ის კაცი ამ დილით კომბინატში დაწვაო.

ამ ცნობას ხანგრძლივი პაუზა მოყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი მაგრამ, რაღა ახლა დაწვაო, იკითხა ერთმა.

არ უპასუხეს. დუმდნენ. ფიქრობდნენ. ვინ დარეკა, ვინ ჩაუწყო, ვინ მისცა სამკურნალო ფაბრიკაში დაწოლის ნებაო.

— გთხოვათ რომელიმეს?

— არა.

— შუამდგომლობა წაიღო?

— არა.

— მიმართვა?

— გაგიგია!

„აბა როგორ დაწვა?!"

— არა უშავს, წამოწვეს, იმკურნალოს, მიხედოს, მოუაროს თავს!

— მართლა დაწვა?

— აბა!

უნებართვოდ დაწოლილიყო.

...ეს იყო უმაღლესი ზიზღი მათდამი. პასუხის სრული გაუცემლობა და ჩვეულების დარღვევა.— ცხენი იშვიათად, ისიც გათენებისას წვებოდა.

VIII

დიდუბის სასაფლაოს მისადგომები გადაუკეტეს მოზღვავებულ ხალხს, როცა იმმანუილი მიწაყრილზე დასვენეს. ვიღაცამ მიკროფონს დაუწყო წვალება და თავში ფრჩხილის ცემა; ისმის თუ არა ხმაო. დაინტერესდა.

ხალხმა მაინც გამოარღვია რამდენიმე კორდონი და რკინის მესერს მოეჯარა. სახენაყვავილარმა კაცმა, ერთი ცხვირის ნესტო მეორეზე თხელი და მოკლე რომ ჰქონდა, რიგით ხელქვეითს უთხრა: შე დეგენერატო, როგორ მოახერხე ამდენი ხალხის მოჯგლეთაო. ვის ეუბნება ეს კრეტინიო, გაიფიქრა ხელქვეითმა, ხმისამოუღებლად შებრუნდა, თანამომმეებს შეუერთდა, რადგან წარმომადგენლები მოსულიყვნენ უკვე შავ ლიმუზინებით და ხალხში ბილიკი უნდა გაეკვალათ როგორმე.

ერთმა ქალმა ბიჭუნა ასვა ღობეზე, ნუ გეშინია, არ გადმოვარდები, დახედე, ცოცხალი ვერ გაჩვენე და მკვდარი მაინც ნახე როგორიაო.

გამჭვირვალე და მყიფე ჰაერში სუსტად ჩამორეკილი ბროლის ლოლუების წკრიალი ისმოდა. წყლის ნათლია არხევდა ისრიმისფერ ფრთებს მშრალ სამარესთან. მსუბუქი, უხილავი კვამლი ასდიოდა საფლავის ფხვიერ, ნეტარებით გაჟღენთილ მიწას; ადიოდა კვამლი ზევით, ბროლის სტალაგმიტების წკრიალი მიჰქონდა და ზეცის თავანს უერთდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო ბუაჩიძე

რას მოასწავებს

ქარი მასწავლებელია,
მთვარე — მოწაფე.
რას მოასწავებს მათი სიარული
ჩემი აივნის რიკულების გასწვრივ?
რას მოასწავებს მათი სიახლოვე
დედამიწასთან,
რას მოასწავებს სიკვდილი
იმ ქალისა,
რომლის დამსხვრეული სახე
სამუდამოდ დაფლეს მიწაში?
რას მოასწავებენ ღიობები
ვარსკვლავებს შორის,
დერეფნებივით რომ იყურებიან
უსასრულობაში,
რას მოასწავებს პეპელა
უცაბედად რომ ჩაინქლა
სანთლის ალში,
რას მოასწავებს სიყვარული
გაუხარელი ნაყოფივით
რომ მოწყდა ყუნწს
და განერთხა მიწაზე?
რას მოასწავებს ღამე,
რომელიც ტანჯული ქალივით
მოდის დღის შემდეგ
და ქვეყნიერების სარკესთან
მწარედ იწეწავს თმებს?
რას მოასწავებენ სიტყვები
ადამიანებზე და საგნებზე
გამძლენი რომ არიან,
რას მოასწავებს მსხვერპლი
და მტაცებელი,
დაბადებული და გარდაცვლილი,
სიჩუმე და სინათლე,
თოვლი და ხრეში,
კლდე და ზღვა,
თვითმკვლელობა და სიძუნწე,
ღამე, დაფერფლილი სიგარეტი,
კოვზი, იატაკი,
სასთუმალი,
რას მოასწავებს
თვითონ სიტყვა „რას მოასწავებს?“
ქარი მასწავლებელია,
მთვარე — მოწაფე.

არყოფნა

ჯემალ თოფურიძეს

როცა წვიმა მოვა
ქალაქის ქუჩებს შენ გაახსენდები.
პროსპექტებზე
ქალაქელები ისეირნებენ.
და თუ მეც ვიქენი,
ბეც გავყვები ეულად ქუჩას
და ნაფეხურები დამრჩება უკან,
როგორც სიცარიელის ანაბეჭდები.
და შენც უკან დამრჩები,
რადგან შენ იქ ხარ
სადაც სხვები არ არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაცვლილებს

მე თქვენი სულის იდუმალ ნაბზარებს
ვერასოდეს თითს ვერ შევახებ.
თქვენს ტანჯულ სულებს
ბოქლომივით ჰკიდია სიკვდილი.
საფლავებს კი ეპარება მღვრიე
სიყვითლე—
მარადისობის მუდმივი ფერი.
თქვენ ნუ იდარდებთ!

დადგება ჟამი გამოფხიზლების
მე მოგაბრუნებთ
ზურგშექცეულებს,
რომ დაგანახოთ ჩემი არყოფნა!
მანამდე კი დავაცქერდები თქვენი
ბედის
დამსხვრეულ თასებს.

სახელები

შენც ასე ფიქრობ
და სხვებიც,
მაგრამ თქვენს ფიქრს
აღსრულება არ უწერია.
ბედისწერა თავის
ცვილივით ჩუმი ხელებით
ასრულებს საქმეს.
ნუ გეშინიათ,
ჩვენ ყველანი თანასწორნი
ვართ,
რადგან ვიღაცა იდუმალმა

უჩინარი ალღოს წყალობით
ჩვენი კუთვნილი
სახელები ჩამოგვირიგა —

მეძავს მეძავის,
ხოლო მოძღვარს კიდევ მოძღვრისა!
ჩვენ კი იმგვარი სიტკბოებით
დავემორჩილეთ
ბუნების ამ ჩუმ ნაკარნახევს,
როგორც მსხვერპლი თავის
მტაცებელს.

ვინ არის

ვარსკვლავებს შორის რომ
გრძლივი შუალედებია
იქ რა არის ნაგულისხმევი?
ნუთუ სიყვარულის შეუვსებლობა
და ადამიანის სიმწირე?
მე მთვარის ქვეშ დავაბიჯებ
და ჩემი ნატერფალი
მთვარის სხივების პარალელურია.
„ვინ არის ეს ჭაბუკი?“

ხომ შეიძლება იკითხონ ხეებმა,
რომლებიც აგრერიგად
ამკობენ ღამის გრავიურას.
ვინ არის ეს ჭაბუკი
თავისი თავის თანაგრძნობის
სიმს
ისე რომ მიჰყვება,
როგორც ჯამბაზი გრძელ თოკს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოტია იოსელიანი

სადა ნაბიჯები

(ავტობიოგრაფიული ნოველები)

თავის მართლება

„ავტობიოგრაფიას“, „მოგონებებს“ და „ჩემი ცხოვრების გზას“ როგორ არ წერდნენ, მაგრამ წერდნენ ისინი, ვისაც ამის უფლება ჰქონდათ (ლევ ტოლსტოიმ სულაც „ბავშვობა და ყრმობით“ დაიწყო მწერლობა).

ჩემგან ამ საქმის ხელყოფა დიდი კაღნიერება იქნებოდა, ერთი გარემოება რომ არ იყოს მიზეზი.

ყველა მწერალი, დიდი თუ პატარა, თავის თავს, თავის ცხოვრებას წერს. ყველა გმირი თვითონაა და ნაწარმოების ავიც და კარგიც მისი განცდილია (სხვანაირად არაფერი გამოვა, თავს ვერავინ გადაახტება), ამა თუ იმ ვითარებაში თვითონ როგორ მოიქცა, ან როგორ მოიქცეოდა. რაც სძულს, მის გმირებსაც სძულთ, რაც უყვარს — ასევე. რასაც ებრძვის, მისი გმირების ხელით თვითონ ებრძვის, რა აზრის და რწმენის დამკვიდრებასაც ცდილობს, თავისი ორეული გმირების ხელით ცდილობს...

ავტორი თავის სოფელს შეეხზული სოფლის სახელს არქმევს. დაბასა და ქალაქს, მინდორს, მთას, ტყეს და მდინარეს — მოგონილს. არადა, ზუსტად აღწერს იმას (გააჩნია, რის შემძლებელია), რითაც ვაიზარდა და ცხოვრობს, რა მიწამ და ცამ, გარემომ, ადამიანებმა, დრომ და ეპოქამ „გამოქედა“ მისი პიროვნება, ხასიათი, მრწამსი. მსოფლმხედველობა...

მაშინ რა გამოდის? უბრალოდ, პატარა ცოდვა: ყველაფერს არ ჰქვია თავისი სახელი.

ამ ჩემ ავტობიოგრაფიულ ნოველებსაც არავითარი პრეტენზია არა აქვს, გარდა ამ პატარა „ცოდვის მონანიებისა“ — ყველაფერს ერქვას თავისი სახელი.

ავტორი.

თავის მირტყმა და ჰკუის გადაბრუნება

რაკი ერთი წლისაც არ ვყოფილვარ, რა თქმა უნდა, ამ ფოთრაკის მახსოვრობას ვერ დავიჩემებ. ჩემიანებისაგან და შუბლზე დაჩნეული ნაჭდევით კი ეს ამბავი დაახლოებით ასე ვიცი:

ჩვენ გვქონდა პატარა მრგვალი მაგიდა, ალბათ არშინი სიგანისა. კაკლის ხის უნდა ყოფილიყო. შუაზე ერთი ხარატული ფეხი ჰქონდა. ცალ ფეხზე მაგიდა ვერ დამაგრდებოდა, ამიტომ ქვევით, იატაკიდან ასე, მტკაველზე, სამად იყოფოდა. სამივე გაკუთხული მოკლე ფეხის განშტოება ოვალურად ქვევით ეშვებოდა და ძირს ებჯინებოდა.

უთუოდ ქვეშაგებზე დაგორებული დამტოვეს (ოჯახში ქალის საქმეს რა გამოლევს). აქედან ვასკვნი, ეს მანამდე უნდა მომხდარიყო, სანამ ფეხზე გავიზარდი, ცხრა თვემდე.

ეტყობა, ფორთხვა ვიცოდი. არ ვიცი, რა საწრიალე ამიტყდა, სანამ სიარულს ვისწავლიდი, მანამდე მაინც გაქცევა რატომ მოვინდომე... ასე იყო თუ ისე, საწოლიდან თავდაყირა გადმოვშვებულ-

ვარ და შუბლი (ზედ წარბების შუა) იმ მრგვალი მაგიდის ფეხის გაკუთხულ წახნაგზე დამირტყამს. ღიმილის, სიცილის და სიმღერის რა მოგახსენოთ, თორემ ტირილი და ბღავილი თავიდანვე მეხერხებოდა. ამიტეხია თავგანთქმილს ერთი ვაი-უშველებელი. მოცვენილან ბებია, დედა და მამიდა (მამაჩემი შინ არ ყოფილა) შექნილა რძალ-დედამთილ-მოულს შორის ჩვეულებრივი უსიამოვნება, უფრო რძალ-მოულს შორის, რაკი ბებია არ იყო ისეთი, ყოველდღიურ ოჯახურ კინკლაობაში ჩარეულიყო და ენა ელესა.

— ვთქვი მე, რავარც დეიბადა, გავაძიძაოთ-მეთქი! — დაზაფრული დედა-ჩემი რას ამბობდა, ალბათ თვითონაც არ იცოდა.

— ნეტარი ვინ გავაძიძაოთ? — ბებიასთვის უკითხავს მამიდას, რძალთან მოსალოდნელი აყალმაყალის შემდეგ რომ ეთქვა, მე მაგისთვის ხმაც არ 'გამიციან.

— ეს არ გასაჩენი და არგადასარჩენი... — ორივე ხელი ჩემზე მოუშვერია დედას, ბებიას კალთაში რომ ვსიოდი.

— ამისი მტერი და ორგული... — „არგადასარჩენად“ ვერ გავუმეტებივარ ბებიას.

— ნეტავ ვის უნდა მივაძიძაოთ? — ისევ ბებიას ცემია მამიდა.

— აპალიეს ცოლს ამის კბილი ბიჭი ჰყავს!.. — უპასუხია რძალს.

— შე ქალო! — (მამიდა ბებიას „შე ქალოთი“ მიმართავდა) — აპალიეს ცოლი თავისასაც გაზრდის და ჩვენსასაც? ჩვენ რას ვაკეთებთ, თუ იცი?..

— გაძიძავება ჯერ არ გაგიგონიათ, თუ რა მოხდა!

— კი, შე ქალო, გაძიძავება ქე გვაქვს გაგონილი... — გაუტრიზავებია მულს რძალი.

— ჩუ, ჩუ! მაგი თქვენ კი არა, მეც აღარ მახსოვს. რა დროს ამის ლაპარაკია!.. — დაუბუნათებია ბებიას ორივე.

ბებია ხალხური მედიცინის საუკეთესო მცოდნე იყო, ჭრილობაზე სახელდახელოდ რა დამადო და რით შემიხვია, არ ვიცი, მაგრამ დასტაქარი რომ არ უძეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიათ ეს ვიცი.

სისხლის დენა რომ შეეწყვიტა შემდეგ ლოცავდა, რაკი, რაც მახსოვს, ხელი დანთთაც რომ გაგვეჭრა, როცა გვიხვევდა ჩურჩულებდა:

— სახელითა მამითა, ძითა და სულითა წმინდითა:

ძმამ ძმანი მოჰკლა,
კაენმა — აბელი.
სისხლო, დაწყნარდი,
ქმარა ამდენი!

— ნეტავი რას იჩენენ ამ ცოდვის შვილებს, თუ მოვლა-პატრონობის თავი არა აქვთ... (მამიდა გაუთხოვარი ქალი იყო, დედაჩემზე ოცი წლით უფროსი).

— ვისაც გაჩენის თავი არა აქვს...

— გაჩუმდით, გაჩუმდით! — გამწყრალა ბებია. — ჩემს შვილიშვილს არაფერი არ სჭირს გასაძიძავებელი და გასაშვილებელი. რვა ობლობაში და გაჭირვებაში ჩემი გავზარდე, მეორე რვა სანახეგროდ, მაზლის შვილები (ბებიას მაზლიშვილებიც დედიკოს, „დეიკოს“ ეძახდნენ), ამასაც მე გავზრდი!

ამ ამბის შემდეგ ჩემი აკვანი ბებიას თავის საწოლთან დაუდგამს...

ასე რომ თუ თავი არაფერს მიარტყა, რა ეწერება და ედავიდარაბებაო, რომ იტყვიან, თუ ეს მართალია, მე ჯერ კიდევ თოთოობაში მაქვს ეგ საქმე მოსტუმრებული, ცხრა თვისას მაქვს თავი მირტყმული და ჭკუა გადაბრუნებული.

ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲫᲠᲘᲚᲘᲐ

სკოლაში რომ არ დავდიოდი, მახსოვს. ანბანს ბებია მასწავლიდა.

ჩვენი ოდა-სახლის ლაფარაში საძირკვლის სიგრძე მრუდე ხე ეგდო. ჩემს ძმას ამ ხეზე გავლა მოენდომებინა, შუა წელთან რომ მისულა, გადაბრუნებია, გადმოვარდნილა, დაცემული, ხეც გადმოტრიალებულა, მრუდი გვერდი ბარძაყის ძვალზე დაუკრავს, გადაუტეხია

ᲝᲗᲘᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ
ᲐᲕᲢᲝᲑᲘᲝ�გᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲜᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ასივლებული ბავშვი რომ დედას და ბებიას ხელში აუტაცით, მერე შეუმჩნევიათ, რომ მენჯსა და მუხლს შორის ახალი „სახსარი“ გასჩენოდა.

ასე რომ ძმა დიდხანს იწვა საავადმყოფოში. მერე, მახსოვს, მოტეხილი ფეხი კოჭიდან ჭიპამდე თეთრ თაბაშირში ჰქონდა გაშეშებული, რომ ჩამოიყვანეს.

ამის გამო იყო, რომ მე და ბებიას შავი ძროხა ნავენახარის გადაღმა გადაძვილ, გადაჯეგილ, დახრამულ მინდორზე მარტონი დავრჩით.

სანამ საყანეებში სიმინდი ამოწვერებოდა, საქონელი გაშეშებული გვყავდა, მერე კი, ხნულში რომ ორი ყური თითო ფოთოლი გამოჩნდებოდა, მეველე ჩამოუთბენდა სოფელს და პირტყვი ბაწრით წელზე უნდა გამოგება. სანამ მარგვლა დაიწყებოდა, მწყემსი გოგო-ბიჭები მინდორზე იერეფნენ, მაგრამ როგორც კი გაჯეხები ბარს და კავს სიმშრალეში დააყუდებდნენ და თოხს გაპირავდნენ, ყანებში საქონელიც თან მიპყავდათ. ხარებით აკულტივაციებდნენ და ძროხას ახლო-მახლო ველებზე აბამდნენ. ბალახთან ერთად, გამონაჭერ ალერდ ჩალას და მწვანე სოია ლობიოს აჭმევდნენ.

ეს ამბავი ომამდე ხდებოდა და მაშინ მამა, ჩვენს გარდა, თითქმის ყველა ბავშვს ჰყავდა. მარგვლამდე, მთელი სოფლის საქონელი რომ მინდორში თავს მოიყრიდა, ბალახს პირწმინდად გადაძოვდა. მერე კი, ამ ცარიელა, დახრამულ მინდორზე ვრჩებოდით: მე, ჩემი ძმა, და ბებიას შავი ძროხა.

ძროხა მარტო ფერით არ იყო შავი, გუნებაც არ ჰქონდა უკეთესი, რაკი რჩოლა იცოდა. ისედაც ძალიან თავქეიფა საქონელი იყო. ბებიასაც კი არ უჯერებდა (ბებია ძლიერი ქალი იყო, სამართლიანი, მომთხოვნი და აგრე ვაგლახად პირუტყვი კი არა. მეტყველი ვერ შებედავდა ურჩობას). ძროხას სახელი არ ერქვა. სახელი, ალბათ, მაშინ სჭირდება საქონელს, როცა მეევრი ჰყავთ და უნდათ გაარჩიონ. ჩვენ ერთი გვყავდა, ისიც შავი, რქენია და რაღა სახელი მამის სახელი სჭირდებოდა.

მარგვლა რომ დაიწყებოდა, თითქმის მარტო მე და ჩემი ძმა დავდევდით გადახოტრებულ ველზე ამ თავქედა რქოსანს. მართალია, რქები წინ წამოშვერილი ჰქონდა, მაგრამ ორივე შიგნით შუბლისკენ იხედებოდა, ალბათ, ჩვენი ზედ აგება რომ მოენდომებინა, ვერ მოახერხებდა, მაგრამ გადაძვილ მინდორზე რომ გული არ უდგებოდა და ტყისკენ და ყანებისკენ იწევდა, მისი შემობრუნება ასე ხელის აქნევით და ბელტის სროლით არ ხერხდებოდა. ტყესთან ·სჯობდა. თავს დავუვლიდით, ხეს მოვეფარებოდით და უფრო დიდი გული გვქონდა. ყანის პირზე კი, თუ ხელში მსხვილი და გრძელი კეტი არ გეჭირა, წკნელით, ან სახრით ლურჯ, მაცდუნებელ ნუგბარზე თვალის მოწყვეტა უჭირდა. თუ არ ბალახობდა, თავი მაღლა ეჭირა და ჩვენ ვერ გვამჩნევდა. შეძახილით, ჭოკით, ბელტით და ქვით თუ თავს შევახსენებდით, თვალებში სიყვითლე ცეცხლის ანარეკლივით გაუკრთებოდა, დაიფშვქებდა, თავს გაიქნევდა და უკან დაბრუნებაც რომ ჰქონოდა გადაწყვეტილი, რამდენიმე ნაბიჯს მაინც წინ წამოდგამდა.

არ ვიცი, ალბათ უჭირდა ჩვენს ხელში საცოდავს, რაკი როდის-როდის, ბალახი რომ წამოიწეოდა, მარგვლაც თავდებოდა და მინდორში მწყემსი გოგა-ბიჭებიც გამოჩნდებოდნენ. ჩვენ კი გვიხაროდა, მაგრამ აბა ერთი შავი ძროხისთვისაც გეკითხათ! მოროდის დაწყებამდე ველს ისევ პირწმინდად გაუძოვდნენ. მათ ყანის კიდეებზე ბალახი ეზრდებოდათ, თან კაცის სიმაღლე გამონაჭერი ნამოროდი, მწვანე ჩალა და სოია ლობიონ ელოდათ, ეს კი იმ ხოტორა მინდორზე დარჩებოდა და ჩვენ ვერც ტყეში შესვლის ნებას მივცემდით და ყანებში, მით უმეტეს.

მოროდიდან სთვლამდე, ავვისტოს სიცხეში, ისევ აივსებოდა მინდორი და არა მარტო ნახიო, გვალვა და ქარი იქაურობას სოხანედ აქცევდა. ყანის კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეებზე, კვლებში და ლაშისპირებზე მწიფდებოდა: თივა-ბალახი, მწყერფეხა, ბურჩხა, ჩალამ-კალამი და ლაქაში. სთველზე, ხარებთან ერთად, პატრონებს ურემზე გამობმული ძროხებიც მიჰყავდათ და არა მარტო მაწიერ, ყუთათან ბალახს, მწიფე სოია ლობოს და ჭყინტ ტაროსაც არ აკლებდნენ (ჯიბით, ან, მით უმეტეს, ურმით რომ სახლში წაეღოთ, გაუგებდნენ. ძროხას კი მუცელში ვინ ჩაუდგრეებოდა!). ჩვენ და ჩვენი შავი ძროხა კი ვრჩებოდით ამ გაპარტახებულ მინდორში და მოუთმენლად ველოდით ნასთვლეს: მოსავლის აღებას, ბეღლებში ჩაჯეჯოებას, სოიას მოჭრას, ყანებიდან გამოზიდვას და გაცეხვას, ჩალის აკონვას, ურმებზე დაზვინვას და ჭრიალით ფერმებისკენ დაძვრას, ქარს, წვიმას და თრთვილს.

ბებია ატყოდა: რა დაიღამებს მაისის დღეს და რა გაათენებს იანვრის ღამესო.

ჩემმა ძმამ რომ ფეხი მოიტეხა, არ მახსოვს მარგვლა იყო, თუ მოროდი, ისე პატარა ვიყავი, ხეირიანად ამათ ერთმანეთისაგან ვერც ვარჩევდი. მახსოვს, როცა სრულიად მარტო დავრჩი, არაფრით საშველი არ ადგებოდა დაღამებას. ვიჯექი ჭყუტა მსხლის ძირას, ზურგით მის გამოღრუებულ ტანს მიყრდნობილი იმ მხრიდან, საიდანაც ჩემი სამწყსო კარგად ჩანდა და თვალებგამოციებული ველოდი დაღამებას. არაფერი იყო ირგვლივ ისეთი, რომ ხუთი თითივით არ მცოდნოდა, რაც თვალი გავახილე, იქაურობას ვხედავდი და, რას უნდა მიექცია ჩემი ყურადღება და მივეზიდე.

ნაცნობს და ჩვენეულს, როცა ვშორდებით და ვკარგავთ, მაშინ უჩნდება ფასი, თორემ რაც დღედაღამ თვალწინ გიდგას და ისიც უსუსურ ბავშვს, მომბეზრებელია.

ერთადერთი, რასაც მოველოდი და მახარებდა, იყო მატარებელი, რომელიც ლაშის გაღმა, ვრცელი საყანეების იქით, მდინარის მიღმა ფერდობზე გავლილდა დღეში ორჯერ, სახალხო — აქეთ და იქით, და ზოგჯერ საბარგო. მადნით დატვირთული რომ მიდიოდა ან ცარიელი უკან ბრუნდებოდა. საბარგოზე დროს ვერ დაადგენდი. იგი უფრო შემთხვევითი იყო, სახალხო იყო ჩემი საათი, მომსვლელი და წამსვლელი, მოლოდინი და სიხარული, ამბის მომტანი და წამღები, ხმაური და გუგული. ძროხაც კი თავს აიღებდა და გახედავდა მწვანე სახალხო ვაგონებს, და აყურადებდა შემპალი ნეშოსფერი საბარგო ვაგონების ხრიგინს, შავი ორთქლმავლის ქშენას, ქოთქოთს და ამოიფრუტუნებდა.

მატარებლის გარდა, მთელი დღე ორივესათვის დაუსრულებელი წამება იყო და, ამას დამატებული, რომ ერთმანეთი არ გვიყვარდა. მე ახლოს არ ვეკარებოდი და, მით უმეტეს, საალერსოს და სამეგობროს არაფერს ვეუბნებოდი. პირით, სულ იმას ვსაყვედურობდი, რომ რქენა იცოდა, მუდამ ტყისკენ და ყანისკენ ეჭირა თვალი და მისი მწყემსი წუთით ვერ ჩასთვლემდა. უნდა მდგარიყავი და თვალღია გეოცნება დაღამებაზე, კოკისპირულ წვიმაზე, ან ქარიშხალზე, რომ მისი დევნისათვის თავი დაგეღწია, ლაშისპირზე ბაყაყს ვერ გატყავებდი, ჭილოფას ღერს ვერ ჩაბამდი და წყალში კიბოს დასაჭერად ვერ ჩაჭიდებდი, რომ ძროხა თვალსა და ხელს შუა არ გამქრალიყო. ჩიტის ბუდის საძებრად ტყეში ვერ შეხვიდოდი და თვალდახუჭული ოცნებას ვერ გაბედავდი.

მამა რომ ცოცხალი ყოფილიყო, ამ ოხერს ყანაში წაიყვანდა და ბედნიერი ვიქნებოდი-მეთქი, შავი ცრემლით ვტიროდი.

ძროხა ძლიერი, ღონიერი მწყემსის ხელში უთუოდ დამორჩილდებოდა ბედს და ღმერთმა რა გაჭირვებაც არგუნა, დასჯერდებოდა, მაგრამ მწვანე ყანებსა და მას შორის, ესე იგი, მის ბედნიერებასა და უბედურების შუა ვიდექი მე,

---

ოგია იოსელიანი
ავტობიოგრაფიული ნოველები

ასეთი უმწეო არსება, რაც პირდაპირ შეუფიგებელი იყო. რაღაც გადაულახავი ზღუდე, ღობე ან უფსკრული რომ ყოფილიყო ეი, ან ჯაჭვით დაბმული ყოფილიყო, კიდევ ჰო, მაგრამ ამ მოკლე შარვლიანი, გატრუსული, თვალატრიბული, თითის სიგრძე ჭინკა ბიჭის გადამკიდე, მთელი დღე მუცელცარიელას როგორ ერბინა? არადა, რჩის ერთი გაქნევა და, გზა ხსნილი ჰქონდა. მე კიდევ თავს რა უბედურებაც მჭონდა დატეხილი, ყველაფერი შავი ძროხის პრალი მეგონა და ჩემი ობლობა მისი სიშავის და სიავის ნაქადები და ნაბოძები.

ერთმანეთისთვის პირდაპირ წამება ვიყავით და მთელი ცისმარე, წლისოდენა დღე ერთმანეთს თვალს არ ვაშორებდით... ღმერთო ჩემო, ისეთი გაუხუნარი ურწყვი ფერისა მაინც არ ყოფილიყო, შუბლზე ან ფეხზე თეთრი ნიშანი, უფორმო რაიმე ლაქა მაინც ჰქონოდა...

საყანეები, ლაშების ჭაობიანი ჭინჭყო ადგილებიდან მდინარემდე დაცემული ვაკე იყო. გაზაფხულზე, წყალდიდობის დროს, მთელი ამოდენა ფართობი იშლამებოდა. ომამდე მუშახელიც არ აკლდა და მუქი მწვანე, თვალგაუტანებელი ყანები ბიბინებდა, შიგ ცხენიანი კაცი დაიკარგებოდა. მინდორს ორ მხარეს ტყე ეკრა, მაშინ ახლო-მახლო კიდევ იყო შემორჩენილი ტყე და დაჩრდილული, ეკალ-მაყვლით დაბურდული მაღალი ხეების ძირებში ბნელოდა, თუ გაგანია მზით თვალებამომწვარს მეჩვენებოდა, ასე კი იყო და. მინდვრის ზედა მხარეს იწყებოდა სოფელი, მაგრამ აქეთ მხოლოდ ერთი მოსახლის ფაცხას ჰქონდა პირი, იმასაც კოპიტების აგარი საზღვრავდა და ვიცოდი, რომ იქ ჩვენი მეზობლები ცხოვრობდნენ, თორემ მინდვრის ბოლოდან არც ფაცხა ჩანდა და არც შორს კვეკასიონის ლილოჭრილო მთა-გორები.

მიწაზე ირგვლივ ჩემთვის არაფერი იყო შავი და ბნელის გარდა და არასოდეს არაფერი იცვლებოდა (ახლა წლები ისე გამეპარება, იმ დაუსრულებელი დღისოდენიც არ მგონია). და, იმ წლისოდენ ერთ დღეს გამისკდებოდა გული და ჩემს ტანჯვას ბოლო მოეღებოდა. მაგრამ იმ ჩემს დახრამულ და გადაჯეგილ მინდორს, მრუმე ყანებს და ბნელ ტყეებს, ბაყაყეებით სავსე წუმპეებს და შავ ძროხას, თავზე ადგა ცა!

ზეცა, კაბადონი — გამჭირვალე, კამკამა, შეუმკრთალი ცისფერი, თვალშეუდგამი ფირუზი, უსაზღვრო, უკიდეგანო, თვალუწვერი, შორებელი და ახლობელი. თეთრი... თეთრი, ვერსად მიწაზე რომ ვერ ვხედავდი, ისეთი ქუნქულა, ქათქათა, უბიწო, დედის ცრემლივით წმინდა და თბილი ღრუბლებით მოჩითული, მოხატული, მოჩუქურთმებული. ღრუბლები ამორღვეული, აზვავებული და გაცრეცილი, სიფრიფანა, ბებიას ალერსივით ცხელ მზეს რომ ეფარებოდნენ და არ ეფარებოდნენ, რომ ჩრდილავდნენ და არ ჩრდილავდნენ, თვალს რომ გაგასწორებინებდნენ და ამ თაკარა დისკოს დაამბგვალებდნენ, წითელ ბუშტად აქცევდნენ, აბურთავებდნენ და გადახტირილ მინდორზე დანთებულ ხვატსა და ორაოში სულს მოგათქმევინებდნენ.

თეთრი ღრუბლები არასოდეს ჰგვანდნენ ერთმანეთს, მაშინაც კი, როცა მოჯარდებოდნენ და კაბადონი აითოხნებოდა. საავდროდ რომ პირს შეკრავდნენ, მე მაშინაც არ შემინიშნავს ზეცაში ურჩხულები, ქაჯები და აგაცები. ცისკიდეზე რომ ქათქათა, უშველებელი ზვინები დაიდგმებოდა, ხშირად დამინახავს დევები, მაგრამ ნაცარქექია — არასოდეს, დევები ბუმბერაზები რომ იყვნენ, იმიტომ იყვნენ დევები, თორემ განა სიავისა რაიმე იცოდნენ?..

მიწა, რომელზეც მიბმული ვიყავი, ჩემთვის ხომ ასე შავი და ბნელი იყო, სამაგიეროდ ცა ანგელოზებით იყო სავსე, რომლებიც ჩემთვის ყოველ წამს იცვლიდნენ ფორმას და ხასიათს. ჰყვებოდნენ ამბავს, ზღაპარს და ლეგენდას. ჩემთვის საიდან არ მოდიოდნენ. არ ერიდებოდნენ გზას, დაღლას და მუდამ ხალისიანნი, ალერსიანნი, ნათელნი ქათ-

ქათანი, მსუბუქად, საამოდ მიყვებოდნენ ცისას, ბარისას, მთისას, ზღვისას...

მე იმდენი ზღაპარი ვიცი მთი ნაამბობი და, განა მარტო ნაამბობი? დასურათხატებული და მოქარგული თეთრით და ცისფერით, ჯადოსნურად მონაყოლი, ოქროთი მოვარაყებული და წითელი ბუშტებით გაცინებული. მთელი ცხოვრება, მთელი ქვეყნის ბავშვებს რომ ვუამბო ცალკალე და არ გავიმეორო, არ დამელევა.

ის შავი ძროხა რომ არ მყოლოდა სამწყემსავი, ბავშვობაშივე გადავსახლდებოდი ჩემს დედებთან, ანგელოზებთან, დასურათხატებულ ზღაპრებთან. თეთრ ღრუბლებზე ვითამაშებდი წითელ ბურთს და ჩემზე ბედნიერი კაცი შვილი არ იქნებოდა. მე შენ გეტყვი, რაიმეს მომაკლებდნენ, ან ერთფეროვნებით მომაწყენდნენ. ძროხა რომ ძროხაა, იმასაც კი ჯოგებად მოდენიდნენ, რომ მე გული არ დამწყვეტოდა და არ მეფიქრა, თუ მათთან სამარადჟამოდ წავიდოდი, საქონლის, ტყის და ჭყუტა მსხლის დარი არ გამყოლოდა. მაგრამ იქაური ტყეც, ხეც და ძროხაც რძისფერი იყო და ის კი არ მიკვირდა, ეს მოაცებდა, ჩვენს შავგულას თეთრი რძე როგორ ჰქონდა და ოქროცურვილი ყველი.

გარდა იმისა, რომ მიწაზე შავი ძროხა უნდა მემწყემსა, არაფერი მესაქმებოდა და სულიან-ხორციანად ღრუბლებში ვცხოვრობდი. ღრუბლები იყო ჩემი პატრონი და მფარველი, ჩემი დამპურებელი და გამრთობი, ჩემი მომფარებელი და თავზე ხელის გადამსმელი. ჩემი დედები და ანგელოზები. მიცხობდნენ ფუშფუშა ლავაშებს და ნაზუქებს. რძეში მიხარშავდნენ თეთრი ბრინჯის ფაფას, მომინანქრებულ ბრილის ქვაბიდან რომ გადმოდიოდა და არ ილეოდა; მიზრდიდნენ თეთრა სოკოს, ჭყინტი ყველის მთებს მიდგამდნენ და აი, მინდოდრე რომ შავი ჰურის ყუას, ან ცივი მჭადის ნატეხს ვღეჭავდი. აქაფქაფებულ, აბუბუქებულ რძეს ფაიფურის ვეება, ქოქანა ქოთნებით მაწვდიდნენ.

დედაჩემი, შავებში მოსილი, მუდამ თვალტირებული უმწეო ქვრივი იყო, ბებიას ისეთი ნაოჭასხმული გრძელი კაბა ემოსა, ფეხებიც კი არ უჩანდა, შუბლზე ჩამოწეული, ნიკაბთან განასკულ თავსაფარში კი — სახე. მამაჩემი, რაკი აქ ვერსად ვხედავდი, იქ, ზეცაში ვეება თეთრ ღრუბლთან მეგულებოდა, მაგრამ იგი არასოდეს მენახა და ვერ ვცნობდი.

მიწის და ცის, შავის და ცისფერის თვალმოუწყვეტელმა ცქერამ თითქმის დამაყლამა, და ახლაც, როცა ცალი თვალით მინდა არ მინდა, ძირს უნდა დავიხედო, ცალი მაღლა, თეთრ ღრუბლებში გამირბის.

დედულეთი

პირველი ტაეული

დედაჩემი ოცდაორი წლისა დაქვრივდა და ორი, ერთი წლით უმცროს-უფროსი ობლები დავრჩით, — ორივე აკვანში.

კოლექტივი ის-ის იყო ყალიბდებოდა. ჩვენი სახნავ-სათესი მიწების გაერთიანება მოასწრეს და მამაც აღარ იყო. ორ აკვანს შუა დარჩენილ ქალს შრომისმოყვარეობა და ჯანიც რომ ჰქონოდა, დილიდან საღამომდე ვერც კავს გაჰყვებოდა და ვერც ყანაში, მობირული თოხით, სვრელს გაიტანდა. მესაქონლეობის ფერმა ჯერ კიდევ არ არსებობდა და, მით უმეტეს, ჩაის პლანტაციები. წერა-კითხვის ძლივს მცოდნე ქვრივს იმ დროს და ისიც სოფელში რა სამსახური უნდა ეშოვნა. არავითარი საშველი და სახსნელი არ გააჩნდა. ქმარი მიწაში იყო, ღმერთი — ცაში. უიმედო და უსასოო, გამწარებული, ვინც ხელში მოჰყვა, იმას ეცა: დებს, ძმებს, მულებს და მაზლებს... რაღაცა მიშველეთ, მომეხმარეთო. ვის რაც შე-

---

ოტია იოსელიანი
ავტობიოგრაფიული ნოველები

ეძლო ვითომ უწყობდნენ ხელს, მაგრამ ძვეველნი და მოსაკითხთან სამი სულის წლიდან წლამდე რჩენა, ჩაცმა-დახურვა, მოვლა და პატრონობა არ ნერხდებოდა. ღმერთისაგან დაჩაგრული დედაჩემი ისევ და ისევ ბედისაგან „განებივრებული“ ნათესაობის ხელებში შეჩერებული რჩებოდა. მაშინ, რაღა თქმა უნდა, მისვლა-მოსვლა ჭირდა. რამდენი შენ მოგშიგდებოდა, ჯამით ფქვილს და ლობიოს ვინ მოგაწვდიდა. ზოგჯერ თავმოძულებული ქვრივი შვილებს დაგვავლებდა ხელს, ძროხაც ჭირს წაუღია, ბიწა და წყალი მეწყურსო და თავიასახლის გზას გაგვიყენებდა.

ჩემი სოფლიდან რაიონის ცენტრამდე (მაშინ რაიონი არც იყო) ერთი ხუთი ვერსი იქნებოდა, იქიდან დედულეთამდე ერთი იმდენი, ან ცოტა მეტი.

ქვილიშორი მთაგორიანი, ქვა-ღორღიანი სოფელია, კლდოვანი, კარსტულ ნიადაგიანი. ჯას ვერ ამოთხრიდი. მთელ სოფელში ორი წყარო იყო, მოსახლეობა კი გაშლილი და გაფანტული, ჭალა-ჩაბლობებში ჩაბუდებული. წვიმის წყალს ხირხატი ბიწა მაშინვე ატარებს და ქვევით ხვრეკით და ნაპრალები ნთქავს. სიმინდს და ლობიოს უჭირს. უფრო ხეხილი ხარობს. ვენახსაც არა უშავს. ქვილიშორლებს მჭადის და პურის ფქვილი ბაზარში უნდა შეეძინათ, ბაზარი კი ხონში და ქუთაისში იყო და ხონი და ქუთაისი მაშინ კი არა, ახლაც არაა ახლოს.

ჩემი დედულეთლების ეზოს ნახევარი ოდნავ დამრეცი ვენახიანი ადგილი იყო, მეორე, ზედა, სადაც სახლი იდგა და სახლს ზევით, კლდოვანმიწიანი, ხეხილით იყო გაშენებული. მახსოვს, უშვილებელი ლეონი იდგა ერთი, რომელზეც ასვლა ბავშვებს გვეკრძალებოდა, რაკი ძირში სიპი კლდე ჰქონდა. რომ ჩამოვარდეთ, მწიფე ლეღვივით გასკდებითო. ამას ჩვენც ვხედავდით და ქვევიდან შეეცქეროდით მაცდუნებლად გაცინებულ, პირიდან თაფლმომდინარე ნაყოფს.

დედულ ბაბუას — ალმასხანს, რაკი გზა ხშირად ხონისკენ ედო, (უთუოდ სხვა მიზეზიც იქნებოდა) ცოლიც ეყოლა-ური შეერთო.

არ ვიცი, ბაბუამ ქალაქელ „განათლებულ“ ქალს რა დედოფლობა აღუთქვა და ალბათ, სანამ ცოცხალი იყო, უსრულებდა კიდეც, რაკი, რასაც მე მოვესწარი, არ მახსოვს, ბებიას თითი თითზე დაეკარებინოს. მართალია, იმ დროს შვილები მოსწრებული ჰყავდა (ხუთი შვილის დედა იყო). უმცროსი ბიძაც კი დაოჯახებული იყო, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, საქმიანის დიდი მოწადინე რომ ყოფილიყო, ხელებს არავინ შეუკრავდა. ხელებზე გამახსენდა, გამჭიქვალე ქათქათა თითები ჰქონდა, თეთრ ქაღალდზე რომ დახატო ისეთი და მხოლოდ ცისფერი ძარღვები გააფერადო. ერთადერთ ჯვარნაწერ ბეჭედს ატარებდა, თავისი სუსტი თითებით გალეულს და მგონი გამჭვირვალესაც კი. გამხდარი მოხუცი იყო. არც წელში მოხრილა და არც არასოდეს ჯოხი არ სჭერია. არ მახსოვს ჩვენი თანდასწრებით ლობიო და ხორცი კი არა, ხილი გაესინჯოს — სულიწმინდა ვარო. პატივმოყვარე ქალი იყო. ამ ყრუ სოფელში რომ გამოათხოვეს (რატომღაც ძმებს აბრალებდა) მოხუცებულობაშიც თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. სემინარიის თავზე ვარ გაზრდილიო, — და ამ დროს წერაკითხვა არ იცოდა. ასე უსაშველოდ „განათლებულ“ ბებიას მეზობლების ბნელ დედაბრებთან მაინცდამაინც დიდი ურთიერთობა არ ჰქონდა. არც რძალი მოსწონდა, ისიც იმ სოფლელი იყო, — არც მძახალი, რაკი მშრომელი, ყოჩაღი და „მამალი“ ქალი იყო. არც ეზოდან გადასული მინახავს და არც რაიმეზე აჩქარებული. პალატზე გადმომდგარი ოდა სახლის აივანზე იცოდა ჯდომა მარტოდმარტომ, ღირსებით, ვინმესთან და რაიმესთან თავგაუყადრებლად.

არც შვილებისა და შვილიშვილების მოფერება იცოდა. სულ იმის ქალი იყო, გაქთქთებული ღია ფერის ხალათის ჯიბეები ტკბილი კვერით, ჯანჯუხით და შავი, წვრილი ხურმით დაეტენა. ერთად-

ერთი სუფთა ცხვირსახოცი ედო და მგონი ისიც ამძიმებდა. შვილშვილების ატაცება, გული ჩაკვრა და „პპროშტნა“ (როგორც თვითონ იცოდა თქმა) ის ღირსებას და „განათლებას“ არ შეშვენოდა, როგორც მისი მძახლები და მეზობლის გაუნათლებელი დედაკაცები იქცეოდნენ. არც ის იწნეებოდა მიზანშეწონილი, როგორც სხვა ბებიებისათვის, მისთვისაც ბებია დაგვეძახა. არადა, ფრანგების და ინგლისელების ქვეყნად არსებობის თაობაზე წარმოდგენა არ ჰქონდა, მაგრამ იცოდა რუსული „ბაბუშკა“ და უცაბედად რომ ბებია წამოგვცდენოდა, მაშინვე სიამაყით გაგვისწორებდა ბაბუშკა დამიძახეო. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, „გიმნაზიის თავზე“ გაზრდილ ბებიას „ბაბუშკა“ ერქვა, მაგრამ წერა-კითხვის არცოდნა გვაეჭვებდა. გვაეჭვებდა, რაკი მამიდაჩემს გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული და მასწავლებელი იყო, ესე იგი, წერა-კითხვა იცოდა. დედუკი ბებიაზე ბევრად უფროს მამულ ბებიას სკოლა ბავშვობაში თვალით არ ჰქონდა ნანახი და ანბანს ის გვასწავლიდა, „გიმნაზიის თავზე“ გაზრდილმა „ბაბუშკამ“ კი სულ არ იცოდა. როცა გაგბედეთ და ვკითხეთ, ძალიან განაწყენდა, მაგრამ თურმე ჩვენზე, შვილშვილებზე კი არა, ძმებზე. თურმე, როცა ბაბუშკა გიმნაზიაში სწავლობდა, რაღა თქმა უნდა, უწარჩინებულესად, თან ბაბუშკა ულამაზესიც ყოფილა (დარწმუნებული ვარ, მართლა ლამაზი იქნებოდა, რაკი მოხუციც მშვენიერი იყო) ძმებს ერთხელ სიიდუმლო სერობა მოეწყოთ: ეს ჩვენი მზეთუნახავი დაია რომ ყოველდღე გიმნაზიაში დადის, არავინ მოგვტაცოს, ან შეურაცხყოფა რომ მიაყენონ, რას ვაპირებთო? ბებიას ძმები სოფლის ტეტიები კი არ იყვნენ, რომ ქალის სწავლა შეუძლებლად მიეჩნიათ, მაგრამ მათი დაია ისეთი მშვენიერი რომ იყო, ის იწვევდა მათ შიშს და შეშფოთებას. ნამდვილად დაგვლუპავს და თავს მოგვჭრისო!.. უთქვამს რომელიღაც ძმას. ამის ყურისმომკვრელ ბაბუშკას ქვა აუგდია და თავი შეუშვერია. ვის აკადრეთ თქვენ, მე თავს მოგჭრით და შეგარცხვენ!.. მაშინვე მივარდნია წიგნებიან ჩანთას, დაუდვია ჯირკზე, აუღია შეშის საპობი დიდი ნაჯახი და დაუჭრიხავს. სულ დაუნაფოტებია ჩანთაც, წიგნებიც, რვეულებიც, კალამიც, კალმისტარიც და მგონი სამელნეც. ეს კიდეც რაა, ზოგი წიგნს და რვეულს დახვეს და სწავლას მიატოვებს, მაგრამ რაც იცოდა, ის ქე ახსოვს. ბაბუშკამ არა, რაკი შეურაცხყვეს და მის პატიოსნებას სწავლის გამო, თუნდაც ღვიძლმა ძმებმა, ეჭვის თვალით შეხედეს, ანბანიც კი ტვინიდან ამოიფერთხა და სამუდამოდ დაივიწყა. წიგნიც დასანახავად სძულდა და მის ხელში ნახატების დასათვალიერებლადაც არ შეგვინშნავს. არც ზღაპრები და იგავები იცოდა, ანდაზებიც ცოტა. და რაკი შეგონება უყვარდა, უფრო თავისი ცხოვრების მაგალითებზე აპირებდა ჩვენს აღზრდას. თუმცა მორწმუნე იყო და ზოგიერთი მცნება იცოდა და ისე არ დაიძინებდა „მამამ ჩვენო“ არ ეთქვა.

შრომის სიყვარულის თავგამოდებული მჭადაგებელი ვერ იყო, მაგრამ ტყუილს, ფლიდობას და „ფარისევლობას“ სასტიკად გვიკრძალავდა. არც სასმელ-საჭმელს გვაძალებდა. იმდენი უნდა ჭამო, გული დაიყუჩო, ჭამეთ რომ ფაშვი გადმოიბრუნო, ძროხა ხომ არა ხარ, ბევრი რძე მოიწველიო. რამდენად თავს არ გვიყადრებდა (ალბათ როგორც „გიმნაზიის თავზე გაზრდილი“). მის კალთაში არ ვხვარხვალობდით და გულზე ატატებულს არ დაგვთრევდა, იმდენად რიდი გვქონდა და მისი ნათქვამი გვახსოვდა. დანაშაულისთვის გაკიცხვა იცოდა და ღმერთით და ეშმაკით გვაშინებდა. მაგალითად, ღამით ძილის წინ პეროგის ღილი შეიხსენით, თორემ გულზე მაჯლაჯუნა დაგაწვებათო. ფრჩხილებს რომ დაიქნით, უბეში ჩაიყარეთ, თორემ საიქიოს გაძეებინებენო.

რაკი სოფელში ქვა ბევრი იყო, ყო-

ოთია იოსელიანი
ავტობიოგრაფიული ნოველები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ღობეებიც ჰქონდათ. ქვევით ვენახის ჩაყოლებაზე მესერი ჩასდევდა, ჭიშკრის ზვინი კი, სადაც კლდოვანი სჯარბობდა, ეზოს ყორე ერტყა. სახლის წინ, კოინდრის მიღმა, ხეხილიც ყორით აყო გადაღობილი, მაგრამ ეზოს შიგნით ყორე დაბალი და ისე საგულდაგულოდ ნაშენი არ იყო. მასზე გადასვლა, ალბათ, ხუთი-ექვსი წლის ბიჭსაც შეეძლო. აბა რატომ იყო ეს რომ დავაპირე, როცა მაინცდამაინც ისეთი კვიმატი არ ვიყავი შეუძლებელი მომენდომებინა. არადა, ბაბუშკამ საგანგებოდ ამიკრძალა უთუოდ, იმ დიდ ლეღვზე ასვლა არ განმეზრახა. ახლა კი ვერ გეტყვით, რატომ ვაპირებდი ყორეზე გადასვლას. არც ის მახსოვს, საიდან მქონდა ან თუ მქონდა, რატომ მეცვა ფეხზე პოლსაპოშკები. არც ის მგონია, სახლში მე და „ბაბუშკას“ გარდა, ვინმე ყოფილიყო, რაკი ტყუილი, კარგად ვიცი, ბებიას ვუთხარი. დედაჩემთან, ალბათ, ეს არც დამჭირდებოდა, არც მამული ბებიასთან. ფეხსაცმელიც, ალბათ, ბაბუშკამ ჩამაცმევინა, რაკი სოფლის ტეტია ბალღებივით გატიღვული და გაღლეტილი ტანტალი მის შვილიშვილს არ შემეფერებოდა. დედამ უთუოდ თავისსახლს დამტოვა, რომ „ამ ბედით განებივრებულებს“ ერთხანს ჩემთვის მოეკლოთ. ჩემი ძმა უთუოდ წაიყვანა, რაკი იმ დროს იქ არ იყო. ჩემი ბიძაშვილი — გაბართხალებული ბიჭი, ჯერ კიდევ აკვანში იწვა და სად იყო ბიცოლაჩემი ბავშვიანად წასული, ვერ გეტყვით. ბიძაჩემი საბჭოს მდივნად მუშაობდა მგონი მაშინ.

ღილა იყო არც ისე ადრიანი, მაგრამ არც ცვარი და ნამი იყო მთლად შემშრალი. ეს იმიტომ მგონია ასე, რომ ჩემი ქვიდან ფეხის დაცურებას ღამის ნესტმაც შეუწყო ხელი. ბაბუშას ღირსებებს არც ბავშვების მწყემსვა და დევნა შეეფერებოდა, მაგრამ ბედდაჩაგრულ დედაჩემს თავისი დარდიც ჰყოფნიდა, რომ დედამისის ყავარზე გადებული კუდიც ედარდა. ბებია ასეთ დროს ზედმეტ ყურადღებასაც კი იჩენდა, რაკი მას, თუნდაც მისი სუფრიდან წინაალმდეგ, საქმე დაეკისრა, ისევე უმწიკვლოდ და სანიმუშოდ უნდა გაეკეთებინა, როგორიც თვითონ იყო. თვალიდან არ მიშორებდა. არც იმ ხეზე ასვლის ნებას მაძლევდა, რომელიც აკრძალული არ იყო და დაღუპვას არ მიქადდა. სახლის წინ, კოინდარში თამაშის ნება მქონდა, რაკი თვითონ აივანზე იჯდა და რაც ხელისგულივით არ ჩანდა, იმას იქით, ნურას უკაცრავად, არც კი გაგახედდებდა.

ლეღვზე ამბობენ, ცოდვილიანი ხილიაო, მაგრამ ლეღვი, მე ცოდვილს, ახლაც მიყვარს. მაშინ ალბათ სული მიმდიოდა, რაკი თამაშ-თამაშით მაღლა-მაღლა ავიწევ, ზოგჯერ სახლის ქალუქიც ჩამოდგა ჩემსა და ბაბუშკას შორის, მაგრამ იმ მხარეზე იყო სწორედ ეზო ყორით გადატიხრული და მოხუცს გული საგულეს ჰქონდა, ყორეზე გადასვლას ვერ მოვიფიქრებდი ეგონა. დარწმუნებული ვარ, მან უკეთ იცოდა ჩემი ბუნება და ხასიათი, რომ ციხეგალავნების დამრბევი არ ვიყავი. მე კი რა ეშმაკი შემიჯდა, იქნებ ისიც, რომ ყორე ერთ ადგილას გადმონგრეული იყო, ჩადაბლებული და ნანგრევებიც იქვე ეყარა. ალბათ ამანაც შემაგულიანა, ამ ჩამოყრილ ქვებზე შევდგები, იმ ჩადაბლებულზე იოლად გადავძვრებიმეთქი... ასე იყო თუ ისე, ავყევი, მაგრამ ეს ქვები, რაზეც შევდექი, სიმაღლედ არ მეყო. საჭირო იყო მაღლა მოვპოტინებოდი და ფეხსაცმლის ჭვინტი ქვასა და ქვას შორის შემეძვრინა, რომ მაღლა ავწეულიყავ. სწორედ ფეხსაცმელი დამიცდა. ზვინთ კი, რომელ ქვასაც ვიყავი მოჭიდებული, ხელი არ გავუშვი. არ გავუშვი და ვერც დამიკავა და არც თვითონ დაკავდა, უკან წამომყვა. მერე კი ვუშვი ხელი, უკან გადახტომაც მოვინდომე, მაგრამ ცალი ფეხი მაინც ნანგრევებში მომიყვა. ბაბუშკას სმენას ნგრევის და ქვათაცვენის ხმა, რა თქმა უნდა, არ გამოჰპარვია, მაშინვე მომაშურა, მგონი ცოტა მისი ღირსებისა და სიდარბაისლის შეუფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებელი აჩქარებითაც კი. დარწმუნებული ვიყავი რაკი ქვები დამეყარა, ფეხი მეტკინებოდა, მაგრამ ბაბუშკას თუ გადავურჩებოდი, ალარ მეგონა და ავტირდი და ავბღავლდი. ჩამაფრინდა ბაბუშკა, მეც ვიმარჯვე და ფეხი ქვებიდან გამოვგლიჯე. მიყვავებს, მეფერება საწყალი, ჩემს ჭირს მიწაზე არ აგდებს:

— დამღუპე, შვილო?.. მოიტეხე? ილრძვე... დეიშავე... არა, შვილო, არა, ბაბუშკა... არ იტირო, არ იწუხო, ნუ გეშინია, არაფელია, გაგვლის, შენი ჭირემე და შენ შემოგვლე! მე შემეყარა შენი სატკივარი და შენი გასაჭირი...

არადა, საკვირველი! ფეხი არ მტკივა. არ ვიცი, ფეხსაცმელმა დამიფარა თუ ქვები ისე აიხრიგა, არაფერი მაწუხებს. ვუთხრა ბაბუშკას ქვეყანა დავაქციე, ყორე დავანგრიე, გული გაგიხეთქე და ფრჩხილიც არ მტკივა-მეთქი? ვიცნობ ბაბუშკას და ვიცი, რაც მელის. მე რომ თვალებს ვიჭიკჭინი და ვფშლუკუნებ, ბაბუშკა ფიანდაზად მეგება. ვთქვა სიმართლე, არაფერი მაწუხებს-მეთქი და, მე გამიგოს ფეხქვეშ, ეს რავა მინდა.

ჩამსვა იქვე, კოინდარში და მხდის ფეხზე (როგორ არ ეხერხებოდა საცოდავს სხვისი ფეხსაცმლის ყაითნის გამოხსნა) მიყვავებს, მელოლიავება, თავზე მეკლება.

— არაფელია, შვილო... არაფელია, ბაბუშკა... გადავრჩით... დაგვიფარა უფალმა, მოტეხილი არაა... ა, შეხედე, მთელია ყოველი ძვალი, მთელია! შეშინებულია... პეტერე გოუძელი, მაშტეკვე გაგიარს... არიქა, მართლა, მარილიან თბილ წყალში დაგიზელ, ნანდვილად გისაშველებს...

ცოტა რომ გავყუჩდი, მოხუცს ჰგონია, მისი ხათრით ვაჭერ ენას კბილს, მთლად თაფლად დაიღვარა. მერე, ბაბუშკას ხათრით რომ მალე მომერჩინა, მე თვითონ დავიწყე კოჭის დაზელვა. ნელ-ნელა, ენაზე კბილდაჭერილმა მოვხარე, გავმართე, მოვხარე...

— არ იტკინო, შვილო! — არ მანებებს. მე გადავწევ-გადმოვწევ... არ იქნება, კი იქნება... და მართალია, თავიდან კოჭლობით, მაგრამ მაინც ფეხზე გავლილი რომ დამინახა, ხელი ცას მიუწვდა. ერთი საათის მერე ცხენ-ჯოხზე ამხედრებული, ფეხშიშველა, კოინდარში დავჯირითობდი და ჩემი ფასი, ბაბუშკას, დედამიწის ზურგზე არაფერი დაუდიოდა და მგონი პირველად იყო, რომ ლეღვი დაეკრიფა და მისი ქათქათა ხალათის ჯიბეებში ჩაწყობილი მომიტანა.

სიმართლე მეთქვა და, მაშინ გენახათ ჩემი თვალის სეირი. ტუფლია ხელისგულზე მატარა და, რა პატივი მცა, კაცმა არ იცის. სიმართლე მანამდეც და მის მერეც ცხვირიდან ძმრად მდის, მაგრამ რა გინდა, რა, ჭკუა ვერაფრით ვერ ვისწავლე!

დედა

დეიდასთან ვარ სტუმრად. ნადია დეიდაც ჩვენს სოფელში იყო გამოთხოვილი. მუშისტოლა ქალი იყო. უსაშველოდ მშრომელი. მართლაც რომ ცივ ქვაზე აანენა ოჯახი. იგი დამჯდარი არც მინახავს, მაგრამ არც გაჩუმებული. კი არ ჭორიკანობდა, სიმართლეს ამბობდა, პირში მთქმელი იყო და ავს ეძახდნენ. არადა, ავიც იცოდა და კარგიც. არც ხელს და არც ენას არ აჩერებდა. ხელიდანაც და ენიდანაც ცეცხლი ცვიოდა.

ჯიმდაჩემი — ჭიჭიკო ბაკრაძე, ცივ მჭადზე მისაჭმელი კაციაო, რომ ტუკვიან, ის იყო. ყოველად უწყინარი, დაბუნჩულობდა თავისთვის. ცას რომ სეტტი გამოვარდნოდა, არ აჩქარდებოდა, ისიც სულ საქმიანობდა, მაგრამ დეიდაჩემის საქმესთან რა გამოჩნდებოდა. აყრიდა და აყრიდა ცოლი კოხივით ქოქოლას, ერთს არ აიცილებდა. მაგრამ არც შუბლს გაიხეთქავდა.

უთუოდ დიდი კანონზომიერება იყო მათ შეუღლებაში, სხვანაირად ან ოჯახს ვერ შექმნიდნენ, ან დაჭამდნენ ერთმანეთს.

ოგია იოსელიანი
ავტობიოგრაფიული ნოველები

ხარით და ურმით ჩვენც გვეხმარებოდა, შეშას თუ მოვჭრიდით, ვინ იყო მომტანი — ჭიჭიკო, დასახნავი იყო და ჭიჭიკო, დამთესი — ჭიჭიკო. სხვა მხრივ, არ ეცალა, ცალკე კოლექტივი არ აყენებდა, ცალკე დეიდაჩემი უნთებდა ცეცხლს.

ოთხი შვილი ჰყავდათ, უფროსი ვაჟიშვილი, — ტვინის ანთებით გადამწყარი. ორმოცდაბუთი წელიწადი ხელით აკმევდა დეიდაჩემი და ოკეერავდა, მგონი კვირაში ერთ გრძელ, გამძლე, მაგარი ქსოვილის თალხ კაბას (შარვალს ვერ გუობდა) და თუ სადმე თავს უჩენდა, შემოხეცდა, სხვა მხრივ უწყინარი იყო, სოფლის კვიმატ ბავშვებს თავში რომ ერტყმიათ, არაფერს დაუშავებდა. არც ეზოში ჩერდებოდა, დადიოდა სოფლის მინდვრებში და ორღობეებში და ამოდენა კაცი, ხელით ჭმევასა, დაბანა-დავარცხნისა და ჩაცმა-დახურვის გარდა, ქუჩა-ქუჩა საძებნი და ყოველ წუთს საპატრონო იყო.

მაშინ არც პენსიაა აძლევდა ვინმე მათ ოჯახს და არც დახმარებას, ყოველ წელიწადს რომ ტყუპი ბავშვი გაეჩინა დეიდაჩემს და გაეზარდა, ასეთი ავადმყოფის მოვლას სჯობდა. ყველი და მჭადი რომ ხელში მიგეცა, ჯერ ყველს შეჭამდა და მჭადს ან ხმელი დააყოლებდა, ან გადაავდებდა. საავადმყოფოში ვერ წაიყვანა, შიმშილით მომიკლავენ, იქ ხელით ვინ აჭმევსო. კიდევ სამი შვილი, ომი, ათასი გაჭირვება და დავიდარაბა. უღელი ხარი, თხა და ღორი, ქათამი და ინდაური, ძროხა ხომ ერთის მეტი სასტიკად იკრძალებოდა, დეიდა რაღაცას ახერხებდა, მალავდა თუ აზიარებდა, ვიღაცას აწერდა. ან იტყოდა, ნამატია, ავადმყოფის პატრონმა, გასაყიდად ვერ მოვიცალე და ისე დახბოიანდა, არც გამიგიაო. ბოლოს და ბოლოს იფრენდა ჭიშკართან აყუდებულ ფინანგენტს ან საბჭოს აღმასრულებელს და ასე ჩხუბით და აყალ-მაყალით, ტანჯვით და წამებით, ორი კი არა, ზოგჯერ სამი სულიც ჰყავდა.

სოფლის განაკიდეში ცხოვრობდნენ, ითერმაწო ნიადაგიანი იყო მათი ეზო. მოუსავლიანი, მწირი, განაკვლია, ხვნა პირადი, ხვნა მეორადი, სამი თოხი, არხი და კვალი...

ერთ მხარეზე ესაზღვრებოდათ მეზობელი და ეზოს წინ ორღობე. ორ მხარეზე ხან საზღვარს მიაწევინებდა დეიდაჩემი ქმარს, ხან ეზოს ბოლოში ტყეს მოჭრიდნენ, ნაკადში ერთ მწკრივ აკაციას ამოაძირკვევინებდა და ნახევარ კვალს ჩამოიმატებდა, სანამ საკარმიდამოს აუზომავდნენ, ორ გოდორ სიმინდს მეტს მოიწევდა. იქნება შრომადღეზეც რგებოდათ რაღაცა, ქმარი ხომ ხარურმით კოლექტივის საქმეზე იყო გადამდგარი, დეიდაჩემს ჩაის საკრეფად და ფერმის ძროხების საწყვლად არ ჰქონდა საქმე, მაგრამ აბრეშუმს იწევდა ბლომად და შრომადღეებს ურიცხავდნენ.

ასე, რომ ქვეყანა რომ დაქცეულიყო, იმდენს იზამდა, იმდენს იდავიდარაბებდა, შარშანდელს, ეპალად გამოსულს, გვიან შემოდგომამდე ინარჯებდა, ახალს წინ წასწევდა და სარჩო სიმინდს არ გამოილევდა. წამოზრდილ მოზვერს გაყიდდა (სახარედ არ დაუყენებდნენ, თორემ რას გაყიდდა!), თუ ორი ჰყავდა, უშობელსაც, ან თითო ხბოიან ძროხას და საფურედ უშობელს დაიტოვებდა. ქათამს, კვერცხს, ყველს, ღორს, გოჭს, თხას, თიკანს და ფუღზე რომ გაგჭირვებოდა და მიდგომოდი, ბილბილს კი მოაყრიდა, მაგრამ მადლს იზამდა — გასესხებდა, ხელს გაგიმართავდა, გაგიწყობდა.

თქმაც იცოდა, მაგრამ სათქმელიც ჰქონდა. მეზობლებიც შეფუცხუნებული ჰყავდა და მტერ-მოყვარეც.

უსაქმური და უნიათო დედაკაცების წელკავი იყო. არც დედაჩემს აკლებდა ხელს, საწყალი თავის ქვრივ-ოხრობას რომ შესტიროდა ქვეყანას.

— ჩაყევი, ჩაყევი ბარემ, იმ შავდღიანს მიწაში და, ის იქნება, რავა თლათ დაგლახაკდი, შე უბედურო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, რა მინდა მიწის ზევით რომ ვარ.

— არ გინდა, მარა, რო ხარ!..

— ვარ?.. ყოფნა ქვია ჩემ ყოფნას?

— შენს ყოფნას, მართლა არ ჰქვია. დაგიკრეფია გულზე ხელები და შეღიავი ქვეყანას.

— არ მაქვს საქმე სატირლად?

— რომ გაქვს... მე მაქვს სალხინოდ მოწყობილი? — ბუხართან მიმჯდარ, ცეცხლით წვივებაფფუთქულ, კაბიან ბიჭს მიაშვერდა ხელებს, ცხელ კეცზე დასაკრავად მუჭადის ცომი რომ ეპირა, უტკაცუნებდა და აბრტყელებდა — ამას რომელი მკვდარი არ ჯობია, მარა დავჯდე და ამ ცომის მაგიერ თავში ვირტყა ხელი?

— საცომე თუ ვიშოვნე...

— რაფერ იშოვნი, თუ ხელი არ გაანძრიე?

— მე ვიტირო თუ ვხნა, ვთესო და ვთოხნო?

— დეიკავე თოხი, იტირე და ურტყი, სად წავა ის თოხი, მიწას არ აციღდება. დახვნით, ადრე იქნება თუ გვიან, რავარცხა იქნება, დაგიხნავთ.

— თოხი დევიკავო ახლა მე ხელში? თოხიზა და ბარიზა ვვარგვარ მე?

— მე გაგაფუტეთ თქვენ! იქაც, ჩემს თავისახლს, ვერიჩქე რომ გათხოვდა (უფროსი და იყო ვერა) მე ვიყავი მთელი ოჯახი, შენ და დედაჩემი...

— შენ დამღუპე, დედაჩემმა, ობლობამ თუ სიქვრივემ, ასე კია და...

— არაა ასე!.. ასე რომაა, რას ფიქრობ?.. მაგერ, მაგ შავ-ყვითელე რო ჩაგფრენია კაბის კალთაში (ჩემკენ იშვერს დეიდა ახლა ცხელ საკეცს, კეცზე კეცი რომ გადაადგა), მაგაზე არ ფიქრობ? და მეორე რომ სახლში შენს დედამთილს უბღავა კალთაში...

— რომ ვფიქრობ, — დედას ცრემლები აღრჩობს. — აბა, რაა, რომ მკლავს და მსპობს.

— მერე?! — დეიდას ცრემლები აანჩხლებს — მერე უნდა დამუნდილდე? მაგია ფიქრი, გულს ხელი დაიკრიფო და ითავცემო?

— აბა, სასაცილოდ მაქვს საქმე?

— იცინე და ილლიცინე-მეთქი, მეგონა გითხარი? რავა თლათ წახდა და მეეღო ბოლო, რავა წახდა და დამუნდილდა!

ზამთარია. გარეთ შიშხათი წვიმაა. რომ თოვდეს, რა გიჭირს. ლუსკუმ ღამესაც გაანათებდა და გზაც წყალ-ტალახად არ გასკდებოდა.

რაც ჩაის პლანტაციებმა ტყე მოსჭო, შეშაც ჭირდა, მაგრამ ხარ-ურმის ჰატრონი, მუყაითი გლეხი, მაინც რაღაცას, წლიდან წლამდე, ფიჩხს თუ ჯირკს, წაქცეულს და დამპალს, ტყეში თუ მდინარის პირას, ჩაის საკარში ნამალავად თუ ნაცხადურად, საბუხრე შეშას არ გამოილევს. ჭიჭიკმაც კარგი ცეცხლი იცოდა, პირდაპირ ძველ-რბილში გაგიჯდებოდა სითბო, იქაური ბუხარი ზურგშიც კი მათბობდა და პირდაპირ წელისწყვეტა იყო აქედან გარეთ ფეხის გამოდგმა. მე შენ გეტყვი, მაღალყელიანი რეზინის ჩექმების ქვეყნად არსებობის თაობაზე ვიცოდით რამე, ტყავისაზე რომ არაფერი ვთქვათ, დიდი წინდახედულება გმართებდა, რომ ეზოშივე არ გადაევლო წუმპეს ფეხსაცმელზე. გზაზე ხომ მუხლამდე წახვიდოდით და წახვიდოდით. ბაწრით უნდა ამოგეკაო, რომ ორივე არ გაგძრობოდა და ხელებიც იდაყვამდე არ ამოგელაფა.

ჩვენთან უდავოდ საოცრად წეპიე და მთელ ქვეყანაზე ღრმა ტალახი იცოდა და სახელადაც უბრალოდ ლაფს კი არა, ლესტეკს ეძახდნენ.

და რაც მე გაჩენის დღიდან ის ლაფი და ლესტეკი მილესავს, მიზელია, მიხნავს, მიბარავს, და მითოხნია (ბარს და თოხს ხომ ვერ მოაკილებდი). გახმებოდა და, ბელტებად დაცვივოდა, ერთხელ რომ თოხს პირით დაჰკრავდი, სამჯერ კოლობიებზე ყუა უნდა ჩაგეჩაჩქნებინა, რომ ამდენ გოროზში ამომძვრალ თითო სიმინდს მზე დაეწახა და ფესვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაეედგა და მაინც ასე რა ჯანდაბამ შემაყვარა, ახლაც ვერაფერი გამიგია.

დეიდამ გარეცხილი სუფთა ტაბლა ჩამოდგა, ღადარში შედგმულ ერთმანეთზე აწყაპულ შვიდ კეცს ატრიალებს, ჭადს ცეცხლზე მიფიცხებული გვერდი არ დაეწვას. ხალმიდან ყველს იღებს, წყალს ავლებს. ჯამით თეთრი-მამაკალივე მოჩიჩქვილი ლობიო ჩამოდგა. ხანჯლისტოლა ფურცლებიან პრასას სუფრაზე მუჭა-მუჭა ჰყრის და მწვანე არშიიან თეფშებს დგამს, მე და დედაჩემისთვის ერთს, თავისთვის და ავადმყოფი შვილისთვის მეორეს, ეოგოეებისთვისაც ერთს, მეორე ბიჭი აკვანშია, ქმარს ცალკე უდგამს, მაგრამ აწუყვლის:

— არ შემოგიყვანა ჩემმა გამჩენმა სახლში ცოცხალი!

ჯიმადას შეშა მოაქვს, თუ კოკით წყალი, ხარებს და საქონელს ჩალას უყრის, თუ სათხებოს ჩელტის კარს უგდავს... ნელ-ნელა, აუჩქარებლად ირჯება და ესაა, რომ დეიდაჩემს რევს და ცეცხლს უკიდებს.

— ჭამის საღირალს არ აკეთებს არაფერს, — დედაჩემს კი არ შესჩივის, უხსნის, უტენის თავში, რომ ასეთი ქმარის ყოლა, ყოლა არაა.

— ჩუ, ჭიჭიკოა მისი ოჯახის კი არა, ჩვენი მომხედავიც...

— ჩემთი, ჩემთთაა, თვარა სანეხველაზე ამოხდებოდა სული.

ბუხრის საკვამურში, მთლად ნამუსზე ხელაღებული ქვენა ქარი ვარდება, კვამლს აბრუნებს, ცხვირ-პირში მტენის და ცხელი მჭადის და ყველის ლუკმას პირიდან მაგდებინებს, ხველებისას სასულეში ფინჩხაც გადამცდა და ვიხრჩვები. წყალს მასმევს დედაჩემი და მასულიერებს.

მივჩერებივარ ჯიმადაჩემს, ორად გაპობილ ცერზე და მზარავს იმის გაფიქრება, რომ ასე მოღუღუნე, მოსალბუნე ბუხრიდან, დეიდაშვილებიდან, ცხელი ვახშმიდან და მოხურულიდან უნდა გავუდგეთ გზას და გადავიშვათ თავი ლესტეკში, როცა ჩვენს სახლამდე რიდის მივაღწევთ, ვინ იცის, როცა ქარის ყოველ შემობერვაზე შავი ძაღლი, ეკალ-ეკალთან რომ წევს ამოღრუნტული სოხანეზე, წკავწკავებს და ისევ ფხოჭნის მიწას, რომ ღრმად ჩაწვეს და შიშხათისაგან თავი დაიფაროს.

ახლა ოთახში, დეიდას სქელ ქვეშაგებში ჩაწოლაზე ოცნებას როგორ გავბედავ, აქვე რომ დამტოვებდნენ, ამ ჯორკოზე, ცეცხლი რომ ჩაქრება, დილამდე მაინც გავძლებ, ბუხარში შევძვრები, აგურების სითბო მეყოფა, მაგრამ, საუბედუროდ, უნდა წავიდეთ. მაშინ ყურაღღებას არ ვაქცევდი, ან არ მესმოდა, რატომ არ შეეძლო დედას დარჩენა და რატომ უნდა გადავცვენიყავით ამ წარღვნაში. ვიცოდი მხოლოდ, რა მელოდა და საფიქრელად და სატანჯველად ესეც მყოფნიდა.

რა ჩადგება ახლა მუნლამდე და იდაყვებამდე ლაგაზ ტლაპოში. და სახლამდე, თუ სული მივიტანეთ, ბებია დაწოლილი იქნება (სადაა შუაღამემდე საწყავი შეშა), აღარც ცეცხლი და ასე გაზუზულ-დაზუნზღულს, გაციებულს და გალეგვეზულს აღარაფერი მიშველის.

დავადექით გზას. აქვე, ამ თბილ ბუხართან რომ მიწა გასკდეს და ჩამიტანოს, როგორ არ მირჩევნია, ორღობაში წყალსა და ლაფში, ქარსა და წვიმაში გახეთქილ მიწას.

ქარის მოღებისთანავე შემორგო ძაღლმა ცხვირი და ცოცხალი თავით არ აპირებს გაბრუნებას, თუმცა იმას რა უშავს, აივანი საქმეზოდ ამოშენებულია და გადახურული.

ამ თბილი სახლიდან გამოსვლისთანავე აივნის ლაფარაშივე გადამიარა ფეხსაცმელზე წყალმა და შემომკრა სახეში ქარმა წვიმის შოლტები. შემაძაგა და დამმორკლა მთელ ტანზე, თმა ყალყზე დამიდგა. სიცივესაც ვუძლებ, სიცხეს ხომ ვვეყანა რომ იწვებოდეს, არც ვგრძნობ, მაგრამ სითბოდან სიცივეში და სიცივიდან სიცხეში შესვლას, ამ უცაბედ სხვაობას, მას აქეთია, ვერ ვიტან...

...და თქვენ წარმოიდგინეთ, დამავლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედამ ხელი და ზურგზე შემისვა — მოგიკოცრა.

არ ვიცი, ამას რატომ არ ველოდი, მაგრამ არაფრით არ ველოდი. ვერ გეტყვით, სხვა დროს არ მანებივრებდა თუ, ისედაც სვეგამწარებულს, ხუთიოდე წლის ბავშვს ფეხით რომ ევლო, ამის დარდი აღარ ჰქონდა.

მომიგდო ზურგზე, ჩემი ფეხები იღლიებზე — ხელები ყელზე მოვხვევე, თავი ქარს ბის კისერთან მოვაფარე. სახის ცალ მხარეს დედაჩემის ერთი ნაწნავი მიდევს, მეორე მხარეს — მეორე. დედას შავი, სქელი შოლიო თმა ჰქონდა, ორ, მკლავის „სისხო ნაწნავად დაწნული. რას დამაკლებს ამ ქარი, ან წვიმა, ან ყინვა. სახლამდე კი არა, ასე, ამნაირად, ქვეყნის დასასრულამდე ვივლი. წყალ-ტალახს იმდენზე ვარ აშორებული, ახლა ცასთან უფრო ახლოს ვარ, ვინემ მიწასთან და სქელი ღრუბლები რომ ხელს არ მიშლიდნენ, ვარსკვლავებს მარწყვივით დავკრეფდი.

მიდის დედა, მაგრამ მე ახლა აღარ ვიცი, საით მიდის, ან როგორ უჭირს, თუ ულხინს. მე აგერ, დედაჩემის ზურგზე, ორ დიდ ნაწნავს შუა, საყელოში ცხვირჩარგული და კისრის ღინღლში შუბლშეფარებული, ჩემი სამყარო მაქვს, საამო, მთორობელა, დამბანგავი, დედის სითბოთი და თმის სურნელით, მილიარდ ქალის სურნელში გაურეველი და ხელშესახებად გამორჩეული, როგორც დღე და ღამე. და მაქვს, ჩემი, უაღრესად ბედნიერი, დედის ზურგისტოლა ქვეყანა, მთელი პლანეტა რომ ვერ გადაწონის.

მართალია, ჩვენი ცხოვრება ისე არ აეწყო, დედაჩემს ზურგით და ხელით ვეტარებინე. თვითონ მუხლამდე წყალ-ტალახში ჩამდგარი, ვლესავდი ლაფსა და ლესტეკს, მაგრამ იმ ერთი ღამის მისი უნაზესი სითბო, თავგანწირვა და ერთგულება არ ქმარა, რომ დედა ვიცოდე და დედა ჩემთვისაც ისეთივე უზენაესი მოვლენა იყოს, როგორც ეს ყაკაბრიობას გაჩენის დღიდან დღემდე ესმის და სანამ ქვეყნად ადამიანი იარსებებს, ამ ცნებით იარსებებს?

ვატარებელი და შავი მდინარე

პირველად ვზიავარ მატარებელში და, ბებიასთან ერთად, მივემგზავრები შორს, შოორს, შორაპანში.

ეს მატარებელი პირდაპირ საოცრებაა. ერთმანეთზე გადაბმული სახლები უზარელ, უცხენოდ და უყველაფროდ მიჰქრიან. ბებიამაც კი არ იცის, ეს როგორ ხდება. მიჰყავს ორთქლმავალს, მაგრამ ორთქლმავალი რას მიჰყავს? მართლაა, ქოთნიდან, ქვაბიდან და თუნგიდან რომ ორთქლი ამოდის, ის ხომ არ წაიყვანს ჩვენს სასიმინდეს, სამზადს და ოდას, თუნდაც ისინი რკინის ბორბლებზე შეასკუპო და ერთმანეთს ჯაჭვებით გადააბა? მერე ხომაა კიდევ, გრიგოლ ბაბუას სასიმინდე და ოდა და კიდევ სამსონ ბაბუას სასიმინდე, სამზადი და ოდა...

გინდ დაიჯერე, გინდ არა, ეს ჩემი მატარებელი კი მიდის და სხვა მგზავრებთან ერთად მივყავარო ჩვენ — მე, ქრისტინა ბებია და ნაცარა ვარია.

ნაცარას ვარიობაც არ ეთქმის, მოჩოთია — დასაკლავად გაუმეტებელი. ძღვნად მიჰყავს ბებიას სიძე-ქალიშვილთან, შვილიშვილთან და მზახალთან. უთუოდ შესალევი დედალი არ გვყავდა, იმწლევანდელ წიწილებში კი უკეთესი, ნაცარა შეირჩა.

მიჰქრის მატარებელი და ეს ჩვენი მდინარე, რაც თავი ახსოვს, რომ ქვევით მიედინებოდა, ახლა აღმა გარბის თავისი ტირიფებით, საცალფეხო ძელის ხიდით, ნაწოსქვილარით, ბოგირით, ქალების ტანსაბანით, ჭერეხით და მისდევს სიმინდის მწვანე, ღაღანა ყანები: ნაფიცხოურის, ლაშისპირების, კეციანების... ყანის თავებში თითო-ოროლა სარდილობელი ხეები: მუხა, კოპიტი, თელა და ძელქვა. ყანის მიღმა ჩვენი მინდორიც ჩანს — ბეკნარა. სულ იმის ში-

ოტია იოსელიანი
ავტობიოგრაფიული ნოველები

ში მაქვს, ისიც არ გაიქცეს და, რომ დავბრუნდები, ვაითუ, ალარ დამხედეს!

მადლობა ღმერთს! — არ გარბის, ოდნავ, ძლივს შესამჩნევად იცვლის გვერდს. არ დავეძებ, ოღონდა არ გადაიკარგოს. სძებნარი არ გამიხდეს და, ცოტა თუ შეტრიალდება, ჯანდაბას. წერტილებად ჩანს მინდორზე პირუტყვი. მწყემს გოგო-ბიბეებს ვერც ვამჩნევ. სამაგიეროდ ჭყუტა მსხალს და მიტოვებულ საززურეს ვხედავ. დარწმუნებული ვარ, მე ახლაც იქა ვარ, იქიდან ვუცქერი შავ ორთქლმავალს და მწვანე ვაგონებს, მაგრამ აქ, ფანჯარაზე ცხვირმიჭყლეტილ საკუთარ თავს მინდვრიდან ვერ ვარჩევ. გული მწყდება — რა იქნებოდა, ერთმანეთი დაგვენახა?

ორთქლმავალი კიევის და ბოგირის მიღმა ორად გაჩეხილ გორის შუა შერბის, თვლების დაგადუგი და ჭრიალი ძლიერდება და მეშინია, ამ მოსახვევში ლინდაგიდან არ გადახტეს, მასზე მაღალი მთის ციცაბო ფერდობი არ გაანგრიოს და ჩაის პლანტაციებში არ გაიჯრას.

გადავრჩით. ჩვენ რა გადავრჩით, თვითონ გადარჩა, თორემ მგზავრებს ასეთ მაგარ კედლებში თუ რამე დაგვიშავდება, რავა მგონია...

ავუხვიეთ მაღლაკისკენ (მაღლაკში ბებიას და — ბაციე ცხოვრობს), გადავარეთ ოღოს ხიდზე (ოღო ღელეა) და მივეშურებით შორს. ჯერ ახალი ქუთაისია, მერე რიონის სადგური, აჯამეთის ტყეები, სვირი, ზესტაფონი და შორაპანი. იმის იქით თუ რაიმეა, არ ვიცი. ან კი რაღა უნდა იყოს, მთელი ქვეყანაა, მაგრამ სადღაც, ყურმოკრული მაქვს, რომ არის თბილისი... თუ მაინცდამაინც, შორაპანს იქით იქნება თბილისი და მორჩა.

ეუ, რამოდენა ყოფილა დედამიწა!

ოცდაერთ-ოცდაერთ კვერცხზე ორი კრუხი ვგიჯდა და ამდენი თეთრი კვერცხიდან ერთადერთი ნაცარა წიწილა გამოერია. ამის გამო იგი ქვეყნად მოვლენისთანავე გამორჩეული გვყავდა. ბებია ერთდროულად ორ კრუხს დასვამდა და მერე წიწილებს ერთ დედას მიამგუნებედა, მეორეს ცივ მიწაზე ფანერის ქვეშ დაამწყვდევდა, რომ გამოეკრუხებინა, მოვსებულიყო, კვერცხის დება დაეწყო და არ მოეცდინა.

როცა წიწილები მივაერთეთ, ნაცარა დედინაცვალმა მაშინვე აითვალწუნა, რაკი თავის ნაჩეკში ამ ფერისა არ ერია, თუ მას არ ჰგავდა. სხვებს ზედ ეფოფრებოდა, ამ საწყალს კი თავში ნისკარტი ჩასცხო. ავყვირდით მე და ჩემი ძმა და ბებიასთან გავიქეცით, მაგრამ სანამ ბებია შავი ძროხის წველას მორჩებოდა და კრუხს ჭკუას ასწავლიდა, ნაცარა სისხლგადენილი და გაბუტრბუსალებული დაგვიხვდა. ოთხი ფეხი რომ ჰქონოდა, კიდევ ჰოდა, ორ ფეხზე დგომა უჭირდა, ცალ გვერდზე იქცეოდა და ფეხებს აფხარკალებდა. ავტირდით, ავყივლდით, ვეცით და წამოვაყენეთ, მაგრამ გაიკლის ორ-სამ ნაბიჯს, ცალ მხარეზე თავგადაგდებული, და წაიქცევა. აქეთ კრუხი ქოთქოთებს და გვაწყდება. თვითონ არ ინდობს და ჩვენც არ გვანებებს.

ბებიამ რძე გაწურა, ჩაკვეთა, ხელზე წყალი გადაივლო, შეიმშრალა და მუჭა ღომის მარცვალი გამოიტანა, მოაბნია და გაფოფრილ კრუხს სწვდა, კუდზე ბუნდება ამოაცალა და ნისკარტში — ცხვირის ნესტოებში გაუყარა. გაუმჭვირვალე სათვალესავით თვალებზე ბუნდლაფფარებული კრუხი დაბარბაცდა, გზა ვერ გაიგნო, დაბორიალდა და აღშფოთებული აკრიახდა. ნაცარასათვის ბებიამ საცერი მოგვატანინა, სადაც ეგდო გაბრუებული, იქვე გადაამხო და კარგა ხნის მერე, როგორც იქნა, მოსულიერდა. მას მერე სწორად გავლა უჭირდა და საკენკსაც ნისკარტს აკილებდა. მე და ჩემი ძმა ხშირად ხელით ვაჭმევდით. მუჭაში მოქცეულ ღერღილს, ან ღომის ღომს. ერთბაშად ბევრს იღებდა და ჩიჩახვი რომ მტრედის კვერცხის ტოლა ვაუხდებოდა, ნაამები აჭუჭუნდებოდა. წყლიან ქვიფიასთან რომ დავსვამდით

ოტია იოსელიანი
ავტობიოგრაფიული ნოველები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წყურვილს იკლავდა, გვეგონა, მადლობას ღმერთს კი არა, ჩვენ გვიხდიდა.

მატარებელი გაჩერდა.

თქვენ წარმოიდგინეთ, ქვეყნად მარტო ერთი სახლიო და საბარგო მატარებელი არ ყოფილა! სადგურიც დიდი იყო და სადგურს იქით, ერთმანეთზე მიდგმული, ორ-სამ სართულიანი სახლები (სოფელთან შედარებით ერთმანეთზე მიდგმული ჩანდა).

მგზავრები, ზოგი ჩავიდა (ეტყობა ყველა შორაპანში არ მოდიოდა), და ახლები ამოვიდნენ. დარეკეს ზარი, იკივლა ჩვენმა ორთქლმავალმა, რომ შეისვენა, ალბათ ამოდენა, ერთმანეთზე გადაბმული სახლების უზაროდ და უცხენოდ ისევ გაგორება გაუჭირდა, მაგრამ ნელ-ნელა მაინც დაიძრა და წავიდა და წავიდა...

შენს მომგონს ვენაცვალე, ჩემო მატარებელო, შენს მერე აღარც ტრაქტორი და მანქანა გამკვირვებია, არც თვითმფრინავი და რაკეტა, შენ იყავი ჩემი პირველი საოცრება, მოგზაურობა, გულისტკივილი და რჩენა.

ნაცარა რომ წამოიჩიტა და ერთხანს სხვებივით გატიღვული დადიოდა, კრუხი აღარ ერჩოდა, მაგრამ სოხანეზე გაფანტული ღერღილის ან სიმინდის მარცვლის ძებნას და კენკვას, მაინც ხელისგულზე დასმა ერჩია. არც ჩვენ ვამაღლიდით, მით უმეტეს, რომ მალე ისევ მშვენიერი ნაცრისფერი ბუმბულით შეიმოსა და ბოლო და ფრთები ელვარე ბუნდოით დაუგრძელდა. მზის შუქზე ფამით ანანგისფერი მეწამული ათინათი გადაუვლიდა, სხვებისაგან გამორჩეული და მისეული.

ჩემი მატარებელი იმოდენა, ვეება ბალიასავით, ხიდში შევარდა. ქვევით იმოდენა მდინარე მიგრიალებდა, შიშით კინაღამ გული გამისკდა, ან წყალს არ წავეღეთ, ან „ბალიის“ გისოსებს არ შეეხეთქოდით.

ისევ სადგური, ისევ მატარებლები!

რა ამბავია ეს!

ნაცარა კარგმა პატივმა და მშვენიერებამ დააყენა ამ შორეულ და ერთობ ხიფათით აღსავსე გზაზე. თურმე, ეს მატარებელში ასეთ უწყინარ არსებას, როგორც წიწილია, მგზავრობა ეკრძალება და საკმარისია რევიზორებმა შენიშნონ, წართმევით ხომ წაგვართმევენ, დაგვჯარიმებენ კიდეც.

ბედი როდის მანებივრებდა, რომ მაშინ გავეხარებინე. ყველაფერი ჩამამწარა რევიზორების გამოჩენის მოლოდინმა და რამდენჯერ ვაგონის კარი გაიღებოდა — დავიზაფრებოდი (კიდევ კარგი, რომ ბებიამ ეს თავიდან არ მითხრა), ცალი თვალი რომ კარზე მეჭირა, მეორეთი ლურჯი ნარმის აბგას მივჩერებოდი, ნაცარა ზოგჯერ რომ გაფხარკალდებოდა და აპუჭუნდებოდა. რა კარგი იქნებოდა ეს მატარებლები, სადგურები, ხიდები და უკან გაქცეული მთელი ქვეყანა, რომ ღმერთს ეს რევიზორები და რკინიგზელები არ გაეჩინა!

როგორ გადავრჩით, ვერ გეტყვით. მე, ისევდაც შავ-ყვითელას და მალარიანს, ალბათ, მკვდრის ფერი მედო, რაკი ბებიამ, რევიზორები რომ გიიგეთ. კალთაში ჩამისვა და შუბლი გამისინჯა, გამაცივა ეგონა.

როგორც იქნა, ჩავაღწიეთ შორაპანში. ზუსტად აღარ მახსოვს, დაგვხვდა ვინმე, თუ ბებია პირველად არ იყო და გზა ლიანდაგებში, სადგურში და უცხო ქუჩაშიც კარგად იცოდა. რაკი ნაცარა გადარჩა, არ წაგვართვეს და არ დაგვაჯარიმეს (არ ვიცი, რატომ ვუკავშირებდი დაჯარიმებას დასჯას), სხვას დიდად არ დაგიდევდით.

მამიდას ქმარი — ჯიმადა, რკინიგზის სახანძრო რაზმის უფროსი იყო, თუ რაღაც ამგვარი. და ბინაც რკინიგზის საერთო საცხოვრებლის სახლში ედოთ. არ ვიცი ორი, თუ სამი ოთახი ეჭირათ. ერთადერთი შვილი ჰყავდათ, ჩემზე წლინახევრით უმცროსი (ეს ბავშვობაში ბევრს ნიშნავს) ბიჭი ისე განებივრებული იყო, სახლისთვის ცეცხლი რომ წაეკიდებინა, ნავთს დაუსხამდნენ. მე კი,

ცივი მუცი რომ მომენდომებინა, ბებია თუ მიმიხვდებოდა, თორემ ვერც მას გავუმხელდი. ამას გარდა, რაც მე მოცებდა, — მამიდაშვილს ფეხებზეც არ ეკიდა. რკინიგზის ლინდაგებისპირა სახლში დაიბადა და იზრდებოდა. ორთქლმავლის წვიელ-კივილი, ვაგონების ჯახაჯუხი, დანდგარი, საყვირი და სასტვენი დედის ნანასავით ესმოდა. არც შავი მდინარე — ყვირილა უკვირდა, არადა, ზამთარ-ზაფხულ, ავდარსა და დარში სულ ლაინივით შავი მდინარე სად გაგონილა!

მამიდაჩემს და მის დედამთილს — ანეტას, ჩემმა დანახვამ მამაჩემი გაახსენათ და შავი ცრემლით ატირდნენ (მაშინ მამა, ალბათ, ხუთი წლის გარდაცვლილი იყო და ხუთი კი არა, აგერ ორმოცდაათი გავიდა და ჩემიანებს იგი ახლაც არ დავიწყებიათ და უცრემლოდ ახლაც ვერ იხსენებენ), ჩემთვის და ნაცარა წიწილისათვის აღარავის ეცალა და აბგიდან ამოვიყვანე, ფეზზე ჭიანი ფრთხილად შევხსენი, ალბათ ისედაც გაუჭირდა და კიდევ არაფერი ვიგნოგმეთქი და აგურის ღუმელის გვერდით, გაზეთზე დავსვი. თან წამოღებული სიმინდის კვიეი ტარო წავფშვენი და ხელისგულზე ვაჭამე. ლამბაქით წყალი დავუდგი, დალია — მადლობაც გადამიხადა და თავისთვის დაყუჩდა.

ნაშუადღევს ჯიმადა სამსახურიდან დაბრუნდა. სიმონი კეთილი კაცი იყო, წყნარი და იმდენად უდავდარაბო, საკუთარი ოჯახის საქმეებშიც კი არ ერეოდა და მამიდაჩემი ერთპიროვნულად განაგებდა.

მამიდაჩემი, თუ წუთით სალაპარაკოდ ჩამოჯდებოდა, მატაოცი ჩემი მამიდაშვილი მაშინვე კალთაში ჩაუხტებოდა და იქიდან მაგიდაზე და ჭერზე ასვლას მოინდომებდა. ბებიაჩემი, სიძე-ქალიშვილ-მზახალ-შვილიშვილს დანატრებული, ამდენ ჭირს ერთად იზიარებდა და უკბილო პირში ხომ არ ჩავუვარდებოდი. ვიდექი აივანზე მსხვილი მავთულბადის მოაჯირთან, ხარიხას რომ თავს ვერ ვუშვდენდი და შავ მდინარეს ჩაჭერებოდი: თევზი, კიბო, ან თუნდა ბაყაყი მაინც დავლანდო-მეთქი. ქვევით, შორს ბოდის ხიდი ჩანდა და ვერაფრით ვერ წარმომედგინა, თუ ბაწრებზე გაკიდულ ბოგირზე გავლა შეიძლებოდა, რაკი ჩვენს მდინარეზე ბოდი არ იყო და ახლა რომ ვინმეს ზედ დავლანდავდი, თვალებს ვხუჭავდი, ამ რხევაში ჩაწყდება და კაციშვილს შავი მდინარე ჩანთქავს-მეთქი...

საღამო რომ იყო, მუშები და მებაზრეები უკან ბრუნდებოდნენ, თუ რატომ მახსოვს, რომ ყველანი იქით მიდ�-შურებოდნენ, და გალმა ნაპირს დიდხანს ვუცქერდი. იქით სადაც არც რკინიგზა ჩანდა, არც ვაგონები და ორთქლმავლები, რა ხდებოდა, რატომ მიდიოდნენ?

მომწყინდებოდა და სამზადში ნაცარას თუ შევაკითხავდი, რაკი ისიც მარტო იყო, ჩემზე მეტად მოწყენილი, ვერც მდინარეს ხედავდა და ვერც ბოდს...

შევბრუნდი და ნაცარა სადღაა!

— ნაცარა!.. — ხმადაბლა დავუძახე, რომ არავინ შემეშფოთებინა. მომაგონდა, ფეხი რომ გავუხსენი, არ დამიბამს. არსად წასვლას არ აპირებდა და, ამას გარდა, შემეცოდა, აგერ არ ვიყავი, თუ სადმე წასვლას მოინდომებდა? მივიხედ-მოვიხედე, აღარც გაზეთია და არც წყლიანი ლამბაქი და ნაცარა ხომ არაა და არა. დავიოთხე და სკამებისა და მაგიდის ქვეშ შესახედად დახრაც არ მჭირდებოდა. ჟურჭლის კარადის ქვევით ბნელოდა, კარგად ვერ გავარჩიე, მაგრამ ოთახის კუთხე-კუნჭული მოვათვალიერე, რომ თუ არსად იქნებოდა, ისევ მოვბრუნებულიყავი.

აგერ!..

აგერ, სანაგვე ჟანგიან სათლში არაა ჩამხობილი! ელვარე ბოლო და ყვითელი ფეხები უჩანს... წამოვვარდი და ვეცი, მაგრამ ცივად გააჟრჟოლა, ცალი ფეხი უმწეოდ გაიქნია, უთავო კისრიდან სისხლი წვეთავდა და სისხლით ჰქონდა გულისპირზე ლამაზი, ნაცრისფერი, მბზინვარე ბუმბული გალუმპული.

ვისიოვლე და ხელიდან გავაგდე.

გამოცვივდნენ მოხუცი და ახალგაზრდა (ანეტა ბებია არ შემინიშნავს).

— რატო დაკალით, რატო, რატო, რატო, რატო!.. — ამივარდა ტირილი, ვასკდები გულს, ვიგუდები, არ მინდა ქვეყნად აღარაფერი, არც მამიდა, არც ჯიმადა, არც მამიდაშვილი და აღარც ბებია.

— რატო დაკალით, რატო დაკალით, რატო, რატო, რატო!..

ვინ მოგცემს იმის პასუხს, ქათამი რატომ დაკლეს?

არასდროს არ შემეძლო ჩემი დარდის და გულისხვეთქვის ხმამაღლა გამოხატვა და მაშინ იმდენად გამიჭირდა, ის ორი სიტყვა ამოვბოღმე, თორემ მას მერე მუდამ ჩემს გულს ვასკდები და აუხსნელ და დაუსაბუთებელ ბოროტებას სულშეგუბებული გავურბივარ. გავრბივარ და ვეძებ სადმე ადგილს, ყურეს, სოფელს — ქვეყანას, რომელიც ღვთისნიერი ადამიანებით იქნება დასახლებული, სადაც რასაც აკეთებენ, იცან რატომ აკეთებენ, სადაც რაც უყვართ, ყელს არ გამოჭრიან, სადაც სისხლს არ დაღვრიან, არ მოკლავენ და მკვდარს მდუღარეში არ ჩახარშავენ...

მაშინაც გავიქეცი.

რა თქმა უნდა, რომ ჰგონებოდათ, გამქცევი და ქვეყნის დამქცევი ვიყავი, თვალყურს მადევნებდნენ, მაგრამ ეგონათ, როგორც სხვა დროს, ვიტირებდი, ვიწუხებდი და რაკი თავს ზევით ძალა არაა და ნაკარას მოჭრილ თავს ვეღარ მივაბამდი, დავჯდებოდი და გაპუტტულს და შემწვარ-მოხრაკულს შეეახრამუნებდი. მაგრამ, როცა კედელთან მიმხობილმა, ღუმელისკენ თავმიუბრუნებლად დავინახე ნაკარა ადუღებულ ქვაბში რომ ჩაჰკიდეს, ბზიალა ბუმბული გაართვეს და იმავე სისხლიან სანაგვეში ჩაყარეს, ცხელი ორთქლით და მოხარშული ბუმბულის სუნით ისე სულის შემხუთავი გახდა იქაურობა, გარეთ გავვარდი და კიბეზე დავეშვი.

აღარ მინდა აღარც ეს სახლი, აღარც— იქ ვინც ცხოვრობს, არც რკინიგზა და მატარებელი, აღარც ბებია, ჩემი ერთადერთი, ყველაზე საყვარელი ადამიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიგტარი, მივქვითინებ. ყელში გულმობჯენილი, გასივებული და ქვეყანაზე დაუტევარი. მივდივარ და მივდივარ, მაგრამ ღმერთმა არ იცის, სად. არც გზა მაქვს, არც კვალი, არც ამაზე უკეთესი ქვეყანა მეგულება და მაინც სადღაც გავრბივარ. არაა ჩემი საშველი, არაა სახსნელი, არაა იმედი და რწმენა და მივდივარ. მძულს ყველაფერი ეს: გაუტანელი და უნდო, უსიყვარულო და ორგული, მძულს ეს სისხლისმღვრელები და სისხლისმსმელები... გავრბივარ, გავრბივარ, გავრბივარ.

სად წავიდე? აქეთ რკინიგზაა, ვაგონები, ორთქლმავლები, რკინიგზელები და მათი სახლები. იქით — შავი მდინარე. წინ წყალი, უკან მეწყერი. არადა, გაჩერება არ შემიძლია. ახლა რომ გავჩერდე, ახლა რომ დავჯდე, ახლა რომ დავეცე და დავწვე, იქვე გამისკდება ისედაც გახეთქილი გული და სისხლად დავიღვრები. დარდი გამგუდავს და მომაშთობს...

და გავრბივარ, მიგზლუქუნებ და გავრბივარ (მაშინ კიდევ არ ვიცოდი, თუ ხსნა არ იყო) და ბონდს მივადექი. მივადექი რკინის ბაწრებზე გაკიდებულ საცალფეხო, შავ მდინარეზე გადებულ ბეწვის ხიდს და შევჩერდი. გადავხედე, მიქუხს, მიდის, მიაქვს, მგონია, შავი ქვა და შავი ლოდი. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გავლაა ამ ხიდზე გავლა. ზედ რაღაც ორი ღერი ფიცარი აგდია, ხარ-ურემი რომ გადის, იმ ბოგირზე ორჯერ თუ გადავსულვარ დედის, ან ბებიის კალთას ჩაფრენილი, ახლა, ამ შავწყაულს გატანებულ ბეწვის ხიდზე მარტო უნდა გავიდე. უნდა გავიდე, რაკი აქეთ არ დამედგომება და იქნებ... იქნებ იქითა ნაპირზე, იქით, შორს. სადღაც, უცნობ ნაპირზე, უცნობ სოფელ-ქვეყანაში მოვითქვა სული, ჩავიბრუნო გული, ვიპოვო ის, სადაც გამესაძლისება, სადაც არ წააკრიან თავს ნაცა-

ოგია იოსელიანი
ავტობიოგრაფიული ნოველები

რას და მდუღარეში არ ჩაუძახებენ. სადაც, რაც გიყვარს, არ მოგიკლავენ, არ გაგიბდღვნიან და არ შეგიჭამენ, სადაც... სადაც...

შევდექი ზედ, მაგრამ სახარიხე ბაგირს ვერ ვწვდები. საყრდენსა და სამკლაურ ბაგირებს შორის კია მავთულები შებმული, მაგრამ ისე ახლო-ახლოს არაა, ერთიდან ხელი მეორეს მივუწვდინო. სანამ ჯერ კიდევ ჩემმა სიმძიმემ ვერაფერი აკრძნობინა, წავედი ამ ღრეჭო ფიცრებზე, მაგრამ რა ვიცი, რომ წყალს და ისიც შავ წყალს არ უნდა ვუყურო.

მერე და მერე, ჩემი ქვეყნისა არ იყოს, ბონდიც ისეთი მგრძნობიარე აღმოჩნდა, თუ მე ვიყავი ბოღმისაგან დამძიმებული და გასივებული, შეირწა და შეირხა... მე მაშინ მიწაც ფეხდან მეცლებოდა და აქანავებული და ატორტმანებული ბეწვის ხიდი რას დამინდობდა. აქანდა და აძაგძაგდა, ისედაც შავ წყალს მივჭინდი, დამწვავის მდუღარეო, გადატრიალდა ქვეყანა და ჩავეშვე, ფიცრებს ჩაფრენილი ვქანაობ, გაკიდული ვარ ცისა და შავ წყალს შორის. ცას როგორ მიეწვდე, სახარიხე ბაწარს ვერ ვწვდები. ქვევით მთელ ქვეყანას ფარავს ლუსკუმი მდინარე. აღარც ნაპირი ჩანს, აღარც იმედი, აღარც სახსნელი, აღარც საშველი. სადღაც, კუპრად ქცეულ ქვეყანას, ჭირისუფალივით დაჰკივის ორთქლმავალი თუ ბებიაჩემი, დედაჩემი თუ მამიდები და პირმორღვეული, ალუფფული, ადუღებული ბნელი ჯოჯოხეთი მნთქავს...

ბინდი იწვა, როცა ვიღაცამ ბონდის შავ ფიცარს ამაგრიჯა და მაჯაში ხელჩაფრენილმა წამიყვანა.

— დედა, შვილო! აქ რა გინდა, ბებია, აქ რა გინდა, გენაცვალე... აჰ, რავა ქენი, მაგი რავა მოგბავიდა, ბებია...

ანეტა იყო, მამიდაჩემის დედამთილი. ნამეტანი იწუხა და ივიშვიშა. ჩემზეც, ნაცარაზეც, ბონდზეც, შავ წყალზეც და გაუტანელ, უნდო წუთისოფელზეც, განსაკუთრებით წიწილაზე: არ ვიყავიო სახლში, არ ვიყავი, თვარა, რავა ვიზამდიო, გულს რავა გატკენდიო, რავა ჩავიდგამდი შენს ცოდვაში ფეხსაკიდამე, ბებია... ჩემთან, ბებია, ჩემთან, ჩემთან მოდი, ჩემთან, ჩემთან, ჩემთანო...

და ასე ნელა, ნელა, დაყვავებით, ბოდიშებით, ერთგულებით, ცოდვა-მადლის გაკითხვით, ფიცით, მტკიცით, ღვთის ნებით, განგების იმედით და მომავლის რწმენით გამიტყუა უკან, უკან. გაღმა კი არა, გამოღმა. რკინიგზის ლიანდაგებთან, ვაგონებთან, ორთქლმავლებთან, რკინიგზელებთან, რკინიგზელთა სახლებში და სამზარეულოებში...

არ ვიცი, ბებიაჩემმა რატომ არ მომძებნა. იგი მაშინ ოთხმოც წელს იყო მიტანებული — დიდი ჭირგადანახადი და ბავშვობას იმდენად დაშორდა, „ფრილმანებს“ შორიდან ვედარ ხედავდა, თუ... აქ, ამქვეყნად ცხოვრება თუ მინდოდა, ლამაზი, მშვენიერი და თვით სისხლი, სხვა თვალით უნდა დამენახა, დროზე გავადამიანებულიყავი. იქნება ეს იყო (რისი გაგება მე ახლაც მიჭირს) მიწიერი სიბრძნე — საცხოვრისი...

თუ?...

იცოდა ამ უნდო წუთისოფელს ვერსად გავექცეოდი...

ის იყო და ის, მას მერე ქათმის ხორცი თვალით არ დამენახვება და გავრბივარ და გავრბივარ...

მალარია

საუკუნეების მანძილზე კოლხეთის მძვინვარე მალარიის უკანასკნელი მსხვერპლი მე გახლდით. კოლხთა ამ დაუძინებელ მტერს უკვე ყავლი გადიოდა და განწირული რომ ჩამაფრინდა, ვერაფერით ხელიდან ვერ დავუძვერი.

გაზაფხულზე, როგორც კი მდინარეში ვიბანავებდი, ციებ-ცხელება მაშინვე ზედ მჭონდა დართული. არადა, მდინარეს როგორ უნდა შევლეოდი, როცა ზღვა ჩვენ არ ვიცოდით რა იყო, აბანო და შხაპი. მთელი ზამთრის მანძილზე თვეში ერთხელ ან ორჯერ სოხანეზე ჩაკუნცხული თუ გადაიბანდი, აღდგომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავით ელოდი გამოზამთრებას და დათბობას, რომ მდინარეში გადაშვებულიყავი.

გადავეშვებოდი და მოგეკამა ჭირი: მეორე დილას ამბებრძოლავდა. დამხორკლავდა მთელ ტანზე, დამამტვრევდა, მომწყვეტდა წელს, ამაკანკალებდა. ვერაფრით ყბას ვერ დავიმორჩილებდი, მარტყმევნებდა კბილს კბილზე. საყელოში ჩამძვრალ-მობუნძღიულს, ამიგიგებულს და ცვილის ფერს მასწავლებელი გაკვეთილიდან გამიშვებდა და მეც აპრილ-მაისის მზეს სადმე, კედელს აკრული მივეფიცხებოდი. მწვავს მზე, მშაშრავს, დახუჭულ თვალებს მთხრის, სიცივისაგან კი მაძაგძაგებს და კბილებს მაყრევინებს.

ნაკლასევს წიგნებს ჩემი ძმა მიათრევს, მამიდა წინ მიგვიძღვება და შუადღე, ალუჩას და ბალს რომ თაფლად ეღვრება, მე მაზრობს.

სანამ ცოცხალ ცხელებად მექცეოდეს, ჩემი და ჩემი ძმის საბანიც ჩემია და მამიდასიც. რა თქმა უნდა, არაფერს მშველის, სიცივისაგან მუჭად ქცეული, ამბოდ ვიგუდები საკუთარ ამონასუნთქში და ცივ ოფლში.

ნაშუადღევს ცხელება წამომივლის და საღამოს, აპრილ-მაისის სიგრილე რომ დაჰკრავს (ბებია რომ ამბობდა: მაისის სიცივემ ცხენს კვიცი მოაგდებინაო). მე საბნებს ფეხით ვყრი ძირს. ვყრი და ათას სისულელეს ვაბოდებ. ტაშტში, რომელიც საჭიროებისათვის მოაქვთ, ფეხებს ვყრი და ცივ ღომს შუბლზე ვიდებ. დილამდე აგონიით გათანგული ვიწვი და ვიფერფლები. ვიწვი და ვიფერფლები...

მეორე დღეს უღვეთოდ ნაცემი ყვითელი ძაღლივით დავლასლასებ, მაგრამ სიცხე-სიცივე ღღარ მაწუხებს, ამ ერთ დღეს მაცლის და ხვალ დილიდან ასე, მეორე გაკვეთილის შემდეგ დამიწყებს. მესამე გაკვეთილს გავუძლებ და მეოთხე გაკვეთილზე ისევ მზეს ავეფიცხები. ნაკლასევს წამიყვანს მამიდა და დამაყრის საბნებს. დიდხანს ისევ სიცივე მთანგავს და მერე უფრო დიდხანს, ბოდვად ქცეული სიცხე.

ბებიას ჯადოსნურმა ლოცვებმა და ხალხური წამლების ამოდენა ცოდნამ რომ ვერფერი მიშველა, რომელი ექიმი და მკურნალი მიხსნიდა, ან სად იყო.

ყვითელი ხინა (ქინაქინი) ომამდე „მიგემნია“, ისიც არაფერს მშველოდა, გარდა იმისა, რომ ბაიასფერად მაქცევდა. ომის დროს, რა თქმა უნდა, არც ის იყო. ქირმწარე ბალახების ნახარში იმდენი მისვამს, მაშინდელი კი არა, ყველა მოსალოდნელი სნეულებისაგან განმკურნა, მაგრამ მალარიას ვერაფერი დაკალო.

ბებია შეშინებულისასაც მილოცავდა: „გულო, დედამ შეგაშინა, გულო, მამამ შეგაშინა, დაყვირებამ შეგაშინა, დაძახებამ შეგაშინა... შენ არ შეგეშინდა, მიწას შეეშინდა. შენ არ შეგეშინდა, მიწას შეეშინდა...“ ნათვალებისასაც: „მე გილოცავ თვალისასა, გარეულისასა, შინაურისასა, მტრისასა, მოყვრისასა, უცხოსა და მეზობლისასა. შავგვრემანი ქალისა და კაცისასა, თეთრფერვანი ქალისა და კაცისასა, წითური კაცისა და ქალისასა...“ ნაუმურევის — მონახტომის ლოცვა ორნაირი იცოდა, მაგრამ ეს უფრო ეიმედებოდა: „მონახტომი დედიანო, მონახტომო მამიანო, მონახტომო დიანო, მონახტომო მძიანო ამ ოტიას გაეყარე, სხვა ოტიას შეეყარე. ამ ოტიას გაეყარე, სხვა ოტიას შეეყარე...“

მართალია, ეს ლოცვები ცოტა-ცხელებისთვის არ იყო გამიზნული, მაგრამ ყოველი მეორე დღე რომ სნებას ველოდი და მეშინოდა, ბებია, რაკი მალარიას ვერაფერს უხერხებდა, შიშის ზაფრისაგან მანთავისუფლებდა, რომ მოსალოდნელ უბედურებას მაგრად (მხნედ) შევხვედროდი, იოლად გადამეტანა. რა გასთვალავი მე ვიყავი, ისიც მალარიანი და ჭირიანი, მაგრამ ყვავსაც რომ თავისი ბახალა მოსწონს, ეტყობა, ამისაგან ბრძენი ბებიაჩემიც ვერ იყო დაზღვეული და ეშვობდა, ცოებასთან ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცდაჩვიდმეტი წელია. „ვეფხის ტყაოსნის“ დაწერიდან, უკვდავმა რუსთაველმა უკვდავ პოემას წერტილი რომ დაუსვა, შვიდას ორმოცდაათი წელი გასულა და იუბილეა (ზოთა როდის დაიბადა და გარდაიცვალა, არავინ იცის. პოემის დაწერისა კი?).

ერთი ამბავია: ეს რა გიქნიათ! რა წიგნი დაგიწერიათ! თქვენ ვინ ყოფილხართ, რა ხალხი ყოფილხართ! ბარაქალა თქვენს წარსულს, აწმყოს და მომავალსო!

დედა ამ დროს, წყალტუბოში № 1 სანატორიუმის ბარსასკაში მუშაობს. თავისთან უნდა წამიყვანოს და სკოლაში მიმაბაროს. შვიდი წელი მისრულდება, რვისა უნდა ვიყო. დედა ჩქარობს და ძმას (ბიძაჩემს) ეხვეწება, იქნება რაიმე გაგვიხერხოს. სექტემბრამდე დიდი დროა, გვიშტიბში ვარ, ან გუბისწყალზე, მამიდასთან.

მამიდა ერისტო ხვიჩიასასაა სტუმრად. ერისტოს და მაშიკოს შვილი არა ჰყავთ. ბავშვის ჰაჰანება არაა მათ ეზო-გარემოში. ვზიავარ ოთახში თვალებგადმოცეებული და ველოდები, როდის გამოჩნდება მამიდა. ბოლოს და ბოლოს მოვა, მაგრამ კენჭალობიას და რიკტაფელას ვერც მერე ვეთამაშები.

დიასახლისი კია მოალერსე და მოსიყვარულე ქალი, მაგრამ მას მერეც ძალიან იშვიათად და მანამდე, ამ სოფელშიც, ჩემ სოფელშიც, წყალტუბოშიც და ქუთაისშიც ვყოფილვარ დეიდასთან, არასოდეს მინახავს ამოდენა, უზარმაზარი, მსუქანი ქალი, არც კაცი. სულ ზში მქონდა, მიწა ვერ გაუძლებს, ჩაანგრევს და მის ახლომახლო ვინცაა და რაცაა, თან ჩაიტანს-მეთქი. მაშიკო ბიცოლას თან თხელი ულვაშებიცა აქვს და ქვეყნად თუ ულვაშებიანი ქალი არსებობდა, რავა მეგონა!

მამიდა თუ შინ არ იყო, გარეთ გამოსვლას ვერ ვბედავდი. ეზოდან, ან მოხურულიდან შემომეხმიანებოდა, ხომ არ მოგეწყინაო? და მეც იმწამსვე გავძახებდი, არა, რა მომაწყენდა-მეთქი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის შიშით, ოთახში არ შემოსულიყო და სახლ-კარი თავზე არ დაგვნგრეოდა.

ასე ერთ და ორ დღეს კი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს სანამდე გაძლეს?

გზის გადაღმა, პირდაპირ სამსონ ნაჯყეპია ცხოვრობდა, „მასაფ ძაღლს" ეძახდნენ (სიტყვაში იცოდა: ის რჯულ და მასაფ ძაღლიო). იმათ მეზობლად, ქვევით, ჩვენი ნათესავი — კოლია იოსელიანი.

კოლიას ოთხი შვილი ჰყავდა, უფროსი — ქუჩუკი, ჩემზე ერთი წლით უფროსი იყო. მე სტუმარი ვიყავი და ღობე-ყორე ხეტიალს ვეკრძალვოდი. ქუჩუკი, როგორც მასპინძელი, მომაკითხავდა, მაგრამ ახლა მე — მასპინძელს, ჩემ მხრივ უნდა მეღონა რაღაც. ამ უცხო ეზოში სათამაშოდ და საკუნტრუშოდ ტანტალს ვერ ვბედავდი. ერთი ოთახი იყო, მამიდაჩემის მოსცლამდე, ჩემს გამგებლობაში და აქ უნდა შემექცია თანამეინახე, რომ მალე არ დავეტოვებინე და ისევ მარტოობის და მაშიკოს „მსხვერპლი" არ გავმხდარიყავი.

რა გვქონდა ახლა ჩვენ ამ ნაქირავებ ოთახში, რაც ქუჩუკის გააკვირვებდა და მოხიბლავდა. არადა, ამ კარგამოხურულ ოთხ კედელში სანამდე დაგიჯდება სოფლის და ქვეყნის ბატონ-პატრონი ბიჭი. მე ვიყავი იქ უმეგობრო და უთანატოლო, თორემ მისთვის ცა ქუდი იყო და მიწა — ქალამანი.

და ამ დროს მაგიდაზე გვიდევს ახალთახალი, სპილოსძვლისფერ ყდაში გამოცემული, ვერცხლის ასოებით მოსურათხატებული, სიიუბილეო „ვეფხის ტყაოსანი" (სხვების არ ვიცი და, მასწავლებლებს საგანგებოდ შეაძენიეს). ასეთი რამ ქუჩუკის თვალით არ უნახავს, წლევანდლამდე, არც მე.

ეს კარგი და პატიოსანი, მაგრამ ქუჩუკიც იმ წელს შედის სკოლაში, რვა წლის ხდება და ანბანიც არ იცის, მგონია. მე, ბებიას წყალობით, ასოებს ვცნობ, მაგრამ „სავეფხისტყაოსნე" წერა-კითხვა მაშინ კი არა, ახლაც მიჭირს. არადა, ესაა ახლა ერთადერთი რამ, რითაც სტუმარს უნდა ვუმასპინძლო, მოვხიბლო და შევიჩერიო. ბებიამ ეს უკვე ... ვი პოემა ზეპირად არა, მაგრამ ცოდნია ... ოცდა, თუმცა ისიც იცოდა, ეს სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის არ იყო დაწერილი და ზღაპრად მოსაყოლი.

კი, დავჯდებით აგერ, მე და ქუჩუკი იატაკზე, მოვირთხამთ ფეხს ერთმანეთის პირისპირ, ჩავიდებთ შუაში ამ წიგნს და გადავშლით დიდი მოწიწებით, იცოცხლე, შიგ ნახატებია სულსა და გულს ახარებს, მაგრამ იმის ცოდნას რომ მოიხდომებს, შიგ რა წერიაო, მაშინ რას ამბობ? მე, მასწავლებლის შვილი ვარ, ანბანი ვიცი და წიგნში რა წერია, თუ წარმოდგენა არა მაქვს, ხომ მომეჭრა თავი მეც, მამიდაჩემსაც, ქუჩუკისაც და მთელ ჩვენს საგვარეულოს. ასე იმედგაცრუებული და გაწბილებული სტუმარი შენ გაგიჩერდება და შენს მარტოობას და მოწყენილობას დაგიდევს?

— შ-ო-თ-ა რ-უ-ს-თ-ა-ვ-ე-ლ-ი!

როგოლი საქმეა, ვკითხულობ — ვ-ე-ფ-ხ-ი-ს... ესე იგი ვეფხვის...

— აუჰ, ვეფხვი და ლომი...

— არა, მარტო ვეფხვი... აგერ კიდევ, ტ-ყ-ა-ო-ს-ა-ნ-ი. ესე იგი, ქუჩუკი, ვისაც ვეფხვის ტყავი აცვია.

— კაი იქნება, ხო იცი შენ!

— აბა! ხამი და ნარმა კი არ აცვია, ვეფხვის ტყავი... ახლა აგერ უყურე, შენ!

ვშლით შიშით და მოკრძალებით ამ გაცქრიალებულ ტკიცინა ფურცლებს. აგერ, ბატონო, თავზე ამ ჩვენ შოთას სამკუთხედი ქუდი ახურავს. ვის ახურავს ახლა ასეთი ქუდი და ზედ ფაროშავანგის, ვედის თუ სირაქლემას ფრთები აქვს გარჭობილი. ბატის და კვატის მეტი რა უნახავს ქუჩუკის და აბა, იმას ხომ არ ვეტყვი, ეს ბატის ფრთაა-მეთქი. რავა, მე კი მგონია, თუ?

ეს კარგი და პატიოსანი, ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა — დაყვლეპილი აქვს ქუჩუკის თვალები.

ეს დღეები ამით მიდგია სული, ყო-

ოტია იოსელიანი
ავტობიოგრაფიული ნოველები

ველი ნახატი ასჯერ მაქვს ნანახი, მაგრამ წაკითხული კი არა.

— დ-ა-ს-ა-წ-ყ-ი-ს-ი... დასაწყისი, მაგრამ ეს არაფერი, აქეთაა რაცაა.

— მაშვინ მაგი არ გვინდა.

— აი, აგერ ნახე შენ, ამ-ბა-ვი... რ-ო-ს-ტ-ე-ვ-ა-ნ ა-რ-ა-ბ-თ-ა მე-ფ-ი-სა.

— ეს გვინდა! — აღარც ეჭვობს ქუჩუკი.

ვაი შენ ჩემო თავო! შენ კი გინდა, მაგრამ მე მინდა? ნახატიც არაა ამ გვერდზე, რომ რაიმე „ამოვიკითხო".

— არა, არც ეს გვინდა...

— გვინდაა...

— მეფე ხომ ჩამოვაგდეთ...

— აჰ?.. — დაიბნა ქუჩუკი.

გავკეთდი, მგონი, მეფის ტახტიდან ჩამოგდებამ გადამარჩინოს.

— აღარ გვინდა...

— ეს მეფე ჩამოვაგდეთ? — ეჭვობს ქუჩუკი, რაღაც, არაბი როსტევანის ტახტის დამხობა არ ახსოვს.

— მეფე მეფეა, რომ ჩამოაგდებ და მოტეხავ კისერს, გათავებულია მისი საქმე.

— კარქი, მარა... — მეფეს ასე კისერმოსატეხად და წყალგასატანებლად ვერ იმეტებს, მაგრამ მე დაუნდობელი ვარ, მეფეების და „ხენწიფეების" სახსენებელს გაგონება არ მინდა და პირდაპირ ნახატიან გვერდზე გადავდივარ.

რომ მეშველა, მგონია, მხატვრობის მიხედვით რაღაცა ზღაპარს მოვიგონებ, ეს ჩემი ჩამოგდებული მეფე ვერ მოვიშორე! გვირგვინი რას ჰქვია, არ ვიცით, მაგრამ ამ ლამაზ ქალს რომ თავზე ახურავს, მეფის ქუდია. კია აქ ცხენები, რკინის შაურიანებისაგან შეკერილ პერანგებში გაჯგიმული კაცები, რკინისავე ქუდები რომ ახურავთ, შუბები და მშვილდები, მაგრამ ეს მეფე და გვირგვინი მიჭირვეს საქმეს. ჩემს წინ ფეხმორთხმულ, თვალებადაკცეულ ქუჩუკისკენ შევაბრუნე გაშლილი წიგნი და ვფიქრობ, რა ჯანდაბა ვუყო? აქ ეს მოხუცი კაცი კი არა, მგონი ქალიც მეფეა, რომ ვერაფრით ვერ მოვიშორეთ, ეს მეფეები!

— რას შობიენ?.. — სტუმარს ერთი სული აქვს, გაიგოს, რა ხდება აქ, რა ამბავია.

ამის მერე ვიცი, ნადირობაზეა ნახატი, ისიც უნდა გავითვალისწინო, ისეთი არაფერი ვთქვა, მერე ხელები შემიკრას.

— რა და...

ქუჩუკიმ ეჭვის თვალით შემომხედა.

დავიღუპე! თუ ახლა რაღაც არ მოვისაზრე. თუნდაც სისულელე იყოს, მაგრამ გაჩუმება არაფრით არ ხერხდება. კინაღამ ჭკუა მეღრძო, ისე გამიჭირდა და, კინაღამ კი არა, მეღრძო და დავფქვი:

— ამ ლამაზ ქალს ეუბნება, მეფობას მოუკვდა პატრონი, ეს ქუდი შენი იყოსო.

— ჩამოგდებული არაა?

არადა, მეფე ჩამოგდებულია, ეს ორივემ ვიცით.

— ჩამოგდებამდე მიხვდა, საქმე წამხდარიაო და ბარემ ეს ქუდი შენი იყოსო.

— ეს ქალი ვინაა?

— ეს ქალი თამარ მეფეა, — გამახსენდა ბებიაჩემისაგან ათასჯერ ნახსენები და ნადიდები თამარ ქალი, მოვიფქვი სული, მეგონა, მაგრამ, ჩემი ცოდვით სავსე ქუჩუკის სცოდნია თამარი ტახტიდან არავის ჩამოუგდია, სულ ციხეები, ხიდები და ეკლესიები აშენაო და არ დამანება:

— თამარ მეფე რავა ჩამოაგდეს...

— თამარ მეფე ვინ თქვა! — ვიტკაცე მე. — ეს ბებერი, როსტევანი ჩამოაგდეს! — იმ ბებერ როსტევანზე, როგორც იქნა, ჩავაქნევინე ხელი ამ მეფეების ქომაგს და იმის შიშით, ეს ძლივს გამეტებული ისევ ხელმწიფეს არ ააღზევოს-მეთქი, მივაყარე:

— ა, ამ რკინის ბლუზიან და ქუდიან ბიჭს ხომ ხედავ?

— რავა არა...

— ხომ კარგი ბიჭია?

— კარქი.

— ავთანდილია მაგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰოო?..

— ჰოდა, მაგას ეუბნება, წევიდეთ ერთი და გემოზე ვინადროთთო.

— თოფი!

— თოფი რათ უნდა, ფშვილდ-ისარი არა აქვს?

— ფშვილდ-ისარით რას მოკლავს?

— რკინისა, შენ თხილის ჯოხის გგონია? აა, თუ არ მოკლავს! — ვფურცლავ წიგნს სასწრაფოდ და... არის აგერ ჟუჟეა და ხოცვა-ჟლეტა. კურდღლების და ტურების კი არა, ლომების, ვეფხვების, ირმების და, რა გინდა, სულო და გულო!

— აუჰ, შენი გულისა!.. — აღტაცებულია ქუჩუკი. თამარ მეფეც კი დაავიწყდა, მაგრამ მე ისევ შავ დღეში ვარ, ამის შემდეგ შავცხენიანი, ვეფხვის ტყავი რომ აცვია, ის ზის წყაროსთან, გაბზიალებული ცხენი უჭირავს აღვირით და ტირის. რა ატირებს ამისთანა ცხენის, მათრახის და სამოსის პატრონს, არ გინდა ამის ცოდნა?

ვითარე ფეხი და ვატრიალე წიგნი ხან ჩემკენ, ხან ქუჩუკისკენ, მაგრამ ამოწყდა, რაც ტყეში ნადირი იყო და აღარ მოეშვები?

მივადექით ატირებულ-აჟივებულ ტარიელს. ქუჩუკიმ არც აცივა, არც აცხელა, იმწამსვე შეიცხადა.

— კაცს რა ატირებს?!.

— უყურე ერთხანს და გეტყვი.

უყურა ცხენს, უნაგირს, ვეფხვისტყავიან პატრონს, მათრახს... პეიზაჟებს მაინდამაინც არ გაუტაცნია და როცა კითხვით ამომხედა, მაშინვე გადავუშალე მომდევნო ნახატი, ტარიელი მათრახით რომ მონებს თავს უშვლიპავს.

— ამიტომ ტიროდა? — ვერაფერი მოიწამა ბიჭმა.

— რა თქვენი საქმეა, რატომ ვტირიო! — ავუხსენი ვითარება.

— აუჰ, შერცხვა.

— მარტო იყო, რომ ტიროდა, ამგნმა არ დაიყენა.

— ეს ხო, მარა ტყუილა არ იტირებდა, გოგო ხო არაა.

— არა, რა თქმა უნდა...

— რატომ?..

— რატო და... — გადავუშალე ნახატი, ავთანდილი და თინათინი რომ მუსიფობენ და განვმარტე: — მაგი თამარ მეფესაც მოუნდა გაეგო, რა ატირებდაო. აგზავნის, რამეფრად გამიგეო.

— მერე, გაიგო? — ქუჩუკის ახლავე უნდა იცოდეს, მეც წამძლია სულმა. ვიცი, წინ ვეფხვით ხელში გაჭიმული ტარიელი რომაა, გამოვტოვე ავთანდილის წერილის წერა და პირდაპირ გადავტტი... გადავშალე, მოგეცა ლხენა, ქუჩუკის ამოუცავივდა თვალები ბუდეებიდან! ერთხანს ენაც კი დაება და ვერაფერი მკითხა, მერე მე თვითონ ავუხსენი.

— ვეფხვის მეტი რა მომიკლავს, ის კი არადა, აგერ ბლუზათ, ქუდათ და ცხვირწვეტიან ჩექმათაც მაცვია, მაგრამ ხელით არ დამიჭერია და არ დამიხრჩვიაო, ამისათვის ტიროდა თურმე.

— აგერ, ლომიც...

— აპა, შენ რა გგონია! ახლა შენ ომი ნახე... სული წინ მიმირბის.

— მაცალე! — თვალს ვერ წყვიტავს ამ საოცრებას. — მარა დაპჭყალავს...

— ბპჭყალებით კი... მაგრამ არ ეშინია...

— არა, არ ეშინია. ცხენი?

— ცხენი ყავს, მარა იქითაა მოფარებული.

— არ დაიკარქოს.

— არა, ა! — გადავშალე, ტარიელი რომ იმ შავ რაშზეა ამხედრებული, ცხენ-კაცის გორაზე რომ დაჯირითობს ხმალგაშიშვლებული.

იმასაც დიდხანს უყურა, უყურა და მერე შეწუხდა, რაღაც ქვევით, იმ ჯგლეთვაში, გასრესილი, ნაწნავებიანი მეომარი იპოვა.

— ეუჰ, ქალი მოუკლავს!

— არაა მაგი ქალი, — დავამშვიდე ვითომ. — ულვაშებიანია.

— ულვაშები მაშიკო ბიცოლასაც ხო აქვს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რო აქვს... — დავიღუტე. — რო აქვს, მერე მაშიკო ბიცოლაა მაგი? კარგად დაუკვირდი.

— არა... არა მარა... ნაბწენები?..

— არ იპარკავდა თავს და გაეზარდა.

— ქალივით?

— მაგიზაც ასტავლა ჭკუა.

ეს ომის მიზეზიც კარგად მოვახელკეთილე, მაგრამ იქით მიჭირს. ეს ქალები მირევენ საქმეს. თან ისე ლამაზებია, ვერაფერს დაბრალებ. ვიცი, რომ თამარ მეფის გაგზავნილი ავთანდილია და უნდა იმის გაგება, ტყაოსანს რა ატირებდა. ამისთვის ხეზე გადის და იქიდან უთვალთვალებს, მაგრამ მერე ქალს ხვდება. ალბათ, იმასაც იმას ეკითხება, რა ატირებსო, მაგრამ როცა ცეცხლის პირას ორივე სხედან და ტარიელი იქაც ტირის, ავთანდილს კი არა, იმ ლამაზ ქალს თანდასწრებით? იქ მიჭირს, მაგრამ უფრო დიდი გასაჭირი წინაა. ამას, ყველაფერს თავის მოყრა უნდა. შიგადაშიგ შეუსაბამობა და დაბნეულობაც მეპატიება, თუ საქმეს ბოლოში არ წავახდენ და ყველაფერს თავიანად დავაგვირგვინებ. არადა, წინ კიდევ ფრიდონია. ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ვინ არ იცის, მაგრამ ეს ლამაზლამაზები, რომელია თინათინი, ნესტანდარეჯანი, გამოქვაბულში რომ ქალია და იქით, კიდევ, ლოგინში, ერთმანეთში მერევა და მირჩევნია ყველა თამარ მეფე იყოს. არც ქუჩუკი მედავება, მაგრამ ერთი ომი რომ გადავიხადეთ, კიდევაა ომები, ციხე-კოშკები და ბოლოს, ცხენზე ამხედრებული მზეთუნახავი, აქედან და იქიდან რომ სამივე ძმობილი მოაცილებს...

არც ვაც

, არც ვაცხელე და საქმის თავი ერთბაშად დავუარე.

— ამასობაში, ავთანდილი რომ ტარიელს ეძებდა იმის გასაგებად, რა ატირებდაო, თამარ მეფე მოუტაციათ...

— ვაჩვენე ნახატი, თამარის რომ კიდობანში სვამენ და ზღვაში უშვებენ. — სიმღერაცაა ასეთი, თამარ მეფე მოიტაცესო... — ეს ქუჩუკიმაც იცის, მამმისი მოქეიფე კაცია, მღერის, ცეკვავს. და მიჯერებს — ჰოდა, ამიტო ქალი და კაცი, ყველა ტირის.

— მეფიზა?! — არ ავიწყდება ეს ჩამოგდებული მეფე.

— თამარ მეფიზა, ბებერი მეფე ნუ გგონია შენ! მოდიან აგერ და ფრიდონი მოაკენებს ცხენს. ტარიელი და ავთანდილი ეუბნება: არიქა, გვიშველე, თამარ მეფე მოიტაცესო. ფრიდონმა უთხრა: ჯარს წამოვიყვან მაშვინო... და ა, აგერ დგანან, „მუსაიფობენ... იმ ციხეშია თამარი დაწყდოული... აგერ კიდევ ა, ჯარი.

— აჰ, რა ბევრია!

— მის მეტი რაა და აგერ... დოუნტროვიათ იქოურობა, ოუღიათ ციხე და ტარიელს კოცნის...

— რატო კოცნის?.. — რცხვენია ქუჩუკის, მეც მერიდება, მაგრამ ეს ჩემი „თამარ მეფე“ და ტარიელი ისეა გადაფსკვნილი ერთმანეთს, შენ დააცილებ!

ამ აუხსნელ, საჩოთირო ვითარებას ორივე თვალს ვუხუჭავთ და აგერ, გამარჯვებულები რომ მოდიან და, მადლობა ღმერთს, არავინ არავის კოცნის, არის ღრეობა და სიხარული, ამას მთელი სულით და გულით ვიზიარებთ და ხელი, მათი არ იყოს, ჩვენც ცას გვიწვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაგუ მებურიშვილი

როგორ გავიდა

გაჭაბუკებას აროდეს შეგთხოვ,
(რა დაადგება ამ გზას თავიდან)...
და მაინც როგორ,
როგორ გავიდა
ამდენი ხანი ერთ წამში, ღმერთო.

თუ არ შემარჩენ ჯანს და ოვსილას,
როგორლა გავხრავ გასახრავ ლაგმეშს,
რა ვუთხრა ამდენ დაწყებულ საქმეს,
თვალებს,
ვედრებით ჩემსკენ მომზირალს.

თვალწინ მიყრია ნამროდივით
წლეში.
დამთვრალა სისხლის ბულრავი..
ქათქათებს ზამთრის თეთრი
უღრანი —
ბებერ სიჩუმით და მოლოდინით.

როგორ გავიდა,
როგორ გავიდა
ამდენი ხანი ერთ წამში, ღმერთო.
გაჭაბუკებას არცოდეს შეგთხოვ,
მტერი დაადგა ამ გზას თავიდან.

ქალქვა

ქალქვა სოფელს ჭქვია ლაოდეხის რაიონში, ლეგენდის თანახმად ჩადენილი ცოდვისათვის ზეციერს ერთი ქალი გაუქვავებია, ქალქად უქცევია.

როდის შერისხეს,
აღმართეს როდის
კაცმა და ღმერთმა დიაცი ქალქვად?!
რატომ ჰგავს ცოდვად ქცეული ლოდი
ამ გაოცებას და ჭკუის კარგვას?!

რატომ არა მაქვს იმედიან ცის
იმედი,
ცოდვის რად ველი წვიმებს?!
იხრჩობა ტბორში თეთრი დიაცი,
ხრის წელში ლოდი ბედივით მძიმე.

ჩრდილები გზისპირს გულდაგულ
ქარგავს,
გალობს ბულბული ღვთიურ
გერგილით.

მკათათვის ხვატად ზიმზიმებს ქალქვა,
თივის ზვინი და ჩალის ჩერგილი.

ღვთაება ჭვივის ელდად და შიშად
და გაფრთხილებად ჭვივის ღვთაებ,
რომ კვლავ იჯიშოს იბერის ჯიშმა,
ის წარმავლობის ლანდს ედავება.

ამ გაოცებას და ჭკუის კარგვას
ჰგავს მართლაც ცოდვად ქცეული
ლოდი...

ვიხილავ როდის,
ვიხილავ როდის,
კვლავ
ამ მიწიერ და ციურ ქალქვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეყოფა, წავალ

ვლალობ თქვენს გვერდით —
ვაჟა, თამარ,
გიორგი, თამთა
და მაინც ყოფნა
მირჩევნია
საკუთარ თავთან.
ამაოდ მიხმობს
კვლავ საომრად
შმაგი არსი,
ჩემს სიჩუმეში მირჩევნია,
ჩემს სიწყნარეში.
ბევრი გეფერე ანგელოსო,
ღმერთო,
ცერბერო,
დღეს გამგუნებულ
საკუთარ თავს
უნდა ვეფერო.
თქვენთან ლალობა
ვაჟა, თამარ,
გიორგი, თამთა
მეყოფა,
წავალ
დავიწყებულ
საკუთარ თავთან.

ისე არ წავალ

სად მოვხვდი სინათლის თავსხმიდან?!
გზებია უგზო და ულახი...
რა უცებ,
რა ხელად დამშვიდდა
ძარღვებში წითელი ულაყი...

რა მალე,
რა მალე,
რა მალე,
რა ჩქარა,
რა ჩქარა,
რა ჩქარა,-
მახსენებს პირღია სამარეს
ყორანი,
თავზე რომ დამჩხავლა.

მიმწუხრის ტალღებზე მროკავ ცას
ჩასული მზე აჭკნობს ბალახად
და ისე არ წავალ, რომ კარგად
ვერ შევძლო მე შენი დანახვა.

მიჯოგს...

კაცის წახდენა გაუხარდათ,
შემოჰკრეს ტაში...
მე კი ანაზდად
გამივარდა ხელიდან თასი,
დაიმსხვრა თასი,
დაიღვარა პარკეტზე ტვიში...
არ დაენანათ წამითაც კი
თვისტომი თვისი.
მიჯოგს უფსკრულში
გადამჩეხო
ბედზე მდურებით,
გამახარებდე
ვიდრე სხვისი უბედურებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპრილი

ჰყვავიან ბალები
მართლაც ზებუნებრივ
ნათლით და სურნელით
გაბრუებულები.
ჰყვავიან სითეთრით
რძისფერი მტრედების,
ჰყვავიან გულდაგულ
და თავგამეტებით;
ჰყვავიან, ჰყვავიან,
ჰყვავიან, ჰყვავიან, —

ქათქათა ღრუბლების
ასობით ხვავია...
ფუტკრების ზუზუნით,
ცვრების ათინათით
ზეიმობს სიჩუმე
თოთო და დიადი.
აყვავდი სიტყვაო,
სიტყვაო, აღზევდი,
ასეთი სინათლით,
მშვენებით ასეთით.

შენ კი...

ერქვას შინდს — შინდი
და ძელქვას — ძელქვა,
ურთხველს — ურთხველი,
წყავს კიდევ — წყავი.
შენ კი...
შენ მართლაც არ უნდა გერქვას
ტყემალი,
ისე ლამაზად ჰყვავი.
მზეთუნახავი
ან პატარძალი
დაგშვენდებოდა
ამაყ სახელად.
სურნელოვანო,
თეთრო ტაძარო
და სილამაზის
თვალის გახელავ.

უდედოდ

დიდ ღრუბელს ჩამორჩენია
ერთი ფიორა ღრუბელი,
მისდევს და ვერ კი ეწევა.
ცრემლით სავსე აქვს უპენი.

უდედოდ, ა ის ქათქათა
და წყლის ქაფივით ფოფინა
ღრუბელი, რომ ღრუბელია,
ისიც საბრალო ყოფილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხსენებელი

პირველად აქ შეეფეთა...

უხსენებელზე ვლაპარაკობ. უხსენებელი წარმართულია, ჩვენი წარმართული, ჩვენი წაღმართული; წყეული ქრისტიანულია. უხსენებელი ბუნებრივია, წყეული — გამიზნული. უხსენებელი თვითშიშია, წყეული — თავსმოხვეული შიში, ტერორი. კიდევ თუ გავყევ, ამბავს დავშორდები; არადა, ბევრი რამ უმართებულოს წაკითხვა მიხდება, — გამახსენდება და ამიყოლიებს ხოლმე. სხვა დროს მივუგებ. რამდენი ერთსაო, ანთუ როდისღაო. რაც უნდა იყოს, აქ შეეფეთა პირველადამეთქი:

ჰო, პირველად აქ შეეფეთა.

ავარდა. წამოაგდო თავი. დაისისინა. შეანათა თვალები მზესა, ამას არა, მზეს შეანათა. გადაიზნიქა. გაიზმორა მზეზედა. შემოიქნა. შემოიგრიხა. დაასკდა მიწასა. დასკდა და გასლეკინდა. გაცურდა. მიეცა ბალახსა. შეძგრა. გაუჩინარდა. პირველად აქა: ბილიკზედა. თითქოს ბილიკი მოძრაობდა, მიდიოდა, მიხცურავდა ბილიკი. ეგონა, მომეჩვენაო, ეგონა, ესკალატორი მომელანდაო; ეგონა და დაადგა ფეხი, ისედაც დაადგა, მოზომილადა, მოსწრებულადა, შევდგე და გავჰყვეო. და ალბათ თუ კუდზე დაადგა ფეხი, სწორედაც კუდზედა, რო აღიმართა ისე შმაგადა, დაისისინა ისე მრისხანედა, და გაიზნიქა, და გაიგრიხა, კაცმა რო თქვას, მოხდენილადა, ოღონდ მძვინვარედა, ისე მძვინვარედა და შემზარავადა. მართლაც კუდზე თუ დაადგა ფეხი. კუდზე არ დაადგა ფეხი გველსაო (ვინ დაგვძრახა?.. წარმართულია), ნათქვამი როა, ალბათ ამიტომაც არის ნათქვამი: კუდზე არ დაადგა ფეხი, მოასწრებ თუ არა, მაშინვე თავი გაუჭეჭყეო. ასეა ნათქვამი, ძველისძველია, წარმართულიმეთქი, ძველისძველია და კანონია ცხოვრებისა, ბუნების კანონი. ამას ხელთ არაფერი ჰქონდა. ვერ გაუჭეჭყავდა თავსა. ვერც დაასწრებდა, მოულოდნელი გახლდა. ამიტომაც არ უნდა დაადგა ფეხი კუდზედაო. არ უნდა დაადგა. მაგრამ დაადგა. განგებ ჰო არა. მოუხდა. მოუხდა. სულ ერთია. არ უნდა დაადგა ფეხი კუდზედა. თვითონვე დაინდო, გველმა, ცხადია ანთუ ზზეს შეჰხედა, გაიზმორა და გადაიფიქრა. ანთუ გადაიფიქრა, ანთუ გადასდო, ხვალაც ამთვისაო; იმანაც იცის ალბათ ანდაზები. ბრძენია. ბრძნადაა გამოცხადებული. ეცოდინება ანდაზებიცა. გადასდო ალბათო. გაიხანგრძლივა მოლოდინი შურისძიებისა. ჯერი მისია. აღსრულება მასზეა. შურისძიება გარდაუვალია, წარუვალია, აუცილებელია. და ტკბება გარდუვალის მოლოდინითა, შურისძიების აღსრულების მოლოდინითა. ის ისე ტკბება. ეს თუ ეწამება მოლოდინითა იმავეთი: გარდაუვალის მოლოდინითა, შურისძიების აღსრულების მოლოდინითა, — ასეც იქნება, აბა რა დაატკბობს თუ არა წამება, შურისძიება სხვა რა ყოფილაო. და გადასდო. არ გადაიფიქრა. აქ იყო, აქა.

აქ შეეფეთა პირველადა.

ჰოდა, ჰგონია, მისრიალებს ბილიკი. არ უნდა დაადგას ფეხი. კუდზე არ უნდა დაადგას ფეხი, თავში უნდა ჩასცხოს. ჯოხიც უჭირავს ხელშია, მძიმე შინდის ჯოხი. თავკომბალა ჯოხი. ვითომ სასეირნოდ როა გამოთლილი. ვითომ გასართობადაცა, — მოახარატა

ისე, შემოწვა ისე, თავითბოლომდისა, ის გეგონება, უხსენებელი, — გასართობადაცა და სამზადისადაცა, ვითომ რო გასართობად მიაჩნდა. და მისრიალებს, მისრიალებს ბილიკი, მისრიალებს. ოღონდ კუდზე არ დადგა ფეხი, არ დაახანო ოღონდაო, ოღონდ კუდზე არაო, არ დაახანო ოღონდაო. და მისრიალებს. და მისრიალებს. თავი სადაა?.. სადაა თავი?.. თვალი მიუწვდინოს, ვერ მიუწვდენს ჯოხსა, ვერა, ვერ მიუწვდენს, ვერც მიუწვდენს და ვერც ჩასცხებს თავშია, ვერა, ვერ ჩასცხებს. ადვილიც არ არის, როგორც ეტყობა. კუდზე ადვილად დადგა ფეხი. გადაიკიდა ასე ადვილად. უნებლიედ გადაიკიდა. ვერ ჩამოიშორებს ასე ადვილადა. უნებლიედაც ვერ ჩამოიშორებს. ბოდიშს ვერ მოუხდის. პატიებას ვერა სთხოვს. ეკიდ ასე, პირისპირა, მოციქულსაც ვერ მიუგზავნის. ვერც კაცს მიუგზავნის, ვერც გველს მიუგზავნის. ჯერი მისია. არ დასთმობს ჯერსა. არც ეჩქარება, არა, არა, არ ეჩქარება. ბრძენია და არ ეჩქარება. ხვალაც ამთვისაა და არ ეჩქარება. ასე ყოფილა და ასე არის და ასე იქნება, — რაც რო ყოფილა, რაც არის და რაც რო იქნება, არ ეჩქარება, არ ეჩქარება, არ ეჩქარება. ბრძენი არის და არ ეჩქარება. უჭკუოც იყოს, არ ეჩქარება, რაც რო ყოფილა, რაც არის და რაც რო იქნება. არ ეჩქარება, არ ეჩქარება, არ ეჩქარება. ცეტიც რო იყოს, სულსწრაფიც იყოს, ხარბიც რო იყოს, არ ეჩქარება, არ ეჩქარება, არ ეჩქარება. მისრიალებს. მისრიალებს. მისრიალებს. თავი არ უჩანს. კუდიც არ უჩანს. კიდევ დადგამს ფეხსა კუდზედა. დადგამს. რახან იმისთვის ნეტარია მოლოდინი. დადგამს, თუმცა ანდაზა ისევ რო ახსოვს, კუდზე ფეხი არ დადგაო. დადგამს. დადგამს. წამოსწევს თავსა. ეს აქ დადგამს და ის იქ წამოსწევს თავსა. აიყალყება. დაიწივლებს. გამოიტყორცნება. გამოიტყორცნოს, აგერა, ჯოხიც შემართულია. მძიმე ჯოხი. მძიმე კომბალი. გამოიტყორცნოს და უთავაზებს. ანდაზა ბოლომდის ახსოვს. ნახეგარი ანდაზა, ანდაზა არ არის. ანდაზა ანდაზაა თავით ბოლომდისა. უთავაზებს და გაუჭეჭყავს თავსა. ჯერი იმისი იყოს. იყოს. უთავაზებს. არ მოუჩანს კუდი, არ მოუჩანს და!.. თავიც არ მოუჩანს. მისრიალებს. მისრიალებს. ბილიკი მისრიალებს. მორჩა, ვერაფრით დაიჯერებს თავსა, მისრიალებს და მისრიალებს. და აღარ დადის იმა ბილიკითა. ესკალატორზეც აღარა დგება. მეტროში აღარ ჩადის. ურჩევნია იჭეჭყოს ავტობუსში, ტაქსის ქრა თუ არა ჰყოფნის. გვერდს უქცევს ბილიკსაც. არა და მოკლეა: ასე მოკლეა. მოუმარჯვებია ჯოხეცა. მაინც არაო. მძიმეა ჯოხი. თავი. კომბალა თავი. ჯერ ისევ ნედლია თუ სინედლე მოსდევს ჯერ ისევა. მძიმედაც მოხვდება, სველადა და მძიმედა. სველ თავში მოჰხვდება, კრიალა თავში, მზეზე რო კრიალებს, ვითომ ცვარიაო. სველ თავში მოჰხვდება, მძიმედ მოჰხვდება და მძიმედაც დაეცემა. მოასწრებს!.. მოასწრებს!.. ჰო, შეჰხედავს თუნდაც რო წამითა, მოინუსხება, თვით მომნუსხავი მოინუსხება, რადგან კომბალი სახეა მისი, ეგრე გახლავს გამოყვანილი. მოინუსხება თუ გაჰკვირდება, ვისზე მივიწევ და ვინ გადამიდგაო. წამია, წამისაა ყველაფერი. და დაასწრებს, დაასწრებს, სჯერა, დაასწრებს. იმისი ჯერიც იყოს. იყოს იმისი ჯერი. და მაინც შორს უელის. არა შიშითა. არა. არა. არა შიშითა. არა შიშითა ერთითა.

აქ შეეფეთა პირველადა.

მერე აქა:

ჯოხი რო მიაყუდა და აძვრა პანტაზედა, პანტას დავარხევო. ანთუ ვერც რო მოასწრო: ის იყო შეხტა, ტოტს დაეკიდა, ფეხები შემოტმასნა ტანსა პანტისა, რო აეწია, აფოფხებულიყო, და გაისმა სისინაცა იგი ნაცნობი, ჯოხი დაასკდა და გადასრიალდა ზედა იგი ნაცნობი, გადასრიალდა და მიერთო ბალახებსა. და ირწეოდა ბალახი, ძურწი ირწეოდა, სამყურა ირწეოდა, თვალცეცხლა ირწეოდა, თითქოს ნიავმა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუარა კლაკნილ ზოლადა, — გადაუარა თუ გადაუქროლაო. პანტის დარხევა გადაავიწყდა. ნდომაც გაუქრა. გემოც წაუვიდა. ვერც ძირს ჩამოსვლა მოეხერხებინა. ეკიდა ეგრე. ეკიდა. ეკიდა. თავგადმოგდებული გასცქეროდა ბალახსა. გასცქეროდა. გასცქეროდა. აღარა ნიავობდა ბალახი. აღარ იხლაკნებოდა. აღარ იკლაკნებოდა. იყო სიმშვიდე. გაყუმულიყო. არ ირხეოდა არც რო ფოთოლი, ბალახი ჰო აღარა და აღარა. ჩამოეშვა როგორც რო იქნა, ჩამოეშვა, ჩამოხტა, ჩამოხტა და ისკუპა. კიდევ ისკუპა, კიდევ ისკუპა. ჭოკიც არ უნდოდა. მსაჯები არ იყვნენ. უჭოკოდ ხტომაში რეკორდს აიღებდა. არ იყვნენ მსაჯები. ამოოდა ხტოდა. შეჩერდა. მიბრუნდა. უცქირა. უცქირა. ეძებდა. ეძებდა. იდგა ერთხანსა, ვითომდა რაო, არ მეშინიანო. დაუცაცხანა კიდევაცა: კიდევ გამოჩნდი, თუ ბიჭი ხარო. ეგება გოგო იყო, — ეს გამოწვევა ვერ გასჯრიდა, რაღა თქმა უნდა. არც გამოჩენილა. ესეც მოეშვა. ოღონდ ესაა, იქ დარჩა ჯოხი. ვეღარ მიბეედა და ვითომც დამრჩაო, დამავიწყდაო ვითომცაო. თავს ირწმუნებდა, რო არაგინ რო არ ედავებოდა. მოწმეც არ იყო. მარტოს გადაჰხდა თავგადასავალი. იქ დარჩა ჯოხი ერთი სიტყვითა. ბავშვებმა მაინც მიურბენინეს, ხელი მაინც არ მიაკარა. ვერც ის უთხრა, რო თქვენი იყოსო. ბავშვებმაც მიაყუდეს კიბესა; მიაყუდეს და გაეცალნენ, მადლობაც რო არ მიუღიათ. და ეყუდა ეგრე. და აუვლიდა. და ჩაუვლიდა. აკვირდებოდა: სად გადაუარა თუ რა კვალი დასტოვაო. ანთუ ეგება შეება კიდეცა და შხამიც მიანთხია, ნესტარიც ზედ შეალეწაო. ეგება, ეგებაო. ფუტკარი ჰო ტოვებს ნესტარსა, — ნაჩხვლეტში ტოვებს. ტოვებს. იღუპება უნესტაროდა, იქვე იღუპება. იღუპება მწერი უსაჩინოესი, უტკბილესი მწერი იღუპება. და რო უბოძებია ღმერთსა იარაღი, ერთი შემბრძოლებისათვის უბოძებია, ერთადერთი შებრძოლებისათვისა . და იღუპება. შრომის ნიმუში, სიმბოლო შრომისა და წესრიგისა, იღუპება ჯერ უაზროდა, ერთი გაცხარებით იღუპება. იღუპება. იღუპება. რადგან ნესტარი სიცოცხლეა მისი. შრომის იარაღია და სიცოცხლეა. შრომა სიცოცხლეა. ბრძოლის იარაღიცაა და სიკვდილია. ბრძოლა სიკვდილია. დათვიც მოუკლავთო, ირწმუნებიან. მაინც გამარჯვება არაა, მაინც სიკვდილია, მათთვის სიკვდილია. რას იზამ. რას იზამ. და ბზუის ფუტკარი. რა საამოა!.. სისინებს. სისინებს. არა.. აკონდება. რა ამაზრზენია!.. ბზუის ფუტკარი. სხვისი საფუტკრეა. გაიჩენს ფუტკარსა. უთუოდ გაიჩენს. დაფარავს სისინსა. მოსპობს სისინსა. სისინსაც მოსპობს. ისპობა თვითონაცა. და ბზუის ფუტკარი. ღალიანობაა. ბზუის. ღიღინებს ღალიანობისასა. ეს ისეც ჯოხსა თლის. ღალის სიმღერას მიუგდებს ყურსა. თითქოს რო ასდევს, თლის ჯოხსა ეგრე, რო ასდევს თითქოსა. შინდიც იქ არის. უფრო მომსხო და უფრო კომბალა ძირი შეარჩია. არ მოათალა არც რო ხორკლები. არ მოათალა. წაამახვილა. ზღარბი გამოპყავს. ზღარბი. შეუპოვარი ზღარბი. ვინც რო ხერხი იცის. კუდზე არ დაადგამს ფეხსა. კეფას დააცხრებს. გაუყრის კბილებსა. ისმარტალოს კუდმა, რამდენიც ენებოს. ისმარტალოს. დაიკაკნოს. დაიგრიხოს. მიხაზოს, მოხაზოს ბალახი, ჰაერი მოხაზოს, როგორც რო ენებეს. თუნდაც რო ლამაზადა. თუნდაც რო მწარედა. მოხაზოს. მოგრაგნოს. კუდზე არ დაადგამს ფეხსა. ანდაზები იცის. ალმათ თუ იცის. იცის. იცის. მაშ რატომ არ დაადგამს კუდზე ფეხსა?.. ამან დაადგა. ის არ დაადგამს. არც რო დაუდგამს, არც დაადგამს არასოდესსა. იცის. იცის, თუნდაც რო კუდიც რო არ ერქვას იმათს ენაზე, — რაც უნდა ერქვას, მაინც არ დაადგამს ფეხსა. იცის, რო ფეხი არ დაიდგმეეგ. იცის. იცის. წადი და აუბირდი. თავში უნდა ჩასცხოს, იცის, თავიც რო არ ერქვას იმათს ენაზე თავსა, — თავში უნდა ჩასცხოს: რაც უნდა ერქვას, იქ უნდა ჩასცხოს, იქ უნდა გაუყაროს კბილები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყანყრატში თუ კეფაში, კეფაში თუ ყანყრატში და მოჭყლიტოს თავი. იცის. იცის. იცის. არ უნდა ამას ლინგვისტური ანალიზი. არც თუ ძირების ძიება უნდა. უნდა ჩასცხოს. უნდა გაუჭყლიტოს. აუხირდი თუ ბიჭი ხარ!.. ეკალი დაუსხამს. ეცი, რამდენიც გენებოს. ვითომ მოასწარი, ასჯერაც მოასწარი, — ვერა, ვერ შეუხვალ. ასჯერ მოასწარი. ის ერთს მოგასწრებს, ერთს გიხელთებს და, — ჰა, ჰა, ჰა!.. და ხორკლებს რო უტოვებს, წკირებს რო არ ათლის, ლურსმებსაც ჩაუმატებს, წაქლიბავს, წაამახვილებს. ფუტკარი ბზუის. ბზუის ტკბილი ფუტკარი. ხელს ნუ აუქნევ და არას გერჩის. კუდზე ვერ დაადგამ ფეხსა. ხელს ნუ აუქნევ. ნუ გაიქცევი. ნურც ისე დადგები, მტერი რო ეგონო. ტყუილად დაღუპავ. ისე ნუ დადგები. დადექი ისე, რაცა ხარ და როგორიც რო ხარ. ამას დაუდექი. ამას გაექეცი. გაექეცი. ნუ გაუჩერდები. კუდზე ნუ დაადგამ ფეხსა და ნუ გაუჩერდები. ცხოვრების სიბრძნეაო.

და მისცურავს ბილიკი.

და ვერ დაუდგამს ფეხი.

და ვერც ჩაუცხია თავში, — კუდი რო არ უჩანს, თავი რო არ უჩანს: მისცურავს, მისცურავს, ისე მისცურავს.

აქ შეეფეთა პირველადა. ასე გადიოდა სერებზედა. ფერებს იხატავდა, მინდვრის ფერებსა, მთების ფერებსა, მონახაზებსაცა მთებისა, იმას რო მიჰგავდა, იმის მონახაზსა, რო გაკლაკნილიყო და ბზინავდა, ცასა და მიწის შუა გაკიდული, — ბზინავდა, ბზინავდა; ფერებს იხატავდა, ფერებსა ცისა, — ცისა ფერს, ლურჯსა ფერს, არა ამ ქვეყნიურს. იხატავდა და იხატავს. შორს უკლის ესაა. ოლეზე უკლის. ანთუ უკლიდა. უკლიდა ოლეზედა. ჩაიგემრიელებდა პირსა პანტოთაცა. ფუტკარიც ეხვია. ისიც შეეფეთა. ვინ უწყის, მაშინაც ფეხი დაადგა. კუდზე. კუდზე. ზღარბისოდენიც ვერ დაუსწავლია. კუდზე. კუდზე. დაადგა და შეჰხტა პანტაზედა. ეს შეჰხტა. იმან ვერ მოასწრო. ამას ვერ მოასწრო ლარსოლ ეძგერა ჯოხსა. ჰა?!.

იქ შეეფეთა მეორედა.

პირველად აქა.

მერე იქა.

მერე ეზოშივე.

და აღარ იცის სათვალავი: ერთხელა, ორჯერა, სამჯერა, რამდენჯერა?.. დაეკარგა სათვალავი. ჯერ ეგონა, მეჩვენებაო. აბზინდებოდა ზურგი თუ კუდი. მოშორებითა. ფეხს ვერ დაადგამდა. თითქოს თვითონვე გაურბოდაო. კუდსაცა სტკივა. სტკივა. აბა თავს ისე რა გააცხარებდა. და გაურბოდა. და ეგონა, მეჩვენებაო. ისიც ეგონა, ცხადლივაო. აბიბინდებოდა. აბზინდებოდა. აიკლაკნებოდა. ასეც ეგონა. ისეც ეგონა. რომელი იყო რო მართალი, ვეღარ გაერჩია. ჯოხი ესროლა. კუდზე არ დაადგამს ფეხი. თავი დალანდა. ესროლა ჯოხი. არც გაქცეულა. ფეხიც არ მოუცვლია. არც იქ მისულა, მოვარტყი თუ არაო, რო დარწმუნებულიყო. აღარც ჯოხი წამოუღია. ისე დავარდა, დაჯდა ჯოხი, ისე კარგადა, თითქოს ზღარბიაო, თითქოს თავი გამოუყვია, თითქოს მოკიმუღა, თითქოს და აი, დააცხრებაო, — ისე კარგადა. ასე დაჯდა და ასეც მიატოვა. სხვა ჯოხიც გამოთალა. ისეთივე. ზღარბისებრი. უფრო მძიმე. უფრო ხორკლიანი. ზღარბებიც დახატა. მუყაოს ფიტულებიც გააკეთა. შემოარიგა ეზოშია. დაასხა წვიმამა. დაასხა. ელავდა. ჭექდა. ელავდა. ელავდა. აიბუზნენ ზღარბები საცოდავადა. აილუფხნენ. დაილუფხნენ. დაღლარამ ურჩია, გოგირდი ახრჩოლეო. თვითონვე მოიტანა. თვითონვე ახრჩოლა. ჩადგა სამგანა გაბზარული ჯამებითა, ანთუ ქილის ნატეხებითა. თუ სწორი გინდა: ერთი ჯამითა, ორი ქილის ნატეხებითა. ჩადგა. ხრჩოლავდა. ხრჩოლავდა კარგახანსა. აპწკიალდებოდა. აიტანდა ალსა. ავიდოდა ბოლი. დაიტანდა ალსა. ხრჩოლავდა. ხრჩოლავდა. მოეედო სუნი გოგირდისა, ყველაფერს მოედო. ყველასა და ყვე-

ოთარ ჩხეიძე
უხსენებელი

ლაფერსა. ირგვლივა, თვითონ ჰო!.. გოგირდი გაუჯდა ცხვირში, პირში. თმაშიც გაუჯდა. სამოსშიცა, რაღა თქმა უნდა. ზედ რო ეცვა, ის არაფერი. კარადაშიაც რო ეკიდა, იქაც გაუჯდა. გოგირდსა ჭამდა, გოგირდსა სვამდა, თითქოსაო, რაღა თქმა უნდა. რაც უნდა იყოს, გოგირდმა მოიცვა. დაეუფლა. შეუნივთდა გოგირდი. თან მიჰყვებოდა გოგირდი ყველგანა. თბილისშიაცა. მიჰყვებოდა თუ იქ დაჰხვედროდა. სულ ერთია. იქაცა და იქაცა. დიდი პოეტის დიდებულ გამზირზედაც. თეატრშიაც. ფილარმონიაშიცა. სტადიონზედაცა. გამოფენაზედაცა. ინსტიტუტშიაც. იქაცა. იქაცა. იქაცა. გოგირდი ხრჩოლავდა. გოგირდი ბოლავდა. განედევნა წყეულნი, ქვემძრომი წყეულნი. კაცთაგანაც განედევნა წყეულნი, ქვემძრომნი სულისანნი, არა მიწიერნი, არა ხილულნი, სულისანი და უხილავნი. ქვემძრომნი. განედევნა. ვიდოდნენ სუფთანი, სუფთანი სულითა, სუფთანი გულითა. თამამნი. მოურიდალნი, რო არ ეშინოდათ, კუდზე ფეხს დავადგამთო. არ ეშინოდათ. აღარ ახსოვდათ. ანთუ?.. ანთუ?.. აღრეულიყვნენ. ფუთფუთებდნენ. სხმარტალებდნენ. იგორგლებოდნენ. იხლართებოდნენ. იკვანძებოდნენ. მიძვრებოდნენ. და ვერც მიძვრებოდნენ. ამოჰქოლოდათ საძრომი ყოველი თუ ვერ გამოჰხსნოდნენ ერთიმეორესა. ხრჩოლავდა გოგირდი. ბოლავდა გოგირდი. აიტანდა რო მცირე ალსა, აბურბურდებოდა ბოლი ისეთი, სუნი ისეთი, — გაძლება უნდოდა. ჩაიწვა, როგორც იქნა. ჩადუღდა. დადუღდა. არ განიავდა ეგრე ადვილადა. აკრიფა ნატეხები, აიღო ჯამიცა, დაღლარამა, — რო ჰხედავ, სუნი იმიტომა გცემსო. მაინც იდგა სუნი. მაინც არ ეშველა. ესაა, აღარ ეჩვენებოდა. აღარც აყალყვია. აღარც ბალახი აბიბინებია, არცთუ ფეხებთანა, აღარც სადმე მოშორებითა. აღარც რო კუდზე დაუდგამს ფეხი, რაღა თქმა უნდა. ზღარბი მზად გახლდათ მაინცაო. ის ერთი ზღარბი. შინდის ჯოხისაი. ნატეხები ჰო აილუფხა. ფიტულები ჰო აილუფხა, — მუყაოს ფიტულებიც. ბაბაშრა. დაიგრიხა. დაიმანჭა. გახმა. შეაგროვა დაღლარამა. ასანთი შეუგდო. ავარდა ალი. და ამას ლამის თავი ავარდა, — თითქოს გოგირდის ალი ავარდა, ძლიერი, უეცარი ალი. სუნი შემეხუთავი, რაღა თქმა უნდა. დაღლარა არწმუნებდა, გეჩვენებაო: აი ჰაააო. და აიტაცებდა თითქოს რო ალსა მუჭითა, ხვრეპავდა თითქოსა, ყლაპავდა თითქოსა, — აი და ჰაა, რის სუნიო, რა შეხუთვაო. არც შეხუთვია სუნი. დასძლია თავი. დასძლია. შეჰბედა ბილიკსაცა. პირველად ჰო აქ შეეფეთა.

აქ შეეფეთა, აქ შეეფეთა პირველადა.

გადაიარა ოლეზედაცა.

შეჰბედა იქაცა.

მერე ჰო იქ შეეფეთა.

გადაიარა და გადმოიარა.

მერე ჰო ეზოში.

ეზო ჰო რაო, —

იდგა სუნი, სუნი მაინც იდგა ეზოში. და შორსა კსინავდა, შორსა ყიპყიპებდა, სადღაც შორსაო, ანთუ ცოტა მოშორებითაო. თითქოს შორს გავიდა, გავიდა ერთბაშადა, გავარდა და ნელინელა მოიწევდაო. ნელინალაო. ნელინელაო. ორნახადი არაყი მიართვა დაღლარამა, — ჯამით თაფლი და არაყი ხელადითა, ორნახადი, წინწანაქარი ორნახადისა. რას იზამ, არის. — უთხრა დაღლარამა. — ალბათ უმგიანობაც არ იქნებაო. შენ შენსასა ცდილობ, ის თავისასაო. არის და ცდილობს. რახან არის, უნდა ეცადოსო. რახანა ხარ, უნდა ეცადოო. რახანა ვართო. მხნეობა არ უნდა მოვიკლოთო. მხნეობაა ყველაფერიო. მხნეობა იყოს და სხვა დანარჩენი გინდა ყოფილა. გინდა არაო.. და დაუსხა. და არ დალია. დალია დაღლარამა. დაუსხა ისევ. ისევ არ დალია. ისევ დალია დაღლარამა. მე მაწყინოსო. დაუსხა. დალია. დაუსხა. დალია. დაუსხა. დალია, — ისევ თვითონა, ისევ დაღლარამა. შენი სირჩა იყოსო. შენი მადლობელი ვიყვეო. შენც უნდა გამხნევედე რაღაცით მაინცაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაფლში მაინც ამოაწე ჰურიო. რიღაცით მაინცა, რიღაცით მაინცა, ანთუ სიმწარითა, ანთუ სიტკბოთიო. ამოაწეო. ამოაწეო. გული უნდა გაიმაგროო. გულიო. გულიო. გული უნდა გაიმაგროო. რაც უნდა მოხდეს, ოღონდ გული გაიმაგრეო. გულია ყველაფერი და უგულო რო არაფერია, გულიც იმიტომაა ყველაფერიო. რაც უნდა მოჰხდეს, ქვეყანას გადახდეს, ოღონდ გული იყოს საგულესაო. გულო, ჩადექ საგულესაო. ამბობდა და იმეორებდა. შესცინოდა წინწანაკარსა: რა სუფთააო, რა წმინდაო, რა ცხარეაო, რა მწარეაო. შესცინოდა და შეახაროდა. აქეზებდა. ვერ აქეზებდა. და კსინავდა სადღაც არ[illegible] შორსა, კსინავდა, ყიპყიპებდა. ა[illegible]ნ არ იცოდა თუ რა კსინავდა, რა ყიპყიპებდა. ამან არ იცოდა. სისინი ეცნობოდა. სისინს წასწრებოდა კუდზე რო დაედგა ფეხი. იქამდის ვერ გადაალაჯებდა. ისიც ვერ უწვდენდა კუდსა აქამდისა. მოიწევდა. მოიწევდა. მოიწევდა.

— ცუდი ფუზია.

ამბობს დაღლარაი.

— ფუზი?!

— ფუზი...

— თუ ფუძე?..

— ფუზი-მეთქი.

უსწორებს დაღლარაი.

მაინც იმედია დაღლარაი. სიმხნეევა. ნუგეშია დაღლარაი. აუვლის გადასძახებს. ჩაუვლის გადასძახებს, კიდევ ვახრჩოლოთო. ბარი გაუდვია მხარზედა. დილით აივლის. საღამოს ჩამოივლის. შუადღისასაც. შუადღით იცის. რო ჩახურდება, ჩახურდება მზეი. რო გაიტვრინება ირგვლივ ყველაფერი. ჩიტებიც რო მიდუმდებიან. რაღაინ გადარჩენენ?!.. მიდუმდებიან, უფრო ადვილად მიდუმდებიან. ბევრნი რო იყვნენ, უამრავნი, თვით რო ცასაც რო დაჰფარავდნენ ხოლმე, გადაირეკებოდნენ მაშინაც ერთბაშად, ერთბაშად ჩაიმენდდნენ ხმასა. იმისი დროა, იმისია. წყეულისაა. უნდა მიანიო. იმისა. თავისია. და თავისად [illegible]და. მარტოს უნდა. მარტოდ უნდ[illegible]ებისად უნდა. შენ რო დაურღვევ მყუდროებასა, კუდზე-დაც რო დაადგამ ფეხსა, კიდევაც გიკ[illegible]ვირს, რაღად მიღრენსო. კიდევაც გიკ[illegible]ვირს. ანაღვლე!. კიდევაც გიკვირს. კსინავს. ყიპყიპებს. იქ არ უნდა. იქ არა. ყველას თავისი ადგილ-მამული აქვს. სხვისაში არ უნდა. სხვა არც დააყენებს. ჩიტსაც თავისი მიწის ნაგლეჯი აქვს. ჭიაღუსასაც. ქვემძრომსაც თავისი. თუ არ უნდა, არც არავის გადაატარებს. ნადირთაც თავანთი, ტყეს რო შეჰფარებიან. ჯიხვთაც თავანთი, თავანთი ფრიალლები, გაყოფილი არვე-არვეთა. მონადირეთაც ამიტომაც თუ გაუმარჯვდებათ: არ გადიფრენენ სხვათა ფრიალლოზე, სხვათა კლდეებს არ შეეფარებიან, წინასწარ თუ არ შეთანხმებულან. ვერც შეთანხმდებიან ეგრე ადვილადა. ვერ შეთანხმებულან. ყიპყიპებს. კსინავს. გამოწვევისაა. ბრძოლისაა. აქ რა გინდაო. ბრძოლაა. ჭიდილია. კსინვაა. ყიპყიპია. ეს მხოლოდ სისინით თუ გამოიცნობს. ჯაფარმაც იცოდა სისინი. გამოაჯავრებდა ხოლმე. ჯაფარა აღარ არის. მოსპეს ჯაფარაცა. ამას ვერ დაიფართხობს, ვერ შეაშინებს. მოსპეს ჯაფარაცა. თორემ ეგონება, დასრიალებენ ხეებზედაცაო, ტოტებზე მოჰხტიან, აი თავზედაც დამეცემიანო, ეგონება უსაფუძოდ. და მერე ბოძზედაც შეასწრო თვალი.

იქ აღარ ელოდა.

ნუ ელოდა, რა!..

ის სწორედ ისაა, ელი და მაინც მოულოდნელი როა, ისაა, ისაა, სწორედაც ისაა.

წინათ იმ ბოძზე ძარი იდგა. არა ერთზედა, ოთხზე იდგა, ერთიღა რო გადარჩენილიყო. ბოძს შემოჰხვეოდა. თავი ცოტა წამოეწევდინა. შეჰყურებდა. კარგახანია თუ შეჰყურებდა, რო შედრკა ანაზდადა, შედგა, შეჩერდა, თითქოსდა გულზე მჯიღი დასცესო, გოლიათური მჯიღი. ფეხებს დაჰყურებდა, ჰო არაფერს დავადგი ფეხიო. ბალახს დაჰყურებდა, ჰო არა ბიბინებს, ჰო არ მო-

---

ოთარ ჩხეიძე
უსანინებელი

იწევს, ანთუ ჰო არა მშორდებაო, გრეხვითა, კლაკვნითა, ზნექვითა, რწევითაო. ვერც შემართა ის თავისი კომბალი. ზღარბი II. ვერც წინ წავიდა. ვერც გამობრუნდა. ვერც შეირხა ერთი სიტყვითა. შესაქქროდნენ ერთიმეორესა. ეს მონუსხული. ის არა, მონუსხული არა, განზრახ რო ელოდა, ალბათა ცხადია, საზაოდა, მოსალაპარაკებლადა. დაგუშვათ ალბათა. რაც უნდა იყოს, გაავება არ ეტყობოდა. შემოჰხვეოდა ბოძსა მჯიდროდა. კუდიც ზედ აეტანა. კუდზე ვერც დაადგამდა ფეხსა. თავს მიუჭეჭყავდა, ისე მარჯვე იყო, მიუჭეჭყავდა იმა ბოძზედა, ძველ ბოძზედა, მუხის ბოძზედა, ვინ უწყის სხვა დროსაც რო მიეჭეჭყაო. კვალი დამჩნეოდა, ლაქა დამჩნეოდა, ბევრი და ბევრგვარი. მიუჭეჭყავდა. ახოლოდ ესაა, რო ვერ მისწვდებოდა. ხმალსა სიმოკლე რას უშლისო, ფეხი წარსდგი და დაგრძელდებაო. ფეხი წარსდგიო. ვითომ ადვილია. ვერ წარედგა ფეხი. ვერა. იდგა. იდგა. იდგა ისიცა, ანთუ ბოძს რო შემოჰხვეოდა, ვითომ-ცდა იდგა. მერე ის წავიდა. ჯერ ის წავიდა. თითქოს შეუთანხმდა, წავიდა მშვიდადა, კმაყოფილი წავიდა. ჩამოცურდა. გაცურდა. გადაიარა ბორხვენებზედა. თვალსაჩინოდა. გადაიარა და გადაიარა. ესეც გამობრუნდა. აფორიაქებული არა. მშვიდად გამობრუნდა, შეუთანხმდა. შეუთანხმდა ვითომ თუ რასა, რო აღარ იცოდა, საით ევლო, რა გზას დასდგომოდა. ყველა გზა მოუჭრა. ყველგან წინ დახვდა, ალბათ შინიდან აღარ უშვებდა. გადაიარა ისე ამაყადა. ბორხვენებზედა. აღარ უშვებდა. ალყაში მოაქცია. ვეღარც გადიოდა გარეთა. აღარც გადიოდა, აღარც გადიოდა, ასე ითქვას, ასე სჯობია. გადადგებოდა აივანზედა. კიბესაც ჩაიკლიდა. დაბორიალებდა იქვე კიბესთანა. იქვე, იქვეე. დაბორიალებდა და ავლებდა ზოლსა. კლაკნილ ზოლსა. თავს მოურგვალებდა. მერე კუდზე დაადგამდა ფეხსა და თავში კომბალს უთავაზებდა. უთავაზებდა. არა ჰგავდა ეს მაინც თანხმობასა. სამზადისი გაბრიელ. დაირღვეოდა დროებითი ზავი, მალე დაირღვეოდა. ეგონა მხედავს, იცის ყველაფერია. დაირღვეოდა დროებითი ზავი, ბილიკი მაინც შეიმოსა. გაბალახდა ბილიკი.

აქ შეეფეთა პირველადა.

მერე ჰო, მერე...

და კვლავაც ელოდა, იქავე, იქვე, სადაც რო ხაზავდა, სადაც რო ვარჯიშობდა ერთი სიტყვითა. ემზადებოდა. ემზადებოდა.

და ერთიცა ვნახოთ, დაღლარამ არ დაუდგა წინა!.. ბარით დაუგდო, ბარ[illegible] თაგგაჭეჭყილი. თავგაჭეჭყილი და უსულოდრი. მომჩვარებული. ლიბრი. უშნო. უგვანო. ამაზრზენი. გულისამრევი. ფურთხისადღა რო თუ ვარგოდა. ისე მრისხანე რო მოსჩანდა, რო აძრწუნებდა უჩინრადაცა. რო გამოკრთებოდა მოულოდნელადა. ბზინავდა. ბზინავდა. მისცურავდა და მიჰღელავდა. იტყოდი ალბათ, ლამაზადაო. შუამის გარეშე. შუამის გარეშე. რაღა თქმა უნდა. მიირხეოდა. მიირხეოდა. რა ხელი მოჰხაზავს!.. რო არ გიცნობდე, ჰო ვინტერებდი, თვალი მომეცა და მაცქერინაო, — იტყოდი, უთუოდ იტყოდი. რაც იყო, იყო, აღარ იყო და ამანაც გადაადგო ჯოხი; ზღარბი II. დაღლარამ მიაწოდა.

— რაღად მინდა?!

ამან გაიკვირვა.

— სადაც ერთი იყო, მეორეც იქნებოდა იქავე. წყეული ერთი არ იქნებოდა. არც იქნება წყეული ერთი. არც არაფერი იქნება ერთი. არც არის. არც იქნება. ყველაფერი წყვილია. წყვილწყვილადაა. რაც არის, წყვილია. თუ არის, წყვილია. რაც ერთია, აღარ იქნება, არა. წყეული არ იქნება ერთი.

აუხსნა დაღლარამა.

ჯოხი მიაჭიჩა დაღლარამა.

ბილიკი ისევ გაბილიკდებოდა. არ იქნებოდა უბილიკოდა. აქ შეეფეთა პირველადა. მაინ[illegible] გავიდოდა ბილიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან მალაზონია

ᲝᲥᲑᲐᲚᲘ

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲒᲑᲐ

„ეკრძალენით ქუელის საქმესა თქუენსა, რათა არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათდა; რათა იყოს ქუელის საქმე შენი ფარულად“.

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ უკვირდა, ტყუპები ერთმანეთს რომ არ ჰგავდნენ.

ოცდაცამეტი წლის წინ არგუნა მათ ასეთი ბედი გამჩენმა.

ქერა პირისახე ჰქონდათ, ძლიეს შესამჩნევი ჰორფლით, საშუალოზე ოდნავ მაღლები იყვნენ, მოკუმული თხელი ტუჩები და მოკლე ბრტყელი ცხვირი არასიმპათიურად განაწყობდა მათ მიმართ ადამიანს. ტანიც ერთნაირი ჰქონდათ — მოდუნებული, ოდნავ წამოზრდილი მუცლით; სიარული — მოზომილი, ფრთხილი, აუჩქარებელი. ვინც მათ ერთად ნახავდა, ფიქრშიაც არ გაივლებდა, რომ ქერათმიანები ტყუპები იყვნენ. და მაინც გამოერეოდნენ ისეთებიც, რომლებიც ძმებს, იერით თუ გამომეტყველებით, ერთმანეთს ამსგავსებდნენ.

იშვიათი ამბავია, რა თქმა უნდა, მაგრამ არც მაინცდამაინც გაუგონარი. განსხვავებული მხოლოდ სახელები და პროფესია ჰქონდათ — დურგალს სისონა ერქვა, ვექილს — სამუელი; გურიიდან იყვნენ. მათი გვარი, საკმაოდ იშვიათი დასავლეთ საქართველოში, შთამომავლობით, როგორც ხალხში ამბობდნენ, „ოქროს ხელიან დურგლებს“ უზრდიდა ქვეყანას. მკერვალის ხსენებაზე ლოცვა-კურთხევას დაატანდა თურმე დიდი თუ პატარა. ამ გვარის ხელოსანზე ძველად პირდაპირ ნადირობა ყოფილა გაჩაღებული. დღეს ასე აღარაა, რა თქმა უნდა, ოღონდ თუ სადმე გურიაში ვინმეს გულიანი დურგალი დასჭირდა, უსათუოდ მკერვალს მიადგება შინ, რაც იმას ადასტურებს, რომ მოდგმას წინაპრები არ შეურცხვენია ჯერხნობით. ვინ იცის, იქნებ იმიტომ ვერ ამჩნევდნენ ტყუპების მსგავსებას, რომ განსხვავებული გამოხედვა ჰქონდა მათ პატარა, ნაცრისფერ თვალებს. ასე იყო თუ ისე, სისონა დურგალი იმითაც გამოირჩეოდა ძმისგან, რომ დილიდან დაღამებამდე ერთი ორჯერ თუ ამოიღებდა ხმას. ხდებოდა ხოლმე, რომ მის სიტყვაძუნწობას უცხო ხალხი ყრუმუნჯობად ღებულობდა უნებურად. ადვოკატ სამუელს, პირიქით, იშვიათად თუ ნახავდა ვინმე გაჩუმებულს; მთელი დღე რომ ელაპარაკა, დაღლას ოდნავადაც არ იგრძნობდა (პროფესიაც ალბათ ხელს უწყობდა მერე და მერე ამ უნარის გამომზეურებაში). დურგალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ქალაქის გარეუბანში ბაღჩიან ეზოში ჩადგმულ აგურით ნაგებ ერთსართულიან სახლში ცხოვრობდა ოთხი შვილით (ოთხივე ბიჭი იყო და სისონა მეხუთეს გოგოს ნატრობდა). ბავშვებში უფროსი ექვსის ხდებოდა, ყველაზე პატარა — ორის, რადგან შვილები ცოტა მოგვიანებით ეყოლა დურგლის ცოლს.

ადვოკატს შუა ქალაქში ჰქონდა დადებული ბინა, ჰყავდა მიმზრდელი გარეგნობის მეუღლე და უპატრონო ბავშვთა სახლიდან აყვანილი რვა წლის გოგონა.

ტყუპების მოხუცებული მშობლები ცალკე ცხოვრობდნენ ქალაქის ძველ უბანში, სადაც იშვიათად დადიოდნენ დედ-მამის მოსანახულებლად სისონა და სამუელი. ბევრი ამას შვილების უგულისყურობას აწერდა, მაგრამ, ვინც ახლო იცნობდა მათ ოჯახს, საძრახისს ასეთ საქციელში ვერაფერს ხედავდა. მალაქია მკერავლს, ტყუპების მამას, დურგალთა დინასტიაში უბადლო ხელოსანს, მთელ გურიაში იმითაც ჰქონდა სახელი გავარდნილი, რომ აუტანლად ჯიუტი იყო, უფრო სწორად — ახირებული. თუ სიტყვა წამოსცდებოდა რამეზე, მამაზეციერი რომ გამოცხადებოდა, ნათქვამს, მოკვდებოდა და, არ გადათქვამდა. ოცდაცამეტი წლის წინათ გურიაში ტყუპები რომ შეეძინა, რატომღაც ქალაქში ცხოვრება მოეხასიათა და ხუშტური ორ თვეში აისრულა. ეს კიდევ არაფერი. ერთხელ აიჩემა თურმე, სამოცს მიტანებულმა, როცა ჩემი იმქვეყნად წასვლის დრო მოვა, სხვის გაკეთებულ სასახლეში რატომ უნდა ჩავწვეო და, მანამ არ მოისვენა, სანამ კუბო საკუთარი ხელით არ გაიმზადა. რამდენი არ უჩიჩინეს ცოლმა და შვილებმა, რამდენს არ ეხვეწნენ, განზრახული გულიდან ამოეგდო, მაგრამ ვერაფერს გაჰხდნენ: ლაქით გაპრიალებული მუხის კუბო სხვეწნე იდო ჭიოლოფგადაფარებული... და, აი, ერთხელაც დასცდა მალაქიას, რომელიმე ჩემი შვილი მწიგნობარი უნდა გახდესო და ნამდვილად ხუთი წლის შემდეგ მკერვალების დინასტიაში პირველად დაირღვა დურგლობის მემკვიდრეობითობა — სამუელი ადვოკატი გახდა. ხელეჩოს, ხერხის თუ შალაშინის სიყვარული სისხლში ჰქონდათ გამჯდარი ძმებს, მაგრამ, ათი კლასი რომ დაამთავრეს რის ვაივაგლახით, მამის ახირებულმა ბრძანებამ — გამხდარიყო ერთ-ერთი „მწიგნობარი“, ორივე გაიოგნა. სწავლის გაგრძელებაზე ლაპარაკი იმდენად უჩვეულო და უცხო იყო მათთვის, რომ შინდნენ კიდეც. სიკვდილი ერჩიათ წოგნებში თავის ჩარგვას, მაგრამ მამისთვის სიტყვის შებრუნებას ფიქრშიაც ვერ ბედავდნენ, სახე წამოუჭარხლდათ და ისე აზლუქუნდნენ, რომ მალაქიას შეებრალა შვილები. ლიზა, ძალა-ტყავად ქცეული მისი ცოლი, კრინტს ვერ სძრავდა, რადგან კარგად იცოდა ქმრის ხასიათი და ატირებული სისონა და სამუელი დატუქსა. მალაქიას ვერ გადაეწყვიტა, რომელი შვილი გაეწირა (ბოლოს და ბოლოს, მამა იყო და გულში არც ერთი არ ემეტებოდა), სხვა ვერაფერი მოიფიქრა, თავისი ძველი ფაფახი გამოიტანა, შიგ ზოგი სუფთა და ზოგიც ფანქრით ჯვარდასმული ქაღალდის ოთხად გაკეცული ნაკუწები ჩაყარა და კრაველის ქუდი მაგიდაზე დადო. წილისყარა სამართლიანად ჩატარდა: ძმებმა ერთდროულად ჩაყვეს ხელი ფაფახში. ჯვარდასმული ქაღალდის ნაკუწი, მალაქიას ნებით „მწიგნობრად“ გახდომას რომ ნიშნავდა, სამუელს ერგო. სისონა სიხარულისგან ხტუნავდა და ცრემლებს ხელისგულებით იწმენდდა. სამუელი მაგიდასთან იდგა გაუნძრევლად და ქაღალდის ნაგლეჯს დაზაფრული დაჰყურებდა.

— აწი შენ იცი, — უთხრა მას მალაქიამ მოთავებული საქმით კმაყოფილმა და აცუნდრუკეებულ სისონას ბრაზიანი თვალებით გადახედა.

ასე არგუნა ღმერთმა სამუელს „მწიგნობრის“ ბედი და ისიც, განგებას დამორჩილებული, უსიტყვოდ შეუდგა მძი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ულლის ტარებისთვის მზადებას. ოღონდ, სისონას მიმართ შურს წილისყრიდან მოყოლებული ვერ მალავდა და თავს უსმართლოდ დასჯილად თვლიდა. ძმებს შორის ურთიერთობა თანდათანობით, დღიდან დღეზე ცივდებოდა და უხეშდებოდა. ძნელი ასატანი იყო წიგნებში ჩაფლული სამუელისთვის დილაობით მალაქიასთან ერთად სამუშაოზე მიმავალი სისონას დანახვა სადურგლო ხელსაწყოებით გამოტვნილი ტილოს ტომსიკით ხელში. ხუთი წელი გრძელდებოდა მომავალი „მწიგნობრის“ ოფლის ღვრა, რომელსაც ისე იტანდა, როგორც მოსახად ჭირს. ბოლოს და ბოლოს გასრულდა განსწავლულობის ჯოჯოხეთური გზა და სამუელი ვექილი გახდა. მალაქიას ჯახრის წყალობით, უფრო სწორად, მექრთამე ჩინოვნიკის ყოველსშემძლეობის წყალობით, ათი თვე დიდ ჯამაგირიანი სამსახურის გამოძებნას დასჭირდა და მალე სამუელისთვის წიგნზე ოფლის ღვრა ბუნდოვან მოგონებად იქცა. დადგა განცხრომის, გაზულუქების თუ უდარდელობის ჟამი და ძალად გაგექილებული გაყოყლოჩინდა. მაგრამ, საკვირველი ის იყო, რომ ხელოსანი ძმის მიმართ შური ისევ უღვიოდა გულში. სისონამ, თანდაყოლილი ნიჭის წყალობით, იმ ნიჭის, შთამომავლობით რომ გადადიოდა მკერვალთა მოდგმაში, სამუელის განსწავლულობის წლებში მამის სახელის დაჩრდილვაც კი მოასწრო, ისეთი „ოქროს ხელები“ აღმოაჩნდა.

გადიოდა დრო. ძმები უცხონი ხდებოდნენ ერთმანეთისთვის, ნებით თუ ძალდატანებით თავ-თავიანთ გზას დაადგნენ ცხოვრებაში და მათი საფერფლიც და საქმეც განსხვავებული გახდა. მალაქია მკერვალი ახირებული კაცივე იყო და ამპარტავანიც და სწორედ ამის გამო არ იძჩნევდა იმ სიხარულს, პორტფელიანი ვექილი შვილის დანახვისას რომ გრძნობდა. მერე ლიზასთან წყნარი ცხოვრება მოეხასიათა, შვილებსაც უბრძანა, ცალ-ცალკე ეცხოვრთ და ისინიც უსიტყვოდ დაემორჩილნენ მამის სურვილს — დურგალმა თავისი ხელით აიშენა პატარა სახლი ქალაქგანაპირას, ვექილმა კი ბინა იყიდა თანამდებობის ხალხით დასახლებულ უბანში. დღიდან დღეზე ტყუპ ძმებს ერთმანეთთან აღარაფერი აკავშირებდათ. ბოლოს და ბოლოს ერთი ვექილი იყო, მეორე — დურგალი. მაგრამ, სამუელს მაინც შურდა სისონასი, რადგან მას ბედმა პორტფელი დაუჭერინა ხელში, ძმას კი — შალაშინი. ვექილად გახდომის დღიდან გადაწყვიტა მოძღვრად დადგომოდა დურგალს და ამით მაინც მოეფხანა ვული. იმდაც, რახან ცოდნას ეზიარა, უცილობლად მიაჩნდა ყოველდღიურ ცხოვრებაში ჭკუა დაერიგებინა ძმისთვის.

ამასთან ერთად, ცდილობდა სისონასგან გამორჩეული ყოფილიყო ქცევითაც და გულდაგულ სწავლობდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, კეთილშობილურ ჟესტებსა თუ მიხრა-მოხრას. რა თქმა უნდა, ამას ვერ ახერხებდა და ყოველი მისი მოძრაობა იყო სასაცილო და ყალბი. სისონა არაფრად აგდებდა ვექილი ძმის რჩევა-დარიგებებს, ყურსაც არ აპარტყუნებდა შენი შვნებზე და მშვიდად აკეთებდა იმას, რისი გაკეთებაც მოეხასიათებოდა. სამუელს აღიზიანებდა ეს. ვერ ეგუებოდა აზრს, რომ „უსწავლელი კაცი“ მის მიმართ გულგრილობას იჩენდა. „მერე რა, რომ ძმაა, — ფიქრობდა ხშირად. — სხვა თუ არაფერი, მისი წონა წიგნები მაქვს წაკითხული“. სისონა კი თავის ტყუპის ცალს ისევე უყურებდა, როგორც ადრე და მისდამი განსაკუთრებული პატივისცემის გამოჩენა ფიქრადაც არ მოსდიოდა. სამუელი ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა, რომ ძმას დამოუკიდებლობას ვერ წაართმევდა და მალე შური მტროობად ექცა. ეს მოხდა მაშინ, როცა სისონამ შინაურებისგან დაუკითხავად ცოლის მოყვანა გაბედა (იმ წელს ტყუპები ოცდასამის გახდნენ). მალაქიას არც წყენია შვილის დაოჯახება, არც

ლევან მალაშონია
ილგალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახარებია. ლიზა წამდაუწუმ პირჯვარს იწერდა სახეგაბადრული. სამუელი კი ძმის დამოუკიდებელი ნაბიჯის გადადგმამ ისე გააღიზიანა, რომ გონება აემღვრა და პატარძალს ხმას არ სცემდა მთელი ორი თვე. — თავისი ჭკუით სისონას სჯიდა და ასეთ ბრიყვულ საქციელს იმით ამართლებდა, რომ ქალს „ხშირ წარბებს“ უწუნებდა. „ოქროს ხელებიან“ დურგალს აინუნშიაც არ ჩაუგდია პორტფელიანი ძმის ფეხორა. სამუელი გაცოფდა: „როგორ ბედავს თავის ჭკუაზე სიარულს! ჩემი აზრი მისთვის კანონი უნდა იყოს“, — ფიქრობდა იგი და ცდილობდა სისონა ისე დაესაჯა, რომ ხელოსანს ნაბიჯის გადადგმაც ვეღარ გაებედა მისდა დაუკითხავად.

„ქვეყანა პატივს მცემს და ეს არაფრად მაგდებს“, — მხრების აჩეჩვით ჩაილაპარაკებდა ვექილი ზოგჯერ და ელოდა იმ წუთს, როცა სისონა იძულებული გახდებოდა ეღიარებინა ძმის ავტორიტეტი, მაგრამ შემთხვევით, სრულიად მოულოდნელად, თავისი ყურით მოისმინა, თუ როგორ მიაჩნდათ მეზობლებს დურგალი, მას კი, სამუელს, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე ადვოკატს, მასხრადაც იგდებდნენ.

იმ დღეს უზარმაზარი პორტფელით ხელში სამსახურიდან ბრუნდებოდა დაღლილი, რადგან დილიდან საღამომდე უსაქმოდ იჯდა ყვითლად შეღებილ ოთახში. ზაფხული იყო. ახლად მორწყულ ეზოში შედგა თუ არა ფეხი, თავის სახელს მოჰკრა ყური და უნებურად შეჩერდა. მეზობლები ტალავერში მრგვალი მაგიდის გარშემო ძელსკამებზე ისხდნენ და დომინოს თამაშობდნენ.

— ღმერთივით კაცია, — ხმამაღლა ამბობდა ფეხზე მდგომი პიჟამოიანი მელოტი.

— ასეა ნამდვილად, — დაუდასტურა ვიღაცამ. — სისონასთანა კაცი სანთლით საძებარია.

— აბა მის ძმას კი არ ჰგავს, — თქვა მეორემ, — მოდი და დაიჯერე ამბავი, რომ ტყუპები არიან. ცა და დედამიწაა, რომ იტყვიან, ესაა.

— სამუელს ნუ მიხსენებ თუ ხათრი გაქვს, გაფხვერილი რომ დადის და დაათრევს იმხელა პორტფელს, — თქვა ისევ მელოტმა და მეზობლებს მიუჯდა.

— რა უყრია ნეტა შიგ? — დაინტერესდა ერთი.

— მაგას რომ ჭკუა ჰქონოდა, მამის ხელობას გაჰყვებოდა, — თქვა ვიღაცამ.

— სამუელისნაირი კაცი რომ ადვოკატი გახდება, ქვეყნის დაღუპვას არ ნიშნავს ეს? — იკითხა მელოტმა.

— უსათუოდ, — დაუდასტურა გვერდით მჯდომმა.

— ეჰ, ყველაფერი რომ უკუღმართად ხდება! — ამოიოხრა ულვაშამ, — იმასაც მოვესწარით, რომ რეგვენი ტვინით გატენილს ჭკუას ასწავლის. რა უბედურებაა ეს!

— ჰო, აბა! — წამოიძახა სხვამ, — სამუელი სისონას ჭკუის სწავლებას როგორ უბედავს, მე ეს მაინტერესებს.

— ამის შემდეგ რაღა უნდა გიკვირდეს, — თავი გაიქნია მელოტმა.

გაქვავებული და რეტდასხმული სამუელი ადგილზე იდგა და ნაბიჯის გადადგმასაც ვერ ახერხებდა. მაგრამ იმის შიშმა, მეზობლებმა არ შემნიშნონო, ძალა შესძინა, ელდანაკრავივით შეტრიალდა, ეზოდან ქუჩაში გავარდა, გაზეთის ჯიხურთან ·ჯგროდ შეყრილ ხალხს წამით თვალი შეავლო და მოეჩვენა, რომ ისინიც მასზე ლაპარაკობდნენ...

დიდხანს დაბორიალებდა აღმა-დაღმა უმიზნოდ და მეზობლების სიტყვებს გონებიდან ვერ იცილებდა. თურმე როგორ უყურებს ხალხი! „აქამდე როგორ ვერ ვხედავდი ამას, — იმეორებდა გულში და უზარმაზარი პორტფელი წამდაუწუმ ხელიდან ხელში გადაჰქონდა. — რითი უნდა მჯობდეს უწიგნური სისონა მე! ასე რამ გამოატვინა მთელი მეზობლობა. ხალხი მაინც ბნელია“, — სიმწრით ფიქრობდა უთავბოლო სია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულით ქანცგაწყვეტილი სამუელი, სახეზე ხვიოქი გადასდიოდა და გამვლელ-გამომვლელს უნებურად თვალს არიდებდა. როგორ ნატრობდა მოეძებნა სადმე ისეთი ადგილი, სადაც კაცის ჭაჭანებაც არ იქნებოდა, რომ იქ სული მოეთქვა! „მე ვარ რეგვენი და სისონა ტვინით გატენილი?“ — გაოგნებული ეკითხებოდა გუნებაში საკუთარ თავს და დაქადნებით ხმადაბლა იმეორებდა: ვნახოთ, ვინ ვარ და რა ვარ! ვნახოთ!

ზაფხული ისე მიიწურა, რომ შემთხვევა არ მიეცა, სხვა თვალით შემოეხედა მისთვის მეზობლობას. ეს აღიზიანებდა, აფორიაქებდა და ნატრობდა იმ წუთის დადგომას, როცა ხალხი მოკრძალებით მოიხსენიებდა.

ასეთი დღე სექტემბრის ერთ წვიმიან დილას გათენდა სამუელისთვის.

სადარბაზოდან გამოდიოდა, როცა ზემოდან, მეხუთე სართულიდან, დედაბერმა რაღაც გადმოიძახა. სამუელს მოეჩვენა, რომ ახლაც მისი მისამართით ილანძღებოდა მეზობელი. შემცბარი შეჩერდა და მაღლა აიხედა: დედაბერი აივანზე იყო გადმომდგარი და ცდილობდა ეზოში გაშლილი ქოლგით მდგომ ხანშესული ქალისთვის ხმა მიეწვდინა:

— თუ დასველდა, დავიღუპე და ესაა, ნორა!

— დღესვე უნდა აიტანო, დღესვე, — ასძახა ქოლგიანმა ქალმა.

— ჰო, მარა, სად ვნახო ახლა მუშა, სად ჯანდაბაში...

— დღესვე თუ არ აიტანე, გაგიოხრდება ცემენტი, — ისევ ასძახა ქოლგიანმა.

— რაღა ვქნა, რა მეშველება. თუ სადმე მუშას წაიწყდი, გამომიგზავნე, ჩემმ ნორა, შენი ჭირიმე, — იხვეწებოდა დედაბერი.

— უსათუოდ, უსათუოდ. მანამდე გადაფარე რაღაც, — ურჩია ქოლგიანმა და ქუჩისკენ გასწია.

სამუელმა ახლა შეამჩნია, რომ სადარბაზოს გარეთ, კიბესთან ახლოს, ცემენტით სავსე ოთხი ტომარა ეწყო. თურმე დედაბერს თავისი დარდი ჰქონდა, სამუელი ვის ახსოვდა! გულზე ხელ-ვლეტი მოეშვა, თავისუფლად ამოისუნთქა და ეზოდან ნელი ნაბიჯით გავიდა.

რა თქმა უნდა, ეს უმნიშვნელო შემთხვევა სამუელს არც დაამახსოვრდებოდა, იმავე საღამოს, შებინდებისას, სისონა რომ არ სწვეოდა სტუმრად „ხშირწარბებიან“ მეუღლესთან ერთად. თუმცა თვითონ ამ დროს შინ არ იყო. წვიმდა გადაუღებლად. დურგალს კიბესთან დაყრილი ცემენტის პარკები რომ დაუნახავს, ვიღაცისთვის უკითხავს, ვისიაო და პასუხი რომ მიუღია, დაუვლია ხელი ტომრებისთვის და თავისი ზურგით სათითაოდ აუთრაქავს პატრონისთვის მეხუთე სართულზე. ისე რომ დედაბერს არც დანახვებია. ეს ამბავი მთელ ეზოს მოედო. სიხარულისგან დაბნეული დედაბერი ენას ვერ ატრიალებდა თურმე და გულში მჯიღს იცემდა. მის კართან შეყარული მეზობლები ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს. დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, სისონას ლოცავდა. მანამ არ გარუმდნენ, სანამ დედაბერს ღაპაღუპით არ წამოუვიდა ცრემლები. იმ საღამოს სამუელი გვიან დაბრუნდა სამსახურიდან. ძმა და რძალი წასულები დახვდნენ. მაგრამ ცოლისგან, რა თქმა უნდა, ყველაფერი დაწვრილებით შეიტყო. ქალბატონმა ლოლამ (მისმა მეუღლემ) კაკალ-კაკალ ჩამოუთვალა, ვინ რა თქვა და როგორ თქვა სისონაზე. უფრო მეტად რომ გაეხელებინა ქმარი, ერთიორი საკვბარი სიტყვა წაუმატა გაკაპასებულმა. სამუელს თვალი არ მოუხუჭავს იმ ღამით. „მე მაგათ ვიჩვენებ ვინ ვარ და რა ვარ“. — მერამდენედ იმუქრებოდა გუნებაში და ლოგინში მოუსვენრად ტრიალებდა.

გამთენიისას გამოსავალს მიაგნო თავისი ჭკუით, დამშვიდდა, დაწყნარდა და მოთენთილს ჩაეძინა. შვიდზე მაინც გამოეღვიძა, წამში ყველაფერი გაახსენ-

ლევან მალაზონია
ილგალი

და, გახარებულმა ტაში შემოჰკრა, აფორიაქებულმა ჩაიცვა, მძინარე ცოლს გაურკვევლად რაღაც ჩასძახა და მისთვის უჩვეულო ჩქარი ნაბიჯით გარეთ გავარდა. დაახლოებით თორმეტი საათისთვის დაბრუნდა იღლიაში ამოჩრილი გრძელი ქუჩქით, მეორე სართულზე მცხოვრებ უცოლშვილო მარტოხელა პენსიონერს, ახლა რომელიღაც ინსტიტუტში ღამის დარაჯად რომ მუშაობდა, საჩუქრად მიართვა, გაოცებისაგან პირდაღებულ მოხუცს ღიმილით თავი დაუკრა, მხარზე ხელი მოუთათუნა და სახეგაბადრულმა ეზოს გადახედა. თითქოს ჯიბრზე, ქვევით, დომინოს სათამაშო მაგიდასთან არავინ იყო! აივანზედაც არავინ ჩანდა! მაგრამ ამას გუნება არ შუეცვლია სამუელისთვის, რადგან წარმოდგენილი ჰქონდა, რა მითქმა-მოთქმა ატყდებოდა სულ მალე მის გულისხმიერებაზე მთელს უბანში. ლოლამ წარბები შეკრა ჯერ, ქმარს რეგვენიც უწოდა „გადაყრილი ფულისთვის", მაგრამ, ბოლოს, როცა ჩახედა ვეჭილის შორს გამიზნულ ჩანაფიქრს, მოლბა და „ეშმაკ მეუღლეს" ფერება დაუწყო.

ვეჭილის ჩანაფიქრი ძალზე მარტივი იყო: მას სურდა მცირე მსხვერპლის გაღებით და ხელის ერთი დაკვრით კეთილი და გულისხმიერი კაცის სახელის მოხვეჭა მეზობლობაში. მერე მისი გმირობა მოედებოდა უბანსაც, გასცდებოდა ქალაქს და მიაღწევდა, ვინ იცის, სადამდე! მაგრამ მოხდა დაუჯერებელი, თითქმის ფანტასტიკური რამ: არსად კრინტიც არ დაუძრავს ვინმეს სამუელის სიკეთეზე! მოხდა უარესი, თითქმის ზღაპრული და აუხსნელი: თვით მოხუცი პენსიონერი, მარტოხელა კაცი, ზამთარში რომ თხელი პლაშჩით მორიგეობდა ინსტიტუტში ღამის დარაჯად, ხმას არ იღებდა! არც კარგს ამბობდა, არც ავს და თავი ისე ეჭირა, თითქოს სამუელს ნათხოვარი ქურქი მიეტანოს მისთვის უკან.

ისევ თეორად ათვნებდა ღამეებს ვეჭილი იმის მოლოდინში, იქნებ ვინმეს ღმერთი გაუწყრეს და ენა ამოიდგასოფ. მაგრამ ამისი არავითარი ნიშან-წყალი არ ჩანდა და მაშინ გულგასივებულმა სამუელმა გადაწყვიტა თავად გაეცნო მეზობლობისთვის საკუთარი თავი.

ერთხელ, გვიან საღამოს, როცა ნათურის შუქზე ეზოში დომინოს თამაშობდნენ, ძელსკამზე ვეჭილი ჩამოჯდა უზარმაზარი პორტფელით ხელში. პიქამოიანი მელოტი იმ წამს იქ არ იყო. მეზობლებმა გვიან შენიშნეს სამუელის მოსვლა და ერთმანეთს უხმოდ გადახედეს.

ვეჭილმა სავალდებულოდ ჩათვალა ერთი ორჯერ ჩაეხველებია და მერე, ყოველგვარი შესავლის გარეშე ხმამაღლა თქვა:

— ძაღლის ბედი ჰქონია ჩვენს გერონტს, ძაღლის...

მეზობლებმა ისევ უხმოდ გადახედეს ერთმანეთს.

გერონტი იმ მარტოხელა დარაჯს ერქვა, ვისაც სამუელმა ქურქი უსაჩუქრა.

— დომინოზე? — გაკვირვებით იკითხა ლაჟაკა სახის მქონე მეზობელმა და ვეჭილს თვალებში ჩახედა.

— არა... მე სხვა მინდოდა მეთქვა... თუმცა, რა ვიცი, იქნებ დომინოშიაც აქვს ბედი ჩვენს გერონტს, — თქვა სამუელმა და ნაძალადევად გადაიხარხარა.

სიჩუმე ჩამოვარდა უხერხული, უსიამოვნო.

— სათამაშოდ მოხვედი? — აგდებულად ჰკითხა ვიღაცამ ვეჭილს.

— რას ამბობ, თქვენთან თამაშს როგორ გავბედავ... ჩამოვჯექი ისე... ერთი წუთით. ჰო... კინაღამ გადამავიწყდა... სხვათა შორის, საცოდავ გერონტის ამ ზამთარში სიცივე აღარ შეაწუხებს. გუშინ ფეხდაფეხ დამდევდა მადლობის სათქმელად საწყალი. კოცნით დამახრჩობს, ვიცი, თუ ხელში ჩამიგდო, ჰოდა, მეც გავურბივარ. ისე, ბედი ჰქონია მართლა, ზუსტად მისი ზომის ქურქს წავაწყდი უნივერმაღში ნაცნობი სპეკულანტის წყალობით, გულმა არ მომითმინა და ვუყიდე. რა მნიშვნელობა

აქვს, რამდენად. იმ გახუნებული პლაშჩით რომ ვხედავდი ყინვაში, ასე მეჩვენებოდა, თითქოს მე ვიყავი მის წინაშე დამნაშავე და თვალს ვარიდებდი, — ცრუობდა სამუელი.

— რაო, რაო? — ჰკითხა ლაჟლაჟასხიანმა გაკვირვებით.

— არაფერი... ისე, მინდოდა მეკითხა, ხომ არ აჯობებდა ამ ქუჩის ფული თვითონ გერონტისთვის მიმეცა... ვინ იცის, რაში დასჭირდებოდა. პატრონი ხომ არავინ ჰყავს...

სამუელი მზად იყო, როგორც სჩვეოდა, ღილამდე ეკრეფა, განეწყო კიდეც საამისოდ, მაგრამ აგდებული ტონით მოლაპარაკემ არ დააცალა და პირდაპირ მიახალა:

— ან ითამაშე, ან წადი. ხელს ნუ გვიშლი. ფეხებზე მკიდია გერონტის ქუჩს! აჩუქებ თუ ფულს, — დომინოს ქვას ხელი დაავლო, მთელი ძალით მაგიდაზე დაათხლიშა და გაბრაზებულმა დამუქრებით დაიყვირა: — ექვსიანი!

სამუელს თვალები გაუფართოვდა, უხმოდ წამოდგა და სადარბაზოსკენ გაიძურწა გაფითრებული. კიბესთან პიჟამოიანი მელოტი შემოხვდა, ვერ შეამჩნია და ისე ჩაუარა, რომ არ მისალმებია. მელოტმა იწყინა ეს და გულმოსულმა მიაძახა:

— რას იბერები, თუ კაცი ხარ! აღარც სალამს კადრულობ? სხვა თუ არაფერი, უფროსი ვარ შენზე!

სამუელს ბუნდოვნად ჩაესმა ეს სიტყვები, იგრძნო, რომ ისინი მის სალანძღავად იყო თქმული, მაგრამ ვერ გაიგო, რისთვის დაადევნეს ახლა გინება და უხმოდ კიბეს აუყვა.

შემოდგომა ისე გავიდა, ძმებს ერთმანეთი არ უნახავთ.

დეკემბრის ერთ სუსხიან დილას სამუელი თავის ყვითლად შეღებილ კაბინეტში ფანჯარასთან იდგა და ხან ჰაერში მოფარფატე თოვლის ფანტელებს გაჰყურებდა, ხან ქუჩაში მიმავალ მობუზულ გამვლელებს. ოდნავ შემთბარ რადიატორს ხელი დაადო, თავი უკმაყოფილოდ გაიქნია და ისევ ხალხს გადახედა დაბლა. წამით მოეჩვენა, რომ ყველას, ვინც ქვევით, ქუჩაში დადიოდა, ისეთი ქურქი ეცვა. როგორიც აჩუქა მან მარტოხელა დარაჯს. ფანჯრას ზურგი შეაქცია და ანგარიშმიუცემლად რადიატორი ისევ მოსინჯა ორივე ხელით. „ვინ გიფასებს სიკეთეს“, — გაიფიქრა და ყვითელ კედლებზე ჩამოკიდულ სურათებს მოავლო თვალი.

— მოხვედი უკვე? — მოესმა უცებ და მისმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა კარი ბოლომდე შემოაღო.

სამუელმა თავი უხმოდ დაუქნია და სამუშაო მაგიდისკენ გაემართა. კაბინეტში შემოსული წლოვანებით მასზე უფროსი იქნებოდა, უზარმაზარი, ნახშირივით შავი ქოჩორი ჰქონდა და ძლიერი ტემბრის როხროხა ხმა.

— მოხდა რამე? — უგულოდ ჰკითხა სამუელმა და სკამზე დაჯდა.

— ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ასეთი ძმა გყავდა, — თითქმის დაიღრიალა შემოსულმა და მაგიდას მუშტებით დაეყრდნო.

სამუელი უხმოდ მიაჩერდა ქოჩრიანს და გაიტრუნა.

„ახლა ამანაც თუ სისონას ქება დამიწყო, მისი მოგზავნილი იქნება“, — გაიფიქრა.

შემოსულმა ქოჩრარ ორივე ხელის თითებით რამდენჯერმე შეივარცხნა, მაგიდის სილრმეში შედგმული სკამი ფეხით თავისკენ მიიჩოჩა, ზედ დაჯდა, გულმოდგინედ ამოახველა და როხროხით ამბის მოყოლა დაიწყო.

— ამ დილით სისონასთან გავგზავნე ჩემი შოფერი. ხომ გახსოვს, მუხის კარებს რომ შემპირდა, სახლში აღარ მიშვებს ცოლი, საახალწლოდ მაინც გაიკეთებინეო. ჰოდა, გავუგზავნე „დღეს დოდიკა. ცივი უარი უთქვამს მაშინვე და ავადმყოფობა მოუმიზეზებია შენს ძმას. მისი ცოლიც კატეგორიულ უარზე ყოფილა, ჯერ სამუშაოდ ვერსად გავუშვებო. დაუწყია ხვეწნა ჩემი სახელით დოდიკას, შენზე უკეთეს ხელოსანს

ლევან გალაბონია
ილგალი

სად ვიშვავთო, აქეთური, იქითური; ერთი სიტყვით, არაფერმა არ გაჯრა თურმე. მარცხენა ხელი რომ ჰქონდა შეხვეული სისონას, ეს გვიან შევნიშნეო, დოდიკა მეუბნება. ჩაძიებია, რა მოგვივდა, სადმე ყინულზე ფეხი ხომ არ დაგიცდაო. სისონა თურმე ერთი და იგივეს იმეორებდა — ავად ვარ, თავი გამანებეთო. შეგატყვე, რაღაცას მიმალავდა და არ მოვეშვიო, დოდიკა მეუბნება. სისონას არაფრით არ უნდოდა თურმე ეთქვა, რაც გადახდა. ბოლოს მის ცოლს ამოუდგამს ენა — დასამალავი რა გვაქვსო და თვითონ უამბია დოდიკასთვის დაწვრილებით ყველაფერი...

ოჩრიანი ხმას თანდათან უმაღლებდა და მისი როხროხი ღრიალს ემსგავსებოდა.

თურმე რა მომხდარა ორი კვირის უკან:

გვიან ღამით, სადურგლო ხელსაწყოებით სავსე ტომსიკით ხელში, სისონა შინ ბრუნდებოდა ტრამვაით. ცარიელი ვაგონიდან რომ ჩამოვიდა, ფეხით გაუყვა თავის უბნისკენ მიმავალ ქუჩას. ირგვლივ თითქმის ბნელოდა, აქა-იქ თუ ბჟუტავდა ნათურები. შორიახლოდან ყრუ კვნესა მოესმა, შეჩერდა და სმენადაძაბულმა ირგვლივ მიმოიხედა. ქუჩის მარცხენა მხარეს, გაზონებთან ახლოს, ვიღაც ეგდო პირჩაღმა და მთელი ტანით ოდნავ ინძრეოდა. სისონა გონდაკარგულს მივარდა, სადურგლო ხელსაწყოებით სავსე ტომსიკა მის თავთან დაიგდო და უცხოს მუცლის ქვეშ სისხლის გუბე შეამჩნია. წამოყენება დაუპირა, მაგრამ ვერ შეძლო და დაჭრილი ფრთხილად გულაღმა დააწვინა. მოულოდნელად ვიღაცებმა ჩამუხლულ სისონას წიხლები ჩასცხეს ფერდებსა და ბეჭებში. დურგალი თავის ტომსიკას ეცა, იქიდან მოკლეტარიანი ნაჯახი ამოაძრო, წამოიმართა და მომხდურებს მოუდგა. შორიახლოდან გამვლელების ყვირილი მოისმა. მომხდურები დაფრთხნენ და გაიქცნენ. მერე სისონასთან ვიღაც კოველის ქუდიანი კაცი მივიდა, დაჭრილს დახედა, სინანულით თავი გადაიქნია და წავიდა. ღურგალმა ნაჯახი ტომსიკაში ჩააგდო და ტრამვაის ხაზისკენ გაიქცა, იქით, სადაც მილიცია ეგულებოდა. მორიგემ მაშინვე გამოუძახა სასწრაფოს და სისონას ორი ახალგაზრდა ლეიტენანტი გააყოლა დაუყოვნებლივ. ათ წუთში თეთრხალათიანებიც მოვიდნენ. დაჭრილი ისევ ინძრეოდა ოდნავ მთელი ტანით; ფრთხილად საკაცეზე დაიწვინეს და სასწრაფო დახმარების მანქანაში მოათავსეს. ახალგაზრდა ლეიტენანტებმა სისონას ხელმეორედ გამოკითხეს, რაც იცოდა და თხოვეს გაჰყოლოდათ. ის ღამე დურგალმა მილიციის საპატიმროში გაატარა.

— გამოყენულ კამერაში შეაგდეს თურმე პანღურის კვრით, — ღრიალებდა ქოჩრიანი და ცდილობდა რაც შეეძლო გადაჭარბებულად მოეთხრო მომხდარი ამბავი, — სიკვდილის პირას მიყვანილი კაცი გადაარჩინა და მადლობის მაგიერ მთელი კვირა კარცერში აყურყუტეს, — ეშხში შედიოდა ქოჩრიანი, — ამდენი აწვალეს და არც შეგვატყობინა, ხედავ, შენ?! ასეთი ძმა თუ გყავდა, ვაქკაცი და რაინდი, ნამდვილად არ მეგონა.

„ამან მეზობლებთან პირი ხომ არ შეკრა“, — გაიფიქრა სამუელმა და ძალდატანებული სიმშვიდით, თითქოს და სასხვათაშორისოდ, თქვა:

— ჰო... ასეა... ჩემს ძმასაც ცუდად იცნობენ და... მეც. რას იზამ, უარესი ხდება...

ქოჩრიანმა დიდხანს

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ქილს შეხვედრისთანავე აჩერებდნენ და ძმას მომაბეზრებლად უქებდნენ.

„აღარ მასვენებენ, წარამარა იმ გაუთლელს ახსენებს ყველა. როგორ აქებენ, უტვინოები! მალე გიჩვენებთ, ვინ ვარ მე!“ — წამდაყოლ ფიქრობდა სამეული და ამ აუტანელი მდგომარეობიდან გამოსავალს სულმოუთქმელად ეძებდა. გაუთავებელ ლაპარაკს დროდადრო უკლო, ძველ-რბილში გამჯდარი ჩვეულ კი შეეცალა და დარდმა უენო და ჩუმ ვექლად აქცია. ბევრს უკვირდა სამეულის ასეთი გამოცვლა და მხრებს იჩეჩავდნენ. ქალბატონი ლოლა კი დაშინებული თუ დამფრთხალი ადევნებდა თვალს დადუნჯებულ ქმარს.

მეზობლის დედაბერს დასანახავადაც ვერ იტანდა სამეული, იმას, რომელსაც სისონამ ცემენტით სავსე ტომრები აუთრაკა მეხუთე სართულზე. მაგრამ, ერთხელ სადარბაზოს კიბესთან დალანდა ქალი და სრულიად მოულოდნელად დიდებული ახრი დაებადა. მაინცდამაინც განსაკუთრებული არაფერი მოუფიქრია, ოღონდ, მთავარი ის იყო, რომ ვექილმა უკვე ნაცადი ხერხის ახლებურად გამოყენება გადაწყვიტა. ერთი სიტყვით, სამეულმა ცოტაოდენი ჯახირის შემდეგ იმ დედაბერს, დასანახავადაც რომ ვერ იტანდა, პენსია გაუდიდა და ეს ამბავი თავად ამცნო მეზობლობას სახეგაბრწყინებულმა კვირა დღეს. ჭრელ-ჭრელ ხალათებში მობუზული ქალები ვედროებით ხელში სანაგვე მანქანასთან დალანდა დილაადრიან თავმოყრილი. მხოლოდ დედაბერი არ იყო მათ შორის იმ წუთს. სამეულმა თავმოყრილი მეზობლები აივნიდან დაინახა, ლოლას ნაგვით სავსე ვედრო ხელიდან გამოსტაცა და თითქმის სირბილით კიბეზე დაეშვა. ეზოში ჩასვლისთანავე ყველას ხმამაღლა მიესალმა ორსართულ ჯაზგასმული მოკრძალებით მობუზული ქალების უკან დადგა მანქანიდან მოშორებით. ყურადღება არავის მიუქცევია მისთვის და მაშინ სამეულმა ძარაზე მდგომ შავგვრემან შოფერს თითქოსდა სხვათა შორის გასძახა:

— საცოდავ ელენეს არ გაუგონია ალბათ შენი ზარის ხმა, ეზოში ჩამოსულა ვლაც უჭირს საწყალს. ასე იცის მოხუცებულობამ. მე ჩამოვიტანდი მის ნაგავს, მარა, კართან არ ჰქონდა ვედრო გამოდგმული. ისე, რაც შემეძლო, გავუკეთე, სხვათა შორის. პენსია გაუდიდეს და ცოტას ჩაინც მოითქვამს სულს. ვინმეს არ ეგონოს, ვტრაბახობდე, მარა, ძალიან ძნელია ახლა ასეთი საქმის მოგვარება. ბევრი სირბილი დამჭირდა, ნამდვილად. ამას არ ვჩივი... მთავარი ისაა, რომ გაკეთდა საქმე. შავი დღისთვის ფულს ცოტას მაინც დააგროვებს, საცოდავი...

ასე უტიფრად ლაპარაკობდა სამეული იმ დედაბერზე, რომლის გახსენებაზეც კი ფითრდებოდა სისონას გამოისობით.

ვექილის სიტყვები თითქოს არც გაუგონიათო, კრინტიც არავის დაუძრავს. მხოლოდ ორმა-სამმა ქალმა უხმოდ ახედ-დახედა და ცარიელი ვედროებით სახლისკენ გასწიეს. მეზობლები თანდათანობით გაიკრიბნენ და დაბნეული სამეული აქეთ-იქით იყურებოდა ნაგვით სავსე ვედროთი ხელში. მანქანაზე მდგომი დოინჯშემოყრილი შოფერი ვექილს მოთმინებით ელოდებოდა. სამეული ადგილიდან არ იძვროდა და შეცბუნებულმა სადარბაზოსკენ გააპარა მზერა. შოფერს ბრაზი მოერია და ვექილს აგდებულად გადმოსძახა:

— ე! ნაგავი! გენანება რო გადაყარო!

სამეული გამოერკვა, შოფერს მწყარალად შეავლო თვალი და მუქარით ჰკითხა:

— რაო, რაო?!

მუქარამ შეაკრთო შოფერი, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხა და ნაძალადევი ღიმილით ჩაილაპარაკა:

— მე ვთქვი, მაიტა გადაყარო, მივდივარ, რა...

ნირწამხდარი შოფერის დანახვამ სამეული გაათამამა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა წამოიყვირა:

ლევან მალაზონია
ილბალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ ვის ელაპარაკები თუ იცი! მე მენანება ნაგვის გადაყრა?! ვინ გგონივარ!

ღრიალზე ორმა თუ სამმა მეზობელმა აივნიდან ეზოში გადმოიხედა — სამუელს არ გამოპარვია ეს და ხმას უფრო აუმაღლა:

— რამდენი წყალწაღებულისთვის გადამიყრია ათასობით ფული, ის არ დამნანებია და ნაგვის გადაყრა დამენანება მე? თვლა თუ იცი იმდენი, რამდენი, მანეთიც მიჩუქებია შენისთანა მათხოვრისთვის! მარტო ელენეს რა სიკეთე ვუყავი! სად არ ვიობინე მისთვის! გვიან გაიგებ, სხვებივით, გვიან, ვინცა ვარ და რაცა ვარ! თუმცა, შენისთანა რეგვენებს რა ესმით ამ ქვეყანაზე. მე მენანება ნაგვის გადაყრა? მე?! — დაიღრიალა ისევ, მერე აივნებს ახედა წამით და ნათქვამის დასადასტურებლად მანქანასთან მიიჭრა, ფეხის წვერებზე აიწია და გადმოპირქვავებული ვედრო ძარის ძგიდეზე რამდენჯერმე ისე ღონივრად დაჰკრა, რომ მთელ უბანში გამაყრუებელი გრუხუნი გაისმა.

აივნები მეზობლებით გაივსო, ერთმა-ორმა გაუბედავად ტაში შემოჰკრა, მაგრამ ვექილი ისე იყო ანთებული, რომ არ გაუგია.

სამუელი ოდნავ დაწყნარდა, ესიამოვნა კიდეც ამდენი ხნის დამუნჯების შემდეგ ღრიალი, გულზე მოეშვა, ცარიელი ვედრო გაიქნ-გამოიქნია, შეათამაშა და სადარბაზოსკენ გამარჯვებული ფალავანივით გასწია ფართო ნაბიჯით.

ორი დღის შემდეგ პირველ სართულზე მცხოვრებ დიფთერიტით დაავადებულ გოგონას სასწაულებრივი წამალი უშოვა ვექილმა. ბავშვი მალე გამოჯანმრთელდა, გაბარებული მშობლები წამდაუწუმ მადლობას სწირავდნენ სამუელს, მაგრამ მან ეს არ იკმარა, მეზობლებს კარდაკარ ჩამოუარა თავაწეულმა და ყველას ცალ-ცალკე ამცნო, თუ როგორ უშველა, როგორაც თვითონ ამბობდა, „სასიკვდილოდ გადადებულ ბაღანას“.

და მაინც არაფერი იცვლებოდა!

ვექილი გრძნობდა, რომ მეზობლებს თავი ვერა და ვერ შეაყვარა; ის კი არადა, ბოლო ხანებში თვალს არიდებდნენ და გაურბოდნენ კიდეც. ადრე გელიან სიტყვებს მაინც იმეტებდნენ მისთვის! საოცარი ის იყო, რომ, რაც დრო გადიოდა, მით უფრო გულგრილობას იჩენდნენ მისდამი, თითქოს ვეღარც ამჩნევდნენ. უკვირდა სამუელს, ძალიან უკვირდა ყოველივე და პასუხისთვის ვერ მიეგნო. იმედს კი მაინც არ ჰკარგავდა, კეთილი კაცის სახელის მოხვეჭის იმედს.

გზაფხულზე ვექილმა მისი სახლის გვერდით სადარბაზოში ნათესავებთან მცხოვრებ ახალ ჯვარდაწერილებსაც უწყალობა სიკეთე: ნეფესაც და დედოფალსაც სამსახური უშოვა სართავ-სატრიკოტაჟო ფაბრიკაში. ოღონდ, ამჯერად მეზობლებს ნასვამმა ჩამოუარა გვიან ღამით და თითოეულს კარებზე ბრახუნით ახარა თავისი „გულკეთილობით ნაკარნახევი ძნელი საქმე“. ყველას მხოლოდ ის უკვირდა, რომ ვექილს ღვინო დაელია ცხოვრებაში ალბათ პირველად და თვალებში დამცინავად მისჩერებოდნენ. ერთმა-ორმა ბრახუნზე კარიც არ გაუღო, სამუელის ხმა იცნეს და შუქი ჩააქრეს.

ვექილი მაინც მოთმინებით ელოდა სახელის მოხვეჭასა და აღიარებას და სწამდა, რომ ადრე თუ გვიან ეს დღე დადგებოდა. — „მალე ბინასაც მივაღებინებენ მაგათ, მტრების ჯინაზე, — ფიქრობდა სამუელი ნეფე-დედოფალზე, — ბინასაც მივაღებინებ და მერე ვნახოთ, რას იტყვიან ჩემზე, მერე თრაქოს ტომრები სისონამ...“

სულწასული და გაანჩხლებული ლოლას ატანა უფრო და უფრო ძნელი ხდებოდა.

თითქოს ბედი დასცინოდა ვექილს და ნაცვლად სახელის მოხვეჭისა, სისონას ქება-დიდება მოესმა ისევ!

ეს მოხდა ახალჯვარდაწერილებისთვის სამსახურის შოვნის მეორე დღესვე. დილით, სამუშაოზე მიმავალმა სამუელმა ეზოში ჯგროდ შეყრილი მოყაყანე მე-

ზობლები დაინახა, ყური მიუგდო ხალხს და გარკვევით მოესმა სისონას ხოტბა! ვეკ-ვილი გახევდა და სუნთქვა შეეკრა. დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი დურგალს ლოცავდა. მერე ხალხის წრეში მომწყვდეულ ფინია ძაღლს მოჰკრა თვალი სამუელმა. კუდის ქიცინინთ და ყეფით რომ მეზობლებს მუხლებზე ახტებოდა. ღამის დარაჯიც იქ იყო და ისიც სისონას აქებდა! ძაღლი სიხარულისგან წკმუტუნებდა, ყეფდა, დახტოდა და დიდსა თუ პატარას ფეხებს უყნოსავდა. სისონას ლოცვა-კურთხევას კი ბოლო არ უჩანდა. სამუელი ერთხანს დაბნეული იდგა ეზოში, მაგრამ, მერე ისე დაინტერესა მომხდარმა ამბავმა, რომ მეზობლებთან ჯიქერ მივიდა და ხმამაღლა იკითხა გაგულისებულმა:

— რა მოხდა ასეთი!

ღამის დარაჯმა რამდენიმე სიტყვით ყველაფერი აუხსნა ვექილს და ისეე სისონას ქებას მოჰყვა. სამუელმა უხმოდ მოავლო ყველას თვალი, ერთი ორჯერ თავი დააქნია და ეზოდან გავიდა. თურმე რა მომხდარა! სრულიად უმნიშვნელო რაშ! სათქმელადაც რომ არ ღირს, ისეთი! და ეს გამოტვინებული ბრბო დამდგარა და სისონას ლოცავს! ამის შემდეგ რა უნდა გაიგო ამ ქვეყნის... თურმე მეზობლის დაკარგული ძაღლი უპოვნია სისონას შემთხვევით ბაზარში, უცვნია და ზინ მიუყვანია. პატრონი სახლში არ დახვედრია დურგალს, ეზოშიც არავინ ყოფილა. მაშინ სისონას ძაღლი ტალავერთან ახლოს, ხეზე მიუბამს და უკან გაბრუნებულა. მისი მოსვლა და წასვლა მხოლოდ პატარა ბიჭს დაუნახავს ავინდან.

ეს იყო და ეს! „ნამდვილად გამოთაყვანება ხალხი, — ფიქრობდა გულგასაიებული სამუელი და ქუჩაში მძიმედ მიაბიჯებდა, — ისე გამოთაყვანდა, რომ დიდსა და პატარა საქმეს ერთმანეთისგან ვერ არჩევს. იმ მიიმუნს რა ბედი აქვს მაინც ასეთი, ერთი დამხრჩვალი ძაღლი ნახა შემთხვევით ბაზარში და ქვეყანა აალაპარაკა“.

გვიან ღამით დაბრუნდა სამუელი შინ ლოლოასგან რომ ლანძღვა აეცდინა. მაგრამ მოტყუვდა: ხელებდაღლიავებულ-გაწიწმატებული ქალი მაგიდასთან დახვდა დამჯდარი...

სისონა დურგალი კი ცხოვრობდა მშვიდად, წყნარად, აუმღვრევლად, უვლიდა ოჯახს, ოსტატურად აკეთებდა კარებს, ფანჯრებს თუ შუშაბანდს, არ არცხვენდა ხელოსანი მკერვალების გვარს და როცა შემთხვევა მიეცემოდა, უხმოდ, უხმაუროდ შველოდა გასაჭირში ჩავარდნილ ახლობელსაც და შორეულსაც. დურგალს ბედმა ცოლიც შესაფერისი არგუნა — ჩუმი, ერთგული, მოფუსფუსე დისახლისი და ოთხი შვილის დედა. მისი გულისხმიერებითა და მზრუნველობით სისონა კმაყოფილი იყო და ამას იმით გამოხატავდა, რომ თვეში ერთხელ ან ორჯერ მხარზე ხელს დაკკრავდა ხოლმე ტლანქად. დურგლის სახელი ქალაქის ყოველ უბანში ისმოდა, მის გულკეთილობაზე რას არ თხზავდნენ... სამუშაოს იმდენს უკვეთავდნენ, რომ საქმეს ვეღარ აუდიოდა. ოჯახში სიმშვიდე და სითბო სუფევდა. დამჯერი და მორცხვი ბუნების ბავშვები ხალისით იჯერებდნენ დედ-მამის ყოველ სიტყვას. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ცოლ-ქმარი ერთმანეთს წაჰხუბებოდა; ოჯახში გამეფებული იყო ურთიერთსადმი ჩუმი სიყვარული და მოკრძალება. ხმამაღალი სიტყვა და ყვირილი ხელოსნის ჭერქვეშ არავის გაუგია.

და, ცხოვრობდა სისონა იმედიანად, უშურველად, უდარდოდ, არჩენდა ოჯახს, ადიდებდა მკერვალების გვარს და უხაროდა, რომ მისი ნახელავი ხალხს მოსწონდა. მაგრამ, განგებამ ინება და დურგლის სიმშვიდესაც მოეღო ბოლო...

ზაფხულის ერთ სულისშემხუთველ შაბათ საღამოს, ქალაქის ძველ უბანში, რომელიღაც ქორწილის დაწყების წინ, მაყრიონის მოსვლისას, ზღვა ხალხის სიმძიმეს ვერ გაუძლო სისონას ნახელავმა ხის კიბემ და ჩატყდა. საბედნი-

ლევან მალაზონია
ილბალი

ეროდ, არავინ დაღუპულა, დაშავდა და დასახიჩრდა ბევრი. ნეფე-დედოფალი და ექვსი მაყარი ძრძნობდაკარგული მიიყვანეს საავადყოფოში...

ამ ამბავმა თავზარი დასცა სისონას და დამუნჯებული ოთახიდან ოთახში დაბორიალებდა შინ. ცოლს იმდენი ჭკუა ჰქონდა, რომ არაფერს ეკითხებოდა და არც დამშვიდება უცდია მისი. გაფითრებული სისონა ხელებს იფშვნეტდა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. „ამის მერე რა პირით შევხვდე ვინმეს, — წამდაუწუმ ეკითხებოდა საკუთარ თავს, — ჩემი ნახელავით ხალხი კინაღამ დავიღუპე. წესიერად რომ გამეკეთებია ის კიბე, უბედურება აღარ მოხდებოდა ალბათ, — ფიქრობდა სისონა და დასახიჩრებული ნეფე-დედოფალი თუ მაყრიონი მოჩვენებასავით თვალწინ ედგა. თავის მართლება გულშიაც არ გაუვლია, თუმცა შეეძლო თამამად ეთქვა, რომ ხის კიბე ზღვა ხალხის სიმძიმეს ვერ გაუძლებდა. „ხელოსანი კი არა, ფინაჩი ვარ მე“, — ეუბნებოდა საკუთარ თავს და ხელების ფშვნეტით ოთახებში დაბორიალებდა.

კიბის ჩატეხის ამბავი სამუელმა მეორე თუ მესამე დღეს შეიტყო და ვერაფრით ვერ დაიჯერა. მერე, როცა ლოლამ თვალები გადმოკარკლა და წვრილად უამბო მომხდარი უბედურება, გაიტრუნა და კარგა ხანს ხმა არ ამოუღია. ვექილი ერთ წერტილს მიაშტერდა და იგრძნო, რომ სახე წამოუჭარხლდა: გულის კუნჭულში გაუხარდა ძმის გასაჭირში ჩავარდნა, მაგრამ სინდისმა წამით გაიღვიძა მასში და ისე გაწითლდა, რომ საფეთქლებზე ძარღვები დაებერა. მაშინვე სისონას ქება-დიდება და ხალხში გავარდნილი სახელი მოაგონდა, შუამა ისევ აუმღვრია გონება, პატივმოყვარეობამ ააკუნდრუკა და დაქადნებით ყრუდ ჩაილაპარაკა:

— უთრიოს ახლა ტომრები მეზობლებს და როგორ დალოცავენ, იმასაც ვნახავ!..

ლოლა უკვე მეოთხეჯერ უყვებოდა სულმოუთქმელად კიბის ამბავს ქმარს რატომღაც გულმოსული, მაგრამ სამუელს აღარ ესმოდა მისი სიტყვებისა. ეგონა, თავის ფიქრებში იყო ჩაძირული და ეჩვენებოდა, რომ ახლოვდებოდა ურჩ, გაუტეხავ ძმაზე მბრძანებლობის წუთი.

— მე რომ არ დავეხმარო, შეიძლება საციხედაც გაუხადონ საქმე, — ჩაიდუდღუნა ვექილმა და ცოლის გაბრწყინებული სახის დანახვაზე კმაყოფილი ტონით დაუმატა, — უჩემოდ სასამართლოზე ბატივით დაიბნევა.

სამუელს იმედი ჰქონდა, რომ სისონა ახლა მაინც მივიდოდა მასთან და ზველას თხოვდა. ერთი კვირე ელოდა ძმას და რახან არ გამოჩნდა და არც არაფერი ისმოდა მისგან, გადაწყვიტა თავად ემოქმედა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ დურგალს უჩივლებდნენ. — ასეც მოხდა. სამუელმა იოლად შეიტყო ყოველივე ნაცნობ ვექილებში, ისიც უთხრეს, სისონას სახელზე სისხლის სამართლის საქმე რომ იყო აღძრული და დაფაცურება. ლოლა საღამოობით ანგარიშს იბარებდა ქმრისგან, უწონებდა ძმისთვის ჯახირს და ახალი დირექტივებით ისტუმრებდა სამსახურში. „ახლა ხომ დაინახავს, ვინ ვარ და რა შემძლებია“, — ფიქრობდა სამუელი სისონაზე და იმის იმედი ესახებოდა, რომ სულ მალე ხალხში წონიანი ვექილის სახელს მოიხვეჭდა. მართლაც, იმდენი ირბინა და ისე მოაწყო ყველაფერი, რომ ხელოსანი გაამართლეს. თუმცა, სისონას ბევრი იცავდა და მათ შორის ორი დაზარალებული მაყარი, მაგრამ, სამუელს რომ არ ეჯახირა, დურგალი მცირეოდენ სასჯელს მაინც ვერ გადაურჩებოდა, ყოველ შემთხვევაში, სასამართლოში თვეობით ყურაუტი არ ასცდებოდა. ასე იყო თუ ისე, ხელოსნის სახელი ხალხის თვალში არ შელახულა. სულ მალე კიბის ჩატეხის ამბავი აღარავის ახსოვდა. სამუელი კი მეზობლებსა და ნაცნობებში წარამარა გაიძახოდა, თუ როგორ გადაარჩინა ძმა დაპატიმრებას თავისი დიდი ავტორიტეტის წყალობით. უსმენდნენ ვექილს. უსმენდნენ მოთმინებით და მერე უხმოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაეცლებოდნენ ხოლმე. „ალბათ არ სჯერათ, ამხელა საქმის გაკეთება რომ მოვახერხე“, — ფიქრობდა სამუელი დამუნჯებული ხალხის დანახვაზე და თავს იმით იმშვიდებდა, რომ დღეს თუ ხვალ ნირწამხდარი ძმა ეახლებოდა მადლობის სათქმელად. მაგრამ სისონასგან ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ამას კი აღარ ელოდა ვეძელი და ერთ საღამოს, ნერვებმოშლილი და გულამდვრეული მიუვარდა ძმას შინ. სისონა გულაღმა იწვა დივანზე შუშაბანდში და მაკრატლით ფრჩხილებს იკრიდა. უდარდელად წამოწოლილი ძმის დანახვაზე სამუელი კიდევ უფრო აენთო და თავის ტყუპისცალს მკვახედ მიახალა:

— უზრდელი ხარ შენ, სხვა სიკეთესთან ერთად, უზრდელი!

სისონა დივანზე წამოჯდა, მაკრატელი სასთუმალთან დადო და სამუელი მშვიდად შეათვალიერა.

ერთმანეთს ახლაც არაფრით ჰგავდნენ ტყუპისცალები.

სისონამ იცოდა ცოლისგან, რომ სამუელმა კიბის ჩატეხის თაობაზე სასამართლოში აღძრული საქმე ჩაფარცხა და გულში ემადლიერებოდა კიდეც ძმას, მაგრამ მასთან საგანგებოდ მისვლა და მადლობის თქმა ზედმეტად მიაჩნდა.

— რა ბზიკმა გიკბინა, — წყნარად თქვა დურგალმა და ვეძელს თვალები გაუსწორა.

— ჯერ ერთი, — დაიღრიალა სამუელმა, — ოჯახში შემოსულ კაცს ფეხზე ადგომით ხვდებიან მგონი, და, მერე, ჩემთან მოსვლა და მადლობის თქმა არ გეკადრებოდა?

— ჯერ სალამი გეთქვა, როგორც წესია. ამას გარდა, მე შენთვის დახმარება არ მითხოვია. თუ უჩემოდ გააკეთე რამე, რაღას მაყვედრი...

— შენი უტვინობით ხალხი კინაღამ დაღუპე... ის კიბე კატასაც ვერ გაუძლებდა თურმე... თვეობით დღე და ღამე შენთვის დავრბოდი... ციხეში ამოლპობას გადაგარჩინე, ფულზე რომ აღარაფერი ვთქვა და კიდევ ენას მიბრუნება? კი არ გაყვედრი, მინდა შეგაგნებინო, რომ შენ უჩემოდ ნეხვი ხარ, ნეხვის ჭია! ჩემი სახელი და გავლენა ეკუთვნის არა, ახლა აქ არ იქნებოდი წამოტყლარჭული. მადლობაც ვერ გაიმეტე, მადლობაც, შე უმადურო! დღეიდან ჩემი სახელი არ ახსენო, იცოდე, შე კაცის გლახა! — გულში ჩაგუბებული ბოღმა ამოაფთხია სამუელმა, ღრმად ამოისუნთქა და გარეთ გავარდა.

სისონა ისევ დივანზე წამოწვა და ფრჩხილების საჭრელად მაკრატელი მოიმარჯვა. ერთი-ორი წუთის შემდეგ ეზოს რკინის ჭიშკარი გამაყრუებელი ჯახუნით ჩაიკეტა.

სამზარეულოში მჯდომ დურგლის ცოლს ესმოდა მაზლის ღრიალი, მაგრამ ქმრის მოერიდა და ამჯობინა ისე მოქცეულიყო, თითქოს სისონას ლანძღვა არც გაუგონია.

წვიმიანი ზაფხული დადგა. ქალაქის ქუჩები მთის ფერდობებიდან ჩამორეცხილი შლამით აივსო. დღე ისე არ გავიდოდა, თავსხმა არ მოსულიყო. ქალაქის უბნებში ბაღ-ბოსტნები დაიტბორა. დროდადრო ისე ცოდა, რომ ხალხი სააგარაკოდ წასვლას არც აპირებდა. ერთხელაც, შუადღისას, ჭექა-ქუხილსა და გრუხუნს კოკისპირული წვიმა მოჰყვა. სისონა შინ იყო და თავის ბოსტანში შემოვარდნილ ნიაღვარს გზას უკვალავდა. საქმეს რომ მორჩა, მეზობლის ეზოს შეავლო თვალი და დაინახა, რომ ღვართქაფი სახლის სარდაფისკენ მითქრიალებდა. ჯერ მასპინძელს გასძახა და, როცა დარწმუნდა, შინ არავინ იყო, თოხს ხელი წამოავლო და მავთულის ღობის ქვეშ ფაცხაფუცხით გაძვრა. სახლის სარდაფი წყლით აივსებოდა, სისონას რომ არ ემარჯვა და მოვარდნილი ნიაღვრისთვის კვალი არ ექცია. მერე ბოსტანს მიხედა, თითქმის მთელი საათი უბაყუნა თოხი მიწას და ნათესები დატბორვას გადაარჩინა. გალუმპული და არაქათგაცლილი დაბრუნდა შინ, ტანსაცმელი გამოიც-

ვალა და თავის დიკანზე წამოწვა სულის მოსათქმელად შუშაბანდში. მეზობელმა გვიან საღამოს შეიტყო ყველაფერი, ისიც ფოსტალიონისგან, რომელსაც თურმე დაუნახავს, როგორ ებრძოდა სხვის ეზოში ნიაღვარს სისონა.

ეს ამბავი ჯერ გარეუბანში გავრცელდა, სადაც დურგალი ცხოვრობდა, და მერე ქალაქს მოედო. ერთი სიტყვით, სისონას სახელი ისევ ყველას პირზე ეკერა და ისეთებიც კი, რომლებსაც ხელოსანი სიზმარშიაც არ ჰყავდათ ნანახი, მასთან ახლო მეგობრობას იჩემებდნენ. ასე იყო თუ ისე, სისონას უკვე საქვეყნოდ იცნობდნენ და თაყვანს სცემდნენ.

დაბნეული და გაოგნებული სამუელი ყოველ შემხვედრს გაურბოდა იმის შიშით, რომ ძმის ქება-დიდება არ მოესმინა. შინ მისვლა და ლოლასთან პირისპირ ჯდომა ხომ აუტანელ ტანჯვა-წვალებად გადაექცა. და მაინც, იმედს არ ჰკარგავდა ვექილი, იმის იმედს, რომ მისი სახელი, ერთხელაც იქნებოდა, იქუხებდა.

ზაფხული იწურებოდა, როცა სამუელის მეზობელს, მეორე სართულზე მცხოვრებ მილიციის მაიორს, სასწრაფოდ სისხლის გადასხმა დასჭირდა საავადმყოფოში მწოლარეს. გვიანი ღამე იყო. სამუელი ოთახში ბოლთას სცემდა და ლოლას გაუთავებელ საყვედურებს მოთმინებით ისმენდა. ეზოდან იმ დარაჯის ხმა მოისმა, რომელსაც ვექილმა ქურქი აჩუქა. სამუელი აივანთან მივიდა და ძირს ჩაიხედა. დარაჯი ეზოში იდგა, თავი მაღლა აეწია და ფანჯარაში გადმომდგარ რომელიღაც მეზობელს ხმამაღლა ასძახოდა:

— ახლაც საავადმყოფოდან მოვდივარ. მეოთხე დღეა წევს. პალატაში არავის უშვებენ. სისხლი თუ არ გადაესხესს, შეიძლება დაიღუპოს. ისეთი ჯგუფის ჰქონია, რომ ჩემი არ გამოადგათ. დარბიან ახლა და ეძებენ სისხლს. აქვე წევს, ჩვენი უბნის საავადმყოფოში. ქვეყანა თავს ახვევია...

„იქნებ ბედი კარზე მომადგა“, — გაიფიქრა სამუელმა, დარაჯისთვის ყური აღარ უთხოვია, კარს ეცა, გამოაღო, პირდაღებულ ლოლასკენ არც გაუხედავს და კიბეზე თავქუდმოგლეჯილი დაეშვა. „ხომ შეიძლება მე მქონდეს მისი ჯგუფის სისხლი, ხომ შეიძლება“, — ფიქრობდა გზაზე ვექილი და ქუჩას ჩქარი ნაბიჯით მიუყვებოდა... პალატის წინ მკლავებდაკაპიწებული ხალხი დახვდა...

ბედმა გაუღიმა სამუელს: მისი სისხლით საკვდილს გამოსტაცეს და საამქვეყნიოდ მოაბრუნეს მაიორი.

მეორე დღეს, დილით, თავის ეზოში იდგა და სამსახურში მიმავალი მეზობლების გასაგონად თითქოსდა შეწუხებული გაიძახოდა:

— კიდევ კაი, შინ ვიყავი. ადვილი შესაძლებელი იყო, დილამდე არ მოვსულიყავი, წუხელ ისეთი საქმე მქონდა. არა, ნამდვილად იღბლიანი კაცი ყოფილა... ასეთ დროს ყველა ჩემსავით მოიქცეოდა, რა თქმა უნდა, ოღონდ ესაა, რომ, მისდა ბედად, შინ ვიყავი. ჰოდა, ნამდვილად სიცოცხლე ვაჩუქე, ნამდვილად... დღეიდან მლოცოს უნდა მისმა ოჯახმა, მარა, მე ასეთი რაღაცები არ მიყვარს. ისიც მეყოფა, სიკვდილს რომ გადავარჩინე.

მეზობლები თავს უკანტურებდნენ ვექილს და ეს უხმოდ ტოვებდნენ. ერთ-ერთმა, უზზეკური ქუდით რომ დაიარებოდა, ჩუმად შეუკურთხა კიდეც.

საკუთარი თავის ქება სისხლის გაღებისათვის და მეზობლის გადარჩენისათვის სამუელს თითქმის გაზუთხული ჰქონდა. სამსახურში თანამშრომლებს ისე მობეზრდათ ერთიდაიგივე სიტყვების მოსმენა, რომ მასხრადაც იგდებდნენ ბოლოს. სამუელი ხედავდა, რომ უბრალო მადლობასაც არავინ იმეტებდა მისთვის. „პირი შეკრეს თუ რა უბედურებაა ჩემ თავს“, — ფიქრობდა შეცბუნებული ვექილი და ყველას, ნაცნობსა თუ უცნობს, ეჭვის თვალით დაუწყო ყურება. მოითენთა, მოიმჩვარა და ისევ სიტყვაძვირი გახდა.

სამოცდაათს მიღწეული მალაქია მკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რვალი ბოლო ხანებში იშვიათად ეკარებოდა შალაშინს თუ ცულს და შედარებით იოლ სამუშაოს ეტანებოდა, სახელი რომ არ შეერცხვინა. შვილების მიმართ თავის ვალს, როგორც მამა, მოხდილად თვლიდა, განსაკუთრებით სამუელის მიმართ, რადგან მიიჩნდა, რომ სწორ გზაზე დააყენა და ნასწავლი კაცი გამოიყვანა. სადარდებელი და საფიქრალი არაფერი ჰქონდა ახირებული ზნის მქონე დურგალს და ისიც მშვიდად ცხოვრობდა თავის უენო დედაბერთან ერთად. ზაფხულის ერთ გვიან საღამოს, მალაქია, ჩვეულებისამებრ, ჯორკოზე იჯდა ეზოში და ფიცარს ჩორკნიდა პატარა ცულით მეზობლის სარდაფის თაროების გასაკეთებლად. უცებ თავი მოწყვეტით ჩაჰკიდა, მთელი ტანით მოეშვა, წინ გადაიხარა და მიწაზე მოკუნტული დავარდა პირჩაღმა. ცული ხელში შერჩა დურგალს... ასე გააბიჯა მალაქიამ იმსოფლად... ახირებულ ბერიკაცს მიაჩნდა, რომ ქვეყანაზე უცოდველი კაცის სახელი დატოვა...

ძმები წაკიდების შემდეგ პირველად მაშინ შეხვდნენ ერთმანეთს, როცა სხვენიდან მალაქიას ხელით გაკეთებული ჭილოფგადაფარებული კუბო ჩამოიტანეს ხმამაღლა უსალმებლად. სამუელს სამგლოვიარო დღეებიდან მხოლოდ ის დამახსოვრდა, რომ პანაშვიდებზე თითქმის ყველა სისონს უსამძიმრებდა და ჭოკინდა, მას თითო-ოროლა ართმევდა ხელს უგულოდ; იმასაც ცხადად ხედავდა ვექილი, რომ მიცვალებულის გასვენების თადარიგს ახლობლები მის ტყუპისცალთან იჭერდნენ. ის კი არადა, მალაქიას საფლავის ასარჩევად მხოლოდ სისონა წაიყვანეს, სამუელს კი მოსაგვარებელ საქმეებზე ყასიდად ელაპარაკებოდნენ. დამცირებულად და გარიყულად გრძნობდა თავს ვექილი, სისონა ხვდებოდა ამას და ძმა გულწრფელად ებრალებოდა. მალაქია ისე გაასვენეს, რომ სამუელს სიტყვა არ დაუძრავს. აღარც მისი დამუნჯება სჯეროდა ბევრს და აქაიქ ქელეხზე მხრებს იჩეჩავდნენ...

ლოლა ვერ ეგუებოდა სამუელის გულჩახვეულობას და გადაწყვიტა ქმარი სასწრაფოდ წაეყვანა ზღვაზე და სასვენებლად.

ვექილს დღედაღამ ერთი და იგივე ფიქრი აწვალებდა და მოსვენებას უკარგავდა, ერთი და იგივე სადარდებელი უმძიმებდა გულს. „ბოლოს და ბოლოს, რით ვარ ჩემ ძმაზე ნაკლები, — ეკითხებოდა საკუთარ თავს, — რითი მჯობია, ქვეყანა რომ თავზე ევლება. სხვა თუ არაფერი, განათლებული კაცი მქვია მაინც“.

ვერც ზღვაზე ყოფნამ უშველა სამუელს, პირიქით, როცა ხალხმრავალ პლაჟზე გულაღმა გაიშოტებოდა და ხელებს თავქვე ამოიწყობდა, გულის გამწვრილებელი ფიქრები კიდევ უფრო მეტად უკარგავდა მოსვენებას. წრიალებდა აფორიაქებული ვექილი, ხან პირჩაღმა წვებოდა, ხან წამოჯდებოდა, ზოგჯერ, თავი რომ გაერთო, კენჭებს ისროდა ზღვაში, მაგრამ მომთენთავ და დამამცირებელ სადარდებელს ვერ ივიწყებდა. „ნამდვილად ბედი უნდა ყველაფერს, — ფიქრობდა სამუელი. — ტომრების თრევა უფრო დასაფასებელია თუ ის, რაც მე ხალხს გავუკეთე. მაგრამ, რად გინდა, ვინაა მადლობის მთქმელი. რით ვარ სისონაზე ნაკლები, ვერ გამიგია. გარეგნობა და სიგრძე-სიგანე ხომ მისნაირი მაქვს მაინც, თანამდებობა რომ სათვალავში არ ჩავაგდო. თვითონ რა, ერთი უბრალო ხელოსანია, უბრალო კი არა, უტკივნო, ხალხი კინაღამ დაღუბა, და, მაინც ჩემზე მეტად სცემენ პატივს... რით ვარ მასზე ნაკლები... თეთრ ყვავს უფრო იოლად მივაგნებ ალბათ, ვინემ ჩემით მომადლიერებულს“.

ამ ფიქრებში იყო პლაჟზე გულაღმა გაშოტილი სამუელი, რომ თავზე ვიღაც ორი გაბანჯგლული მზემოკიდებული ღიპიანი დაადგა ნაძალადევი ღიმილით. მერე ერთ-ერთი მათგანი რიხიანად მიეცალმა ვექილს და ხუმრობით შიშველი ფეხი თეძოზე წაარტყა. სამუ-

ლევან მალაზონია
ილბალი

ელი წამოჯდა, თვალები მოჭუტა და მოსულებს დააკვირდა.

— აქა ხარ, ბიჭო? — ჰკითხა იმან, რომელმაც ფეხი წაჰკრა და ალბათ იმის დასადასტურებლად, რომ მიწაზე წამომჯდარს ახლო იცნობდა, ახლა გამეტებით დაჰკრა ხელი მხარზე.

სამუელმა მოსულები ეშვნეულად შეათვალიერა. მხარი ისე აეწვა, რომ სახე დაემანჭა და ზედ ხელი მოისვა.

— ისევნებ, არა? — ჰკითხა ახლა მეორემ.

— აწყენს თუ! — თქვა პირველმა და ხვნეშით ჩაიმუხლა.

სამუელი ისევ უხმოდ მისჩერებოდა უცნობებს და მხარზე ხელს ისვამდა.

— რა მოგვიდა, მზემ ხომ არ დაგკრა? — ჰკითხა ჩამუხლულმა.

— მგონი ვეღარ გვცნობ და აქვე დავიხრჩობ თავს, ამ ზღვაში, ახლავე — სიცილით თქვა პირველმა.

სამუელი ვერც ერთს ვერ იგონებდა, მაგრამ მოსულებს ხათრი ვერ გაუტეხა, ძალდატანებით გაუღიმა და თავი დაუკანტურა.

— როგორ ვერ გვცნობს, — თქვა ახლა ჩამუხლულმა და ფუთიანშ მარჯვენა ვექილის ბეჭებზე დაუტყლაშუნა.

— ახალი ჩამოსული ხარ, ვხედავ, მზე ჯერ არ მოგკიდებია, — უთხრა პირველმა.

— ჰო, მეორე დღეა, — თქვა სამუელმა და მისდაუნებურად წამოდგა.

— როგორ ხარ, — ჰკითხა პირველმა და ხელი ჩამოართვა.

— არა მიშავს, მადლობთ... თქვენ როგორ გიკითხოთ...

— ვართ ნელ-ნელა, — უპასუხა ჩამუხლულმა, ისიც წამოდგა და ხვნეშით ამოისუნთქა.

— ხვეწნა არ დაგვაწყებინო ახლა აქ, არ მცალიაო და ამისთანები არ გინდა, — უთხრა სამუელს პირველმა და მერე უცებ ჰკითხა, — მარტო ხარ?

— არა... ცოლთან ერთად...

— ჰო, ასე სჯობია, — მოუწონა მეორემ.

— ერთი სიტყვით, — გააგრძელა პირველმა: — მუხის კარები უნდა, გაგვიკეთო შენებებად. მასალა ჩემზე იყოს, ნუ გედარდება.

სამუელს ელდა ეცა და გახეევდა.

— ოღონდ ისეთი კარები უნდა გაგვიკეთო, მტერს რომ თვალს დაუბრმავებს, — უთხრა მეორემ. — რასაც მომთხოვ, მოგცემ, არ შეგეგვაჭრები, მეტი რა გინდა.

— რაო? — ამოსცრა სამუელმა და ნაბიჯი უკან გადადგა.

უცნობებმა ერთმანეთს გადახედეს და მერე პირველმა თქვა:

— მასალა ჩვენზე იყოს... რამ შეგაშინა.

— რასაც დაიფასებ, მოგცემთ, — დაუმატა მეორემ.

— ვის ელაპარაკებით თქვენ, თუ იცით! — წამოიყვირა უცებ სამუელმა და თვალები გადმოკარკლა.

პლაჟზე მოფენილმა ხალხმა სეირის მოლოდინში კისრები დაიგრძელა.

— რა გაყვირებს, ბატონო, — შეფიქრიანდა პირველი ღიპიანი და ვექილს სახეში ჩაუტერდა.

— ვის ელაპარაკებით! — დაიღრიალა სამუელმა და დოინჯი შემოიწყო.

უცნობმა ღიპიანებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს და მერე ერთხმად ვექილს დაეჭვებით ჰკითხეს:

— შენ სისონა არა ხარ?

სამუელს სისხლი აუვარდა თავში, წამოწითლდა და ტუჩების კანკალი აუტყდა.

ღიპიანები გაოგნებულები იდგნენ ადგილზე და ვექილს მისჩერებოდნენ.

— რა მოგავს სისონას! რა მიგავს სისონას! — არაადამიანური ხმით დაიღრიალა სამუელმა და იმ ღიპიანს, რომელმაც ხუმრობით ფეხი წაჰკრა, ორივე ხელით ყელში სწვდა.

მათ ირგვლივ წამში პლაჟზე მყოფი სეირს დანატრებული ხალხი გაჩნდა.

ღიპიანმა სამუელი იოლად მოიშორა და ნიკაპქვეშ მუშტიც ამოჰკრა. ვექილი ქვიშაზე დავარდა გულღმა და წამით არც განძრეულა. მერე უცებ გამოფხიზლდა, წამოჯდა, ორივე ხელში ქვები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიმარჯვა და წამოიმართა. ლიპიანები დაფრთხნენ, ვერც ვეძლითან ბედავდნენ ახლო მისვლას და ვეძეცვნისაც ესირცხვილებოდათ. ვიღაცამ იყვირა ხალხში. სამეელი მთელი ტანით ცახცახებდა, მარჯვენა ხელში ჩაბღუჯული ქვა ლიპიანებს მოუღერა და გამეტებით ესროლა. გაისმა კივილი. ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. ნასროლი ქვა ლიპიანებს ასცდათ და როცა დაინახეს სამეელმა მეორეც მოუღერა, შეშინდნენ და გაიქცნენ. ვეძელი დაედევნა მათ, მაგრამ, ორმა-სამმა ზორბა ტანის ბიჭმა გზა გადაუღობა. მაშინ სამეელი ისევ დასწვდა ქვებს და ახლა მის წინმდგომთ მოუღერა. ვიღაცამ ზურგს უკან წელში წიხლი ჩაარტყა ვეძელს და წააქცია. სამეელი გაიფთრებული დასწვდა ქვებს და ანგარიშმიუცემლად წინ მდგომთ დაუშინა. მის ირგვლივ შემოხვეული ხალხი გაიფანტა. ჩოჩქოლი და გინება ერთმანეთში აირია. სამეელმა ისევ მომიმარჯვა ქვები და გაქცეულებს დაედევნა. სანატორიუმის ეიგანზე მოულოდნელად ლოლა ვადმოდგა და ქმარს კივილით მოუხმო. ვეძელისგან დაშინებული ხალხი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. სამეელი შეჩერდა და გაქცეულებს სეტყვასავით დაუშინა ქვები. ისეთი შეშლილი სახე ჰქონდა, რომ ლოლას ძახილიც ალარ ესმოდა. გაქცეულებმა ღრინაცელი ატეხეს. ზოგიერთები შორიდან მუშტებს უღერებდნენ ვეძელს. ამასობაში სამეელს უკნიდან ვიღაც წამოეპარა დიდი ნიჩბით ხელში და ნიჩაბი თავში ჩაარტყა. ლოლას კივილი ცას მისწვდა. გრძნობადაკარგული სამეელი ქვიშაზე ჩაიკეცა. ამასობაში ლოლა მოვარდა და გულწასული და გასისხლიანებული ქმრის დანახვაზე ისტერიული კივილი მორთო. მაღე აყლაყუდა მილიციელი გამოჩნდა საიდანღაც. სამეელი პირჩაღმა იწვა; თავი სისხლით ჰქონდა მოსვრილი. ლოლა კივილს მოეშვა, ქმარს მივარდა და მოსულიერება დაუწყო, აყლაყუდა მილიციელიც მიეშველა და რამდენიმე წუთში ვეძელს ისევ შემოხვევნენ დამსვენებლები. უცნობი ლიპიანები შორიახლო იდგნენ და ერთმანეთს მხრების აჩეჩვით ელაპარაკებოდნენ. ვიღაცამ რეზინის კუფით წყალი მოარბენინა და ვეძელს თავზე დაასხა. სამეელმა თვალები გაახილა და იმწამსვე მილულა. სამეელმა ისევ წამოიკივლა, მაგრამ აყლაყუდა მილიციელმა რომ დაუცაცხანა, გაჩუმდა. მალე უამრავი ხალხი მოგროვდა სამეელის ირგვლივ. ბერე ვეძელი საკაცეზე დაანწვინეს და სანატორიუმისკენ გააქანეს. პლაჟზე თავმოყრილი ხალხი ახლა ლიპიანებს შემოეხვია და ატყდა ათასგვარი მითქმა-მოთქმა. ვინ რას ამბობდა და ვინ რას, მაგრამ არავინ იცოდა, რამ გააცოფა წინ დღით ჩამოსული დამსვენებელი. აყლაყუდა მილიციელს მოწმეთა ჩვენებამ თავგზა აუბნია.

ორი დღე მედპუნქტში იწვა თავშეხვეული სამეელი, ლოლა წამითაც არ ტოვებდა ქმარს და ეძიმებს ნერვებს უშლიდა გაუთავებელი შეკითხვებით. ძილის დროს ვეძელი ბორგავდა და დროდადრო რაღაცას გაურკვევლად წამოიძახებდა ხოლმე. მესამე დღეს, როცა წამოჯდომა შეძლო, ირგვლივ მიმოიხედა და რამდენჯერმე, თითქოს თავისთვის, ხმადაბლა თქვა:

— რა მიგავს სისონას... რა მიგავს სისონას...

ლოლას თვალები გაუფართოვდა და სასთუმალთან მჯდომ სანიტარ ქალს უწმოდ შეხედა.

— რა მიგავს სისონას! — ახლა ხმამაღლა წამოიძახა სამეელმა, ხელები მომუშტა და შორს, სივრცეს, უაზროდ მიაშტერდა.

ლოლა არც განძრეულა, ფეხზე იდგა და ქმარს შიშით მისჩერებოდა. სანიტარი ქალი ადგილიდან წამოიჭრა და ავადმყოფის დაწყნარებას შეეცადა.

— რა მიგავს სისონას! — ისევ დაიყვირა სამეელმა, შორს, სიცარიელეს თვალები გაუშტერა და ვიღაცას მუშტი მოუღერა.

ლევან გალაბონია
ილბალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოლამ თავში წაიშინა ხელები და ტირილით პალატიდან გავიდა.

ამის შემდეგ სამუელს ოთხი დღის განმავლობაში ხმა არ ამოუღია, რაღაც წვენებს ასმევდნენ ძალით და ნემსებით უჩხვლეტდნენ ტანს. საშიში და დამაფიქრებელი ის იყო, რომ სამუელი დღედაღამ გულაღმა იწვა გაუნძრეველად და თვალები ჭერისთვის ჰქონდა მიპყრობილი. ბევრჯერ სცადეს გამოლაპარაკებოდნენ, მაგრამ კრინტს არ სძრავდა; ლოლას ხმაც კი არ ესმოდა! იწვა გულაღმა და ჭერს მისჩერებოდა გუგებგაფართოებული თვალებით. ლოლამ ქმრის სახლში წაყვანა დაიჩემა, ექიმებიც არ შედავებიან და იმავე დღეს მატარებლის ორსაწოლიან კუპეში გადაიყვანა სამუელი. შინ ცნობილი პროფესორები დაახვია თავს და ყოველი მათგანი, თითქოს პირი ჰქონდათ შეკრული, ერთსადაიმავე დიაგნოზს სვამდა. ლოლას გაგონებაც არ უნდოდა იმ სიტყვის, რომლის ხსენებაზედაც ყურებზე ხელებს იფარებდა. ბოლოს, სხვა რა გზა ჰქონდა და საწყალი სამუელი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს...

ოთხი თვე ეცვა ზოლებიანი ხალათი დამუნჯებულ ვექილს და თუ ენას ამოიდგამდა, ერთსა და იმავე სიტყვებს წამოისროდა ხოლმე ხმამაღლა რამდენჯერმე:

— რა მიგავს სისონას! რა მიგავს სისონას!..

ლოლა უკან დასდევდა ქმარს და ჩუმად, ძალიან ჩუმად ტიროდა.

ერთ დღეს საავადმყოფოს ბაღის ბილიკზე სისონა გამოჩნდა მოულოდნელად. იგი ძმის სანახავად იყო მოსული და თეთრხალათიან ქალს რაღაცას ეკითხებოდა. ლოლა მის დანახვაზე ისე შეშინდა, რომ განძრევაც ვერ მოახერხა. სამუელი იქვე სეირნობდა აუზის ირგვლივ თავჩაღუნული. ლოლამ შიშით გახედა წამით ქმარს და სირბილით სამუელთან მიიჭრა.

— არ დაენახო! არ დაენახო! — თითქმის ხვეწნით შეჰყვირა მაზლს და წინ გადაუდგა.

თეთრხალათიანმა ქალმა ორივენი ყურადღებით შეათვალიერა და საავადმყოფოსკენ გასწია.

სისონამ თავი ჩაღუნა, დიდხანს იდგა გაუნძრეველად... მერე შებრუნდა და ჭიშკრისკენ წავიდა მოზომილი, აუჩქარებელი ნაბიჯით.

როცა აკვიატებული სიტყვების წამოძახებას მოეშვა, სამუელი საავადმყოფოდან გაწერეს.

დამუნჯება და თვალის გაშტერება დასჩემდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვედრი

„აჰა ესერა მოახლებულ არს
ჟამი, და ძე კაცისაჲ მიეცემის
ხელთა ცოდვილთასა“ (მათე 26, 45).

დადგა ჟამი სამუდამო ფერიცვალების,
გარდაცვალების და უკვდავების...
მოვიდა ჟამი და შედგა წამი, შეწყდა ბრუნვა მარადიული.
ცივი სიჩუმე დაეუფლა გარდუცველელ წამებს
და გავირინდე სიმარტოვის უხსოვარ გარსში...
დადგა ჟამი. მეწამული ელვარების სივრცე,
ელავს ხვედრი — მზის ნყვდიადში ჩასახებული
და ციურ ტბებში ღვთიურ სიტყვად ამოვლენილი...
შეჩერდა წამი... და ჰა, მოდიან!...
მოუძღვის იგი — ქვეყნიური ცოდვით ცოდვილი
და მონანიე — ათასლეტში უარყოფილი
მისი ამბორი — უგრძნობი და საწყალობელი:
ჟამიდან ჟამში ივლის მარად, არსიდან არსში,
როგორც აჩრდილი — დაკარგული სამყაროების...

შეჩერდა წამი და გაიმქვრა წმინდა წყვდიადი,
ნისლში აღიძრა შორეული პირამიდები, —
ვით ჟამუძრავი უფსკრულები და საძირკვლები...
მიხმობს ხვედრი ათასწლეული:
სარკოფაგთა წყვდიადებში ჩასახლებული
და უხსოვარი სიმარტოვით ამოტვიფრული...
ო, იოანე, სადა ხარ ახლა?!. სად დაფარფატებს სული შენი--
ნათელმხილველი?!.
ირგვლივ სძინავთ მიწიერი ხვედრით დაღლილებს
და მოვუხმოს შენს წმინდა სულს, შენს ნაგვემ სხეულს.
მინდა ვემთხვიო შენს ჩამქრალ თვალებს
და წავიდე — აღვასრულო აღსასრულები...
გარდუვალობის უხილავ წრეზე
ისევ ანთია სისხლისფერი შარავანდედი
და ქარიშხლიან უდაბნოთა მწუხარე ფიქრი
თეთრად ანათებს ჩემს წამებულ ხვედრს,
ჩემს ფერმკრთალ სახეს...
ხოლო ამბორი — მიწიური ცოდვით ცოდვილი:
ჟამიდან ჟამში ივლის მარად, არსიდან არსში,
როგორც აჩრდილი — დაკარგული სამყაროების...

ირღვევა მიწა, ყრუ გუგუნი მოუხმობს ზეცას.
ისევ იღვიძებს გვამთა ხსოვნა და სასოება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იღვიძებს არსთა ათასწლეული...
სარკოფაგებში — დიად აზრთა საპყრობილეში:
იღვიძებს სული — ჩამქრალი და დავიწყებული
და მიხმობს ხვედრი გარდაუვალი,
ტანჯვა და ჯვარცმა უუმაღლესი...
მე მზად ვარ ჩემო შორეულო პირამიდებო!
მზად ვარ ჩემო მზედახშულო სარკოფაგებო!
ჩემო ქურუმნო და მოძღვართა მოძღვართ მოძღვარნო!
მე მზად ვარ ჩემო მაწამებელნო!
მე მზად ვარ — მსხვერპლი! მე მზად ვარ — მხსნელი!
ხოლო ამბორი — უგრძნობი და საწყალობელი
და მონანიე — ათასწლებში უარყოფილი:
ჟამიდან ჟამში ივლის მარად, არსიდან არსში,
როგორც აჩრდილი — დაკარგული სამყაროების...

ო, დადგა ჟამი ღვთაებრივი გარდაცვალების,
ფერიცვალების და უკვდავების...

ფერიცვალება

ფრიდრიხ პოლდერლინს

I.

ისევ ღამდება. მზე ისევ ჩადის.
ისევ წყვდიადი ეფინება ზეციერებას.
ისევ ფარფატებს მახსოვრობა ცეცხლისფერ ტბებში
და ხსოვნაში რაღაც ქრება, რაღაც ინთება,
რაღაც ინთება და იწყება რაღაც ღვთიური.
რაღაც ბოლავს მზემიუვალ უხსოვრობაში
და რაღაც ძალა მიხმობს ცეცხლისკენ,
სადღაც რომ ელავს
და გიზგიზებს დაუსრულებლად,
სანიადაგოდ რომ ანთია იქაც და ჩემშიც,
იქ — წმინდა ტბებში და არყოფნაში:
მარადი სულის სილივლივეში...
თითქო ვთავდები მახსოვრობის სიმხურვალეში
და ვიწყები დავიწყების სიწყვდიადეში...
იქ ანთებული სიჩუმეა ზმანეულ ფერთა,
იქ სიმშვიდეა ცისფერ ნისლში ჩამოფენილი,
იქ არსმენილი დუმილია დაფერფლილ ხეთა,
იქ არყოფნაა — არყოფნაში გამეფებული.
სადაც ვთავდები, იქვე ვიწყები,
იქ მელის ჩემი მყუდრო სავანე,
წმინდა წყვდიადი, იისფერი ჩემი დემონი
და ცისფერი ცეცხლის გიზგიზი...
დგას მოწყენილი ჩემი აჩრდილი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარყოფაში, არყოფნაში უხსოვრობაში
და მიხმობს სადღაც — უსასრულო უსაზღვრობაში:
იმ გარდაუცვლელ სიმშვიდეში და სიჩუმეში...
როგორც მარცვალი ელოდება აღმოცენებას,—
ქარისაგან შორს გატყორცნილი
და შეზრდილი უდაბნოებას, —
ველი სასწაულს — გარდასახვის განმეორებას...
მაგრამ ღამდება. მზე სადღაც ჩადის.
სადღაც ნათელი ეფინება ქვეყნიერებას.
აქ კი — სარკმელში:
თვალებს ახელს ბებერი ყვავი:
სისხლიანი და ცრემლიანი,
აბუზული ჟამთაცვლის ქარში
და გრძნეულის დანისლულ მზერით
შემოაქვს სულში ჩამავალი მზის ანარეკლი.
ქრება ცისფერი ცეცხლის გიზგიზი...

II

მე იქ ვსახლობდი, სადაც ჩემი დემონი სახლობს:
ცეცხლისფერ ტბებში, არყოფნაში, უხსოვრობაში.
ვსახლობდი არსად — უსაწყისო, უდასასრულო
მოწყვეტილი მიწიერ სამწვრევს...
ხელში მეჭირა უწმინდესი რტო მშვენიერი
და ვციმციმებდი:
ცისფერ ცეცხლში, ცისფერ წყვდიადში:
მარადი სულის უმსუბუქეს სილივლივეში...
ვსახლობდი არსად — მოფარფატე ციურ ხსოვნაში
და რაღაც ძალა მომიხმობდა ქვეყნიურ ზღვარში.
ვიღაც მიხმობდა უნუგეშო და ცრემლიანი,
გზადაბნეული მიწიერი, ლტოლვით დაღლილი
და ვით მარცვალი ელოდება აღმოცენებას,—
ისე ელოდა გარდასახვის განმეორებას...
მეც ვუხმობდი მის ფერმკრთალ სულს,
მის ფერმკრთალ სახეს,
მწუხრის ლოცვებში დაღამებულ უმზეო თვალებს,
ვუხმობდი ჩემში — სიმშვიდეში და სიჩუმეში,
უსაზღვრობაში და ცისფერი ცეცხლის გიზგიზში...
მაგრამ ამაოდ.
ციურ სარკმელში თვალს ახელდა ბებერი ყვავი:
სისხლიანი და ცრემლიანი,
აბუზული ჟამთაცვლის ქარში
და გრძნეულის უსახურ მზერით
ქვეყნიურ ზღვარს აწყდიადებდა...
ის იქ რჩებოდა „თავდახრილი და მგლოვიარე,
მე აქ — დუმილში და არყოფნაში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც ოდესმე იქ ვსახლობდი — ქვეყნიურ ზღვარში,
როგორც ახლა — თავდახრილი და მგლოვიარე,
მინიერი ხვედრით დაღლილი
და ვუხმობდი ჩემს ციურ ლანდს, ჩემს ციურ დემონს...
ხელში მეჭირა უთეთრესი რტო მშვენიერი
და ველოდი სასწაულის განმეორებას —
მოწყვეტილი ზეციურ სამწყვრევს,
გზადაბნეული მიწიერი, ლტოლვით დაღლილი,
ველოდი სითბოს, ვით მარცვალი აღმოცენებას —
ქარისაგან შორს გატყორცნილი
და შეზრდილი უდაბნოებას...
ახლა არც თოვლის მეშინია, აღარც ქარების,
არც ნაადრევი დაზამთრების, არც ყვავილცვენის!..
წმინდა ტბა, ჩემში მოლივლივე — დაშრეტილია
დაცვენილია ყველა ფოთოლი,
რტო მშვენიერი უწმინდესი — გაძარცულია
და ვდგავარ ქარში — ხე გამხმარი და ჩაფერფლილი...
მე არსად არ ვარ, არსად ვსახლობ, არსად ვიწყები —
დამხობილია მახსოვრობის კარიბჭეები!...
მაგრამ ხვედრი, ცამ რომელიც მე მიწყალობა,
სად არის ახლა, სად ვეძიო — ცეცხლში თუ მტვერში:
აქ — ხსოვნაში და მიწიერ ბედისწერაში
თუ იქ — ღვთიური ცეცხლის გიზგიზში:
მარადი სულის დავიწყებულ სილივლივეში?!
სად არის ხვედრი?!
სად არის ხვედრი?!
ხვედრი, რომელიც ცამ მიწყალობა?!.
დგას ცრემლიანი ჩემი დემონი:
უარყოფაში, არყოფნაში, უხსოვრობაში
და მიხმობს სადღაც — უსასრულო უსაზღვრობაში:
იმ გარდაუცვლელ სიმშვიდეში და სიჩუმეში...
მაგრამ ღამდება. მზე ისევ ჩადის.
ისევ წყვდიადი ეფინება ზეციერებას.
ციურ სარკმელში თვალებს ახელს ბებერი ყვავი:
სისხლიანი და ცრემლიანი,
აბუზული ჟამთაცვლის ქარში
და გრძნეულის დანისლულ მზერით
შემოაქვს სულში ჩამავალი მზის ანარეკლი!
ქრება ცისფერი ცეცხლის გიზგიზი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი ჭოხონელიძე

ზამთრისპირა ჩანაწერებში

(მოთხრობა)

10 ნოემბერი. დღეს ჩემი მეზობლის ბინა გაქურდეს. საოცარია, არაფერი წაუღიათ. უჯრები კი იყო გადმობრუნებული და ბინის პატრონიც გოცებული დაადგიჯებდა, თან საცოდავად ბუტბუტებდა, რა უნდოდათ, რას ეძებდნენო.

— ეტყობა, მართლა რაღაცას ეძებდნენ, — ჩუმად თქვა პირველ სართულზე მაცხოვრებელმა (მისი სახელი, ჩემდა სამარცხვინოდ, არ ვიცი).

რატომ არ უნდა ვიცოდე?

შემდეგ ამის გაფიქრებაზე შემრცხვა და გამოირკვა არც გაქურდულის სახელი მცოდნია.

ბოლო ხანებში ძალიან მინდა სპექტაკლი დავდგა ჩემს სამსახურში. ადრე, სტუდენტობაში მჭონდა ცდები და არც ისე ურიგო.

ამ გაქურდულმა მეზობელმა კიდევ უფრო გამიძლიერა სურვილი სპექტაკლის დადგმისა. ნეტავ რატომ?

იგი დიდხანს, დიდხანს დაადგიჯებდა უაზრო ღიმილით და ისევ ისე ბუტბუტებდა, რა უნდოდათ, რას ეძებდნენო.

პირველსართულელიც ხშირად ჩურჩულებდა, ეტყობა, იცოდნენ რაღაცა, ეტყობა, არის რაღაცა და იმას ეძებდნენ... თან წაღებულიც არაფერიაო.

გაქურდულს ღიმილი არ შორდებოდა სახიდან. ჩემკენ რომ შემობრუნდა და გაღიმებულ ტუჩებთან ერთად მისი შეშინებული, შემკრთალი თვალებიც დავინახე, მაშინ კი მივხვდი, რატომ მომინდა სპექტაკლის დადგმა. აქაც სპექტაკლი თამაშდებოდა, ოღონდ მთავარი როლის შემსრულებელი (გაქურდული) მსახიობი არაფრად არ ვარგოდა, უნიჭო იყო.

მილიციის მოსვლამდე ათიოდე მეზობელი შედიოდა და გამოდიოდა ბინაში, ყველანი თავს სინანულით აქნევდნენ და ნწ, ნწუო იძახდნენ.

საოცარია, ყოველი მათგანი ბინიდან გამოსვლისას ქურდების პროფესიონალიზმსა თუ არაპროფესიონალიზმზე ლაპარაკობდა.

— პირველი ნაბიჯი იმხელაზე გადაუდგამს, ეტყობა დიდი გამოცდილი ვინმე იყო, — ამბობდა სოსო (იგი ჩემს გვერდით სამოთახიანში ცხოვრობს).

— ა, გამოცდილი, ა, — შეკრთა უცებ გაქურდული და მის სახეს ღიმილი ჩამოშორდა.

თუმცა რას ჩავაცივდი გაქურდული, გაქურდული-მეთქი. გაქურდული კი არა, გასაქურდი (მისი შეშფოთება მომავალი ძარცვით იყო გამოწვეული).

სოსოს ბიჭმა უცებ შემოისუნსულა მთელი ბინა. გადმობრუნებულ უჯრასთან ჩაიცუცქა და გაიღიმა, — ეს რამდენი ვერცხლის კოვზი გქონიათ, ბატონო სიმონ.

ჩემს გასაქურდ მეზობელს სიმონი ქვიებია. იგი ბოლო, მეცხრე სართულზე ცხოვრობს ოროთახიანში.

— ზოგი დედაჩემმა დაგვიტოვა, ზოგი სიდედრმა... რამდენიმე კომპლექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაჩუქეს, — ისევ ღიმილით დაიმშვენა სახე სიმონმა.

— მე მგონი, სულ ახალბედები იყვნენ. აბა ასე არეგ-დარეგა, სახლში ამდენი მუშაობა?.. პროფესიონალი ამას ჭაამს?

— მეც ასე მგონია, — სიმონი ახლა ძალზე ბუნებრივად იღიმოდა, — იციან ხოლმე ჩამოივლიან ბინებს ბიჭბუჭები, სადაც რამეს წაადუდებიან, იტაკებენ ჯიბეში.

რაღაც ხმა მომაკლდა. მთელი ამ სიტუაციის განმავლობაში ხმა, ხმა ავსებდა მოქმედებას.

სიმონის ნაბიჯები?

იგი იდგა და არ მოძრაობდა, მშვიდად ლაპარაკობდა. რომ გიიარა, გაიარა ისე წყნარად, აშკარა იყო მისი ნაბიჯის ხმა არ მომლანია. უჰ, სიმონი აღარ ქშენდა, სუნთქავდა ნება-ნება, დამშვიდებული.

— აბა. არაფერი რომ არ წაიღეს?! — გადაასხა წყალი ვახტანგის ცოლმა (არც მისი სახელი ვიცი).

— ეტყობა, საქმე მისცა ვიღაცამ ამ გამკეთებლებს... შეიძლება შინაურმაც, — ამის მთქმელს პირველად ვხედავდი.

ხმა. ქშენა. ისევ შეივსო მოქმედება. სიმონი აღელდა, — ა, ა, რა თქვი?!

საოცარია, ამ ხალხმა საიდან იცის ამდენი რამე ქურდობაზე და ქურდებზე. და თუ იციან, რატომ ეამაყებათ ამ ცოდნის გამომჟღავნება?!

სიმონის ღიმილი. სიმონის თვალები. შემეცოდა ეს კაცი და, საერთოდ, სიმართლე რომ ვთქვა, უნიჭო მსახიობზე საცოდავი არაფერია.

გადავწყვიტე. დღესვე ავარჩევ პიესას და განაფიცილების გამგეს შევუტან (ახალგაზრდა კაცია. მანამდე მე ვიყავი განაფიცილების გამგე. პენსიაზე გავედი და ახლა მეთოდისტად ვარ).

სიმონი ჩემს გვერდით იდგა.

— ნუ ღელავთ. საცაა მილიცია მოვა და ყველაფერი მოგვარდება, — სიმონის დამშვიდება ვცადე.

ყველამ ისე გადმომხედა, საკუთარი თავი შემეცოდა.

15 ნოემბერი. მთელი ორი დღე ვარჩევ პიესა. როგორც იქნა, მივაგენი. ვიცი, ბევრს გაეღიმება, რომ გაიგებენ რასინის „ფედრას“ დგამსო.

იმასაც ვფიქრობ, არ თქვან, ცოლისაგან მოტყუებულია და იმიტომ აირჩიაო. სიმართლე თუ გინდათ, მე არ მოვუტყუებივარ ჩემს ცოლს, უბრალოდ, ერთ მშვენიერ დღეს (მართლაც მშვენიერი იყო — ნათელი, ჯანსაღი. ჩემთვის არ ვარგოდა შაურად და ამიტომ ვერ გავლენძღავ ბევრისთვის კაშკაშა იმ დღეს) სამსახურიდან მობრუნებულს, ცოტა შეგვიანებულს დამხვდა წერილი — „წავედი. არ მიყვარხარ. დადა“.

ქალი მაინც რა სულელია, დადას მე ვეძახდი მხოლოდ. ისე დარეჯანი ერქვა. ეტყობა საერთოდ მოეწონა ეს სახელი. აშკარად მოსწონდა, მერე ყველას თხოვდა, დადა დამიძახეთო... ეს კი არა და, მეორე ქმარიც დადას ეძახდა ჩემს ნაცოლარსა და ჩემსავე ნათლულს.

იმწუთას ბევრი ვერაფერი ვიგრძენი. ერთხელ სამსახურიდან მობრუნებულს დედამ მითხრა, დარეჯანმა ყველაფერი თავისი წაიღოო. გამოცარიელებულ კარადაზე მეტად აღარაფერი მეზარება მის მერე. ჩვენს ოთახში ბევრი ვიარე. ვსინჯავდი უჯრებს. სასაცილოა და, ლების ქვეშაც შევიხედე. ვიცოდი, დიდი ოთახის გავლას ვეღარ მოვასწრებდი. დიდ ოთახში კი ჩემი ჩუმი დედა პასიანსს შლიდა და იმწუთას ისიც მძულდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ბავშვი სულ აღარ მახსოვდა (მისი სურათებიც ჩამოეხსნა ჩემს დადას). იქვე აშლილ ლოგინზე მივწექი. ვგრძნობდი, რომ ჰა და ჰა, ავქვითინდებოდი. მთლიანად მეწვოდა მკერდი. გული, გული იყო გაბერილი და მაშინ კი ვინატრე სიკვდილი. უცებ ამოგორდა რაღაც ზნამნარევი ჩემს სხეულში და თეთრეულშემოძარცვულ ლოგინში ჩავეშვი.

საოცარია, ამის მოყოლა. გახსენება ოდნავ არ მითრთოლებს სულს.

ამიტომ შემაფიქრა ცოტა ამ პიესამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნები დამტვერინებულიყო და ნელ-ნელა დავუწყე წმენდა. კარადაში ბანქოს რამდენიმე შეკვრა ვიპოვნე. საწყალი დედაჩემი, ბანქო უყვარდა. მე ვერა და ვერ ვეგუებოდი. მერე დედის სურათსაც გადავუსვი მტვრის ტილო. მამაჩემის სურათიც მოვიძიე, წიგნების თაროს ვიტრინაში ჩავამაგრე და ვიგრძენი ნაცნობების, ნათესავების სურათების კედლებზე არსებობის, ჩემს ირგვლივ ყოფნის დიდი სურვილი.

ჩემი გოგონა. რამდენს ვაბეჭდინებდი ხოლმე მის სურათებს. უამრავი გროვდებოდა. მერე დარეჯანის მეუღლე უღებდა. ყოველთვის მოქონდა თითო ფოტო.

ორჯერ წარწერით მომიტანა. ერთს ეწერა „ჩემს თეატრალ მამას“, მეორეს — „ჩემს კარიერისტ მამას“.

ეს ხომ დედამისი აწერინებდა. რაღას მეთამაშებოდა ეგ დალოცვილიშვილი.

ჩემი ქალიშვილის ქორწილი. სიძეს ვუყვარვარ, რამდენადაც შეუძლია, იმდენად.

ჩემი შვილიშვილი. ამ მაიმუნს კი მართლა ვუყვარვარ. ყოველ შაბათს რჩება ჩემთან და ვუყვები ზღაპრებს, მერე ვდგამთ სპექტაკლებს, ვიწერთ მაგნიტოფონზე, დავდივართ ცირკში, თოჯინებში.

წინა შაბათს მკითხა, ბაბუ, ომში მართლა იყავიო.

ვიყავი-მეთქი. მაშინ მოყოლა მომთხოვა ომის ამბების. მე ბევრი არაფერი მქონდა მოსაგონებელი და ცოტა რამ წავუმატე.

დილით კიდევ გამიმეორა შეკითხვა, ბაბუ, შენ ომში მართლა იყავიო.

ვიყავი-მეთქი.

მომიყევი ომის ამბები, ოღონდ გუშინდელივით არ მომატყუოო.

მე ერთი ორმოცდასამის სურათი გადმოვუღე. თერმეტი ბიჭი ვართ გადაღებული. ნელ-ნელა ვუყვებოდი, ვინ ვინ იყო... აქედან მხოლოდ მე და არტიომოვი გადავრჩით-მეთქი.

თან თვალი ავარიდე, ეს რომ ვთქვი. ერთი კი გავიფიქრე, ამ ციცქნა ბავშვს რას ვერჩი, რას ვუშლი ნერვებს-მეთქი.

— მერე, მერე, ბაბუ, — მომქაჩა ბიჭმა.

მის თვალებს რომ შევხედე, არტიომოვი გამახსენდა და აი რატომ. სახლიდან წერილს რომ მივიღებდი, სულ მეტირებოდა. არტიომოვი კი მადგა თავზე და მისი შეხედვისას ვხვდებოდი, როგორ უკვირდა, ამ უცნაური ასოებით შორიდან მოტანილი გულისშემძვრელი ამბები. როგორ, როგორ იწვეოდა ეს გაურკვეველი ხაზები და მრუდები ჩემში ცრემლსა თუ იშვიათ ღიმილს.

18 ნოემბერი. სწორედ დღეს მინდოდა გამგისათვის გამეცნო. პიესა (დარწმუნებული ვარ, არც გაეგო) და შემთავაზებინა იმ თანამშრომლების სია, ვისი სპექტაკლში დაკავებაც განვიზრახე. თვითონ მომავალი მსახიობები დათანხმებული ყოვდა. რა თქმა უნდა, ვიცი ისინიც იცინოდნენ, უფრო სწორედ, დამცინოდნენ ზურგს უკან, მაგრამ ამას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. არც იმას, თუ რა ძალად სერიოზული სახით მელაპარაკებოდა სპექტაკლის დადგმასა თუ დრამწერის ჩამოყალიბებაზე ჩვენი განყოფილების გამგე. ერთხელ კი მკითხა, თქვენი უფროსობის პერიოდში თუ გქონდათ ასეთების სურვილიო. არა-მეთქი რომ ვუპასუხე, ისე გაიღიმა, მერე მე რას მერჩითო. აღარაფერი მაინტერესებდა, ვერც ვერაფერი დამიდგებოდა წინ. სულ ჩემი უჯრა მელანდებოდა, ხორავას პაპიროსის ნამწვავით, „შეკლანუაშვილის“ პროგრამით, ავტოგრაფებით, რა თქმა უნდა (ამას წინათ წიგნების კარადაში ყუთი ვიპოვე. ყუთი სავსე იყო ჩემს მიერ მოგროვებული თეატრალური სუვენირებით).

და სწორედ იმ დილით სამსახურში ხმა დაირხა, განყოფილების გამგეს დედა გარდაეცვალაო. საწყალი სულ ახალგაზრდა ქალი იყო.

ბაჟრი ჰოსროვნელიძე
ზამთრისპირა ჩანაფერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავედით, რა თქმა უნდა, ყველანი. ახალი, მაღალი სახლი გახლდათ და ჯერ ლიფტი არ მუშაობდა. დავიღალე მეათე სართულამდე. ვიგრძენი, ვეღარაფერს ვითამაშებდი მე თვითონ და მეექვსე თუ მეშვიდე სართულზე მხოლოდ რეკისორობა გადაეწყვიტე. ეს გადაწყვეტილება მართლაც ორიოდე სართულიანი იყო. მალეე გამეღიმა ჩემს დათმობაზე.

დედა-შვილის სიყვარული მაინც სხვაა. აქ სიყალბე არ შეიძლება. დამწუხრებული იდგა საწყალი. ქალება გავატარე. დედაჩემიც შარშან გარდაიცვალა. სულ რაღაცა აწუხებდა, სულ უკმაყოფილო ქონდა იერი, მაგრამ არასოდეს დაუწუწუნია. დაუწუწუნია კი არა, ხუმრობდა და ხუმრობდა.

ერთმა მეზობელმა კი მართლა ბევრი გვაცინა. საწყალი დედაჩემი ბანქოს გაშლის თავიც აღარ ჰქონდა. იწვა გალეული ადამისდროინდელ თეთრეულში. ამოგვაკითხა ქვემო სართულიდან მეზობელმა. მის დანახვაზე ვკრთები ხოლმე, რატომღაც მგონია, წყალი ჩაუვიდა, ან რაიმეში გვადანაშაულებს-მეთქი, თუმცა არასოდეს მსგავსი არაფერი მომხდარა და, ისიც უნდა ითქვას, არც მეზობელს უკადრებია რამე. მაინც ვკრთები, მაინც მაქვს შიში. ამოვიდა. წევს დედაჩემი. აცმაცუნებს ტუჩებს, ძლივს ვიგებ, რას მეუბნება. ეგ არაფერიო, დაიწყო მეზობელმა, ეგ არაფერიო. ოიგენის სისტემით ერთი-ორი ვარჯიში (ის კი აღნიშნა, ჯერ, რა თქმა უნდა, იოლია) ჩავატაროთ და ათიოდე დღეში ფეხზე წამოგახტუნებთო. დედაჩემმა თვალი ჩამიკრა, გამომშრალი, თხელი ტუჩებით გაიღიმა.

— მერე კი, ქალბატონო, ყირაზე გადავალთ, — სხვათა შორის, მეზობელი ყველა ვარჯიშს იქვე გვისრულებდა.

ყირაზე რომ დადგა, დედაჩემი ათახოთახდა. საწყალი გულიანად იცინოდა. მეც ამიტყდა სიცილი. გაოცებული მეზობელი ქვემოდან გვიცქერდა და ვერ გარკვეულიყო, რაში იყო საქმე. ეტყობა, ეწყინა. უცებ ამოტრიალდა, ფეხზე დადგა და ნახვამდისო, დაგვტოვა.

მესამე დღეს გარდაიცვალა [illegible] განყოფილების გამგის ბინის კორიდორში ვიდექი. ხალხი ისევ მიდი-მოდიოდა. მეც დავიძარი. მახსოვს, როგორ მომისაძძიმრა ამ ახალგაზრდამ და ყოველ პანაშვიდზეც შემოდიოდა.

მივუახლოვდი. ხელი ძლიერად ჩამოვართვი, ჩავიტუტუტე სამძიმრის სიტყვები და ვიგრძენი, ვერ ვიწეოდი საკონელად, რაღაც მიშლიდა. მარჯვენით ჩემი მარჯვენა ჩაებღუჯა, ხოლო მარცხენით ისე ოსტატურად მიჭერდა, ისე ოსტატურად იცავდა დისტანციას ჩემსა და თავის თავს შორის, რომ კინაღამ გამეღიმა. ეს არ იქნებოდა მისი მოგონილი. რაღაც ორდენის შინაგანაწესის ერთ-ერთი დაუწერელ ქვეპუნქტივით იყო. როდის, როდის ჩამოყალიბდა ეს ორდენი?!. ასე ჩემს გვერდით, ისე რომ არაფერი გამიგია, მიგრძვნია... საოცარია.

23 ნოემბერი.

— ბაბუ, იცი, რა მითხრა კოტე ბაბუამ? — მკითხა დღეს დილით ჩემმა შვილიშვილმა.

კოტე ჩემი ნაცოლარის ქმარია.

— მითხრა, რომ ბაბუაშენი ბაბუ არ არისო... ბაბუ რომ ქალებში დაიწყებს სიარულს, ის რა ბაბუაა. მე მესმის, ბაბუა თეთრწვერაო, ცოტა მოხრილიო.

— ვაი მაგის პატრონს, — მეტი ვერაფერი ვუპასუხე. ნეტავ რაზე უთხრა ეს ბავშვს? რაში დაჭირდა, მაგ დოყლაპიას. დოყლაპიას-მეთქი რომ ვამბობ, ეს იმიტომ, რომ მერე და მერე გავიგე, ჩემი ნათლული და მისი ცოლი დადა ღალატობდა კოტეს.

ნეტავ ვიზე თქვა?

ერთი მეზობლის ქალი მყავს გაუთხოვარი, მაგრამ რომ იპრანჭებიან კიდეე, ისეთი. სულ ჩემთან იჯდა ხოლმე. ერთი ჰერიოდი სადილებიც მოჰქონდა. ყველას ეღიმებოდა მის ხსენებაზე. ერთხელაც ვიფიქრე, მაინც ჯორაობენ და რაც იქნება იქნება, მოვეფერები-მეთქი. დავახვედრე შამპანური, ტკბილეული. მერე ცეკვაც შევთავაზე და... იცი რა მითხრა, იმ უჯიშომ, რა ვქნა, ბატონო გივი

ფრიგიტიული ვარო. ვიცინე, რა ვიცინე. გამიბრაზდა. კარგა ხანს არ გამოჩენილა. ერთხელ შუაღამეზე მომადგა. მიმიღებთ, ბატონო გივიო. დილით ისევ გაიმეორა, მთელი ჩემი უბედურება ის არის, ფრიგიტიული ვარო.

მასზე თუ გაიგეს რამე, რა ალაპარაკებდა ბავშვთან.

მერე ვაბანავე ჩემი ბიჭი.

დიდხანს, დიდხანს ვუყვებოდი ზღაპრებს. „ფედრაც“ გადმოვაქართულე და გადმოვაბავშვე... და სწორედ „ფედრაზე“ ჩაეძინა... რისი მთამაშებელი ვარ-მეთქი, ვფიქრობდი. მოყოლით ვერ მომიყოლია და რისი მთამაშებელი და დამდგმელი ვარ-მეთქი.

უცებ ბიჭი ჩემკენ გადმობრუნდა და ჩამეხუტა. ღმერთო ჩემო, თუ არის რამე ამაზე ძვირფასი, თუ არის რამე ამაზე, ამაზე... არც ვიცი, რა დავარქვა (რა უბრალო და გაცვეთილი სიტყვაა „კარგი“).

ალბათ ჩემს ბიჭში არის და იმალება ჩემი სული და ყველაფერი... ვინ ვარ მე, ვინ? აი, ეს ბიჭი ვარ, რომ ჩამხუტებია და მისი სუნთქვა, თბილი და ალერსიანი მე აღარ მასუნთქავს, რომ ძილი არ დავუფრთხო.

ამა, რა ჯანდაბა მინდა, რომ უნდა გავითუთხნო, თითქმის გავშიშვლდე, ვიყვირო, ვიფოფხო, სხვებიც ვატირო და ვაყვირო... ნუთუ ღარაფერი ვარ, ღარაფერი და ჯინაზე, ვიღაცის ჯინაზე ვიბრძვი, ვშიშვლდები, ვხტუნავ?!. (თეზევსის როლი ჩემთვის გადავწყვიტე).

წამოვდექი. ჩემი უჯრა გამოვწიე. უმალვე დავმშვიდდი. პაპიროსის ნარჩენი, ავტოგრაფიანი ფურცელი...

თუ დამცალდა, ერთს კი ვეცდები, ჩემს ბიჭსაც შევაყვარო ეს ყველაფერი. ოღონდ არ უნდა დავიწყოს.

ღამით სიზმარი ვნახე.

ბიჭი მომკვდომოდა.

ვტიროდი, რას ვტიროდი!

დედაჩემი დავინახე... შორიდან მოდიოდა. სულ მთლად გალეული (რა ეცვა, აღარ მახსოვს).

— დედა, დედა, შენი ჭირიმე, მე ხომ არასოდეს მითხოვია დახმარება... არც მაშინ, არც მაშინ არ შემიწუხებია... დედამ რომ დამტოვა... დედა, ახლა უნდა მიშველო... ბიჭი უნდა დამიბრუნო, გესმის?.. მე, მე წამიყვანე.

— გაიდვიძე, შვილო, — მხარზე ხელის დადება ვიგრძენი, მსუბუქზე ჭსუბუქი ხელის მოფერებასავით დადება. შიშით, ნელ-ნელა გავახელე თვალები... ბიჭს გადაეძრო საბანი და პატარა ტაკუნა ჩემკენ მოეშვირა. ამაზე კი გამეღიმა, მაგრამ იმდენად მაკანკალებდა გამოყოლილი სიზმრით, რომ მაინც მივიხედ-მივიხედე, მაინც მოვიძიე ოთახში იმ ალერსიანი ხელის პატრონი, ასე სათუთად რომ გამაღვიძა...

ზაფხულობით დედაჩემს ქართლში ერთ შორეულ ნათესავთან მივყავდი ხოლმე.

დიდი თუთის ქვეშ მიყვარდა დგომა. ნიავის ოდნავ წამობერეაზე ფოთლებს შუა მზე გამოანათებდა. მეც თვალს მოვკუტავდი სხივს და თითქოს ეს სხივი ჩემში შემოდიოდა, მხოლოდ ჩემი ხდებოდა. ვგრძნობდი მის სურნელს, ნათელს, სითბოს და გემოსაც კი. უცებვე კრეებოდა სხივი, ერთ წამში გადაფარებოდა თუთის დიდი ფოთოლი. ცოტა ხანში ისიც კი ვიცოდი, სით უნდა გადამენაცვლა, სად უნდა დამეჭირა ჩემი სხივი. ობილისში ელნათურაზე ვცადე იგივე. პირში სიმშრალე ვიგრძენი.

ამ ჩვენს ნათესავს ჩემხელა (შეიძლება ცოტათი უმეროსი) ვაჟი ჰყავდა. ის ბიჭი მერე აღარც მინახავს. სამი დღის უკან დამესიზმრა.

სოფელი.

მწვანეში ჩაფლული.

თუთის ხე.

აშრიალებული ფოთლებით.

მზე, ნათელი, ჩემი სხივი.

ნაცნობი სურნელი, სითბო (საოცარია, ნაყოფი გემოთი არც მაშინდელი მახსოვს და არც სიზმარში გამხსენებია).

ჩემი ნათესავი ბერტყავს თუთას.

ბადრი ბოსოლელიძე
ზამთრისპირა ჩანაწერები

მხოლოდ ის მაგონდება, დიდ-დიდი შავშავი ცვივა. ჩემს სხივს ბრწყინვალებას თუ მატებს ეს სიშავე.

სად ცვივა, ვერ ვხვდები. იმ ჩემ ნათესავ ბიჭს ვედრო გაუვსია და სადღაც მიაქვს.

— სათ, სათ, ბიჭო? — გაკვირვებული მამამისი ლამისაა ჩამოვარდეს.

— დავპირდი, — ღობისკენ ხელს იშვერს ბიჭი. ღობის მიღმა ახალგაზრდა ჩანს წყვილი ბავშვით. ყველა იქით ვიყურებით. ჩემი ნათესავი კი არხევს ტოტს, მაგრამ ისიც გაღიმებული მიაყოლებს შვილს მზერას.

ახალგაზრდა კაცი ფართო-ფართო ფულს იღებს და ბიჭს აწვდის. ისიც იტაცებს უბეში.

— ეე, ეე, — თუთამ იმატა ციდან. გამეტებით არხევს ჩემი ნათესავი ტოტს და მხოლოდ ეს ისმის მისგან, — ეე, ეე...

ჩახლეჩილი ხმა.

დაქაჩული თვალები.

თითქოს სხივს ჩამოყვაო, ისე წამში გაჩნდა ეს ამოდენა კაცი ჩემს გვერდით.

— ჰაი შენი... — შვილისკენ გაქანდა.

ბიჭმა მოუსვა.

მირბის ბიჭი და იზრდება, იზრდება. უცებ ჩემკენ შემობრუნდა.

შემობრუნდა ჩვენი განყოფილების გამგე...

სიზმარზე გამახსენდა. ჭაბუკობაში ქალი დამესიზმრა. გრძელი ხორბლისფერი ფეხები ქონდა. თბილად მეხებოდა. მე ამ ფეხებს თვალი რომ ავაყოლე, მთელი სხეული ახლობელი და თითქოს ნაცნობიც მეჩვენა. მხოლოდ სახე მეუცხოებოდა, მაგრამ ვგრძნობდი მიყვარდა ეს თვალები, ცხვირი (ლამაზი და დახვეწილი), ტუჩები. ქალი თბილად მეკვროდა. ნელა, აუჩქარებლად ვითენთებოდით ალერსში.

ქორწინების ღამეს გამახსენდა ეს სიზმარი — გრძელი ხორბლისფერი ფეხები, ტუჩები, თვალები, ცხვირი და თბილი ალერსი.

ჯერ კიდევ როდის მენახა სრულიად უცნობი დედა.

26 ნოემბერი. დღეს ერთმა ჩემს ოთახში მჯდომმა გოგონამ დაბადების დღეზე დამპატიჟა. მეორემ ინფორმაციას მითხრა, ბატონო გივი, რომ იცოდეთ რა დეიდა ყავს, აუცილებლად მობრძანდებითო. ქალს მირიგებენ. როგორი ამბავია, ეს გოგოშკები ქალს მირიგებენ.

მაინც დავთანხმდი, მოვალ-მეთქი.

კარგა ხანია ასე არ შემფრთხიალებია გული. ვგრძნობდი, მართლა დამაინტერესა დეიდამ.

სახლში მობრუნებულმა ზეგინდელი დაბადების დღისათვის ჩასაცმელ-მოსარგები გადავარჩიე და ტელევიზორი ჩავრთე.

ამ ბოლო დროს დამჩემდა, ან წიგნებს ვაწყობ (თან ვათვალიერებ), ან სურათებს. გუშინ ჟურჭელს გადავხედე. ჟურჭელი კი მართლა ისეთი მაქვს, დეიდა კი არა შეიძლება თვითონ დიშვილიც გამოფრინდეს ჩემკენ. მამაჩემის შეძენილია. დაახლოებით ოცაან წლებში. მამა აღრე დამეღუპა. მე თითქმის არც მახსოვს. თითქმის კი არა, არ მახსოვს. მხოლოდ დედის დაკრძალვისას, საფლავი რომ გავათხრევინე, ნიჩაბმა უცნაური ხმა გამოსცა. მესაფლავემ, ძველი მკვდრის კუბო ჩაინგრაო. ეს ძველი მკვდარი იყო მამაჩემი. კიდევ სურათებით ვიცი. მის აღრე დაღუბვაჭ თუ არ მივიღებთ მხედველობაში. ჭლექმა იმსხვერპლა სულ მთლად ბიჭი. დღეს ფირფიტებს დავათვალიერებ. თან ტელევიზორიც ჩართულია. ეს მიშლის. ფირფიტას, ყველა ფირფიტას თავის ისტორია და სუნი აქვს, ფერიც და... მოგონებაც.

ეს ყველაფერი ვიცი, მაგრამ ფირფიტებს მექანიკურად ვათვალიერებ, თან ვასუფთავებ. მე ტელევიზორს ვუსმენ.

უცებ ყველაფერი ბნელდება ირგვლივ. ეს მყიფე, ადვილად მსხვრევადი ფირფიტის შავი მასა, მხოლოდ მის შუაგულში მოთეთრებულ წრეს გამოყოფს. წრეში კი წერია სიმღერის სათაური, ტექსტისა და მუსიკის ავტორი (დიახ, ერთად!) და ეს ავტორი მე ვარ... მე ვმღეროდი, მე ვუკრავდი, ლექსებს ვწერდი!!!

ღმერთო ჩემო, მე, მე ვმღეროდი?!

მე და ლექსები?..

ღამე წამოვდექი და ახლა ვწერ ამ სტრიქონებს: „იცოდეთ ყველამ! მე მიმღერია და ეს სიმღერა ფირფიტაზეა აღბეჭდილი. იცოდეთ, ვისაც გახსოვართ, რომ მე ამ ფირფიტაზე ვარ და არა კრებებზე, კაბინეტში. ჩემო ბიჭო, ჩემო სიცოცხლე ბიჭო, ისწავლე ეს სიმღერა და ხანდახან თუ ამოხვალთ ჩემ საფლავზე წაიღიღინე. იქვე იქნებიან შენი დიდედა და კუბოჩამტვრეული დედი პაპა. ჩვენ ერთად გავიგებთ და ვიგრძნობთ ამ სიმღერას. ეს ვარ მე, ეს ფირფიტა და სხვა არაფერი... ვიყავი, მე მხოლოდ ვიყავი“...

ცრემლებით ინამება წერილი.

საცემი ვარ, საცემი. ფირფიტას რადიოლაზე ვდებ და მელოდიასთან ერთად მახსენდება დადა.

— რა აუცილებელი იყო, რა საჭირო იყო მოგებოძებინე. რატომ უნდა მირიგებდნენ დეიდას?!

28 ნოემბერი. დედაჩემს ისე ხშირად ვუზომავდი წნევას, რომ მგონი ამ საქმეში ბევრი ვერ შემედრება. სულ ოდნავი დარტყმაც მთელ სხეულში ზარივით მივლიდა და წარმოიდგინეთ, გულსაც შემიკუმშავდა ხოლმე.

დღეს დილით კეფა მტკიოდა. ადრეც მქონია მაღალი წნევა, მაგრამ არც ცუდად ყოფნა, არც რაიმე უსიამოვნო მიგრძვნია. ახლა კი აშკარად ვერ ვიყავი კარგად.

როგორც იქნა წამოვდექი. მე თვითონვე გავიზომე წნევა და არც შევმცდარვარ — ასოთხმოცი ასოცზე მქონდა. ასე, ასე უპატრონოდ რომ მოვკვდე. ნეტავ პირველი ვინ მომისაკლისებს, ვინ მომიკითხავს. რომ დავუფიქრდი, არაფერი ამ ქვეყნად არ მენანებოდა და არც გულდასაწყვეტი მრჩებოდა. ერთი და მთავარი ჩემი ბიჭი იყო... გათავდა, სხვა არაფერი. სხვათაშორის, იმასაც ვფიქრობდი, განსაკუთრებული რომ დამეტოვებინა მისთვის რამე, მერე მართლა თავისუფლად დავიკრებდი ხელებს.

ნელ-ნელა, ნელ-ნელა მოვმჯობინდი. მერე იმან გამაღიმა, რომ ამ საღამოს ერთი ქალბატონი მელოდა (ამ მზრუნველ ყოველთვის მიღიმოდა ბედი. არავინ ცოლად შერთვას არ მთხოვდა, ოღონდ ეს იყო, უცებ მიმატოვებდნენ ხოლმე). მეც ამ მიტოვებაზე არ ვიკლავდი თავს.

ტაქსში ისევ ვიგრძენი კეფის ტკივილი.

ცრიდა.

მეუცხოებოდა ჩემი ქალაქი დანამუღი ფანჯრებიდან. მძღოლი ქალებზე მელაპარაკებოდა. როგორ გაფუჭდნენო. რას ეძახის გაფუჭებას?

მე მხოლოდ ეს მესმოდა, როგორ გაფუჭდნენ.

წვიმამ უმატა.

ჩემს სამსახურამდე საკმაო გზაა. მერე ალაყაფის კარი. აქ ყველა მანქანას არ უშვებენ, განსაკუთრებით ტაქსებს. მცველები ჩემი უფროსობის მერე შეიცვალა. ისე რომ დიდი წარმოდგენა არა აქვთ, მანამდე ვინ ხელმძღვანელობდა განყოფილებას, არც აინტერესებთ.

მე, წნევიანი და თან ამ წვიმაში ჭიშკრიდან შენობამდე გზას უმანქანოდ ვერ გავივლი!

— მოვედით, მერე ალარ შეიძლება, — ამიხსნა მძღოლმა.

ფანჯარა ჩამოვწიე. მცველს გავუღიმე. მანაც დამიქნია თავი. მძღოლს ვანიშნე, განაგრძე გზა-მეთქი, მანქანა აგუგუნდა. ღია ფანჯრიდან შემოსხმულმა წყალმა შარვლის მარჯვენა ტოტი დამისველა. მცველმა უარის ნიშნად ჯერ თავი, მერე ხელი გააქნია.

— არ გვიშვებს, ბატონო, — მომიბრუნდა მძღოლი.

— გაგვატარე, ბიჭო, — ახლა კარიც გამოვაღე.

— ყოველდღე აგიხსნათ ყველას, რომ არ შეიძლება, — მცველი უკვე ჯიხურიდან მელაპარაკებოდა.

— კარგი, გადადით, ახლა, არ გვიშვებენ და რა ვქნათ, — მძღოლმა მრიცხველი გამორთო.

— აქ მეც ვიყავი უფროსი, — თავი

მტკივა. მაკრჟოლებს. ვინმეს მინდა შევჩივლო (ალბათ ესაა სიბერე. ვყოფილვარ თუ არა ბაბუ. წვერსაც მოვუშვებ), — ჩემი უფროსობისას ტაქსიც შემოდიოდა და ყველაფერიც, — ეს კარგად არ გამომივიდა (წვერსაც მოვუშვებ ქალებსაც თავს დავანებებ და მოხრით ისედაც მოვიხრები წელში), — ახლა წნევიანმა კაცმა ამ წვიმაში სად ვიაროო.

მძღოლი ნელა მითვლის ხურდას სულ მანეთიანებით.

ტაქსიდან ჩასულმა ჯიხურში შევიხედე. არაფრის მთქმელი არა ვარ, მაგრამ სახე მაინც დავანახო გამკცრებული... ვინ მიყურებს, ვის ვაინტერესებ.

თავი სულ დამისველდა. ქუდი უნდა დამეხურა. თუმცა წნევისათვის ასე სჯობია. თავი გრილად უნდა გქონდეს. როგორც იქნა, მივაღწიე შენობას. გოგონები შემომხედნენ, ჩემთან რომ სხედან ოთახში ისინი. ვხედები, რაღაც სიმპატია აქვთ ჩემდამი და როგორც შემიძლია, მეც ვცდილობ მათ სიამოვნებას.

— ვაიმე, ბატონო გივი, — შეიცხადეს ერთხმად.

— დავსველდი, — ისე ვიმართლებ თავს, ვითომ ჩემი ბრალი იყოს, რომ დავსველდი (გავილუმპე, კი არ დავსველდი).

— უსინდისო, — გადაულაპარაკა ერთმა მეორეს, — თვითონ ხომ დაეთრევა მანქანით.

ისე სიმართლე რომ ითქვას, მანქანას მთავაზობს ხოლმე განყოფილების გამგე.

— სახლში, ბატონო გივი? — თითქმის ყოველდღე მეკითხება სამსახურიდან გამოსულს, — დაბრძანდით.

თავიდან დავყვებოდი. მერე კი მივხვდი, რომ სახლამდე, ზუსტად სახლამდე არასოდეს მივყავდი. ეს სხვებსაც შევამჩნიე, პროვინციალებს. ეტყობა, ეშინიათ ბოლომდე შენს მსახურად არ ჩაითვალონ და ამიტომ არც ერთ, არც ერთ საქმეს თვითონ არ დაასრულებენ შენს სასარგებლოდ. ასე მივყავდი მანქანით ჩემს ასახვევამდე, მერე კი აღმართს ფეხით ავუყვებოდი ხოლმე. ეს ალაყაფის კარიც მაგონებს ამ ამბავს... და საერთოდ, რაღაცას, ვიღაცას მაგონებს ეს ახალგაზრდა... სიტუაციას, პიროვნებას თუ ხედს ეს კი ვერ გამირჩევია.

მეორე სართულის გრძელი დერეფნის ბოლოში აღმოვჩნდი. განყოფილების გამგის მდივანი მიღიმოდა.

— რას გავხართ, ბატონო, გივი, რა არის ეს?! — მდივანი პირდაპირ მე მადანაშაულებდა გალუმპვაში.

— აქ არის, მაგრამ დაკავებულია.

— არ ვიცი მე დაკავებული, — მთელი თავი მიფეთქავდა, — სულ კი ნუ გალაზღანდარდებით!

პირველი კარიდან მეორეს შეღებამდე გავიფიქრე, — ასე წნევაანწუულ კაცს ახლა რომ რამე დამემართოს, ხომ დასჯიან ამ...

მეორე კარიც მოიხსნა.

გრძელი კაბინეტის სიღრმეში შვიდნახევარ ტელეფონის აპარატებში ჩამჯდარი ახალგაზრდა კაცი. შვიდნახევარი-მეთქი რომ ვამბობ, ეს იმიტომ, მეშვიდე მხოლოდ ყურმილი იყო.

მომეწონა ეს, შვიდნახევარის გაფიქრება.

იგი ტელეფონზე ლაპარაკობდა. ჩემს შესვლაზე წამოდგა და ისე გაოცებულმა დამიქნია ხელი, ისე გაოცებული, ოდნავ შემცბარიც იღიმოდა, თითქოს ეს რა დღეში ვარ, ეს რა გადმომილოცეთო, მაგრამ თქვენო, თქვენო მაინც პატივს ვცემთო.

ყურმილის ქვედა ნაწილს ხელი დაიფარა, — დაბრძანდით, ბატონო გივი, დაბრძანდით. ახლა აქ რა გამაღიმებს, რა გამატარებს თავისუფლად კარიდან სკამამდე. ამ ახალგაზრდის ხელშიც ვყოფილვარ რამდენჯერმე აქ. მის უკან, სავარძლის უკან თავისი კეთილისმყოფელის სურათი ეკიდა. ჩამოუხსნია ამ შვიდნახევარ ტელეფონიანს. რაც მართალია მართალია, ყველა მის მიღწევას იმ კეთილისმყოფელს აბრალებდნენ და სწორადაც მოქცეულა.

როგორც იქნა, დადო ყურმილი.

— რა ვქნა, ბატონო გივი, — მარჯვე-

ნა ყელში გამოისვა, — ამიტომ უნდა მაპატიოთ პატარა უყურადღებობა. დასველდით, ბატონო გივი. — წამოდგა. გრძელ მაგიდასთან გადმოჯდა.

ვიცოდი, დარწმუნებული ვიყავი ფეხსაცმლის თასმის ბოლო წინდაში ექნებოდა ჩამაგრებული. მაინც შევამოწმე საკუთარი თავი. შევცდი.

— არ დაბრძანდებით, ბატონო გივი.

— თქვენ იცით, რატომ დავსხედი, — დამაცემინა. იწყება, იწყება სიბერე (წუწუნიც!).

— თქვენ მენდურით მე, მენდურით.

— მემდურით და არა მენდურით, — ისევ დამაცემინა. ისაუბროს ასე, რას ვერევი, უფრო მალე წაიტეხს ცხვირს.

— კი ბატონო, — გამიღიმა, — მემდურით თქვენ მე.

— მანქანის აქ შემოყვანა რა გახდა, რომ ჩემი ხნის, თან წნევიანი, — თან წნევიანი-მეთქი, ისე ვთქვი, ვითომ რამეს ნიშნავდეს ეს დღეს, — თან წნევიანი კაცი არ გაილუმპოს.

— დღესვე გავაფრთხილებ მცველს. თქვენ თუ გნებავთ ფაიტონითაც მობრძანდით, — გაღიმებულმა გამიმეორა ერავე ხელი.

— მარტო მე კი არა ყველასთვის ღია უნდა იყოს კარი.

— ყველასთვის არ შეიძლება, — ჩუმად მითხრა, — მისაღებშიც ხომ არ გალოდინეს?!

თავი დავუქნიე თანხმობის ნიშნად. ვგრძნობდი მთელი ამ სიტუაციის სიყალბეს, მაგრამ ისე ოსტატურად მიღიმოდა, ისე მპატრონობდა სიტყვებითა და ღიმილით, რომ ომიანდა ჩემი გულისთვის ვინმეს ვინმესათვის ეყვარა, დაეტუქსა.

მდივანმა კარი შემოაღო.

— მე რა გითხარი?! — წამოდგა ახალგაზრდა, — რა გითხარი მე?! — მდივნის დაბნეულ მზერაზე სულ გაცოფდა, — ბატონი გივი, ბატონი გივის აცდევინე?!

მეც ამაყად გავხედე ქალს და ისევ სპექტაკლი!

თავჩაღუნული ქალის თვალები ღიმილიანი სხივით ამოიხეიდავდა ხოლმე.

ახალგაზრდის გამეხებულ სახეზე მარცხენა თვალი ჰა და ჰა ჩასაკვრელად გამზადებულიყო.

ვის რად უნდა შენი თეატრი და სპექტაკლი?!

ბებერი სულელი! უტვინო! ყოფილი უფროსი და სპეციალისტი, ძალზე მოკლე სანეკროლოგო ამხანაგი.

— ახლა გადი და მეტი აღარ გაიმეორო მსგავსი რამე, — ისევ ჩამოჯდა. უცებვე გამიღიმა, — დასვენება არ გნებავთ, ბატონო გივი?... მე უკვე მოვკვდი. სახლში ვეღარ მცნობენ, ბავშვები ვეღარ მცნობენ, ბატონო გივი. ხანდახან შუაღამეს ვბრუნდები შინ.

— რა არის ამდენი საქმე? — გამეღიმა.

— ეჰ, — უცებ მოსხიპა სათქმელი; მგონი უნდოდა, თქვენ რა იცითო, მაგრამ მიხვდა, — ახალიც ბევრია, უამრავი გასაკეთებელი.

— ჩვენ რომ ვიწყებდით, ხომ იცით ეს ჯერ ქვეგანყოფილება იყო, მე გადავაკეთე...

— ვიცით, ვიცით, — მუხლზე ხელი დამკრა, — ისიც ვიფიქრეთ თქვენს სახელს მივაკუთვნებთ-თქვა, მაგრამ...

გამიღიმა მრავალმნიშვნელოვნად.

ჩემს სიკვდილზეც უფიქრია უკვე.

— მართლა, სპექტაკლის საქმე როგორაა?

— აღარ იქნება არავითარი სპექტაკლი... აქ, ჩემს ირგვლივ ისეთი სპექტაკლები თამაშდება, რომ უკეთესს ვერ ინატრებს კაცი.

— მე კიდევ ერთხელ გადავიკითხე „ფედრა“, ბატონო გივი და სტანისლავსკის სისტემით თუ მივუდგებით...

— რა შუაშია, შენი ჭირიმე, გადავიკითხე და სტანისლავსკის სისტემა... მოდით, მამა-შვილურად, გესმით რას ამბობთ?

ისევ გამიღიმა.

ბადრი ბოსოლელიძე
ზამთრისპირა ჩანაწერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვერ მიტანთ... არც ისე ურიგო კაცი ვარ. ჰკითხეთ თქვენს სიძეს... და დღეს მთავარი არაა რას ამბობ, მთავარი რისთვის ამბობ ისაა.

— მე სხვანაირად მესმოდა.

— რა ვქნათ, ბატონო გივი... ნუ დამენდურებით... ნუ დამემდურებით. მოგეხსენებათ, დრონი მეფობენო...

წამოვდექი. ერთს კი მივხვდი, ჰა და ჰა, თვითონ წამოდგება და მაშინებს, გვეყო, ბატონო გივიო.

ჩემს კაბინეტს ერთხელ კიდევ მოვავლე თვალი.

29 ნოემბერი. სამსახურში დამაგვიანდა. მთელი ღამე იმას ვხედავდი, როგორ შევგულიანდი, როდესაც განყოფილების (ქვეგანყოფილების) გამგეობა შემომთავაზეს. როგორ დავარეკინე მაინც ზემოდან (ასეა საჭიროო, მითხრა იმან, ვინც შემომთავაზა). ეს ხომ მიზეზია, მეც ხომ ვიცოდი, რომ ასე ვიზამდი, რომც არ ერჩიათ. როგორ, როგორ ამიბზუეს ცხვირი დანარჩენმა კანდიდატურებმა... რისთვის, რისთვის, ვიბრძოლე, რისთვის?!. რომ უცებ მოსულიყო ეს პატარა ბიჭი და მე მეთოდისტად წავსულიყავი.

მემღერა მაინც. ლექსები...

გზაში ვფიქრობდი, მაინც წავალ, მაინც ვნახავ დეიდას-მეთქი. ის კი არა და ვიმღერებ კიდეც!

ოთხი საათისთვის უფროსის მდივანს დავუბარე, რომ მიკითხონ, ვერ იყო კარგად და სახლში წავიდათქო.

მდივნის ღიმილი იმას ნიშნავდა, ვინ უნდა გიკითხოსო.

სახლში მოსულს, ჩემი გოგონა დამეხვია, ყველაფერი დაგილაგე, დაგისუფთავე და არ გეწყინოს ერთი ფირფიტა გამიტყდაო.

ციდან ჩამოცვენილი შავი თუთა გამახსენდა.

არც მიკითხავს, რომელი ფირფიტა-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარეჯან ბატიაშვილი

ბაბრატის ტაძარში

ლოცვა-კურთხევით ვერ მოგირჩენ, ტაძარო, ტკივილს,
მე მაინც ვდგავარ ამბიონზე კრძალვით და კრთომით,
სახელი გქონდათ საკუთარი ტაძარს და ბილიკს
და ჩალმოსნები ამიტომაც გიცქერდნენ წყრომით.

თავღია თაღებს სადიდებლად ჩუქურთმა შერჩა,
ლოცვის მაგივრად ჩაუგდია ჩიტებს ჩინგური,
აქ ღმერთი მძლავრობს,
მიმალულა ხვლიკივით ეშმა,
აქ გული უფრო მცხუნვარეა, ვიდრე მზისგული.

აღარ მთავრდება მოთქვრიალე წყაროთა თქეში,
ნეტავ, ტაძარო, დიდხანს შევძლო აქა მდგმურობა,
გამორევიან შოშიები ანგელოზებში,
ფუი, ეშმაკებს,
ოი, ჯვარი აქაურობას.

ფიფქები

ის დაიძვრება, როგორც ლაშქარი,
მერე კი ჩალევს უნაზეს ბილიკს,
როგორც პატარძალს თეთრი სამოსი
ისე უხდება ფიფქები თბილისს.

თუ ელვარებას დაკარგავს ეს დღე,
თვალიც დაუდგეს ასეთ საღამოს,
დაცრეცილ ფიქრებს ფიფქით
დავქარგავ
და წყნარ საღამოს გავხდი საამოს.

ამიტომ მიყვარს ფიფქების თოვა,
სიოს სიცილი,
შემოხლა ქარის,
როცა ელი და ის ვიღაც მოვა,
ვინც იცის ყადრი თოვლის და ქალის!

ვანო ჩხიკვაძე

„გრძელი მენახე ვისია“

ულამაზესია საქართველოს ყველა კუთხეში შემოდგომა.

იწყება ფერთა დიდი დღესასწაული.

დამცხრალი მზე სასიამოვნო, ზომიერ სითბოს აფრქვევს და მის სხივებქვეშ იტრუნება გარემო. გეგონება გაზაფხული მობრუნდაო, ისეთი ფერები შემოგნათის ყოველი მხრიდან, უცნაური, ერთმანეთში გადასული, თვალის დამამშვიდებელი. ოდნავ სევდანარევი ფერები.

ერთად შეტბორებული ფეროდბზე სისხლივით დაქცეული თრიმლი.

იცინიან გახლეჩილი ველური ბროწეულები და ინაზება ასკილი.

ულამაზესია კახური შემოდგომა.

ვინ მოსთვლის რამდენი მეხტობე ჰყოლია და კიდევ რამდენი ეყოლება მომავალში მრავალფაქიერივით ღონიერი, საქართველოს ბეჭდაუდებელ ფაღლავანს.

ეს თრიმლებიც იმ სისხლის სიმპოლოა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ დაუღვრია კახელ კაცს, რათა მყარად მდგარიყო და თავისი ჭეშმარიტი, მრავალმხრივ შემკული სახე, სასიათი, მიხვრამოხვრა, მკერდიდან დაძრული ვეკაპუური ხმა შეენარჩუნებინა.

და ის მოვიდა დღემდე, ხორნაბუჯივით ამაყი, ძლიერი, მხოლოდ თავისი მრავალნაკადი გამკრიახობის, სიბრძნის, ნიადაგ საქმიანი ხელების მოიმედე.

ნოიელუაროს რაიონი 1938 წელს შეიქმნა, მანამ კი გაპარტახებული, დაუსახლებელი ადგილები მთიდან დაძრულმა ხალხის ტალღამ შეავსო. ამ საქმეში დიდი ვაჟა-ფშაველას როლი. ნაყოფიერ შირაქში მთიელებმა სამი სოფელი შექმნეს: ზემო ქედი, ქვემო ქედი და არბიღოსკალო.

ერთ ახლადჩამოსახლებულ მოხუც ხევსურს პირველად გაეხარა ყურძენი და ეთქვა: რა საჭმელია „ულალივნიანი პირი გამოუგემურაო“. ეს შემოხვევა ცხადია, ახლა ღიმილს იწვევს, ხოლო იმის დასტურად თუ როგორ შეაყვარა მთიელებს ყურძენმა თავი, ის ფაქტიც კმარა, რომ სწორედ ზემოთადღნიშნული სოფლები არავის ტოლს არ უდებენ ყურძნის უხვი მოსავლის მიღებაში.

თავის დროზე ახალმოსახლეთა დათვალიერების შემდეგ ვაჟა-ფშაველა წერდა: „მართალია ორ-სამ სოფელში ეკვს-ზვიდ სახლს ძლივს იპოვნინ ისეთს, ადამიანს დაედგომებოდეს შიგა, უმრავლესობა სოროებში ცხოვრობს. მიწაში გამოთხრილ გომურში მცხოვრებ ქედელ გლეხს ეზოში უდგას სამკალი, სათიბი, სახვეტი მანქანები. ეს პირველი შეხედვით დაუჯერებელია და მომახსენებელია ამისა, თუ მანქანებით მოშაობის უპირატესობა შეიგნეს ქედელებმა, როცა კარგად წელში გამაგრდებიან, კარგ სახლებსაც აიშენებენ“.

გამართლდა ვაჟა-ფშაველას იმედი. გულუხვად უბრუნებს შირაქის ველი თავისი შრომის ნაყოფს, ყველას, ვისაც კი გარჯა არ ეთაკილება.

— ჯერ კიდევ, ათიოდე წლის წინ, ალბათ ვერც კი წარმოიდგენდა ჩვენებური გლეხკაცი, თუ რაიონის ზვრებში 1981 წელს 60.000 ტონა ყურძენი დაიკრიფებოდა — გვითხრა პარტიის ნოიელუაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ეიულიენ ყარაულაშვილმა — ეს ჯერჯერობით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, მაგრამ რაიონი პერსპექტიულია, ჯერ კიდევ ბევრია ასათვისებელი მიწები. დაგეგმილია რომ 1990 წლისთვის უნდა ვაწარმოოთ 150.000 ტონა ყურძენი. ამისთვის კი საჭიროა უკვე სამი წლის შემდეგ ვენახების საერთო ფართობმა 15-16 ათას ჰექტარს მიაღწიოს.

გასულ წელთან შედარებით წლევანდელი 40.

000 ტონა ერთი შეხედვით მოკრძალებული შედეგია, მაგრამ ყველას კარგად მოეხსენება თუ როგორი რთული წ�წარწყალი ჭეროდათ კახელ და კერძოდ წითელწყაროელ მევენახეებს. პირველი სეტყვა 21 მაის მოვიდა და არც მერე დაგვაკლო ხელი. 2400 ჰექტარი მთლიანად გაანადგურა, ეს კი დაახლოებით ოცდასამი-ოცდათხმეტ ათასი ტონის დაკარგვას ნიშნავს... ამა, ეს სურათები ნახეთ? ერთიდაიგივე ზვარია გადადებული, სეტყვამდე და სეტყვის შემდეგ.

მართლაც გულსაკლავი სანახავია, ერთ მხარეს ნაყოფით დახუნძლული და მეორე მხარეს თითივით ჯალოყილი ლერწები, წალეკილი და მიწასთან გასწორებული ვენახი.

— ეს რაც მთლიანად განადგურდა, მაგრამ გვაქვს ფართობები, რომლებიც ნაწილობრივ დასეტყვა და იქაც მნიშვნელოვანი ზარალი მოგვაყენა.

ბაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას, — განაგრძო პირველმა მდივანმა — წელს პირველად, საკმაოდ კონკაჭტები გავაშთ თბილისის მევენახეობა-მეღვინეობის კვლევით ინსტიტუტთან.

სეტყვის შემდეგ მაშინვე ჩვენთან გაჩნდნენ ალნაზნელი ინსტიტუტის თანამშრომლები და თითქმის მთელი თვის მანძილზე მათი რეკომენდაციით ვუფლიდით ვაზს.

ერთობლივმა ღონისძიებებმა შედეგი გამოიღო — წალეკილმა ვაზმა ხელმეორედ გამოიტანა ფოთოლი და როგორც ჩვენში ეძახიან „მოლოდინა" მტევნებიც კი დაიხსა...

ერთხელ გურჯაანის რაიონში ვიყავი სტუმრად.

გულღია მასპინძელმა აივანზე გაიწყო სუფრა. შეუშინეველად წამოვიდა, გაიზარდა ღრუბელი.

— ცუდად აირია ამინდი — თქვა შეფერხებებულმა მასპინძელმა და ამავე წამს მოკუფრულმა ცამ დაიგრგვინა.

წვიმას ჯერ წვრილი სეტყვა გაერია, მერე კი ისეთი რაკრაკეები ატეხა, უნდა ფეთრი ბურთულებით გაივსო ეზო.

წამოვიწამლეთ. ჯაგზამდა ყველანაირი, მოგვეწალა გუნება-განწყობილება. სეტყვა არ ცხრებოდა. აივნის ხეტეზე მიყრდნობილ მასპინძელს ნიკაპთან გასასყოფ ორი ჯდეკარე ცრემლი — როგორი გასაოცებელია, ტო�d თვალწინ გიელვება ნაბოლ-ნაჯადი.

მეორე დღეს მანადეი — საურბეგ ბზის ერთი მხარე სულ ჩაეკაფა. მეორე მხარეს კი სეტყვის მარცვლიც არ ჩავარდნილიყო, — დამკარაბელი რქაწითელი ბარეფაკეს ელოდა. ორი თუ ორმეტრანახეკარი საურბეგ აშორებდა ერთმანეთს გაფარჩნილ და დაჩაგრულ ზვარს.

ელეტკაცი მაინც იმედიანია, ისევ ხმლავს, ფეურჩნის. შეაკეს ხასეკი და ბაგანი სიცხეში ზაბიამანს ასხურებს ვაზის ბუჩეკიებს. სუნაანიად არც შეიძლება, ვაზი ბინი სიყვარულია და სიყვარულის ღალატი კი არაფრით არ შეიძლება...

წითელწყაროს რაიონში ყურძნის უხვი მოსავლით სახელგანთქმული რამდენნაირ კოლმეურნეობაა, მაგრამ ამჯერად მკითხველს გვინდა ყველაზე ახალგაზრდა, სამთაწყაროს მევენახეობის სპეციალიზირებული საბჭოთა მეურნეობა გავაცნოთ.

სოფელი 30-იან წლებში დასახლდა ალაზნის ველიდან ჩამოსახლებული ინგილოებით. 1934 წელს შეიქმნა პატარა კოლმეურნეობა, რომელიც მალე არბილოსკალოს კოლმეურნეობას შეუერთდა. სამთაწყაროო 1980 წელს გამოეყო არბილოსკალოს.

სამთაწყაროში ქვიანი, ხირხატი მიწებია, და ვაზი უკეთესად გაკარაბს, ჰაერის მაღალი ტემპერატურა ხელს უწყობს შაქრიანობას და ისეთი ენიკალური ჯიში, როგორიც საფერავია, კარგად ეგუება სამთაწყაროს ბუნებრივ პირობებს.

1980 წლამდე სოფელში 45 ჰექტარი მსხმო�არე და 30 ჰექტარი ახალშენი იყო. მეურნეობა სულ ოროიოდე წლისაა. მაგრამ უკვე მნიშვნელოვნად გაიზარდა ზვრების. საერთო ფართობი. ამჟამად 83 ჰექტარი მსხმოinარე, 40 ჰექტარი მეოთხეწლიანი, 18 ჰექტარი მესამეწლიანი და 816 ჰექტარი მეორეწლიანი ვენახი.

ცხადია, ახლადჩამოყალიბებული საბჭოთა მეურნეობის ზვრებს პატარა სოფლის მუშაბელი ვერ აუვლიდა. ძალზე სახიათოენი იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ დღესდღეობით უკვე ახი ოჯახია ჩამოყვანილი აჯარის მთიანეთიდან და მეურნეობის ძირითად ბირთვს სწორედ ახალმოსახლეები შეადგენენ.

— ცხადია თავიდან არ იცოდნენ ვაზის მოვლა-პატრონობა — ამბობს ეიოლიენ ყარაულაშვილი — კალამს უკუდმა ასობდნენ, გაფაციცებული შეჰყურებდნენ ქვეყ მეევნახეებს. რაცა პირველი მოსავალი მიიღეს, მითხრეს: — ვიცოდით რომ კახური ყურძენი ტკბილი იყო, მაგრამ ჩვენი მოყვანილი უფრო გემრიელი და ტკბილიაო. ახეა, საკუთარი ზრომის ნაყოფს მაინც სხვა გემო აქვს.

მათი ჩამოსახლება ნამდვილ დღესასწაულად იქცა.

— ვინ იცის, იქნება ახლად კი არ ვსახლდები, ისკორიფიდან ძნელებიდამნი გადახვეწილი კვლავ მშობლიურ ადგილებში ვბრუნდებიო — თქვა პირველი შეხვედრისას აჯარელმა დიმიტრი კილაძემ.

დიმიტრი კილაძე დღეს მეურნეობის პარტბიურომის მდივანია.

მის ერთ-ერთ შვილს ამახსენებთ კორნეილი და ხელმოწერის ცერემონიალი რაიონის კულტურის

ვანო ჩხიკვაძე
„ბრძოლი ვენახი ვისა"

სახლში გადაუსადეს და საჩუქრად ტელევიზორი გადასცეს.

— ამ ხალხს მხარდაჭერა სჭირდება, მშობლიურ კუთხეს მოწყვეტილებს ყველანაირად უნდა დავეხმაროთ, რომ მტკაცედ გაიდგან ფესვები კახეთის მადლიან მიწაზე. — ამბობს რაიკომის მდივანი.

სამთაწყაროს მეევნახეობის სპეციალიზირებული საბჭოთა მეურნეობა, იმითაც გამოირჩევა, რომ მეურნეობის თავკაცებიდან დაწყებული მთლიანად ახალგაზრდულია.

მეურნეობის დირეკტორმა ბეჟან გონაშვილმა 1968 წელს წითელ დილლიმზე დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი. ერთხანს სოფლის მეურნეობის სამინისტროში იმუშავა და მერე კი მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა ახლადშექმნილი მეურნეობის თავკაცად.

ბეჟანი 26 წლისაა. მისი თანამოელვეთია: მეურნეობის მთავარი ეკონომისტი გელა ეცაძეშვილი, მთავარი ინჟინერი გია ფირონსმანიშვილი, მთავარი აგრონომი დათო ზავრაშვილი, შრომის ეკონომისტი გიორგი მოლაშვილი, სპეციალისტი მოსახელეობასთან კოპერარების დარგში ნოდარ ნადირაშვილი, მიწათმოქმედების ნოდარ მენთეშაშვილი... მოკლედ მეურნეობის სადაყეები მთლიანად მონდომებული და ენერგიული ახალგაზრდების ხელშია.

ყველანი ერთ ბერკეტზე ცხოვრობენ, ძმურად, შეხმატკბილებულად, საერთო სიხარულით ხარობენ და ერთ საზრუნავზე ფიქრობენ.

მათ შორის მხოლოდ გია ფირონსმანიშვილია დაოჯახებული. სოფელში უკვე შენდება სპეციალისტების სახლი. მალე ყველა მათგანს თავ-თავის კუთხე ექნება და ალბათ ისინიც ოუბამენ გიას მსგავს და გულისხმიერი მეოჯახეები იქნებიან.

— წელს არც ჩვენ დავვიდო სტატუკამ, მაგრამ გეგმა მაინც შევასრულეთ, ვვითხა ბეჟან გონაშვილმა — 870 ტონის ნაცვლად 946 ტონა დავკრიფეთ.

ხორცის და რძის სახელმწიფოზე მიყიდვის გეგმებიც შევასრულეთ, ახე რომ ჩვენი მეურნეობის კოლექტივს ჯერჯერობით ვერ დავემდურებით.

მეურნეობაში მეევნახეობის ცხრა, ორი სატრაქტორო და ერთი სამშენებლო ბრიგადა ჩამოვაყალიბეთ.

რთველი მოთავდა, მაგრამ ზვარში საკმეს რა გამოლევს, ვხნავთ რიგთაშორის, შეგვაქვს სასუქები... დავამთავრეთ ტექნიკის შეკეთება.

დიდი ძალა შეგვმატა, როგორც აქ ვეძახით „კახელი ბიჭების" სახით.

მოწონავე მექანიზატორები: დავით სურმანიძე, დიმიტრი ხილაძე. საშა ფუტკარაძე, შუქრი ფუტკარაძე, ილია ცეცხლაძე, რომეო ფუტკარაძე... მევენახეები: შალვა კილაძე, ანიფრ ბერიძე, ანზორ ხიმშიაშვილი, ვაჟა გვალია, ივანე და პარმენ ცეცხლაძეები, ისმაილ დემიტრაძე, ... ქარცივაძე, ახმედ ხილაძე...

ახალმოსახლეები უცვი არ შეგუებიან ჭკუოროვას, გაუკირდათ თავიდან კლიმატთან შეჩვევა, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა. მარტო ის რად ღირს, რომ ვაზთან საერთოდ არ ჭვრნიათ საქმე და ზოგიერთმა ჩეკერაზე 10-15 ტონა ყურძენი მოიწია.

თქვენ თვითონ ნახეთ, რომ მშვენიერი ბინები აუშენეს, ახლა ბოსლებს ვუკეთებთ და საკარნიდამო ვენახებითაც მალე ყველს დავკამეფოფილებთ.

— კორწილები თუ იყო...

— ჩემს აქ ეოფაზენი თხუთმეტი წუყვილი მაინც შეუფლდა. მოკლედ, იმდენი ბავშვი დარბის, რომ რამდენიმე წელიწადში გამართული, დიდი მეურნეობა გვექნება — ეღიმება ბეჟანს.

სადაც ახალგაზრდობაა, იქ განსაკუთრებული ხალისი და ენთუზიაზმია. მეურნეობაში ფეხბურთელთა ზვიდი გუნდი ჰყავთ და წრიული სისტემით შეჯიბრებას ატარებენ. ნაკრები კი, რომლის კაპიტანიც თავად ბეჟან გონაშვილია, წარმატებით თამაშობს რაიონულ პირველობაზე.

— გვაქვს ფრენბურთის მოედანი. შევიძინეთ საკვადო ლეიბები და ეოფილ სამაგრეთ ბაღის შენობაში საკვადო დარბაზის გახსნას ვაპირებთ... მოკლედ, გეგმები ბევრი გვაქვს. გვინდა მხოლოდ შრომაში კი არა, სპორტშიც მოწინავენი ვიყოთ.

ახლო მომავალში ალბათ ოთხს ადგილიანი კლუბის შენებლობა დაიწყება, იქ უკვე ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობა სხვადასხვა სეკციებში გაერთიანდება...

ეუთადღება ნამდვილად არ გვაკლია — ამბობს დირეკტორი — ხშირად ჩამოდის ჩვენთან საკაროველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი, ჩამოდიან მინისტრები, ადგილზევე ატარებენ თათბირებს და ოპერატიულად წყდება ჩვენთვის მტკივნეული საკითხები.

ჩვენ ველოდებით აჭარის მთიანეთიდან ჩამოსახლების მსურველებს, ამიტომ რაც შეიძლება უნდა დაჩქარდეს ბინათმშენებლობა, რადგან წლეულს კიდევ 200 ჰექტარი ვენახის გაშენებას ვაპირებთ. ბინათმშენებლებმა თუ დაგვაგვიანატეს, კვლავ აღმოვჩნდებით მუშახელის პრობლემის წინაშე — მთლიანპ. 700 ჰექტარ ფართს 180 მევენახეს ვერ გავაწყვდენთ, თანაც ისიც გასათვალისწინებელია, რომ თითქმის 30 მევენახე დეკრეტულ შვებულებაშია...

ალაზნის პირზე ბინები ჩამოწყვა.

წამოსვლა დავაპირეთ, მაგრამ მასპინძლებმა შორს დაიჭირეს.

— ამდენს ვაქებთ ჩვენს მეურნეობას და როგორი ღვინო იცის ჩვენმა ყურძენმა თუ არ გაინჯეთ, რა გამოვაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელდახელო ვაზშამი თვითონ ბიჭებმა გაეწყვეს.

ითქვა ამ მთისაც და იმ ბარისაც.

ლექსი და სიმღერა შეეწყვალა ერთმანეთს.

თავაზიანი, სიცოცხლით სავსე მეურნეობის თავკაცები თვალებგაბრწყინებულები ისხდნენ, როცა საკმიანობას ვუქებდით და მარჯვენას ვულოცავდით იმავე ყურძნის წვენით, მათმა ხელმა რომ მოიყვანა.

თამადამ, ნოდარ ნადირაშვილმა თქვა:

— 26 ივნისს ბოლო სტაკვა მოვიდა. თითქმის მოსავლის ნახევარი წაიღო. ერთმა მოხუცმა მითხრა, 1953 წლის მერე ასეთი რამ არ მახსოვსო.

გადალებული არ იყო — კანტორიდან გამოვცვივდით, მოვედით სახლში, ჩავიცვით ჩექმები და ვენახში რომ გავედით, ხალხი უკვე იქ დაგვხვედა, დაძახებაც არ დასჭირდათ.

ისეთი სახეები ჰქონდათ, რომ მარტო მათი შეხედვა აგატირებდა. მათ ცრემლში ვაზის ხიყვარული, თაყვანისცემა და ერთსულოვნება დაკვინაბე და ხაოცრად გამიხარდა.

იმავე დღეს ჩავატარეთ თათბირი, დავინაწილეთ ფუნქციები და ღამის ოთხ საათამდე შახიამნის ხსნარს ვამზადებდით, რომ დილადანვე დაგვეწყო შეწამვლა...

შეეყურებ სოფლის ახალგაზრდა თავკაცებს და რატომღაც ერთი ხალხური ლექსი მახსენდება:

„სიღიერო შავგვრემანებით
არ დაიწუნო სიძია,
სოფელში მოდი, იკითხე,
გრძელი ვენახი ვისია“.

სამთაწყაროს „გრძელი ვენახების“ მომავალი საიმედო ხელშია და ჭკერა, რომ უახლოეს მომავალში მონოლითური და შეკრული კოლექტივი უფრო მეტ გამოცდილებას შეიძენს, დავეკაცდება, გამოიწრთობა შრომაში და ტოლს არ დაუდებს რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებს.

— არამარტო სამთაწყაროელ, არამედ მთელი ჩვენი რაიონის ახალგაზრდობის დიდი იმედი გვაქვს — გვითხრა ეიულიენ ყარაულაშვილმა, სასურსათო პროგრამასთან დაკავშირებით გადაწყვეტეთ მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მეწველმა პირუტყვმა დაიდოს. 1985 წლისთვის 8500 სულამდე გვეყოლება, ხოლო კიდევ ხუთი წლის შემდეგ 9000 სულს ვვარაუდობთ.

შესაბამისად გაიზრდება რძის წარმოებაც და 1990 წლისთვის 21 000 ტონას მიაღწევს.

იმისათვის რომ ჩვენი ჩანაფიქრი მხოლოდ ფურცელზე არ დარჩენილიყო და პრაქტიკულად ხორცი შესხმოდა, გადაწყვეტეთ კომპლექსები აგვეშენებინა. წელს უკვე გავაშვეთ ზემო მაჩხანის მსხვილფეხა რქოსანი მეწველი პირუტყვის კომპლექსი 600 სულზე. რომელიც წაბლა ლატვიური დეკეულებით დაკომპლექტდა. ეს ჯერ ჩვენთან პირველად შემოვიყვანეთ და გამოირჩევა თავის პროდუქტიულობით, რძის მაღალი ცხიმიანობით.

უახლოეს ხანში ექსპლოატაციაში გადაეცემა ქვეშო ქედის მეცხოველეობის კომპლექსი 800 სულზე...

სულ ხუთი კომპლექსი გვექნება. თავისი რძის წარმოებით.

მათი მოვლა-პატრონობა ძირითადად ახალგაზრდობამ უნდა იტვირთოს. სამთაწყაროელთა მაგალითს უნდა მიბაძონ ჩვენმა ახალგაზრდა მეცხოველეებმაც. დიდი იმედი გვაქვს არბილოსკალოს მეცხოველეობის კომპლექსის, რომელიც მთლიანად კომკავშირული იქნება.

რაიონის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მომავალი თაობა, დღევანდელი ქალაშვილები და ვაბუკები, როგორც პირად ხაზრუნავს, ისეთი გულისყურით მოეპყრობიან რაიონის ღირსების საქმეს...

თავისთავად ლამაზია ხაკართველოს ყველა კუთხეში შემოდგომა.

მაგრამ სულ სხვაა, როცა მას ადამიანი თავის შრომით ალამაზებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდათ გურამ ფანჯიკიძესა და რეზო ჭეიშვილს.

ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ მისალმებები გაუგზავნა იუბილარებს.

ჟურნალი „ცისკარი", მისი სარედაქციო კოლეგია და მრავალათასიანი მკითხველი სულით და გულით უერთდება ამ მისალმებებს, ულოცავს ჩვენს ძვირფას იუბილარებს, უსურვებს ახალ-ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს, ჯანმრთელობასა და დიდხანს სამსახურს მშობლიური ქვეყნისა და მწერლობისათვის.

გურამ ფანჯიკიძე — 50

ძვირფასო გურამ!

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, შენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ძმასა და მეგობარს, თანამედროვე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ შესანიშნავ წარმომადგენელს და მოგილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს შენს ცხოვრებაში — დაბადების 50 წლისთავს.

აი უკვე მეოთხედი საუკუნეა, რაც ერთგულად ემსახურები მშობლიურ ქვეყანას, მშობელ ხალხს, შენი წვლილი შეგაქვს მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის წინსვლისა და აყვავების კეთილშობილურ საქმეში.

შენი შესანიშნავი რომანები „მეშვიდე ცა", „თვალი პატიოსანი", „აქტიური მზის წელიწადი" გამოცემისთანავე შეიყვარა ქართველმა მკითხველმა. ამ რომანების გმირები ჩვენი თანამედროვენი არიან და ჩვენთან ერთად იბრძვიან სიკეთის, პატიოსნების, ვაჟკაცობის, ძმობისა და მეგობრობის ნათელი იდეალების დასამკვიდრებლად, ჩვენთან ერთად ებრძვიან ავკაცობასა და ბოროტებას. ღალატსა და მუხანათობას, ებრძვიან და იმარჯვებენ კიდეც. ამ რომანების დიდ პოპულარობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მათი გმირები მაყურებლებს ესაუბრებიან თეატრების სცენიდანაც და კინოეკრანებიდანაც.

„თვალი პატიოსანი", „მეშვიდე ცა", „აქტიური მზის წელიწადი", რომლებიც ითარგმნა რუსულ და საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხთა ენებზე, საკავშირო მკითხველისა და სალიტერატურო კრიტიკის აღიარებითა და მოწონებით სარგებლობს. ამ რომანებს ინტერესით კითხულობენ ბულგარელი, ჩეხი, სლოვაკი, უნგრელი მკითხველები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკე აღნიშვნის ღირსია შენი პუბლიცისტური მოღვაწეობა. შენი პუბლიცისტური წერილების კრებულები „იქ სადაც ცხოვრობდნენ ადამ და ევა“, „თუშეთი, ჩემი თუშეთი“, „თბილისი გუშინ, დღეს, ხვალ“, „საქართველოს უკვდავება“, და სხვა, რომლებშიც დასმულია მრავალი მწვავე, აქტუალური, საჭირბოროტო საკითხი, ასე რიგად რომ აღელვებს ქართველ კაცს. ქართული პუბლიცისტიკის ოქროს ფონდს წარმოადგენს.

შენ დამსახურებულად ითვლები ქართული, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალისტიკის ფუძემდებლად. შენი ნარკვევები, რომლებიც ეძღვნება ჩვენი პლანეტის დღევანდელ პრობლემებს, ფიზიკის, ასტრონომიის, რელიგიის, ენერგეტიკის საკითხებს, ყოველთვის ცხოველ ინტერესს იწვევს.

სპორტის პროპაგანდის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე ხარ და დიდ დროს უთმობ სპორტულ ჟურნალისტიკას. ქართულ სპორტს, ქართველ სპორტსმენებს ეძღვნება შენი საქმის ცოდნითა და დიდი სიყვარულით დაწერილი ნარკვევების კრებულები „ოქროს გუნდი“, „ისევ ფეხბურთი“, „ფეხბურთის საშშობლოში“, „მექსიკა ბურთით და უბურთოდ“, „დინამო, დინამო, დინამო!“, „ფორცა, იტალია!“ და სხვა.

დიდ და ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევი. საქართველოს კომპარტიის XXV და XXVI ყრილობების დელეგატი არჩეული ხარ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრად და საქალაქო საბჭოს დეპუტატად, თბილისის ოქტომბრის რაიონის პარტიული კომიტეტის წევრად. ხარ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრი, მინიჭებული გვაქვს საქართველოს საპატიო მილიციელის წოდება.

წლების მანძილზე მუშაობდი ჟურნალ „ცისკრის“ პასუხისმგებელ მდივნად და მთავარ რედაქტორად, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ პასუხისმგებელ მდივნად. ალმანახ „განთიადის“ მთავარ რედაქტორად და ყველგან ამაყად, ღირსეულად ატარებდი ქართველი მწერლის სახელს.

ამჟამად საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმისა და გამსახკომის წევრი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი ხარ და მთელ შენს ძალასა და ენერგიას ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების წარმოჩინებას, მის წინსვლასა და აყვავებას ახმარ.

ძვირფასო გურამ!

დიდი ღვაწლი ღირსეულად დაგიფასდა. ატარებ ყველა ქართველი მწერლისათვის საპატიო და სანუკვარ ჯილდოს — შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდებას, რომელიც 1981 წელს მოგენიჭა რომანისათვის „აქტიური მზის წელიწადი“. 1976 წელს მოგენიჭა საქართველოს კომკავშირის პრემია. ორჯერ დაჯილდოვდი საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემიით.

შენს მკერდს ამშვენებს საპატიო ნიშნის ორდენი და სსრკ მედლები.

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ მოგესალმებით და გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალი შემოქმედებითი მწვერვალების დალაშქვრას მშობელი ხალხის სასახელოდ.

რეზო ჭეიშვილი — 50

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო რეზო!

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, შენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად გილოცავენ დაბადების 50 წლისთავს.

1958 წელს გამოქვეყნდა შენი პირველი მოთხრობები. მას შემდეგ მეოთხედი საუკუნე გავიდა. ამ ხნის მანძილზე არა ერთი და ორი შესანიშნავი ნაწარმოებები გაახარე ქართველი მკითხველი და სრულიად დამსახურებულად დაიმკვიდრე ერთ-ერთი უპირველესი ადგილი თანამედროვე ქართული პროზის საუკეთესო წარმომადგენლებს შორის.

შენი მოთხრობებისა და ნოველების კრებულები, რომანები „ჩემი მეგობარი ნოდარი“, „დალი“, რომლებშიც ფსიქოლოგიის დარად იკვლევ ჩვენი თანამედროვის, ახალგაზრდა ქართველი კაცის სულს, მის შინაგან ბუნებას, მის დამოკიდებულებას გარესამყაროსადმი, ქართველი მკითხველისა და სალიტერატურო კრიტიკის საყოველთაო ინტერესითა და აღიარებით სარგებლობს.

შენი ნატიფი, იუმორნარევი შემოქმედება მკითხველს, უპირველეს ყოვლისა, იზიდავს ჯანსაღი ოპტიმიზმით, ნათელი მომავლის რწმენით, ღრმა ფსიქოლოგიზმითა და ჭეშმარიტად ნაღდი ადამიანური სიმართლით.

სწორედ ამიტომაა, რომ შენი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს, რომლებიც თარგმნილია რუსულ და საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხთა ენებზე, დიდი მოწონებით შეხვდა საკავშირო მკითხველიც.

დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევი როგორც კინოდრამატურგი. შენი სცენარების მიხედვით არა ერთი და ორი სრულმეტრაჟიანი ფილმი გადაიღო კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“. „ჩემი მეგობარი ნოდარი“, „გათენების წინ“, „ზღვის მგელი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ყვარყვარე“... ამ ფილმების წარმატებაში შენც მიგიძღვის წვლილი.

წლების მანძილზე ეწევი ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას. სხვადასხვა დროს მუშაობდი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო სარედაქტორო კოლეგიისა და კინოსტუდიის მწერალთა შემოქმედებითი გაერთიანების წევრად, ჟურნალ „ცისკრის“ პროზის განყოფილების გამგედ და ყველაფერს აკეთებდი საიმისოდ, რათა ქართულ მწერლობასა და კინემატოგრაფს ნიჭიერი ახალგაზრდობა შემომატებოდა, ახალგაზრდობა, რომელიც შორს გაიტანდა ჩვენს ეროვნულ კულტურას.

ამჟამად არჩეული ხარ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად, მუშაობ ალმანახ „საუნჯის“ განყოფილების გამგედ და მთელ ძალასა და ენერგიას მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ქართულ ენაზე ამეტყველებას ახმარ.

შენი ღვაწლი მშობლიური ლიტერატურის წინაშე ღირსეულად დაფასდა. 1979 წელს რომანისათვის „მუსიკა ქარში“ მოგენიჭა საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემია.

ძვირფასო რეზო! კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ სახელოვან იუბილეს, დღეგრძელობას გისურვებთ, ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს. დარწმუნებული ვართ, რომ კიდევ არა ერთი და ორი შესანიშნავი ნაწარმოებით გაახარებ ქართველი მკითხველის გულს.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა

სოსო სიგუა

ერთი საძმაროს მრავალი სახე

ნოველისტი, რომანისტი, პუბლიცისტი, რედაქტორი. მოღვაწე, ახალი სტილისა და იდეების ქადაგი — ასე ახასიათებს შუშანა ფანჯიკიძე მკითხველთა ცნობიერებაში. მას ყრცელი აუდიტორია უსმენს, უსმენს და სჯერა მისი, რადგან ერთი იმათგანია, რომელთაც დაამკვიდრეს თანამედროვე ეზოვნება ხელოვნებაში, ეპოქის რიტმისა და განცდის შესატყვისი. ცხადია, ეს პროცესი ყველამ ინდივიდუალურად გაიაზრა — ზოგისთვის იგი სიმბოლურ — ალეგორიულია, პოეტური სინათლით მოსილი, ან კიდევ — ირონიულ-პარადიოული. ასე ეჩვენებოდა და თან იცვლება კ. გამსახურდიასა და მ. ჯავახიშვილის, ლ. ქიაჩელისა და ნ. ლორთქიფანიძის ტრადიციები.

ლიტერატურა მუდმივ მოდელებს ვერ გაუკეთებ, ისევე როგორც ქართველი მწერალი ქართული ანბანის 88 ასოს. და როგორც ბედრაკში სვლები მეორდება, ლექსსა და რომანში ჩნდება ძველი იდეებისა და ფორმების მოდიფიკაციები. მაგრამ მხატვრული სიახლე ნიშნავს არა დეკორაციებისთვის ადგილის შეცვლას, არამედ — თავად დეკორაციების ხელახალ ქმნას, პიროვნების პოვნას თავისი დროის არეალში, ნაცნობისათვის უცნობის დამატებას. მკითხველის მეხსიერებაში ყველაზე მძაფრად რჩება ხელოვანი — შემოქმედი და არა ხელოვანი — არტისტი, რადგან პირველი მიმნდობია, მეორე — როლის შემსრულებელი. გ. ფანჯიკიძის სამყარო სწორედ პოვნის, მიგნების პროცესს ეფუძნება, რომელსაც სინამდვილიდან გამოაქვს დინამიკური ეზო და ახალ რეალობად ქცეულს მასვე უბრუნებს.

გ. ფანჯიკიძის პირველ მოთხრობებში ჩანს მომავალი პროზის კონტურები, გმირთა ესკიზური სახე, ეთიკური მრწამსი, სისხლადანა და სიმართლისაკენ სწრაფვა, მეძიებლობა და რომრკის ტრადიციებისადმი ერთგულება (რაც ხამოციანი წლების ქართული ახალგაზრდული პროზის ხაერთო ნიშანი იყო). ზოგი მოთხრობა გვაცნობს საკმისანთა ერეს, რომელსაც მწერლის სახელი მზოლოდ ირონიის თუ ალუზიისეს („ტალახისფერი ზღვა", „აგვისტოს ცხელი დღე"). განსაკუთრებით კარგია „თოვლიანი დღე" — სევდისა და იუმორის ნაზავი. ოთარ სირაძე, რეზო დიასამიძე და გურამი ფრაგმენტულად ავლენენ მწერლის მომავალ გმირთა ბუნებას.

შეიძლება ითქვას, გ. ფანჯიკიძის რომანები სტრუქტურული თვალსაზრისით პირველდაბადა გაშლა, სრულიფაფა და უნივერსალიზებაა. მაგრამ მათ წინ უსწრებდა ეფარსალისტური წერილები და ნარკვევები. ხოლო ნამდვილი ეფარსალისტის სპეციფიკური თვისებაა თანამედროვეობის მწვავე პრობლემების ფიქსირება, წერის სადა მანერა და ლაკონიური სტილი.

მართალია, ზ. ფანჯიკიძე პროფესიით ეფარსალისტი არ ყოფილა, მაგრამ ტექნიკურმა განთლებამ სპორტული სამყაროსადმი სიყვარულმა და თანამედროვე ცხოვრების ტემპის განცდამ, ეფარსალისტიკამდე მიიყვანა.

ამრიგად, მეტალურგია (ტექნიკა) — ეფარსალისტიკა-ლიტერატურა — ასეთი იყო გ. ფანჯიკიძის სწრაფვის ორიენტირი. მაგრამ მან ალათუ უარყო რომელიმე მათგანი, არამედ — რომანების სახით მოგვცეა მათი სინთეზური მოდელი, თუმცა წარმომავლობის კვალი ყოველთვის საცნობია. გ. ფანჯიკიძის რაციონალური სტილი და ემოციონალური ტექნიკური ინტელიგენციისადმი პიროვნული, „ძლიერი პიროვნებისა" და ზუსტი მეცნიერებისადმი ინტერესი სათავეს იღებს მისივე პროფესიიდან, რაც შესატყვისი ადმოჩნდა სტარ-ით შეცვლილი გარემოსი და ფანჯიკიძა.

მაგრამ ამ ტექნიკური ცოდნის მიღმა დგას თავად ავტორი — მამეიბელი, დაუცხრომელი, მშფოთვარე, რომლის ცნობიერებაში უნდა დალექმელიყო ბავშვობის დღეების, თბილისის ქუჩების, მეტალურგიული ქარხნების, საერთაშორისო აერობრიბების, სასტუმროების, ცათამბრჯენებისა და ლაინერების სურათები, საყვარელ და საძულველ ადამიანთა სახეები, ქალაქლიყო სულისა და გონის ნაწილად, თანამედროვეობის ერთ დაწნეხად. კრიპტოგრამის მაგვარ კადრად, რომელსაც მხოლოდ სიტყვა გაწლადა და გაამეფოვნებდა. შეიძლება თქვას, გ. ფანჯიკიძის პროზა მისი ბიოგრაფიისა და ცნობიერების მრავალკეცი ვარიაციით წარმოდგენაა. ამიტომ ვავლებთ ერთ სწორ ხაზს პირველი ცდებიდან ბოლო რომანამდე, რომელიც არსად დაბრალა, მხოლოდ უფრო მკვეთრადაბოდა და მაღლა მიიწევდა.

ე. წ. „მოძახმარაბლოვიანი საზოგადოება“ გურამ ფანჯიკიძის პროზის საფუძველია კონფლიქტი ე. წ. „მომხმარებლებიდან საზოგადოებამდე“ და „ძლიერ პიროვნებამდე“ შორის, რომელიც თითქოს „ზედმეტია“, უცხოა, ობიექტურ სიწესწარეში შფოთისა და გაბაგშის შემოტანაში, რადგან სწამს, რომ არგვლივ აკრავს შენარჩუნებული ცხოვრების ჭეშმი, რომ ირდვევა ზნეობა, მორალი, იეიდება სინდისი და ნამუსი, ბატონობს „ეიმფორტული ცხოვრების“ კულტი და ეალში ურთიერთობანი, ალარაფის ახსოვს სულიერი ღირებულებანი. ასეთი ადამიანების ცხოვრების წესი და მორალი შეუთავსებელია სოციალისტური საზოგადოების პრინციპებთან, ადამიანების ცნებასთან. გ. ფანჯიკიძის გმირები ალტიერად იბრძვიან ინტელექტუალურ ფასეულობათა დეკალკაციის შესანარჩუნებლად, რათა ცხოვრების აზრი ხასიათოლოდ არ წაერთვას და ადამიანი ნივთად არ იქცეს. მაგრამ თავადაც შეცდომებს, ფუშეებს. ისინიც ხომ იმ სინამდვილის შვილები არიან, რომელსაც ებრძვიან. ამიტომ გ. ფანჯიკიძის მთავარი გმირები არიან არა უეჭველად დადებითი ან იდეალური, არამედ — იდეალის მატარებელი პერსონაჟები, რომელთაც შეიძლება მრავალი ადამიანური ზადი გააჩნდეთ, მაგრამ აქვთ უმთავრესი რამ — ძლიერი სახიერებლო ენი და სიმართლისადმი ერთგულება. მათთვის უცხოა „მსოფლიო ნეგდა“ ან დემონიზმი. მათ წარსული თითქოს არც გააჩნიათ, მხოლოდ წინ იყურებიან. წარსულში რამ ეცსოფრთ, უეჭველად რეკოლუციონერები იქნებოდნენ, ადამიანური სიკეთისა და სიმართლისათვის წამებულნი. მაგრამ ფრომ და სიტუაციამ პიროვნულ, ღრმად ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, არაცნობიერ იმპულსებს სხვაგვარი მიმართულება მისცა, წარმართა ისინი ცოდნა, ე. წ. თეორიის სფეროსაკენ, თუმცა სწორედ მისი მეშვეობით ცდილობდნენ ცხოვრებისეული კონფლიქტების გადაჭრას.

ასე ჩნდება ე. წ. „ზედმეტი ადამიანის“, ეიუ ხო კაცის“ ახალი ვარიაცია, რადგან ყოველ ეპოქაში, ყოველი ეპოქა მაჩადილი იდეებს, ადამიანური ყოფის უცვლელ მოდელებს ახლებურად აირეკლავს. ისინიც ისევე იცვლებიან და იმოსებიან ახალი სამოსელითა, როგორც ზუნება. გარეშო, ადამიანი. გ. ფანჯიკიძის სამივე რომანში შეიძლება ადვილად როგორც ტრილოგია, თანამედროვეობის ერთიანი პანორამა, დღევანდელ მასალაზე გაშლილი, ერთი სტილითა და კონცეფციით შეკავშირებული, რომლის სარბიელია თბილისი — თანამედროვე დიდი ქალაქი, ხოლო მთავარი პერსონაჟები — ინტელიგენტები, მეტწილ — ტექნიკური სამყაროდან წამოსული.

ამიტომ ხატავს გურამ ფანჯიკიძე ინდუსტრიულ ლანდშაფტს, ქალაქურ გარემოს, მის სუნაცისაკენ, რაციონალურ სულსა და რიტმს. მანქანა, ტელეფონი, სასტუმრო, ინსტიტუტი, ფილმების სტუდია, მეტალურგიული ქარხანა, თვითმფრინავი, კონიაკი, სექსი — ამ გარემოს ატრიბუტებია. ამ ნაკლებად ფიქრობენ, უფრო მოძრაობენ, მუშტებით კი არ იბრძვიან, უფრო ინტრიგებს ქსელს ამაფენ, კი არ უყვართ — მოუშიბენ. მეფეკვნდება ეგოისტური მოტივები, ნეიროზული კომპლექსებში. ადამიანი ოფტება, უზარმაზარი მანქანის მცირე ეანგრაკად იქცეა. თვითგადარჩენას, ნიველირებას პროცესსაგან გაქცევას ყველა თავისებურად ცდილობს. მაგრამ სტრ-ის ბობოკარი ტემპი ერთმანეთს ამგავსებს არა მხოლოდ ავარტალებს, კორპუსებს, ბინებს, ავეჯსა და მანქანებს, არამედ — ადამიანებსაც. მათ ხასიათს, ფიქრებს, სულს. ეპოქის კარუსელით თავბრუდასხმული. მოჭალეკენი პირად კეთილდღეობაზე ფიქრობენ, ლამობენ ყოველი წუთი თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ.

გურამ ფანჯიკიძე წერს კონკეფციურ რომანებს, რომელთაც სპირეკი მოლიანი აღქმა. მაგრამ იგი დიდი სიზუსტით ამუშავებს დეტალებსაც, უფრო ზუსტადაც რომ ვთქვათ — დეტალთა სისტემას, რომელსაც მიეკუთვნო მთავარი საოქმელის სიუჟეტურ გაშლამდე, ცხოვრებისეულ ტკივილებამდე. ასე ცხოვრებასა და ცნობიერებას შორის მოძრაობს მწერლის აზრი, მაგალი ბზრა, ერთი გვაბრუებს მეორესთან და განუფიფშველ მთლიანობად წარმოგვიდგენს სტრ-ით რეკონსტრუირებულ გარემოს, სტრ-ის ზვილებს, მამოძრავებელ ძალებს, კალეიდოსკოპურ სინამდვილეს სულისას. (მკითხველს უნდა შევახსენო, რომ ამ თვალსაზრისით ზნორად იდარებენ ლევან ხიდაშელი და ი. დვორეცკის ალეკსი ჩეპოვს. იმას კი უყოფდება ან ეკვცეა, რომ ჭრონოლოგიურად „მეშვიდე ცა“ წინ უსწრებს, როგორც დვორეცკის. ისე გელმანის პიესებს.)

„მოხმარებლობით საზოგადოებაში“ მაგონობს ფუნის კულტი, რომელიც ხსნის გზას ძალაუფლებისა და ბედნიერებისაკენ. მას არ აინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერესებს ხელოვნება, მეცნიერება, სულიერი მიღრეკილებანი და ღირებულებანი, პირიქით — მათ მბრუნალი ეყრობა. ნივთი არის სამოლო მიზანი, სიცოცხლის საზრისად ჩაეყენა. ობიკატელურ-მეშინაურია მინდაურების ოჯახი, („მეშვიდე ცა"). პლატონი. მსხვილი სამშენებლო ობიექტის უფროსია. მასვე დარჩა განსაკენებული ამის — პროფესორო გედეკან მინდაძის მთელი ავლადიდება; თინათინი არისტოკრატობასას თამაშობს, „ვაჟაზაურებული მდაბია", რომელიც ცდილობს კაბეკით, სამკაულით, ნაირგვარი კოსმეტიკით, მოდური ფრაზეოლოგიით თუ სიგარეტით უურადღების ცენტრში იყოს. მათ ჰყავთ ერთადერთი ქალიშვილი — მარინე, ინჟინერიის სპეციალისტი, რომელის გარშემო ყარიბები ფუუსავაღი, ფროსტარებია და ეორები გართული ახალგაზრდობა, ისინი თითქოს კინოს ეკრანიდან გადმოვიდნენ. ლამობენ ყველფერში უცხოურს მიბაძონ, რათა ჩამორჩენილობა არ დანაშაონ. უკვე ეს ფაქტიც ამხელს მათ პროვინციალობას. ამ ოჯახს უკავშირდება ლევან ხიდაშელის სახელი. მაგრამ იგი ყოველთვის ირონიითა და ეინიზმით, ხან თავშეკავებით, ხანაც უნდოდათ ეკიდეს ფუოლით გათამამებულ, ზედაპირზე მოტივტივე ხალხს (გავიხსენოთ გივი მიქაძისთან მიმართებაც.)

ფუფი მხოლოდ კომფორტი, ბინა, მანქანა, ავეჯი ან მოდური მანერები როდი. ის გადაეფინა ძალოვფლებაში, პირადი ძალმოსილების სამმხოლედ იქცევა. ფუფით დამთვრალ ადამიანს ყველაფერი შესაძლებლად და დასაშვებად მიაჩნია. ტატალური ეგოიზმით შეპარობილი საქმოსანი ერთდროულად ბარის ბოროტი და საზზღარი, რომლის შედარება მხეკთანაც არ შეიძლება („თვალი პატიოსანი").

მიზნ ოფიციანტისაკან მოითხოვს რომ ნეკი მოიკრას, დიდ ტაფაზე შეწვას, ზუსტად შუაგულში დადოს და ისე მოიტანოს. სამაგიეროდ თხუთმეტ ათას მანეთს იღებეკ, კომბინატრეტი მიშას აწუხარებენ, ოფიციანტი კი ისევ იქვე დგას, ხჩინს ყოკმანობს, მაშინ ნიეარაძე გადგებს ოფიციანტს, ხოლო მიშას, ჯერ ერთ, შემდეგ მეორე ლოყაზე ბაოულაწუნებს, სკამზე დაჯდეს და გალალებულ კომბინატორთა სუფრას მიატოვებს. ასეთი საქმოსნები ახლანდელნ ინას, რომ კაცი ბიოტანონ, შემდეგ კი თავისუფლება ფუფით იეოდის, თუნდაც ყველაფერი დღესავით ნათელი იყოს. ზეიმობს ფუფლის მრისხანე ძალა და მას ემორჩილება პატიოსნები. სინდისი, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება. არრილ გავაშელი მტრად მოიკეკა ითარმა მხოლოდ ინტერმ, რომ მისი მეუღლის ალეკიანსნილ ვნებას არ აჩეკა, დაიცვა ვაეკაცური ეთოსი. იგი შეიკრა მეცნიერებაშიც: ნაკო კაკაბაე იმიტომ ადგებს თამაზ იაშვილს კოიეფრიან, რომ მან უაროფოთად დაიბანოთ მისი საყვარლის ვაეე; პროფესორო ინსე დიღეს უნდა თამაზის ნიკი თავის სასარგებლოდ გამოიყენონ, თავისი ინტერიგების ნაწილად აქციოს. მაგრამ როცა იაშვილი უყვირებს, მაშინ „ბოეხი და გადარეულს" ეძახის; არც სტუდენტობაში ჩანს იმედის სხივი. მასაც გული აჩერა ცოდნისაკენ და პატიოსნებაზე. ჩვიდმეტი ახალგაზრდა ისე შეპაუოფის თამაზ იაშვილს, როგორც უღმობელ მტერს. თამაზმა სილი გიორგაძეს კი არა მის აღმზრდელ საზოგადოებას გაუწმა.

„ბომბმარტლობითი საზოგადოებისაგან" თავის დასაცავად. ამ უკვე ადარე დგას მაჯიერმთავა დაძლეკის საკითხი. მთავარია პროოუნების გადარჩენა, შენარჩუნება მისი ხათუთი ბუნებისა, სიკეთისა და სილამაზისა, რომლითაც ერთეულები ეტარებენ. ოთარ ნიეარაძეს ეკსპერიმენტული ფილმების სტუდიაში არ ეგულება თუნდაც ერთი უანგარო, წესიერი და ჭკვიანი თანამშრომელი. ყველანი ითასკვნი მანინი არიან შეპარობილი. თითქოს სხვებს კიდეკ არჩილ გავაშელი ხკოს, მაგრამ მის ნება-სურვილს, მის გონებას გარეკნილი მეუღლე განაგებს.

„აკტიური მზის წელიწადი" გვიჩვენებს, რომ ანგარება და ბიოურკატიზმი დაუფლებია არა მხოლოდ მეცნიერების ფსეიდო-ელიტას, არამედ — დიდი თანამდებობების პირებსაც, რომელთა მოვალეობა ხალხს ემსახურონ (მინისტრის პირველი მოადგილე ვახტანგ ყელოვანი).

ნოდარ ყელოვანს ირგვლივ ახვევია მეცნიერ-კარიერისტები. თავი მოიკეკა აკადემიკოსმა ლევან გზარიშვილმა. დირექტორის ადგილი განთავისუფლდა, ეს თითქოს ღმერთის ხიკვდილს უდრიდა. მას შემდეგ, რაც ალარ არის პირველი კაცი, ყველას პირველობა მოუნდა. მხოლოდ ნოდარი იკავებს თავს, რადგან არ იზიდავს ეფემერული კარიერა, ადმინისტრაციული ეიარარეა. მისთვის მთავარია მეცნიერული იდეალები, ეშმმარტების ძიება. მაგრამაის პირველსაფუძვლების კვლევა, რადგან მისი ბუნება ასე უნდა გამეღაზნდეს. ასეთია ბანგეების ნება. ხოლო ზურაბ გომაძოთელი თუ მამუკა თორაძე მეცნიერების პირადი ინტერესების სამსახურში აკეინებენ, ნაცვლად იმისა, რომ პირიქით მოიკნენ.

მწერლის გმირები მხოლოდ საზოგადოებას როდი უპირისპირდებიან. ისინი, პირველ რიგში, საკუთარ ოჯახში ხედავენ რეკვეზია და გადაგვარების ნიშნებს. ამიტომ ხტოვეს თამაზ იაშვილი მშობლიურ ოჯახს, „ღვთისმოსავ" მამას და გადადის „დაწუეველ სახლში"; ეკას ოჯახური ატმოსფერი სულს უწამლავს და იგი ხდე-

ბა ტრადიციული ზნეობის დამრღვევი ქალი. მშობლების მიძღვნე; ნოდარ გელოვანს ირონიის ბგერის მამის საკიციელი, პუნქტუალობა, თეატრალობა და კომფორტული გარემო, რაგვან ამ გარემოს აზრი არ გააჩნია, ვიწრო ეგოისტური ინტერესების გარდა; ირონიულად ეკონდება იგი ძმასაც, მინისტრის პირველ მოადგილეს — ვახტანგ გელოვანს; ვერც ლევანი იტანს თავის ოჯახს, მშობლებთან ურთიერთობა უკრავს, ძმასთან ყოველთვის ჩხუბი მოსდის, მარტობა ენატრება. პერსონაჟები გარბიან ოჯახიდან, ეურჩებიან „მამებს", ოდგან „მამები" მიიჩნიათ იმ წრის წევრებად, რომელიც კომფორტსა და პირად კეთილდღეობაზე ლოცულობს.

„მომზმარებლობითი საზოგადოება" საზოგადოებრიობის ერთი ნაწილია, რომელშიც ყველაზე მეტად გამოვლენდა სტრ-ის უარყოფითი შედეგები, მეშჩანური ინტერესები, გარყვნილება და მომხვეველობა, კარიერიზმი და ეგოიზმი, მაგრამ უმრავლესობა ისევ სიწმინდეცა და სიმართლეს ემსახურება. ამიტომ ტრიალებენ კოჯოხეთურ სიცხეში მარტენის ღუმელთან მამაკაცი მეტალურგები; ამიტომ უქმნის შრომის განსაკუთრებულ პირობებს თამაზს აკადემიკოსი დავთ ბოცვაძე; ამიტომ სწირავს ფიზიკას თავის სიცოცხლის აკადემიკოსი ლევან გზირიშვილი; ამიტომ დარჩნენ ნატა, ნათია ეიფოანი და ნანა ჯანდიერი რომანაგულთა ცისფერი უკვალოვით მიუწვდომელი, თითქოს არა ცოცხალი არსებანი, არამედ — ანგელოსივით უსხეულონი (მათი საპირისპირო სახეებია მარინე, მაგდა, მედეა, როგორც თავად ბანალური ყოველდღიურობა). სწორედ ესენი არიან ადამიანური სწრაფვის ორიენტირები, მიწიერი ცოდვებისაგან განცვლილნი. ხოლო მთავარი გმირები დგანან მათსა და „მომზმარებლობით საზოგადოებას" შორის. ახე იხატება ჩვენს თვალწინ სამი სხვადასხვა ეთიკური ფენა.

„ძლიერი პიროვნება". ახლა გადავხედოთ მოამბოზე ეერსონაჟებს, მწერლის მთავარ გმირებს, რომლებიც უხე საუზრავნო მასალას იძლევიან. ისინი ისე მძაფრად არიან დახატული, თითქოს ნამდვილად არსებობენ, დადიან, ფიქრობენ და იბრძვიან. გ. ფანჯიკიძეს აქვს პერსონაჟის განსაკუთრებული უნარი. მწერლის თავარი ხათქმელი გმირთა ბუნებაშია კონცენტრირებული. ყველა დეტალი თუ ეპიზოდი პერსონაჟი მათ წარმოჩენას ემსახურება. ისინი ზომ პროგრესისაკენ არიან.

ბიდაშელი — ნიეიარაძე — გელოვანი ერთი იდეის სამი პიპოსტასია. ისინი ერთმანეთს ჰგავნან, მაგრამ დიდად განსხვავდებიან კიდეკიდლრნდ მსგავსება სიღმიხსიულია, განსხვავება — გარეგნული. ლევან ბიდაშელი (მეშვიდე ცა") დასრულებული „ინდუსტრიის ჯარისკაცია", ინეინერ-მეტალურგი, საქმის კაცი, ფანატიკოსი და შეუპოვარი. მან იცის, რომ თავისი ნიჯი, ენერგია და შრომა ეფერი უნდა მოაბმაროს რაღაც დიდ-ბაბილ, რომელიც მისთვისაც ბუნდოვანია, თუმცა იცის, რომ მხოლოდ ასე გამოეკეთება საზოგადოების წრეს, როგორც ერთადერთი და განსაკუთრებული პერსონაჟი. დისერტაცია და სოციალისტური შრომის მეგობრობა ამ უპირატესობას კონკრეტული, ხილული დასაბუთებაა. მწერალი თავდაღნე ვეეუბნება, რომ იგი არავის ბაკუნ და მასისაგან განირეცა: თვითმფრინავის ტრაპთან ხალხი ირეკა, ყველა ცდილობს, რომ პირველი შევიდეს სალონში. ლევანი განზე დგას და მხოლოდ მაშინ დაადგეს ჩანთას ხელს, როცა უკანასკნელი მგზავრიც მიიმალება; ასევე სულ ბოლოს გამოდის თვითმფრინავიდან; ინსტიტუტში ახლადჩარიცხული ხიდაშელი მხოლოდ მეექვსე დღეს მივიდა და აუდიტორიის კარი მაშინ შეაღო, როცა ლექციაა უკვე ათი წუთის დაწყებული იყო. მანამდე კი ლექტორები სიას კითხულობდნენ და სტუდენტები პასუხობენ, რომ ხიდაშელი არ არის. ახე უფრო სწრაფად დაამახსოვრა თავი თანაკურსელებს, როგორც იდუმალმა და გამონაკლისმა პიროვნებამ.

მწერალი არაერთხელ ხაზს უსვამს, რომ იგი ყოველთვის ცდილობს განზე ან მაღლა დგომას, თუმცა ამისათვის არავის ებრძვის, არავის ჩაგრავს. მაინც მისი ქცევა აღეკვნი მეგობრებს, რადგან სულ პირველობას ლამობს. ლევანი ინსტიტუტის ფუბბურთელთა ნაკრებ გუნდში შეიყვანეს. ორ მატჩში ითამაშა, მაგრამ გრძნობდა რომ დუბლიორი ოთარ გორდაძე უკეთ თამაშობდა. ამიტომ ვარკვნშ თავ მიანება, მაგის ფრო სადა მაკვსო; კურსზე პირველი ხტუდენტი იყო, ასპირანტურაში სწორედ მისთვის დაუშვეს ადგილი. მან კი მაგნატოგორსკში მუშაობა არჩია, შემდეგ დონბასში გადავიდა, ხოლო აქედან — ყდანოვის „აზოვსტალში".

ასე განიდგა თეორიას და აითვისა ფოლადის ლნობის ყოველდგვარი პროცესი. მაგრამ ტუსთავში მუშაობის დროს, ყველასგან მოულოდნელად, საკანდიდატო დისერტაციაც დაწერა. აკ მან თავდადებულნი შრომით, მარილაც ძალთა მაკსიმალური დაძაბვის შედეგად, საყოველთაო სიყვარულ დაიმსახურა და ალიარებას მიაღწია: იგი წარადგინეს სოციალისტური შრომის მგორობაზე. ხიდაშელმა თითქოს მიზანს მიაღწია, მისმა დიდმა ცოდნამ, ნიჭმა და თავგანწირვამ ნაყოფი გამოიღო. მაგრამ ეს მიზანი ეგოისტურია. იგი საზოგადოების ინტერესებს არ ემსახურება, რადგან მოპოვებულ იქნა ზნეობრივ, ადამიანურ ნორმათა იგნორირებით; ამ პრაგმატული მოსაზრებით გასტეხა თავისივე სიტყვა: „როგორც სანგარში ჯარისკაცი ჯარისკაცს ვერ უღალატებს, ისე მატალურგიულ ჯარისაშნი მეფოლადემ მეფოლადეს არ უნდა უღალატოს". ასე ამოიხსნა „ხიდაშელის ამოცანა", „ბრავალუნლობინაა განტოლება". ლევანის ინდივიდუალიზმი, „ტოტალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ეგოიზმი" ამყდვნებს მის მანქანურ ცნობიერებას, ანგარიშებს, ტექნოკრატულ ბუნებას. შეიძლება ითქვას, ლევან ხიდაშელი არის ნამდვილი მიზანს აცდენილი ენერგია.

ამ ხასიათის კორეტტორება ანუ სრულიაოფაა ოთარ ნიკორაძის სახე („ თვალი პატიოსანი"). იგი ბევრი რამით ეანთესავება ხიდაშელს. მისებრ დიდი ნებისყოფისაა, მიხდეს ცურვასა და კრიჭს, ეხეიბება დიპლომატური საუბარი, სხლეს პრაქტიკულული საზოგადოება, სულგამოცლილი, სკამების დამატებად კეკეული ადამიანები, მაგრამ ოთარის ხასიათს ერთვის ახალი შტრიხი: იგი მწერალი და ჟურნალისტია. ეს უკვე ნიშნავს იმ პუმანერის, სულიერის დამატებას, რაც აშკარად აკლდა ლევან ხიდაშელს. მართლაც, იგი სიკეთისა და ზეწარგასვლის მებრძოლია, ხოლო ცინიზმი და ირონია — მათი დასაცავი საშუალებანი. მეგობრისაგან ფარულად ოთარი მიდის ნიკო კაკაბაძესთან ან პროფესორს აიძულებს, რომ თამაზი უშუშვენი არ დაფოვოს; ულამაზესი ქალი მანაბა გავაშლი პაპაზს დაუნიშნავს ბათუმში, სასტუმრო „ინტურისტის" ვეტერანიულში. ოთარს ძლიერ მოსწონს ეს ქალი, მაგრამ სურვილს მაინც ვერ შეუსრულებს, რადგან, განსხვავებით ხიდაშელისაგან, მისთვის ზნეობა მეტს ნიშნავს, ვიდრე ბიოლოგიური ინსტინქტები. მაგრამ მოდა პარადოქსი და სწორედ ამის გამო დაჩაგრა უფროსების ნდობა და სამსახურს თავი მიანება. ადამიანი იცავს ზნეობრივ ნორმას, მაგრამ მარცხდება. არაფეკეს ხას ფორმალური სიმართლის სახელით და მაშინაც მარცხდება. ისმის კითხვა: სად არის გამოსავალი? პასუხი: მართალი უნდა იყო როგორც ზნეობრივად, ისე იურიდიულად, მაგრამ ისმის ახალი კითხვა: ცხოვრება აძლევს კი ასეთი ბარმონიის მიდწევის საშუალებას? ასეთი დილემის წინაშე დგანან მწერლის პერსონაჟები.

ოთარ ნიკორაძის ფიზიკური ძალა, სითამამე და პირდაპირობა სიმართლის დაცვასა და გადარჩენას ემსახურება. მას არა აქვს „კომფორტული ცხოვრებისაკენ" მიდრეკილება. ასეთი ბუნების კაცი ჩემს ყოფილიყო, მაშინ უყოყმანოდ აიღებდა საკმარისნების მიერ შემოთავაზებულ დიდ თანხას. ოთარის ნიჭი და ენერგია იხარჯება საზოგადოების მოკალიდებულ წრეში. ამიტომ თავისი პოტენციალი ვერ გამოვლინდა, ლეიკემიით დაავადდა და ვერ თქვა ის სიტყვა, რომლის თქმის უნარი ბუნებამ დაანთხოა.

მწუხარებით გათანგულ დედას უკადავანო დარდმა დაანახვა ეეილი, არა მოჩაკვენბა, არა მოლანდება, — რაღაც უფრო მართალი და ჩინარციელი. მეტს ვეღარ გაუძლო დედის გულმა და ვითომ რაა — საკიდელიდან თავაშალი ჩამოაცურდამ, ისე ჩუმად დაკვარდა მიწაზე. აკაკ რა სიზუსტეა და პლასტიკური ხედვა დეტალისა. თავად განსაკეთ: საკიდელიდან ჩამოვარდნილ პალტოს ან ქუჩეს ხმა აქვს, მაგრამ საკიდელიდან ჩამოვარდნილ თავშალს მართლაც არავითარი ხმა არ ეკნება, როგორც მიწაზე დაშვებულ ობლად მოგარფატე ბუმბუეს. კ. ლორთქიფანიძე დავარდნილ ქალს თავშალს ადარებს და არა სხვა რამეს. ესეეკ არ არის შემთხვეეითი. სულ ორიოდე ბაზაცის წინ მწერალმა გვაცნობა: მცოლოდ ბაგიდან იცოდა, რა დღეეი იყო საბრალო ქალი. ერთხელ ტანი დაბანა და გულს შემოეკარა, მიხი დაგდნარ-დალეული ნასხმანი რომ დაინახა. რა აჩერებს სულს ამ ცარიელ კვლეაზე. აი, რატომ დაეშვა თავშალივით მსუბუქად და უმბაროდ ნინო მიწაზე. ამ დეტალებმა კინემატოგრაფიული პლასტიკურობით „გამოძერწეს მთელი ეს ერმელით გაკერეტილი გულისხმიერკალეი სურათი.

„რასაც სახელი ვერ დავარქვი", ეს არის ბალადა დედა-შვილზე, ბალადა ქალის თავგანწირვასა და სიყვარულზე, ბალადა შარიფაზე, რომელიც თავის გზა-ბილიკეთ სხვა მთისკენ მიდის, მისი და ბაღაშვილის გზები თითქოს ერთმანეთს არ კვეთენ, მაგრამ ნინოს ტრაგედიაში მაინც იმედის სანთელივით ანთია შარიფა, კლეკეცი. ბუნების მეხსიდუმლე, ბრძენი და ადამიანის გამკეთხვეი, რომელიც დაიკავს საბრალო ქალს და სიკვდილის მერე მის საფლავსაც მოუვლის.

შარიფე იმედის სხივია, შარიფე კლდის ქმია. რომელსაც უნდა მოეკიდოდ და უფსკრულში არ დაიკარგები. ეს ყველაფერი ერთმანეთშია განზავებული, ერთმანეთს არის ძარღვებივით ჩაწნული, შარიფას რომ ხატავს მწერალი, მერაბი ისახება და პირიქეი.

და რადგან მწერალის ეს პატარა მოთხრობები, ნოველები თუ ნარკვევები (რასაც მართლა სახელი ვერ დავარქვი) ამდენ ფიქრსა და განსჯას იწვევს, საქმე გვაქეს არა მხოლოდ ლიტერატურის ფაქტებთან, არამედ ესთეტიკურ ფენომენთან, რომელიც შინაარსიდან გამომდინარეკ, და ზოგჯერ შინაარსიდან ცალკე მდგომიც, მშვენიერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ოგნევი

დაჭრილი წერო...

(თამაზ ჭილაძის პროზა)

ვის არ გაუყოლია თვალი წეროებისათვის...

„ცა წეროებთ არის სავსე...“ კაცი ამ ფიდით ცოცხლობს. ცაზე ის ხედავს ოცნებას მისგან გაუვლელი ცხოვრების უსაზღვროებაზე. წეროების ყივილი გულს გვიწურავს: წეროები მიფრინავენ, შენ კი აქ რჩები. თუმცა ისინი კვლავ დაბრუნდებიან, მომავალ გაზაფხულზე. მაგრამ მანამდე ძალიან დიდი დროა. ისიც შეიძლება მოხდეს, მომავალ გაზაფხულამდე ვერც კი მიაღწიო. წეროები დროს აღნიშნავენ. შემოდგომის ცაზე ქრება მათი ყივილი, თანდათანობით უფრო და უფრო სუსტად მოისმის. წეროებთან გამოთხოვება ყოველთვის სევდის მომგვრელია.

თამაზ ჭილაძის მოთხრობა „წერო“-ში ამ სევდის მუსიკა ისმის. პოეტი თამაზ ჭილაძე მუსიკალური პროზის ავტორია. ასეთ თხრობას ერთოს მიაბლოებით ვუწოდებთ პოეტურს. მაგრამ პოეტური ჩეხოვის მოთხრობებიც. მუსიკალური პროზის სტაქიაში თხრობის მთელი სტრუქტურა ემოციურ თემათა ლაბიტოტივებით არის გამსჭვალული. ახოციაციების ტალღები ახეთ პროზაში აბსოლუტურ პოეტურ კანონებს ეკვემდებარება. მიუხედავად დეტალების მთელი რეალისტურობისა, ასეთი პროზა რომანტიკულია. არც შიძლება სხვანაირი იყოს, რადგან მხატვრის ოდესლი ღამეში მოციმციმე შუქს ჭვავს — მიუწვდომელია, მოუხელთებელია, ახლოპელეცაა და შორეულიც...

ცირა, უცნაური ქალი, რომელიც მეთევზე უჩას უყვარს, თავდაპირველად კიდევ აშნებს მას თავისი „უცნაურობებით“. ცირა თითქოს სულ რაღაც იდუმალს უსმენს, რაც მის გულში ღელს და გამოსავალ გზას ეძებს. მუშაობისას უცად ჩაფიქრდება, ანდა უცნაურად გაიღიმებს. რაღაცას იტყვის უადგილოდ, ისევე, როგორც ერთხელ, ღამით თქვა: „ჩვენ რისთვის ვცხოვრობთ?“ და ცრემლი გაერია ათრთოლებულ ხმაში. ერთხელ კი უჩამ გაიგო, რომ ცირა აეროდრომზე დადის და, უბრალოდ, თვითმფრინავებს უყურებს. უჩას უჭირს მისი გაგება, უყვარს იგი, მაშასადამე, არც მის ახირებებზე გაბრაზება შეუძლია. მხოლოდ უხერხულად გრძნობს თავს. ოღონდ იმის ეშინია, ხალხი დამცინებსო, უფრო უარესი — ცირას დასცინებენო, რაც კიდევ უფრო მტკივნეულია მისთვის.

მაგრამ უჩვეულო და მშვენიერია ამ თითქოსდა უხეში კაცის გარდაკმნა, როცა ერთ საღამოს ვიღაც გამვლელმა წყალი ითხოვა და მაღლობის ნიშნად, რადგან სახლში შეიპატიჟეს და მასპინძლებს საზრუნავი გაუჩინა, წახვლისას, წვიმიან ღამეში სანამ გავიდოდა, რაღაც მძიმე, სველი ნაგანი დატოვა. ეს „ნადავლი“ იყო, მოკლული წერო. და აქ უჩას ტაქტი, მისი მეელვარება ყოფის ჩვეულ, განზომილ მდინარებაზე თავის პირველ გამარკვევებას ზეიმობს. მეთევზე მიხვდა, რაც ხდებოდა ცირას გულში და თვითონაც რომ არ ელოდა საკუთარი თავისაგან, ისე უთხრა, ის თერი კაბა ჩაიცვი, ჩვენს კორწილზე რომ გიცვია და გამომყევიო... სად? თვითონაც არ იცოდა. ღამეში, წვიმაში. ქალმა ფეხსაცმელები გაიხადა და გაიქცა. წერო კი მიფრინავდა ბნელ ცაზე. „ისიც მიფრინავდა იქით, სათაკა ახლა მასთან ერთად მიეშურებოდა ჭარი და ვარსკვლავები... ჭარი დროის დინება იყო, მკვრივი და მოციმციმე მდინარე...“ „და დრო მიაფრენდა მას თვალუწვდენელი ზღვის თავზე, შორს, მთვარით განათებული ბალახისა და სიმშვიდის ქვეყანაში, საიდანაც მერე ისევ უცად აიტაცებდა და უკან წამოიყვანდა ისევ ამ მდუმარე, ბნელი და სახიფათო გზით. და ახე დაუსრულებლად“.

მოთხრობის იდეა ამაღლებეულია და თავისი ბოლომდე უთქმელობითაც ჰგავს მუსიკას: „რაზაც ეჩვევი, ის არ იძერის, ერთ ადგილას დგახ. გაკვავებულია, და შენც მასთან ერთად უძრავი ხარ. მაგრამ ხანდახან დგები ნამი, როცა დრო

შიგ ადამიანის გულში გეიფლის და წავა, წავა და გულის კარს ღიად დატოვებს, თითქოს გეძახის, შენც წამომყევიო".

თამაზ ჭილაძის პროზაში ყველაფერი მოძრაობს.

„მატარებელი რომ გაიელდა, ხახლი გუგუნით აივსებოდა, ცახცახს დაიწყებდა, თითქოს თვითონაც ამარეხდა სადღაც წასვლას".

„ოჭვენ არ მოგნდომებიათ სადმე წასვლა?.. სადმე ძალიან შორს... სადაც მატარებლით ან თვითმფრინავით ვერ მიხვალ?"

„არა, ადამიანები ახე უცებ არ ი

ბარდში იკაფავენ გზას, ჯობზე მორიალე ცალს დასდევენ და მხლოდ ჭრილობებს იღებენ. მოთრრობა „ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?“ შოფერი მიტო ხვდება, რომ სიყვარული შეუძლია და ამის გამო მოსვენება აქვს დაკარგული. მიტოს თავისი ცხოვრების განმავლობაში პირველად შეუყვარდა ქალი. ჩაყვა ცოლი, შვილები, მაგრამ სიყვარული ყველას როდი ეწვევა სიკვდილამდე! მას ეშინია ამ თავისი გრძნობისა, ვერ გაუგია იგი. „სად მივრბოდი, რატომ? რისი შემეშინდა?“ — გაიოცა მიტომ და თავის უცნაურ საქციელზე მწარედ გაეღიმა. იგი მატარებელს მისდევს. მერე რკინიგზის პირას, ბუჩქებში ზის და თავზე აწვიმს. ესაა საკუთარი თავიდან საკუთარივე თავისაკენ გაქცევა. რატომ ელტვის ღამით რკინიგზას, მატარებლის სინათლეებს? იგი ადგილიდან დაიძრა — მისი სული დაიძრა. ინტენსივურად გაურბის სიყვარულსაც, მაგრამ მისკენ გარბის. „ჭკან დარცხვენილი და შემკრთალი დაბრუნდა, თითქოს თავის თავში ისეთი რამ აღმოაჩინა, რასაც არაფრით არ ელოდა“!..

იგივე სიყვარული, მხატვარ ლევანისათვის მონათხრობი, მიტოს ლტოლვის საგანთან — მარისთან შეხვედრა, მისი არაორდინალური, ზაგრამ მაინც საერთო ჯილური ბედი ლევანისათვის საკუთარ სულში მთვლემარე შეგრძნების, ეჭვების, გრძნობების ფეტონატორი აღმოჩნდა. ლევანის მეუღლე ელისო მარის ანტიპოდია; მისი წრიც, რომელშიაც „მოდურია“ ხან კარგად, ხან ცუდად ჩაცმა, ხან ფეხბურთელების ან ფაზჩაოსების, შემდეგ კი მხატვრების მოწვევა — ელისოს საყვარო არ არის მისი. ლევანის საყვარო. მაგრამ ის, რაც სულში დუღს, ჯერაც არ არის „სურათი“. სურათი მერე იქნება, როცა იგი მას დახატავს, ჯერ კი იმაზეა მადლობა, რომ ხატვა სწადია, რომ იცის, რა უნდა დახატოს...

მოთხრობა ბრის გამოთქმის უფლებას „ვა დასცემს“ ინტელიგენტსა და ადამიანს, რომელიც შინაგანი ცხოვრებით ცხოვრებას არ არის ნაჩვევი. გრძნობების უხმო და უსიტყვო დიალოგზე მათ ახსოვრებს ერთი გრძნობა, რომელსაც არ შეეხება სხვა „ობერტონები“ — უხამხამიანა, მოდიანა, ანგარებისა. მარის რომ უყურებდა, მიტოს მუდამ მთავარი ბუღალტრის კედელზე ნანახი სურათი „შოკოლადის ფინჯნიანი გოგონა“ ავოროდებოდა, და იქნებ ეს ნახატიდან გამომჭვირვალი სიწმინდე იყო, ანდა ლანგარზე მდგარი ფინჯნის ხინაზე, მაგრამ რაღაც ნაღველი აწვებოდა გულში, თითქოს მიტო „ფიცი ხნის წინათ დაკარგულს“ თუ დასაზარბენელ რაიმეს იხსენებდა. იხსენებდა და ვერაფრით კი ვერ გიეხსენებინა“.

მოთხრობა „პოსეიდონის ხასახლეში“ ავტორი ხსოვნის ხამსკავროთ განსჯის ვგრძნობ. მხოფლიო კლასიკას უამრავჯერ აუღია გაცრუებულ ილუზიების თემა, მაგრამ ყოველი ეპოქა ახალი ხალებავებით ხატავს თავის პორტრეტს... სახელმოხვეველი მწერალი ჯერაც ორ საყვარელ თემა ცხოვრობს: ერთი მხრივ დგას აწმყოს ცხელ ხური, თვითკმაყოფილი სამყარო, მეორე მხრივ — ღირსეული სიკვიაუის ნათელი, თანდათან გაფერმკრთალებული ხსოვნა. გმირის „ბოროტული“ ცხოვრება ძალზე ორიგინალურად არის ნაჩვენები. მწერალი თითქოს ერთდროულად თანაარსებობს ორ სხვადასხვა ოთახში, უყურებს ფანჯრის მიღმა მდგარ შეუყვარებულებს და საკუთარ თავს ჰალუცინაციის სიცხადით წარმოიდგენს მათ გვერდით, ჰალტოს სიმძიმესაც კი გრძნობს, ჯობუს მკლავზე რომ გადაუგდია... რა არის ეს — მწერლის უნარი სამყაროს მრავალგანზომილებიანობის წვდომისა? თუ მწერლური ფანტაზია? არა, პასუხობს თ. ჭილაძე, ეს ზნეობრივი ცხოვრების მიჩრმალობაა, გაორებაა. ოთახიც გაორებულია, ერთია რეალური ოთახი, რომელშიაც იგი ოდესღაც „თავისუფალი“ იყო, მეორე კი — ეს დღევანდელი, რეპრეზენტატული კაბინეტი ცხოვრებაში წარმატებული შემოქმედის, რომელსაც თვით რცხვენია თავისი ნაწერებისა, რომელიც ტუფის სიტყვაში და რომელსაც ხსენები აბუუფენენ, თითქოსდა უყვართ მისი წიგნები. რაღაც კიდევ თრთის, თბილად ღვიღის. ესაა ბუნდოვანი მდგომარეობა. ხასწრროის პინები ქანაობენ. რა გადასწონის?..

ფანჯრის გადაღმა მდგარი შეუყვარებული ქალ-ვაჟი დატყვევებული სიყვარულის თემის კონტრაპუნქტია. მწერლის მეუღლე ლია, რომელსაც ყველა სხვა გრძნობაზე მეტად „ზედამხედველობის კომპლექსი“ აქვს განვითარებული, თრგუნავს მის ნებას შემოქმედებათა ცხოვრებისადმი, რომლისთვისაც იგი ჯერ კიდევ არ არის მთლიანად დაკარგული. ცოლისადმი სიყვარულიც ეკი, ყალბი სიყვარულია, მაგრამ უნდა ჩაეკიდოს ამ სიყვარულს, რადგან მხოლოდ მას შეუძლია დაიცვას მუყდრუბა და ოვითმტაუუბის ჩვეკა. სიყვარულიც „საკუთარი თავისთვის“ სჭირდება. „იმ პატიმარს ეგვანვდი, — თავისთავს უტკივდა მწერალი, — რომელიც ციხეში მარტოა დარჩენილი. ციხიდან ყველანი გაკკეცულან, ტუსაღებიც და ზედამხედველებიც. ახლა კარს, ჭამდეს გარეცხან რომ იკეტებოდა. პატიმარი შიგნიდან კეტავს...“ თავი ნებით ტკივდ ჩაკარდნილმა საკუთარი თავი უნდა დაარწმუნოს, რომ ბრძოლას აზარი არა აქვს, რომ ძალა მოწინააღმდეგის მხარესაა. „ის იყო, ვისაც ეხმიდა ჩემი და ამიტომ სხვა არაფერი ესმოდა... ის იყო სიმყოფლრვის წყნარი, მოჩუქრული დედოფალი, ყოველგვარ ეჭვსა და სინანულს ბუზბეგინთ უბრალოდ რომ ხოცავდა“. ახეთი კედლის მიღმა იყდა მწერალი დიდხანს, სანამ ტელევიზიის თანამშრომლის სახით მისი პირველი სიყვარული, სოფიკო არ გამოჩნდა. მხოლოდ ერთი წამით წამოიბურცა ტალღა, მაშინვე დაცხრა და მის ფერხთით გაიღია. მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ როგორ შეშინდა მწერალი! აი, მოთხრობის მწერე, მაგრამ კანონზომიერი ფინალიც: „ჩემი ბინა სავსე იყო ჩემი ღიღინით, სანეკნი მანქანის კაკუნით, ჩემი სიგარეტის კვამლით, ლისა ჩურჩულით, მამეკის ყიყინით, ტელევიზორის გუგუნით და ამ ხმებისგან მოკსნილი ბიდე და გაყინული წყლიან შეწვიოდა, მეკრჩებოდა, თავისაკენ მიმპორავდა, რადგან უნდა მეცოცხლა, მეცოცხლა, მეცოცხლა!“

ალაკ, მიუხედავად იმისა, რომ ასე მტკიცე „არა“ ეთქვა განახლებას, ჯერ ყველაფერი არ არის გადაწყვეტილი. ოდესღაც , ერმინისას, ვიღაც ზოსანმა ქალმა „ბავშვობიდან“ კედლის დიდი სათი გამოიტანა, ბგერა კი მიიმალა, დარჩა... სათი — დრო — ბრუნავს, და სანამ ცოცხლია ის შორეული სათის ბგერები, სანამ ცოცხლობს სიყვარულის, რწმენის ხსოვნა, ხსნის იმედი... მანამ ადამიანიც ცოცხლობს, თუნდაც გაძძაბოდეს, მოკვდეთო.

სიყვარულის, სიყვარულით შემოწმების გზით ავტორი თანამედროვეობის მრავალ სოციალურ პრობლემას აშუქებს. ვითომ აკეთილშობილებენ კია პროგრესს ყველაზე მეიდრო ადამიანური კავშირები — ოჯახის, ქორწინების. თითბათა კავშირები? ოჯახის უკრედში, ქორწინებაში, ერთი ადამიანის მეორისადმი ერთგულებაში ხაზოგადოების მიკროსტრუქტურა ისახება. მაგრამ თ. ჭილაძე, თავისი რომანტიკული ყაიდით, ყველაზე ნაკლებად არის მორალისტი. ჩვენს წინაშე ჩაივლის პერსონაჟთა მთელი გალერეა — კარიერისტები, შემბუებელნი, ფუქსავატი შვილნი დროისა, პატივმოყვარენი, ცხოვრების გულგრილი მფლანგველნი, საკუთარ ეგის რომ ახარებენ და მხოლოდ წამიერი ნიამისათვის ცხოვრობენ, დაეკვებულნი, ეკსტრავაგანტულნი, „გიგმეაეტი“ და მანგიები, რომელთაც მგონიათ, რომ ახლა „გიგმეაეობის“ მოდა დგას და თავს ასეთებად აჩვენებენ... ეს საგულისხმოა, რომ სწორედ სიყვარული ან თუნდაც გატაცება ხსნის და აშუქებს ადამიანურ ურთიერთობებს, ამისდაკვალად — სოციალურ ურთიერთობებსაც. რომანში „ალა, მიიწურა ზამთარი“ მთავარ მოქმედ გმირის ასე თუ ისე ახლო ურთიერთობა სამ ქალთან, რომლებისკენაც მას, როგორც იტყვიან, გული მიუწევს. რა საკვირველია, სხვადასხვანაირად მიუწევს გული. ყველაზე ახლოსთან მაგდა ეჭვენება, იმ პუელსური, ალალმართალი, ბუნებრივი ადამიანი. ისედაც მოსწონს, როგორც ქალი. იგი დარწმუნებულია, რომ ტანჯვის, ეჭვების, იშვიათი და უზვიეული შეხვედრების ხუთი წელი —სწორედ ესაა ერთადერთი და მთავარი, რისკენაც ილტვოდა, და იმის გამო, რომ ეს ლტოლვა არ განხორციელდა, მთელი დანარჩენი ცხოვრების განმავლობაში რჩება ნოსტალგიური სიყვარული. მეორე ქალი, ზაირა, რომელთანაც მას ახლო კავშირი აჭვს, პირდაპირ ურცხვი და პრიმიტიული მტაცებელია, იგი მართლაც გულწრფელია გმირთან ურთიერთობაში, რადგან დარწმუნებულია, რომ, ბოლოს და ბოლოს, გადამწყვეტ ხანტკვის იტყვის მამის აგარაკი და მანქანა, ანუ ბოლოს მამა უეჭველად აჩუქებს. და ბოლოს, ნინეკერი მხახოობი, სუსტი ქალი, სულში ცეცხლი რომ უფლვავს, ცხოვრებას რომ გაოთეული, როგორც ოფელია, რომლის როლის შესრულებაც ასე სწყურია სცენაზე, მაგრამ ვერა და ვერ ისრეთების გულის წადილს. პერსონაჟთა თანდათან მზარდი სულიერი სიახლოვე წყდება სავადმყოფოს სცენით, სადაც თვითმკვლელობის ცდის შემდეგ წევს ნინეკო... მაგდა სულიერად მკვლარი და დაძაბუნებული აღმოჩნდა, მისი უწეველობა სუსტი ადამიანის თავდასაცავი პოზა გამოდგა: ნინეკო იმიტომ ილუპება, რომ მაკსიმალურ მოთხოვნილებებს უყენებს ცხოვრებას. იგი ყველაზე ახლოს აღმოჩნდა ავტორთან. მაგრამ ცხოვრებასთან დამოკიდებულებით ეს სამი სხვადასხვა ტიპი თავისებურად ხვეწს გმირის ხასიათს, მტკივნეულ და მოურჩენელ იარებს ტოვებს მის გულში.

რთული და მრავალწახნაგოვანია ურთიერთობანი სესხოთა შორის, ასევე თაობათა შორისაც შემლეფილი მშობლების შვილი ირაკლი („აუზი“) მამის ავტომობილით წვავს „ხანამლეოზე“, რადგან უხაჭმურობის გამო ყველაფერი მოგონერებია. მაგრამ აკ მამისადმი ფარული მგრძნობიაც იგრძნობა. მამის კოლეგიიდან ერთ-ერთ ნიღაბს რომ უჩვენებს ამხანაგებს, ირაკლი ამბობს: „... შენ გგონია, ეს ნიღაბი ნამდვილად ფერიკულია?.. მოსკოვია გაკეთებული, მე კი მითხრა, კონგოდან ჩამოგიტანეო“. ტყუილი ტუოლს შობს, მაგრამ სამაგიეროს გადამდთიაც იმუეტება.

ნინეკოსის თემა საერთოდ, თ. ჭილაძის მრავალ ნაწარმოებებში გვხვდება. ნიღაბ-სახეები (რომანში „ალა, მიიწურა ზამთარი“ გმირი კიდეც ამბობს ნაღვლიანად, ნუთუ შეუძლებელია ისე ვიცხოვრო, ნიღაბი არ გავიკეთოთო), ნიღაბ-ალარაკები, იმის მსგავსნი, „აუზში“ რომ არის დახატული: „კედელზე კიდია დიდი, მრგვალი სათი, რომელიც არ მუშაობს, იმიტომ კი არა, რომ გაფუჭებულია, არამედ დიდხანს რომ გასძლოს“. კვლავ ნიღბები, მოხეტიალე ცირკის ხაზიერის კედლებზე მიბაკუული. მხიარული და მწუხარე ნიღბები. გიორგი გობრონიძის სახის ნიღაბ („ალა, მიიწურა ზამთარი“), სიდიადის ნიღაბი, რომელიც შეზრდია მის — თეატრის დირეკტორის, სახალხო არტისტის, ლაურეკის სახეს, ისე შეზრდია, რომ თავისთვის სხვა როლი ვერ წარმოუდგენია, გარდა „მეფის“ როლისა, თუმცა ჰამლეტის თამაშიც შეუძლია ბოლოს და ბოლოს, კაცი თეატრის დირეკტორია!

თ. ჭილაძის გმირები სხვადასხვანაირად იყუ-

ვლადიმერ ოგანეზი
დაჭრილი ფერო...

რებიან სარკეში. ერთნი, იმავე გობრონიძის მსგავსად, ნარცისებს გვანან, მეორენი, როგორც ნინეკო, „ოფელიობას“ იჩემებენ და ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ ყველა მარტოა.

ბევრი გმირისათვის სარკე ხსოვნაა. მოგონებებიც სარკეა. მოგონებები — განსაკუთრებული ცხოვრებაა. რომანის გმირი, ხიდეების მშენებელი ინეზერი ადამი ფიქრობს: „ეს ხიდი-ვითაა, ვინც არ იცის, მან მგონია, რომ ხიდი მხოლოდ თავის ბუჩქებს ეყრდნობა. ნამდვილად კი უამრავ სხვარ ამესიც ეყრდნობა, თავის საკუთარ სიმძიმესაც კი“. განა ეს საგულისხმო მსჯელობა არ არის? ყველაფერი ორიგინალურად და უტყუვნად არის ნათქვამი.

თ. ჭილაძის პროზაში ბევრი მარტოსული გვხვდება. მაგრამ ყველაზე მარტოხელა მათში ალბათ იონა („მდგმურები“) იქნება. იონა, თავისებურად, ახალი ტიპია ჩვენს ლიტერატურაში. ივო ანდრიჩის რომანი „ყურდღელი“ მახსენებდა. იქაც ახე ყურადღებით და მტკივნეული სიმწუხვენი არის განხილული ადამიანის ირგვლივ მყოფთა მიერ „სიკეთის ვერგაგების პროცესი. ანდრიჩი მოგვითხრობს ცოლის (მდიდარი საკმოსნის ყოფილი საყვარლის) მიერ მოტივებული ინტელიგენტების ამბავს, რომლის მოელი სულიერი სიმდიდრე და სიწმინდე მის— „ყურდღლის“ მიმართ აგრესიული მეშჩანი დედაკაცის ცივ სიძულვილზე იმსხვრევა. აქ არის უზვეული სიყვარული ქალისადმი, რის გამოც კაცი ვერ ხედავს თავის აშკარა დამცირებას, ამას მოსდევს თითქოს ღრმა ძილეულიდან გამოღვიძება... მაგრამ ბელგრადში გერმანელები არიან. ქალაქის ოკუპაცია აქ იგივე სულის ოკუპაციაა. ამას მოსდევს ყველასათვის მოელოდნელი გამოღვიძება ადამიანური ღირსების. დაუმორჩილებლობა ოკუპაციისადმი, თავიდან უხმო, შემდეგ კი უკვე მოქმედებაში გამოხატული აშკარა პროტესტი. „ყურდღელი“ ეგრეთნელთა საწინააღმდეგო ღამეული აქციის დროს იღუპება. იღუპება ანონიმურად, მაგრამ გმირულად: უბრალოდ, თხრილში გადავარდა ეგრეთნელების მიერ ატეხილი გაბაგების დროს... მაგრამ ამას რა ბნიშვნელობა აქვს! იგი უკვე ადამიანი გახდა. ივო ანდრიჩის რომანის მოქმედება, რასაკვირველია, შორს დგას თამაზ ჭილაძის მოთხრობის სიუეტისგან. ქართველი მწერლის ნაწარმოებში ომიც სხვაა — შორეული, ექოთი მოდწეული, მაგრამ მაინც ის ომი, მეორე მსოფლიო ომი. ოღონდ ორივე ნაწარმოებს რაც აახლოებს, ესაა ანალიზი, ვიმეორებ — გაგება სიკეთისა. სიკეთე ბუდან როდის ჩანს ხოლმე ერთი შეხედვით. მას ზოგჯერ ისინიც კი ვერ ცნობენ, ვინც სულაც არ არის მტერი, ვერ ცნობენ ახლობელი ადამიანებიც კი. სიკეთის უანგარობა, თავისთავზე რომ არ ყვირის და გარეშემო მყოფთ თვალში არ ეჩხირება, ხშირად აღიქმება როგორც ისეთი რაღაც, რაც თავისთავად იგულისხმება, მადლიერებად არცა ღირს, უფრო მეტიც — სიკეთედ მონაგებად ან უფლებასაც არ იმსახურებს. იონა განუწყვეტელად კეთილი კაცია. უანგაროდ უყვარს ადამიანები და ამითაც მარტოსულია. ვაჟიშვილს ებრალება იგი, სიმდერის საწყალი მასწავლებელი, ახირებული კაცი, რომელსაც ყველა დასცინის. სიბრალულიდან კი ერთი ნახვითა სიძულვილამდე. ცოლს ცივი სიძულვილით სძულს, რადგან ვერ მისცა მას ჩვეულებრივი ბედნიერება, ის, რასაც ბედნიერებას ეძახის ხალხი. თავის მხრივ კი იონას ქრიტიკის დიადი სიბრალულით ებრალება ყველა, გულთან მიაქვს მათი სურვილები და იმედები და ზღვარი არ იცის ამ სიბრალულთან. ამას იგი ზოგჯერ ისეთ საქციელამდე მიჰყავს, რაც ცხოვრებისეული თვალსაზრისით მაგნე ანდა ფუჭი, ანდა, არც მეტი და არც ნაკლები, უაზრობაა. ვაჟიშვილს ამხარდფლად ეჩვენება მისი ყოველი გულისხმენა, ამის გამო თავის მოკლეალაც კი უნდა, მისი საცოლეც, თუმცა იონასგან კეთილუფლია (მას ხომ ამაკარა ძმა და და ჰყავდა, ომის შედეგ მის ანაბრად დარჩენილნი და ამ იონის, თანაგრძნობით უსასუფლის თუ არა იონას ვაეი), სხვას მიჰყვება ცოლად, ხოლო ომისაგან გამბეცებული ინვალიდი პიჭაკზე გადაცვლილ შაჭარს დასტყუებს იონას, ამით სარგებლობს, რომ ითხს ეხარცვლებას ომის გმირს შაჭარი დაუკვლოს... და მაინც იონა განაგრძობს ადამიანებისათვის სიკეთის ქმნას, თუმცა ისინი ტკივილს აყენებენ ამის სანაცვლოდ. მოთხრობის აპოთეოზია მდგმური ეკას ამბავი. რომელიც იონამ სახლში შეუშვა, რადგან შეებრალა. ეკასადმი სიყვარულს იონა საგულდაგულოდ უმალავს ყველას, უმირველეს ყოველისა— საკუთარ თავს. მამის მოსანახულებლად მოსული ვაჟიშვილი, თავის თავში დაჯერებული და გულგრილი ადამიანი, ეკას აცოფებენს. მშვენერია ფინალი, ამაზრზენ მრავალწერტილს ჰგავს. იონამ შვილის სანოლზე ეკას თავს შეასწრო თვალი. ქალმა ტუჩებზე მიიდო თითი, თითქოს შიშობს, რომ იონამ შვილი არ გაადვიძოს... „ეკაი არც თავის თვალს ენდობა, არც სმენას. სხვა რიგ ეტყვის, მაშინ დაინახავს და გიგიჟეს. ამიტომაა ცოდო მარტოხელა კაცი: ამოდენა რამის დაჯერება არ გინდავ?! კაცი თურმე ქვეყანას ათასი თვალით უყურებს, თუ ის ათასი თვალი მოაკელი და მარტო მისი თვალებიან ანაბარა დატოვე — დაბრმავდებაო!“

ადამიანი რომ გერქვას, ნუთუ აუცილებლად უნდა იტანჯო? რამდენი კეთილშობილი ადამიანჯრეკრობით ერთნაშნა პასუხით ქმაყოფილდება: დიახ, უნდა იტანჯო: უნდა იტანჯო, რათა ადამიანის სახელის ფფაფა გქონდეს.

ავადმყოფი იონა ბოდავს: „შე უსინდისო,— უთხრა ხემ, — ქვეყანა რა დღეშია, შენ კი ერთი ქეციანი ხის გულისთვის ტირიო?“ აქ უეჭველია, რომ ხახე თვით იონაზეა გადმოტანილი. ძალიან დიდხანს ამბნევდა ხელოვნება მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლში გახვეულ სამყაროს. და ეს სამსხვერპლო ცეცხლი ერთი-მეორის მიყოლებით ნთქავდა ხეებს. თუკი იწვის, ყველა ხე ხმელი გვეჩვენება. წვით კი ყველა ხე იწვის. მიღიონობით ადამიანი ცხოვრობს იონას მსგავსად. ახლე შეუმჩნეველად... ჰუმანისტური ხელოვნება იონას მსგავსო აკვირდება. გმირებს ქმნის მათგან, თუნდაც წიგნებში... ახლე თავის დროზე შეუმჩნეველი აკაკი აკაკიევიჩი მთელმა მსოფლიომ დაინახა, ჩვენც, სულ სხვა საუკუნის ადამიანთა შთამომავალთ, აგვცერემლდა თვალები...

„მდგმურებში", სტილის მხრივ ამ ყველაზე უფრო მკაცრ მოთხრობაში, აგრეთვე თ. ბოლაძის სხვა ნაწარმოებებში „ორკესტრირება" დიდ როლს ასრულებს. მაგალითად, იონას მდგმურს შემოხვევით არ ჰქვია ევა. ამ პირველი პალიდან იწყებს იონა თავისთავში პიროვნების გამოღვიძების ათვლას, აქედან იწყება საკუთარი თავის პატივისცემის, თვითშემეცნების, სიყვარულის სახელით ჩადენილი თავისი ამა თუ იმ, სხვებისთვის „აბსოლუტული" საქციელის წვდომა გრძნობაში გატარებული გააზრებულობით, ჯიუტი თანმიმდევრულობით. მოთხრობაში „თეთრი კვამლი" თხრობა წყვეტილია, ტალღა-ტალღად მოედინება, სიტყვები და ფრაზები თითქოს იცრება ბავშვის შემეცნებაში, რომელიც ჯერ ყველაფერს ვერ ხვდება, გააზრებები კი მერე და მერე, სიუჟეტის განვითარების კვალდაკვალ „ამოტტვეტვდება". რომანში „ანა, მიიწურა ზამთარი" მოცემულია თამამი ცდა — ისე მოგვაწოდოს თანამესაუბრეთა ლაპარაკის სტენოგრამა, რომ ამსოლუტური სისრულით გამოვლინდეს ადამიანთა ინტერესები, მათი საუბრის მანერა, თანამდროვე ურთიერთობების ენა.

ყველა ეს და სხვა „პოეტური" ხერხები არსად არ ყოფილა, ყოველი მათგანი ორგანულია და მათი იმპროვიზაციული ბუნება არასოდეს არ ტოვებს რაიმე ეჭვს. ამაში კი ოსტატობის უმაღლესი ხარისხი ვლინდება.

რომანში ერთი სცენაა, თითქოს ჩართული მითი: ბალაგნის მოხტებილი მსახიობი პატარა ქალაქის მოედანზე გამოსულა და თავისი ხელოვნებით ხალხის მოზიდვას ცდილობს. შიმშილით სიკვდილის პირზეა მისული, მაგრამ სანამ არ გააკეთებს ყველაფერს, რის გაკეთებაც კი შეუძლია, არ გამოართმევს პურს ქალს, რომელიც შეწუხებული ეუბნება: „გეუოფა... გეუოფა..." მწერალი შენიშნავს: „აცამა იცოდა, იმიტომ კი არ აძლევდნენ გროშებს, რომ მეტი არ ემეტებოდათ, არამედ იმიტომ, რომ არ იცოდნენ მისი ოსტატობის ფასი. არც თვითონ იცოდა, რადგან ის ბედნიერებას ანიჭებდა მაყურებელს. ბედნიერების ფასი კი ამ ქვეყნად არავინ იცის!.."

ეს მხოლოდ ხელოვნების ჯადოსნურ ძალაზე არ არის ნათქვამი. აქ სიკეთის ზნეობრივი ძალაც იგულისხმება. ხელოვნება ხომ მოქმედების სიკეთეა. ის წერო, თ. ბოლაძის ამავე სახელწოდების მოთხრობაში ვიღაც კაცმა რომ მოალა და ბნელ ღამით, თავსხმა წვიმაში ქალის რომანტიულ სულს უძღვნა, არ არის მკვდარი.

იგი ცაშია, და მის ყიფლსაც მანამ გავიგონებთ, სანამ ხელოვნების სიტყვა ცოცხლობს...

თარგმნა დოდო სანიკიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ პეტრიაშვილი

მუშიდოზა თქმენსა მოსვლასა

წერილი მეორე

(პოეტის ინდივიდუალობა და ლიტერატურული პოზა)

შეიძლება თუ არა ერთ წინადადებაში ჩამოყალიბდეს კარგი ლექსის ცნება?

მე მგონი, შეიძლება.

კარგი ლექსი არის პოეტის ინდივიდუალობით აღბეჭდილი ორგანული პოეტური მთლიანობა.

მთლიანობის შესახებ უკვე ვისაუბრეთ წინა წერილში. ვთქვით, რომ საჭიროა ოსტატობის ზრდა, რათა პოემამ უკეთ მიაღწიოს ლექსის მთლიანობას.

რაც შეეხება საკუთარ ინდივიდუალობას, მას მხოლოდ მაშინ წარმოიჩენს პოეტი, თუ გულწრფელი იქნება.

გულწრფელობა კი პოეზიაში არცთუ ისე ადვილი მისაღწევია.

პოეტს ამაში ხელს უშლის ლიტერატურული მოდა და არსებული შაბამების ინერცია.

ეს ყოველივე პოეტს უბიძგებს ლიტერატურული პოზისაკენ.

პოზა აუცილებლად არ გამოიხატება ხაზგასმულ მანერულობაში, ის ხშირად ძალზე ძნელი შესამჩნევია და პოეტი შეიძლება თვითონ ვერც გრძნობდეს, რომ მისი ლექსი არაა გულწრფელი.

ლიტერატურული კრიტიკის ვალია, ამაშიც დაეხმაროს პოეტს.

კრიტიკამ ბძოლა უნდა გამოუცხადოს ლიტერატურულ პოზას.

სიტყვა „პოზა“ კარგად გამოხატავს იმას, რაზეც მინდა ჰქონდეს ეს ლექსი, მაგრამ ისეთი ელფერი დაჰკრავს, რომ შეიძლება ვინმეს ეწყინოს მის მიმართ ამ სიტყვის გამოყენება. ამიტომ, ვიდრე კონკრეტულ მაგალითებზე გადავიდოდე, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნო, რომ „პოზა“ ჩემს წერილში იხმარება, როგორც ლიტერატურული ტერმინი და ამ სიტყვის ქვეშ არ იგულისხმება, რომ ვინმე განგებ დგება პოზაში.

პრობლემის არსი სწორედ იმაშია, რომ ლექსში პოზა ავტორის უნებლიეთ იჭრება.

ლიტერატურული მოდა ჰქმნის განზოგადებულ წარმოდგენას „პოეტზე“. ეს „პოეტი“ როგორღაც შეაღწევს ხოლმე ავტორის არსებაში და ცდილობს დაიმორჩილოს ავტორის პოეტური ინდივიდუალობა. იწყება ბრძოლა, რომელიც ხშირად თვით ავტორებისაგანაც ფარულად მიმდინარეობს.

მაგრამ ამ ბრძოლის სარბიელი ხომ ავტორის ლექსებია, ამიტომაც კრიტიკას შეუძლია და ვალდებულიცაა ყველაფერს ხედავდეს. მან უნდა ამხილოს პოზის სიყალბე და გაათავისუფლოს პოეტი „პოეტისაგან“.

ალბათ, ლიტერატურული პოზის სხვა სახეებიც არსებობს, მე კი ჰქ ვილაპარაკებ პოზის ოთხ სახეობაზე:

„იდუმალების“ პოზა.
„პოეტურობის“ პოზა.
„სიტყვებით თამაშის“ პოზა.
„ფილოსოფოსების“ პოზა.

„იდუმალების“ პოზა

გავარჩიოთ თამაზ ბაძაღუას ერთი უსათაურო ლექსი.

მივყვეთ ლექსს თავიდან ბოლომდე.

ვნახოთ ჯერ პირველი ორი სტრიქონი.

„როგორ გასძელი
გეკითხები, როგორ გასძელი“.

ამ სტრიქონების აზრი გასაგებია. ვიღაცას მიმართავენ, ალბათ, ამიტომ, რომ რაღაც ძნელს გაუძლო ამან.

ვნახოთ, თუ რას გაუძლო:

მწუხრის სიმღერებში, მწუხრის ლოცვებში
როცა ცრემლები თხილის ფოთლებივით
დაეფინა გზაზე,
როცა ვაგზლების ღრიანცელში ჩაიკარგა შენი
ძახილი.

„ვაგზლების ლრიანცელში ჩაკარგული ძახილი“ გვეუბნება, რომ აქ განშორებაზეა ლაპარაკი. ლირიკული გმირი სადღაც მიეგზავრება და ვიღაც (ალბათ, სატრფო) დარჩა. შემდეგ ნახსენები „ხემაფორებიც“ ამასვე ადასტურებს: რკინიგზის სადგურზე განშორება ხურს დაგვიბატოს ავტორმა.

მაგრამ რა შუაშია „მწუხრის სიმღერები, მწუხრის ლოცვები“?

ვინ მღერის? ვინ ლოცულობს? ან ვისი ცრემლები დაეფინა გზაზე „თხილის ფოთლებივით“?

ამ კითხვებზე პასუხი აუცილებლად უნდა იყოს ლექსში.

რადგანაც ჩვენ გვაინტერესებს, თუ როგორ გაუძლო განშორებას ვაგზალზე დარჩენილმა ამიტომ მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, ვინ ტირი და განშორებისას, დარჩენილი თუ გამგზავრებული. ასევე საჭიროა, ვიცოდეთ, თუ ვინ მღერიდა და ლოცულობდა მწუხრისას.

აქვე ისიც უნდა დავამატოთ, რომ თუ მარტლაც რკინიგზის სადგურზე განშორება უნდა დახატოს ავტორმა, მაშინ „ვაგზლების ლრიანცელს“ ძნელად ესადაგება „მწუხრის სიმღერები“ და „მწუხრის ლოცვები“, რადგან ეს სიტყვები სულ სხვა ტონალობისაა. ისინი მშვიდია, ასევე ვერ ესადაგება „ვაგზალს“ ცრემლების თხილის ფოთლებთან. ეს შედარება მხოლოდ მაშინ იქნებოდა გამართლებული, თუკი ავტორი მთელ ლექსში გაატარებდა დაპირისპირებას ურბანიზმსა და ბუნების იდილიას შორის.

უძირო და ცეცხლისფერ სივრცეს,
სანაგვე ყუთებში, რეკლამებში, სემაფორებში
ნადირივით მომწყვდეულ სივრცეს
როგორ გადაურჩი...

აქ ნაჩვენებია თუ როგორი ესახება განშორების შემდეგ სადგურზე დარჩენილ ადამიანს სივრცე ირგვლივ. აქ ყველაფერი რიგზეა. ოღონდ ერთი პატარა შენიშვნა მაქვს: სივრცეზე ჯერ ნათქვამია, რომ ის „უძიროა“. შემდეგ კი რიგ სადღაც „მომწყვდეულია“. ეს ორი დახასიათება ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

ლექსის პირველი ათი სტრიქონი წაკითხვის შემდეგ ჩვენ გავიგეთ, რომ მოხდა განშორება რკინიგზის სადგურზე და ლირიკული გმირი საყვედურობს სატრფოს „როგორ გახდელი“, „როგორ გადაურჩი“ განშორებასო. ლირიკული გმირის სიტყვებში, ალბათ, ის ბგელისხმები, რომ განშორებისას გრძნობას უნდა გაეადგურებინა, დიეწვა, დიეფერფლა დარჩენილი სატრფო. ესე იგი ღრმა გრძნობა ალაგშორები მათ.

მე, როგორც მკითხველი, ველი, რომ ლექსის დარჩენილი სტროფებში სწორედ ამას დამიბადებს ავტორი, თუ როგორია ლექსის გმირების ურთიერთობა.

როგორ უყვართ მათ ერთმანეთი, რატომ დაშორდნენ ერთმანეთს, როგორია ეს განშორება, დროებითი თუ სამუდამო.

ამ კითხვებზე პასუხი თუ არ მეცოდინება, ანა ისე როგორ თანავუგრძნო ან ვის თანავუგრძნო?

მივყვეთ ლექსს.

ნუთუ იდუმალი შიში
ქვეყნამავალივით ჩაეხუტა შენს ძარღვებს?

ეს სტროფიანი ცუდად უკავშირდება ყველაფერს, რაც აქამდე თქვა ლექსში. თვითონ განსაჯეთ: „როგორ გახდელი, როგორ გადაურჩი... ნუთუ იმიტომ რომ რადაცის გეშინია?“ უცნაური კითხვაა.

შეიძლება საქმეს ნათელი მოჰფენოდა, რომ ვიცოდეთ კონკრეტულად რის შიში აქვს დარჩენილ სატრფოს. მაგრამ ეს არ ვიცით. „იდუმალი შიში“ ეკითხულობთ ლექსში.

რა სფეროს განეკუთვნება ეს შიში?

ფსიქოლოგიური, სოციალური, ბიოლოგიური, კოსმიური თუ როგორი?

ამ შიშისთვის კონკრეტული სახელი რომ დაერქვა ავტორს, მაშინ ჩვენ უკვე რადაც გვეცოდინებოდა გმირებისა და მათი ურთიერთობის შესახებ.

შემდეგ კვლავ მეორდება სიტყვები „როგორ გახდელი, გეკითხები, როგორ გახდელი“ და ამას მოსდევს ასეთი მოგონება:

მე მახსოვს შენი ნაბიჯები, შენი სიცელი,
თითქოს გაწამებს, ხერხემალი გადგამტვრიეს,
თვალი ავიკრეს და ბრმასავით წამოხეეჯ
ჩემსკენ.

იქნებ, აქედან მიხვდეთ რამეს გმირთა ურთიერთობაზე? რაზე მიგვანიშნებს ეს მოგონება? უფრადღებას იქცევს სიტყვები "თითქოს გაწამებს, ხერხემალი გადგამტვრიეს, თვალი ავიკრეს"... ამით იმას ხომ არ გვეუბნება ავტორი, რომ არიან ვიღაცები, რომლებიც „აწამებენ“ გმირის სატრფოს, ალბათ, იმიტომ რომ წინააღმდეგნი არიან გმირების სიყვარულისა? თუ მართლაც ასე, ყველი ეს წამება გადაატანით უნდა გავიგოთ (ანა მართლა ხომ არ აწამებდა ვინმე) მაშინ შეუსაბამობა გამოდის. თვალი რატომ აუკრეს? როცა სიყვარულის წინააღმდეგნი არიან. პირიქით, ცდილობენ ხოლმე, „თვალი აუხელონ“ შეუყვარებულ ადამიანს.

ახლა ეცადოთ გადატანითი მნიშვნელობების გარეშე წაიკითხოთ. მაშინ „თითქოს გაწამებს“ ნიშნავს, რომ უბრალოდ ნაწამებს ბგავდა სატრფო. ესე იგი რადაც განცდებით იყო გატანჯული. ეს განცდები ისეთი მძლავრი ყოფილა, რომ ხერხემლის გადამტვრევასთანაც კი შედარებული. მაგრამ, კერძოდ, რა განცდები იყო? ეს არ ვიცით. თანაც აქ ჩემს ვერხიას განცდების შესახებ ეწინააღმდეგება მესამე სტროფიანი. რადგან განცდებმა შეიძლება კი ძლიერ გააწამოს ვინმე, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს განცდებისაგან ბრმასავით წასვლა შეუყვარებულისკენ?

გურამ პეტრიაშვილი
მშვიდობა თქვენს მოცვლასა

ერთი სიტყვით, არც ამ. სტრიქონებმა შეამბატა რამე ჩვენს ცოდნას გმირების შესახებ. პირიქით, ახლა კიდევ უფრო აირია საქმე.

პირველ კითხვას: რას ნიშნავს „იდუმალი შეში"? დიამბატა მეორე: რას ნიშნავს „წამება"?

(აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არაზუსტია აქ დახატული სურათიც: თუ ვინმეს ხერხემალი გადაუმტვრიენ, ის ვეღარავისკენ ვერ წავა).

შემდეგ:

დაილეწა შენი ოცნებები,
სიყვარული თავის ბუნებას ვგულვა,
თავის ოთახში ჩაიკეტა.

აქედან ზოგადად გავიგე, რომ სატრფოს რაღაც ოცნებები დაემსხვრა და უსიყვარულოდ დარჩა, მაგრამ კონკრეტულად რა ოცნებები ჰქონდა ამის? ან რას ნიშნავს „სიყვარული თავის ოთახში ჩაიკეტა"?

„დაილეწა შენი ოცნებები,
მღვრიე მდინარესავით გაიარა გულში."

ყეთხულობთ შემდეგ. აქედან მხოლოდ ამას შეიძლება მიეხვდეთ, რომ ოცნებები არ ყოფილა მაინცდამაინც წმინდა. შეიძლება ავტორი ამას არც გულისხმობდა, მაგრამ მე სხვას ვერაფერს ვუკავშირებ „მღვრიე მდინარეს".

(სხვათა შორის თუ ოცნებები „მღვრიე მდინარეს" ჰგავდა, კარგი, რომ ოცნებებმა უკვე გაიარა).

კითხვებს ერთიც დაემატა: „რა ოცნებებზეა ლაპარაკი?".

და აი ფინალი:

როგორ გადაურჩი
დაცარიელებულ ქუჩებს,
დაცარიელებულ ოთახს
დაცარიელებულ სახრჩობელას.

დაცარიელებული ქუჩები და ოთახი გასაგებია: ლექსის მგრი ოვლის, რომ მისი წასვლით სატრფოსთვის დაცარიელდა გარემო. მაგრამ სრულიად გაუგებარია „დაცარიელებული სახრჩობელა". ჯერ კიდევ, რომ ქუჩებისა და ოთახის შემდეგ ეს სახრჩობელაც რეალურად აღიქმება, რაც არა მგონია სურდეს ავტორს. მეორეც — რას ნიშნავს, თუნდაც გადაკანონ ეს „სახრჩობელა"?

რა არ ვიფიქრე. იქნებ, პუნქტუაციაა შეცდომით და სიტყვა „ოთახს" ტირე უნდა მოსდევდეს? ესე იგი ოთახია „სახრჩობელა"? ვის ახრჩობდნენ აქ?

დავუშვათ, რომ მართლაც არის რაღაც სახრჩობელა. რას ნიშნავს აზრი „როგორ გადაურჩი დაცარიელებულ სახრჩობელას?"

რა შთაბეჭდილება რჩება მკითხველს მთელი ლექსიდან?

ვიღაც ორს შორის რ ა ლ ა ც ამბები მომხდარა, ერთს მეორე გაუცილებია რკინიგზის სადგურზე და ახლა, ვინც გაემგზავრა, ის ეკითხება „როგორ გასძელეო".

რატომ დაიწერა ეს ლექსი?

ალბათ, იმიტომ, რატომაც იწერება საერთოდ ლექსები: მკითხველთ გულის ასაღელვებლად.

უნდა ავღიღლვებინეთ ორის სასიყვარულო ისტორიას.

მაგრამ „იდუმალების" პოზამ ეს ისტორია გაუგებარი გახადა.

ავტორმა უგულებელყო მთავარი წესი დიალოგიზა (ლიტერატურა: ნომ სწორედ დიალოგია ავტორსა და მკითხველს შორის): ნათქვამი გასაგები უნდა იყოს, თუ გვინდა, რომ პასუხი გავცეთ.

ლექსის გმირების ბედმა ჩვენც რომ აგვაღელვოს, უნდა ვიცოდეთ მათი ურთიერთობა და ვიცოდეთ კონკრეტულად.

უკეთ გასაგები რომ გახდეს, თუ რას ვგულისხმობ კონკრეტულობაში, მოვიტან მაგალითებს.

ვნახოთ, როგორ იწუება მკითხველისათვის კარგად ცნობილი სამი ლექსი:

„სიყვარულს საფლავს ვეძებდი
ვერ ვნახე დაკარგულიყო".

„გამოფიმთ მე ვარ, გალმთო შენ,
შუა ჩაგვიდის მდინარე".

„შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერე".

ამ ლექსებს ისა აქვთ საერთო, რომ პირველივე სიტყვებით სამივე ლექსში დახატულია თუ შეიძლება ასე ითქვას, საწყისი პოზიცია:

აკაკის ლექსში: სატრფო უკვე მკვდარია და სატრფოს სიყვარულ ეძებს ლექსის გმირი.

ვაჟას ლექსში: შეუვარებულების შეხვედრას ხელს უშლის წინააღმდეგობა — მდინარე.

გალაკტიონის ლექსში: ლექსის გმირს სატრფო გაუთხოვდა.

როდესაც ვლასპარაკობთ, კლასიკოსებისაგან უნდა ვისწავლოთთო, მხედველობაში უნდა გვქონდეს სწავლა იმისა, რომ უკეთ მივიდეთ მკითხველის გულთან.

სამივე დიდმა პოეტმა პირველივე სიტყვებით აგვიხსნა სიტუაცია. ასე ალბათ იმიტომ მოიქცნენ, რომ ფიქრობდნენ: თუ მკითხველი თავიდანვე გაერკვევა ამბავში, შემდეგ უფრო შეხძლებს თანაუგრძნოს მგმრებსო.

ცხადია, ყოველი ლექსი არ მოითხოვს, რომ პირველივე სიტყვებიდან შევიტყოთ ყველაფერი გმირებზე და გმირთა ურთიერთობებზე, მაგრამ ერთი უდავოა, გმირთა ვინაობაც და მათი ურთიერთობებიც ლექსის თავში თუ არა, ბოლოში მაინც ნათელი უნდა გახდეს მკითხველისათვის.

სამწუხაროდ, თამაზ ბაძაღლას „რებუსში" შესული ლექსების უმრავლესობას შეგვიძლია ბუნდოვანების პრეტენზია წავუყენოთ.

მე ვეთანხმები თ. დოიაშვილს იმაში, რომ, ალბათ, ამ ავტორს მოსაზენებელი სულიერი ცხოვრება არა აქვს.

თ. დოიაშვილი წერს: „თ. ბაძაღლას ლექსები არ არის ჰარმონიული შინაგანად გაუბზარავი კაცის მონოლოგები. ეს არის ფიქრით, ტკივილით,

მარტოობით, შიშით, იმედით სავსე სამყარო". მაგრამ, სამწუხაროდ, ისევე, როგორც განხილულ ლექსში, არც სხვა ლექსები არ ჩანს ნათლად, თუ რა აწუხებს ლექსის გმირებს, რასი ეშინიათ, რა იმედები აქვთ.

ლექსებში გაკრთება ხოლმე ნათელი კარგი სტროფნები, რომლებიც მეტაყველებენ ავტორის უდავო ნიჭიერებაზე. თ. დოიოშვილმა მოიტანა კარგი სტროფნების მაგალითები. ჩემი მხრივ, შემიძლია ხსენებიც დავამატო: „ფეხარეფით გიახლოდგები, თითქოს თითებში უნდა გაჭრე და მიიღო, როგორც ალუბლის ხუთა მტვერი" „და თუთის ფოთოლივით შრიალა ჰაერში არავინ იტირებს, როცა ადიმიანები ნელა და გულგრილად მიაბიჯებენ ზამთრისაკენ." „ძალიან ხშირად მავიწყდება, რომ სიჩუმეში ვიზრდებიო ყველი, ვით მცენარე..." „დაიგვიანე — შენი ცრემლებით სხვამ იტირა, შენი ბაგეებით სხვამ გაიღიმა..." „რაცა გაბრუებს მთვარის სხივი ვით ძველი ღვინო", „კარებს — რომელსაც ყველაფერი ახსოვს და სჯერა: ზარის ფრთხილი ნაზი წკარუნი და გუნებგაბმული გაჯახუნებაც". „რა უცნაურად ჩაქრებიან შენი თვალები..."

ვფიქრობ, მართლაც კარგი სტროფნებია. მაგრამ ისინი ცალკეულ სტროფნებად არ უნდა რჩებოდეს.

პოეტმა კარგი სტროფნები, ნათელი პოეტური ამოცანით მკითხველისათვის გასაგებ ლექსებად უნდა გაიერთიანოს.

მე მჯერა, რომ თამაზ ბაძაღუა შემდგომში სწორედ ნათელ ლექსებამდე მივა.

თუ ნაკუწ-ნაკუწ და არეულად მოვუყვებით მკითხველს ამბავს და განგებ აკურეცთ ყველაფერს ისე, რომ მკითხველმა პასუხი ვერ მიიღოს კითხვებზე: ვინ, ვის, სად, როდის, რა, რატომ, როგორ, რა მიზნით და სხვა, მაშინ იდუმალება კი არა, ბუნდოვანება შეგვრჩება ხელთ. ასეთ ხდება ხშირად გ. ოდიშარიასა და შ. ჯიკიას ეტიუდებში. მე მათზე წინა წერილში ვილაპარაკე. მათ აქვთ ლექსები, სადაც გაალბადეს თავიანთი პოეტური ინდივიდუალობა. ასეთი ლექსები რომ მეტი იყოს, ამიტომ უნდა ერიდონ „იდუმალების" პოზას.

„პოეტურობის" პოზა

თავის წერილში თ. დოიოშვილი ლაპარაკობს ამგვარ „პოეტურობაზე":

„ი. ჯახუა სისტემატურად მიმართავს სიტყვა — ცნების მეტაფორიზაციის მარტივ ხერხს, რის შედეგადაც უმთავრესი — ცნების კონკრეტული შინაარსი უცნაში რჩება, მკითხველს კი ეძლევა ინფორმაცია პოეტის შემფასებლურ დამოკიდებულებაზე. ასე იქმნება, ვთქვათ „ხსოვნის ხაფანგი", „ხსოვნის ხარდაფი", „ხსოვნის სანახი", „ხსოვნის ფსკერი", „ხსოვნის ღრდარი" და ა. შ. ცნების „ხსოვნა" მეტაფორულად რადაც ნიშნები მიეწერება, ხოლო რა ახსოვს პოეტს, ეს საიდუმლოებად რჩება".

კრიტიკოსმა, ძირითადად, იმედი ჯახუას ლექსებზე ლაპარაკისას გაამახვილა ყურადღება ამ მოვლენაზე. მე კი უნდა დავამატო, რომ ამეთი ანსტრაქტული „პოეტურობა" თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთი ყველაზედ უფრო გავრცელებული სენია.

ამის შესახებ მე ერთხელ უკვე დავწერე. „მეტაფორიზაციის მარტივი ხერხი"-ს მეკანიკა, თუ ტრაპაზში არ ჩამომართმევთ, მე აღკი, ილ. ნაწყვეტი ჩემი წერილიდან „პოეტურობა და პოეზია", რომელიც დაიბეჭდა 1978 წელს ალმანახ „კრიტიკის" მესამე ნომერში:

„შემიძლია შემოგთავაზოთ ზუსტი რეცეპტი: აიღეს ანსტრაქტული ცნება (მაგალითად: იმედი), გაიგივდება რაიმე რეალურად არსებულ არსებასთან ან საგანთან (მაგალითად: ცეკვთან) და ენიშნება ამ არსების ან საგნის თვისებები (მაგალითად: ჭიბონი).

მიიღება „მხატვრული ხატ" („იმედის ცეკვი ჭიბონებს").

ზუსტად ასევე შეგვიძლია მივიღოთ: იმედის თოკი გაწყდა, იმედის თევზი დაცურავს, იმედის წვიმა მოვიდა და ახე შემდეგ და ახე შემდეგ, უსასრულოდ."

გამოგიტყდებით, მაშინ მე გალუბრაყვლოდ მეგონა, რომ როგორც კი ვამბედეთ ასეთი „მხატვრულობის" თუ „პოეტურობის" მექანიკურ არსს, მაშინვე შეწყვეტდნენ ავტორები ამ „სახეების" კეთებას.

მაგრამ მწარედ შევცდი:

ამგვარმა „პოეტურობამ" კი არ იკლო ასკერი უფრო ოცდა ამ ათი წლის მანძილზე.

აი, კიდევ ერთი ნაწყვეტი იმ ჩემი ათი წლის წინანდელი წერილიდან:

„სრული... დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ამეამად ყველაზე „მრავალტანჯული" სიტყვაა ქართულ ენაში.

ამ სიტყვას ფუნვენ ულვთო ექსპლოატაციას. ლექსში ყველა ბზარის ამოვსებას „სულით" ცდილობენ. „სულით" უნდათ ასწორონ ლექსის სასიცოცხლო ტონუსი".

ახლაც ასეა. კვლავ ყოველ ფეხის ნაბიჯზე თავის სულზე ლაპარაკობენ ავტორები.

სულის ტკაცარი, სულის კედელი, სულის რიყე... და ახე შემდეგ.

ერთი სიტყვით, ზემოთხსენებული რეცეპტი კვლავაც მოქმედებს.

მაგალითები შემეძლო უთვალავი მომეტანა. მაგრამ არაა საჭირო. ყოველი ათი პოეტური კრებულიდან სულ ცოტა რვა ამ ანსტრაქტული „პოეტურობითაა" სავსე.

ბუბამ პეტრიაშვილი
მშვიდობა თქვენსა მოსცალასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიტან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს:
„სპეტაკი დროშა მაღალი რწმენის“.
„რადგან ჩემს რწმენას ლამაზი ფრთა აქვს“
„რწმენის მოძახილს ისმენ“.

ეს მაგალითები იმატომ ავირჩიე, რომ სამივეში სიტყვა „რწმენა“. „რწმენა“ ისეთი სიტყვაა, რომ ცალკე მას აზრი არა აქვს. გავიგონებთ თუ არა, მაშინვე გვებადება კითხვა: რის რწმენა?

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ადამიანებს სულ სხვადასხვა რაღაის სწყმნი. ამიტომ მე, მკითხველს — მინდა გავიგო. რისი თუ ვინა სწყმს ავტორს.

სწორედ ამაში ედება ბრალი ამ ანსტრაქტულ „პოეტურობას“. ის ზნეობრივად უპრინციპო, ორპირია, პოზიცია არ გააჩნია.

ვთქვათ ორი ბანაკი ებრძვის ერთმანეთს.

ავტორს შეუძლია მივიდეს ერთ ბანაკთან და უთხრას, რომ ტტრაენში: „სპეტაკი დროშა მაღალი რწმენის“ მთლიანი რწმენა იგულისხმება. ხოლო თუ დასჭირდა, იგივე შეუძლია უთხრას მეორე ბანაკს.

ამიტომაც, როდესაც ლექსში წავიკითხავთ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: რწმენა, ოცნება, იმედი, სურვილი, ფიქრი, წუხილი, ტკივილი და ახე შემდეგ, მაშინვე უნდა ვკითხოთ ავტორს: სახელდობრ რომელი?

რწმენა! — რისი, ან ვისი გწამს?
ოცნება! — რაზე ოცნებობ?
იმედი! — რას იმედოვნებ?
სურვილი! — რა გსურს?
ფიქრი! — რას ფიქრობ?
წუხილი! — რა გაწუხებს?
ტკივილი! — რა გტკივა?

როცა ამ კითხვებზე პასუხს გამცემს აღტორი, მე მეცოდინება ვინაა ის და შემეძლება თანავუგრძნო ან არ მივიღო მისი პოზიცია. განვეწყო სიმპათიით ან ანტიპათიით.

აი, ვკითხულმს, სტრიქონს:

„კვლავ ფეხმძიმე ფიქრი წვება სინზზე“.

მე არ ვიცი რითაა ავტორის ფიქრი ფეხმძიმედ. ამიტომ მე არ ვიცი ვინაა, რა კაცია ავტორი. სტრიქონი მხოლოდ გაღიზიანებას იწვევს ჩემში, როგორც მკითხველში, რადგან ვგრძნობ რომ მატყუებენ: ვითომ მითხრეს რაღაც, მაგრამ სინამდვილეში არაფერი არ მითხრეს.

აი, მეორე სტრიქონი:

„მე ვარ ახალი, ორომ სისხლი ძველისძველი მაქვს“.

ეს კი კონკრეტული ფიქრია. ის ვვამლევს საშუალებას წარმოვიდგინოთ ავტორის პიროვნება და ჩვენც უეჭველად ვდგებით მის მხარეზე.

არაფერს გვეუბნება ძახილი: „ჩემი ოცნებები, ჩემი ფიქრები, ჩემი სურვილები“.

პოეტმა უნდა გვიჩვენოს რაზე ოცნებობს, რას ფიქრობს, რა სურს..

რაც შეეხება იმედი ჯახუას ლექსების კრებულს, აკ მე ვნახე სტრიქონები, რომლებიც გაფიქრებინებს ავტორის ნიჭიერებას: „თავდავიწყებით მოყვავილე ია-ისმენის“, „ნაკვიანები ყვავილების ბედზე ჩურჩული“. „ოცოცხლონ ოქნები და იყვავილონ ჩემმა საბრალო ია-ისმენებმაც“...

განსაკუთრებით კარგია სტრიქონი, რომელიც პოეტ ტაგუ მეგობრიშვილს აქ კრებულის წინასიტყვაობის სათაურად ალრჩევია „ჩვენი გულები ბანუწყვეტელივ ლაპარაკობენ“.

იმედი ჯახუას პოეტური ხედვა აქვს. მაგრამ „პოეტურობის“ მოძალებული ინერცია მას უბიძგებს მცდარი გზისკენ:

მოვიტან მაგალითის:
შენ არ გინახავს
სითეთრეში როგორ ალთა
ბედნიერებით დახუნძლული ასკილის ბუჩქი.

კარგადაა დახატული თოვლში მდგარი ასკილის ბუჩქი, მაგრამ სურათის სრულყოფას ხელს უშლის ანსტრაქტული სიტყვა „ბედნიერება“. გაუგებარია, რას ნიშნავს ბედნიერებით დახუნძული ან რითაა ბედნიერი ასკილის ბუჩქი? ეს საკითხები სპობენ ასკილის ბუჩქის კარგად დახატულ სურათს. ხაკმარისია მოვაცილოთ სიტყვა „ბედნიერებით“ და მის ნაცვლად ჩავსვათ რაიმე სიტყვა, რომელიც კარგად წარმოაჩენს ასკილის ნაყოფის წითელ ფერს და ჩვენ მივიღებთ მშვენიერ სურათს: თუ როგორ დგას თეთრ თოვლში წითელი ასკილი.

ავტორს ვთხოვ დამეფრწმუნოს, რომ მე, როგორც მკითხველს უფრო ჩამწვდება გულში სითეთრეში დანიებული ასკილის ბუჩქის სურათი, ვიდრე ზოგადი მსჯელობა ბედნიერებაზე.

იგივე შენიშვნა უნდა გამოვთქვა ვიგი სულკაკურის მისამართით. თემური დოიაშვილი წერს: „გ. სულკაკურის პირველ წიგნში არის ინერციით გადმოსული ელემენტები (გასხაკუთრებული მხატვრული აზროვნების სფეროში), მაგრამ უფრო მეტია ახალი და ორიგინალური“.

ვფიქრობ „ინერციით გადმოსულ ელემენტებში“ კრიტიკოსი სწორედ ანსტრაქტულ „პოეტურობას“ გულისხმობს.

პირველ წერილში მე ვილაპარაკე ამ ავტორის პოეტურ ინდივიდუალობაზე რომლის ერთერთი ნიშანი კონკრეტული ხედვა და ზუსტი დეტალებია. ამიტომ მეც მიმაჩნია, რომ პოეტი უნდა გათავისუფლდეს „პოეტურობებისაგან“ და ამით უფრო მოუახლოდეს საკუთარ თავს.

მაგალითად:

ჩემი მდინარე ჩემი სისხლია, —
დამილეწა სულის კაშხალი
და ეს ხანი მოვიდა თქვენთან.
მაინც მოვიდა, რათა გაეწყოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ნაპირზე აღმოცენდა
მსხმოიარე ხე იმედისა.

ჯერ ერთი, გაუგებარია რა ხდება აქ სისხლსა და სულს შორის. სისხლი მდინარეთა-ნაა შედარებული, სული კაშხალთან. კაშხალი ხომ საერთოდ ნაგებობაა, რომელიც მდინარეს გზას უღობავს. რატომაა „ადებული“ სული კაშხლად? რატომ არ უშვებს, რომ სისხლი მოვიდეს ჩვენთან?

მეორე. როგორც ზემოთ ვთქვით, „სულის კაშხალი“, „იმედის ხე“ და სხვა ამგვარი „პოეტურობები“, არაა მხატვრული სახეები. მათი კეთება შეიძლება კონვეიერულად და ამისთვის არაა საჭირო არც ნიჭი და არც ინდივიდუალობა.

მესამე და რაც მთავარია, ამ სტრიქონებს თუ გავშიფრავთ ბოლოს და ბოლოს შეგვიძლია გამოვიტანოთ აზრი, რომ ლირიკულ გმირს რაღაც იმედი გაუჩნდა. სწორედ ახლა საინტერესოა: რას იმედოვნებს ლირიკული გმირი? რა სურს? როგორია ეს იმედი? რა კავშირია ის ჩვენს იმედებთან? მაგრამ ამაზე არაფერს გვეუბნება ავტორი.

ამიტომაც მისი „მსხმოიარე ხე იმედისა“ ჩვენთვის მხოლოდ ლიტონი სიტყვებია, ჩვენ არ ვიცით, რას ნიშნავს ისინი და ამიტომ მათ არ შეუძლიათ აგვაღელვონ.

„სიტყვებით თამაშის“ კოზა

წვიკითხოთ დალილა ბედნიერის ლექსი „ვათავისუფლებ“.

ვათავისუფლებ ოთხ სტრიქონზე ჯვარცმულ
რითმებს
და მარცვლებადაფლილ სიტყვებს ლექსში
ვათავისუფლებ!

ახე იწყება ეს ლექსი და დასაწყისმა მაშინვე შეცბუნება გამოიწვია ჩემში. ესე იგი ლექსი ვერსიფიკაციულ პრობლემებს ეძღვნება-მეთქი, ვიფიქრე, ავტორი თითქოს ეგრეთწოდებული თავისუფალი ლექსის წერისაკენ მოუწოდებს პოეტებს. მაგრამ ამ ვერსიფიკაციულ ლოზუნგს ხარვეზები აქვს. ჯერ ერთი, რას ნიშნავს, რითმა ოთხ სტრიქონზე ჯვარცმულიაო? ვფიქრობ, რომ ლექსს გაანმია, მაგალითად აკაკი წერეთლის სტრიქონებში რითმა ძალიანაც კარგად გრძნობს თავს. მეორე — უფრთმო და უმეტრო ლექსის წერას თავისუფლების ცნებასთან არაფერი აქვს საერთო. თავისუფალი ლექსი მხოლოდ ტერმინია და ამ ტერმინის ახე აღქმა, რომ ასეთი ლექსის წერის დროს სიტყვები თავისუფლდებიან, არა მგონია სწორი იყოს.

მომდევნო სტრიქონები ასეთია:

ვათავისუფლებ სიმღერაში დამწყვდეულ
მტრედებს,
შეუვარებულებს, ბავშვებს, დედებს,
მიცვალებულებს!

რას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვებიც? მტრედები, შეუყვარებულები, ბავშვები, დედები და მიცვალებულები სიმღერაში დამწყვდეულები არიანნო; გვეუბნება ავტორი. ჩვენ ვიცით, რომ ყველანი, ვინც აქაა ჩამოთვლილი, სიმღერაში არიან ხოლმე ხახესენში. მაგრამ რაღაან იქ მათ ტყვეობაზე ყოველთვის არაა ლაპარაკი, ამიტომ სიმღერაში უბრალოდ ყოფნასაც ავტორი მიიჩნევს დამწყვდევად. მაშ გათავისუფლება რაღა ყოფილა? ალბათ ის, რომ ისინი ალარ იყვნენ სიმღერაში. ესე იგი ავტორს უნდა, რომ ამიერიდან სიმღერებში ალარ მოიხსენიებოდნენ მტრედები, შეუყვარებულები, ბავშვები, დედები და მიცვალებულები? რატომ? რა დააშავეს მათ ასეთი?

განვაგრძოთ ლექსის კითხვა:

მხატვრის ფუნჯისგან ვათავისუფლებ ზღვის
მორჩილ ტალღას,
წელში მოხრილ ხეებს და ქარებს,
ნატურმორტებს, პორტრეტებს, ფრესკებს...

რას ნიშნავს ამ შემთხვევაში „ვათავისუფლება“? ალბათ, იმას, რომ ყოველივე, რაც ჩამოთვლილია, ალარ უნდა დაიხატოს.

ახლა ვიკითხოთ, რა აზრი აქვს ამ „გათავისუფლებებს“? ან იმას, რომ მტრედი „გათავისუფლდება“ სიმღერიდან ან ზღვის ტალღა მხატვრის ფუნჯისგან? სიმღერაში ხომ თვით მტრედი კი არაა „დამწყვდეული“ არამედ მისი სახელი. მაშ რატომაა საჭირო მისი „გათავისუფლება“?

ნატურმორტების და ფრესკების „გათავისუფლება“-ში ავტორი ხელოვნების გაუქმებას ხომ არ გულისხმობს?

თუ ახე, რატომ? თუ სხვას გულისხმობს რამეს და რას?

აი, შემდეგი სტრიქონი:

ჯოკონდას ღიმილს ვათავისუფლებ!

წინა სტრიქონის ბოლოს სამი წერტილია, ამიტომაც, ალბათ, უნდა ვიფიქროთ, რომ ჯოკონდას ღიმილაც მხატვრის ფუნჯისგან ათავისუფლებენ.

ესე იგი არ უნდა დაეხატათ? რატომ?

აკამდე თუ კიდევ ვპოულობდი რაღაც დასაყრდენს მსჯელობაში, უცაბ სულ ბაერში გამოვეკიდე. როცა შემდეგი სტრიქონები წავიკითხე:

წუთებს, საათებს, დღეს და ღამეს,
დროს დროისაგან ვათავისუფლებ.

მე პირადად ვერაფერი ახსნა ამ სტრიქონებს ვერ მოვუძებნე.

„ფუტოსტრიალზე“ გაყინულ მზერას, ბაგეებს, ხელებს ვათავისუფლებს!“ ეს ერთი, რაც ნახატიდან გათავისუფლება. ამაზე უკვე ვთქვით.

დაე წავიდნენ ხალიჩიდან, გობელენიდან

ბუბამ ბეტრიაშვილი
ქუვინდიგა თქვენსა მოსკლასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხები, ირმები, ყვავილები თავის ტყეებში
და თვითონ ტყესაც ვათავისუფლებ პეიზაჟის
ჩარჩოებიდან.

აქ უკვე გვეუბნებიან თუ კონკრეტულად
რა იგულისხმება „გათავისუფლებაში". ირმი
ბალიჩიდან თავის ტყეში წავიდესო. ხალიჩის
ირმის ტყე ხომ ხალიჩაზეეკი. მან სადღა
უნდა წავიდეს? ხოლო თუ ავტორს სურს
რომ ხალიჩის ირმი ნამდვილ ტყეში წავიდეს,
გათავისუფლება აქ არაფერ შუაშია. ავტორს
უბრალოდ მოსსრავნია დამაბული ცხოველების გაცოცლება. კარგი სურვილია და ჩვენც
არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო.

რაც შეეხება „ტყის გათავისუფლებას პეიზაჟის ჩარჩოებიდან", აქ უნდა ვიკითხოთ, რომელ ტყეს გულისხმობს ავტორი? თუ დამაბულს, ამაზე უკვე ვთქვეთ, რომ ნახატის გათავისუფლება ხელოვნების გაუქმებას ნიშნავს
და ვერ დავეთანხმებით ავტორს, რომ ეს საქმიანობა ოყოს. ხოლო თუ ნამდვილ ტყეზეა ლაპარაკი, მას არავითარი ჩარჩოები არა აქვს და არც
გათავისუფლება არა სჭირდება.

ვისაც ვუუვარვარ, ვისაც ვძულვარ და ვინც
არ მიცნობს,
რაც კი მინახავს, რასაც ენახავ და რასაც —
ვერა,
ვათავისუფლებ ყველაფერს, ყველას.

ახლა საქმე მოლად გართულდა, რადგან ავტორმა თავისი „გათავისუფლების" არიში უკვე
ცოცხალი ადამიანებიც მოაქცია.

ცნება „ადამიანის გათავისუფლება" განმარტების გარეშეც გასაგები მხოლოდ მაშინაა,
როდესაც საქმე ეხება პატიმარს, ტყვეს ან მონას. ყველა სხვა შემთხვევაში საჭიროა განმარტება, რა იგულისხმება გათავისუფლებაში? რისგან ათავისუფლებ ადამიანს?

რადგან „ყველა"-ში თქვენც შედიხართ და მეც, ამიტომ ხოლმე მოდით და ვიკითხოთ, რისგან
გაგვათავისუფლა ავტორმა?

ავტორი ცდება, როდესაც ბგონია, რომ სიტყვა „თავისუფლება" ყოველთვის ნიშნავს ერთი და იგივეს და ყოველთვის ერთი და იგივე ემოციას იწვევს მკითხველში, კერძოდ კი დადებითს, ანუ სასიამოვნოს.

თავისუფლება სასურველი და ნანატრი სიტყვა არის მხოლოდ ორ შემთხვევაში: როდესაც საქმე ეხება ტყვეობაში თუ მონობაში მყოფი ადამიანისა და ერის გათავისუფლებას. ამ შემთხვევაში თავისუფლება აბსოლუტური სიტყვაა.

მაგრამ სხვა შემთხვევაში შეიძლება სულაც
არ იყოს თავისუფლება სასურველი.

ახე მაგალითად: ფუთიკენიდან გამოსული კაცს ხელში უჭირავს ზამალი, რომელიც მან დედას
უნდა წაუღოს ხაჭაროდ. ეს კაცი აბსოლუტურად თავისუფალი ვეღარ იქნება. ამ წუთში მას
არ შეუძლია წავიდეს მაგალითად კინოში ან
ახლა მონაა მოკალმობისა. წარმოვიდგინოთ
ახლა რომ მასთან მივედით და ვეუბნებით
„გათავისუფლეთო შენი მოკალმობისაგანო".
მიიღებს ის კაცი შეთავაზებულ თავისუფლებას?

ვათავისუფლებ ვიოლინოს, სიღებავს,
ფანქარს.

სახლებს და ქუჩებს,
ყველა საგანს და არასაგანს ვათავისუფლებ!

რას ნიშნავს საგნის გათავისუფლება? თუ იგულისხმება გათავისუფლება დანიშნულებისაგან მაშინ გაუგებარია ავტორის სურვილი. თუ გათავისუფლება აქ გადატანით მნიშვნელობითაა ნახმარი და ვიოლინოს გათავისუფლება ნიშნავს იმას, რომ სადღაც საჭიროა მევიოლინეს გათავისუფლება, მაშინ ამ რიგში სახლების გათავისუფლებაც რაღას ნიშნავს?

ხოლო, რაც შეეხება იმას, თუ რას ნიშნავს არასაგნების გათავისუფლება, ამაზე გირჩევთ არც დაფიქრდეთ თუ გინდათ, რომ ტვინი არ
გეღრძოთ.

ვათავისუფლებ დარაჯებს და არადარაჯებს
და მერე თვითონ თავისუფლებას
ვათავისუფლებ!

ჯერ დარაჯების შესახებ.

რადგან ისინი ცალკე გამოყო ავტორმა, ალბათ, განსაკუთრებით საჭიროებენ გათავისუფლებას. რისგან? ალბათ, დარაჯობისგან, რადგან სწორედ ამით განსხვავდებიან სხვებისაგან. თუმცა აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ სხვებისაც აქვე ათავისუფლებენ. დარაჯები და არადარაჯები ერთად ხომ დედამიწის მოსახლეობას მოიცავს უკლებლივ. (სხვათა შორის თქვენც და მეც კვლავ გაგვათავისუფლებს). მაშ გავათავისუფლოთ ყველა დარაჯი დარაჯობისაგან?

მაგალითად, მგონია, რომ დარაჯი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს იცავს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გათავისუფლდეს დარაჯობისაგან. ის თავის მოვალეობას უნდა ასრულებდეს.

რაც შეეხება სიტყვებს „თავისუფლებას ვათავისუფლებ" ეს არის სიტყვების უპასუხისმგებლოდ ფანტვა.

ამრიგად სიტყვებით თამაშის მაგიერ ხელთ შეგვრჩა სწორედ მათი უპასუხისმგებლოდ ფანტვა.

თავად განსაჯეთ კრებულში შეხვედრით გამოთქმებს:

„ტკივილზე უფრო ათასჯერ ტკივილი"
„ცრემლებზე უფრო ათასჯერ ცრემლები"
„დამეზე უფრო ათასჯერ დამე".
„სიხმარზე უფრო მეტი სიზმარი"
„ქალაქზე უფრო ათასჯერ ქალაქი".
„მონატრებაზე უფრო მეტი მონატრება"

„ყველა დედაზე უფრო დედა“
„მამლოლაზე დიდი მამლოლა“ და ასე შემდეგ.

„ტკივილზე უფრო მეტი ტკივილი“ არაფერს გვეუბნებაა. ამ სიტყვების აზრი მიეცემოდა თუ დაფწერდით მაგალითად ასე: „ნეკის ტკივილზე უფრო მეტი — გულის ტკივილი“.

პოეტი პასუხს აგებს ყოველ ნათქვამ სიტყვაზე. პოეტმა ზუსტად უნდა იცოდეს, რატომ ამბობს სიტყვას და რა მიზნით და ისიც უნდა იცოდეს თუ როგორ შეიძლება ალეკვას მკითხველმა მისი ნათქვამი:

ჩემთვის გაუგებარია რომ დაიწერინა პოეტს ასეთი სტრიქონები.

როცა ნარწყვეტს ნორჩ თაიგულში
ცხვირწარგული ლოთი
ნეტარებით ყნოსავს საკუთარ ეძლერებას...

დალილა ბედიანიძის კრებულში არის ბუნებრივი სტრიქონები, რომლებშიც ჩანს ავტორის ნიჭი. აი, თუნდაც: „ეს სიტყვები იმდენი ჩრჩილის შეჭამული, ალარც წონა აქვს და ალარც ფასი, გინდა გიოქვამს და გინდა ჯიბიდან ჩარჩენილი ნამცეცები ამოგიფერთხავს“. „შენ ცდილობ შოლტი აიცილო და მაცქერალს ცეკვა ჰგონია“. „სტუმრად ვიყავი ჩემი ბავშვობის ქალაქში წუხელ“, „ეს მე კი არა, ღმერთს უკვირხარ ჩემში გადმოსულს“.

აი, კიდევ მშვენიერი სტროფი:

კეთილი მგზავრობა! კეთილი მგზავრობა
ვინც უკვე წავიდა, ვინც ახლა მიდის!
ვინც წასვლა გადადო, ვინც ჯერ ემზადება
და ადრე შეძენილ ბილეთებს ყიდის.

ავტორი უნდა ეცადოს უფრო კარგად ჩახვდეს თუ რა არის მოსთვის ბუნებრივი და რაც შეიძლება უფრთხილდეს „სიტყვებით თამაშის“ ცდუნებას.

აქვე უნდა ვილაპარაკოთ ლაფუსუნებზე, რომლებიც უყურადღებობის გამო დაუშვეს ავტორებმა.

როდესაც მათში მძლავრობს „პოეტი“, ავტორები ცდილობენ რადაც უნდა დაუჭდეთ „ლამაზად“, „პოეტურად“, „ორიგინალურად“ თქვან და სიტყვებით თამაშში გართულებს ავიწყდებათ, რომ ყოველი სიტყვა გარკვეული ცნების აღმნიშვნელია და ამას ანგარიში უნდა გაეწიოს.

შედეგად კი ისეც სიტყვების უპასუხისმგებლო ფანტვა გვაქვს ხელთ.

ქვემოთ მოტანილი შეცდომები სხვადასხვა ავტორების ლექსებიდანაა, მაგრამ შეგვეძლია ჩავთვალოთ, რომ ისინი სულ იმ ჩვენს განზოგადებულ „პოეტს“ ეკუთვნის.

ავტორი მიმართავს მოვარეს:

თორმე ჩიტები არ დაფრენენ
შენს ლაყვარდებში
და არც ტყეებში დასუნსულებს
მშიერი მგელი.

თუ იმაზე ვლაპარაკობთ, რომ მოვარეზე ჩიტი და მგელი არაა, ესე იგი მოვარე გვიჩვენებს ტერესებს, როგორც რეალური ციური სხეული და არა პოეტური სიმბოლო. ამ მეხთხეველაში კი ავტორმა უნდა იცოდეს, რომ მოვარეზე არც ლაკვარდებია (რადგან არაა ატმოსფერო) და ცხადია, არც ტყეებია.

და იცინიან
ზეაწვდილი ჩემი ხელები,
ვით აკვავებულ ვაშლის ფესვები.

რადგან ხელები ზეაწვდილია, მათი შედარება სჯობია ტოტებთან. თორემ გამოდის, რომ ფესვებიც ზეაწვდილია.

ეძინა ქუჩას
უპატრონო ლოთივით გარეთ
და სველ გუბეებს
თვალებივით ახამხამებდა.

თუ ეძინა, თვალებს როგორდა ახამხამებდა?

ქალაქს ეუბნება ლექსის გმირი:

სად გაქრა შენი სიყმაწვილე
ვრცელი ბინდორი ყვავილოვანი.

როცა მინდორი იყო, ქალაქი ჯერ არ იყო. ამიტომ, მინდორი ქალაქის სიყმაწვილე ვერ იქნება.

და სიმაღლე როგორც რწმენა
ფეხისგულებს მიაწრავდა

ყოფილდ გაუგებარია რას ნიშნავს ფეხისგულების მაწრავი რწმენა.

ჩემს გაჩენამდე ამ ქალაქში, ამ ზღვის
ნაპირას
მშიერმა ძროხამ — გამყინვარებამ
გადიარა

და გადაძოვა ყველა მცენარე.

შეიძლება, ავტორი გამყინვარებაში რაიმე სხვა მოვლენას გულისხმობს, მაგრამ უმჯობესია, როდესაც სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობებიც ლოგიკურად გამართულებულ აზრებს ჭქმნიან. კერძოდ, გამყინვარებამ რომ გადაიარა ქალაქების ხსენებაც არ იყო ჯერ დედამიწაზე.

განა ვან-გოგის თვითმკვლელობა
ჯერის უანმ არ ჩაიდინა?

სხვის თვითმკვლელობას სხვა, ცხადია, ვერ ჩაიდენს. სხვას მხოლოდ ის შეუძლია, ხელი შეუწყოს სხვის თვითმკვლელობას ან მოკლას ის სხვა.

ლექსი, რომელიც ავტორმა მთელი ახალგაზრდობის სახელით დაწერა ასე იწყება:

ჩვენ ხმას ვაძლევთ
ყველა გრგვინვას,
ყველა შფოთვას,
ყველა ხმაურს,
ტკივილს, სევდას,
აკვლევას, აურზაურს.

ბუბა პეტრიაშვილი
ჯუმბერ ლიციანის მოსაზრებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა გრავენვას და შფოთვას ვუკეთრი მხარსო; ამ ნათქვამის აზრი გასაგებია. ყველა ხმაურს და აკიდლებას რომ ემხრობიან ეს რამდენად სწორია, ამაზე კიდევ შეიძლება ვიდავოთ, მაგრამ ყველა ადამიანურ ხმას ვაძლევთო, ნამდვილად ცუდად ახასიათებს ამის განმცხადებლებს. ავტორს კი ეცადა, საპირისპირო მიზანი ჰქონდა დასახული.

„და აიზაკუნდნენ ჩემს მეზობლად მიკროსკოპები“.

ჩხაკუნი მიკროსკოპისათვის არაა დამახასიათებელი.

„და თბილ თოვლში შურისგებით დასრიალებდნენ ჩემი მკლავები — ლტოლვით მთვრალი თხილის შტორები“.

მკლავების თხილამურებთან შედარება ღიმილს იწვევს, რადგან შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ვიღაც მკლავებზე დაყრდნობილი და თავდაყრა მისრიალებს თოვლში. ავტორს კი სულაც არ სურდა გაკვეცნებოდა მის გმირზე.

„შემოპიჯე, გამოაღე, კარები ფრთხილად“.

თუ ვამბობთ, „შემოპიჯეო“ ესე იგი ჩვენ ოთახში ვართ უკვე. ამიტომ უნდა იყოს „შემოაღე“. („შემოაღე“ ბგერწერის თვალსაზრისითაც უფრო უხდება „შემოპიჯს“).

„მეშინია — შემოხვევით ფეხი არ დავიდგა თქვენს აჩრდილებზე“.

ავტორი გულისხმობდა არა „აჩრდილებს“ არამედ „ჩრდილებს“. ხოლო ასეთ კონტექსტში („ოქვენს აჩრდილებზე“) აჩრდილი მხოლოდ იმქვეყნიურს ნიშნავს.

„შენ იქ იდექი, ჩაპყურებდი შიშველ საფლავებს, როგორც სიკვდილის რეკვიზიტებს“

„და სხვაგვარი რეკვიზიტებით, ჭრელ-ჭრელი ბუტაფორიით“.

ეს სტრიქონები სხვადასხვა პოეტების ლექსებიდანაა.

სიტყვა „რეკვიზიტი“ მსგავსია „ავეჯი“-სა და „ჯუჯელი“-სა. მას მრავლობითი რიცხვი არა აქვს.

„ვთთავდა მწუხრის ფეიერვერკები“ უნდა იყოს ფეიერვერკები.

ეს არაა კორექტურული შეცდომა. სწორედ „ფეიერვერკები“ დწერა ავტორმა „ფეიერვერკები“ ათმარცვლიან ლექსს დაარღვევდა.

„და ძოლვიძილში ჩაფლული სივრცე კვლავ აღიესება ფერებით, ხმებით. შერით, გრატესკით, სიხარბით, ბოლმით“.

ჩამოთვლილ გრძნობებს შორის (შური, სიხარბე, ბოლმა) სიტყვა „გროტესკი“, ცხადია, არაა სწორად ჩასმული. ის სულ სხვა რიგის სიტყვაა. კერძოდ, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით გროტესკი არის „ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც მოცულობას საგნებს ან პირებს წარმოგვიდგენს ეობილური, დამახინჯებული სახით, ცალკეულ თვისებათა გადაჭარბებული ხაზგასმით“. ამრიგად გროტესკი შეიძლებოდა ყოფილიყო მაგალითად ასეთ სიტყვათა რიგში: ფარხი, გროტესკი, ელეგია და ასე შემდეგ.

„ამსხვრევენ თავის მოთმინებას ხის ცარიელ ყუთებთან ერთად“.

ეს ერთ-ერთი ძალზე გავრცელებული შეცდომაა ახალგაზრდულ ლიტერატურაში (და არა-ახალგაზრდულშიც): „მოთმინების დამსხვრევა“ არის პირობითი ნათქვამი, ყუთის დამსხვრევა კი რეალური მოვლენაა. მათი გაერთიანება, როგორც ამ მაგალითშია, არ შეიძლება.

ლექსის წერა ადამიანის ზრდასთან საკმაოდ ერთ-ერთი სახეობაა, ყოველგვარ ზრდასან კი თავისი ხელსაწყო-იარაღები გააჩნია. მწერლის ზრდასთან იარაღებში ფურცელთან და კალმისტართან ერთად აუცილებლად შედის ლექსიკონები და ცნობარები. მათი ერთ-ერთი დანიშნულება კი ისაა, რომ სიტყვებით თამაშმა ძალიან შორს არ გაიტაცოს პოეტი.

„ᲗᲘᲚᲛᲘᲡᲜᲘᲨᲜᲘᲡᲘᲡ“ ᲙᲝᲯᲝ

ბათუ დანელიას ლექსში „მატარებელზე ვაცილებ დედას“ მოთხრობილია თუ როგორ აცილებს ლექსის ლირიკული გმირი სოფლიდან ჩამოსულ დედას. ლექსის იმპულსი ნამდვილი და ბუნებრივი გრძნობიდან მოდის. არის ამ ლექსში ადგილები, რომლებიც დედაშვილურ გრძნობებს ძალიან კარგად გადმოგვცემენ.

აი ერთი მათგანი: „ესკალატორზე ისე დგას, როგორც მე ვიდექი მაშინ სკამზე ან მაგიდაზე მისი „დგა-დგამი“, მისი მკლავებით შემოსაზღვრული“:

„ეჰ ჩვენ ვგრძნობთ, როგორ უყვარს დედა ლექსის გმირს, როგორ ებრალება და ამბობთ-ნავე როგორ განიცდის მის არსებას, რომ ერთი არიან სულ-ხორცით.

ავტორი არ ემყოფილდება დედა-შვილის ურთიერთობის ჩვენებით, მას სურს გარეშეოც დამტკოს: სხვა ადამიანები, ქალაქი, ქალაქური ყოფა.

ეს თავისთავად სწორი ამოცანაა, მაგრამ ავტორმა აირჩია არასწორი გზა. ის მხატვრული დეტალებით კი არ წესვდის ამოცანას, არამედ თავის აზრებს გვიმდევნებს.

აი, ლექსის დასაწყისში ლირიკული გმირი მიმართავს ტრამვაის:

„შენც ეგალაგო, ტრამვაი რომ გქვია სახელი. (და მომაკვლიე რომ ხარ და სული ვერ ამოგძვრა, ვერა და ვერა, ღა ღმერთმა ეწყოს. კიდევ სანამდე გაგრძელდება შენი წამება!)“.

მკითხველი, ალბათ, გეოცდება, რა დაეშავა ამ საწყალა ტრამვაივ, რაღაც უნდათ, რომ მას „სული ამოსძვრესო“. მართლაც რა დაეშავა

ტრამვაის? რატომ დადგა ლეკსის გმირი უცებ მოწრიალე ტაქსიკის ასოლოგების პოზაში?

„ტაქსეკი ტრანსპორტის მოძველებული საშუალებაა".

აი ის ლოგიკური აზრი, რამაც ტოლმკის წყველა ათქმევინა ლეკსის გმირს, მაგრამ პოეტს არა აქვს უფლება მიუდგეს მოვლენებს, როგორც ტრანსპორტის სამინისტროს ან საბმაგზეელის მუშაკი. პოეტი ყველაფერში უნდა ხედავდეს ადამიანთა ცხოვრებას, მათ ფრთიერიოთხებს. ეს „ჯალვაკი ტრამვაი" ქალაქის უამრავი მცდოვრებისთვის დაკავშირებულია ათას მოგონებებთან: სასიხარულოსთანაც და სამწუხაროსთანაც. ასე იოლად მას ვერ გავიმეტებთ. სხვათა შორის ვერც სატრანსპორტო საშუალებად დავიწუნებთ ამ „ჯალვაკს". თუკი ძალიან არ გვეჩქარება, რრამვაის რა უჭირს?

ტრამვაის შემდეგ ავტომობილის ჯერია.

„არ ავატკივთ ზებრა ზურგი ქუჩის — გადაფრინთ! და არც ერთი ამითთაგანი, წარმოიდგინეთ, დედას ალარ დაუწყვეტლია..." თუ ახლა ალარ დაწყვეტლა დედამ მანქანები, ესე იგი. ადრე წყვეტლდა. რატომ? რატომ წყვეტლის დედა მანქანებს? ტაქნიკის მოწინააღმდეგეა? მაშინ პატარებლეთ მგზავრობაზე რატომ უარს არ ამბობს? განა ასეთი ირონიკიაული განსჯ ვგვეპვა ავტომობილსა და მატარებელს შორის? როგორც ლეკსიდან ჩანს, დედას მოსწონს, რომ მატარებელ აქვს ლუკე, რომლით მგზავრობაც სახიათოგნია. დედა მგზოლილები ტრანსპობს კიდეც. ლუკეთი გამომამგზავრა შეიფლო, ეს ვგვალეკეს უფლებას ვიფიგროთ, რომ ხეკეი არ იტყოდა ის. უარს მანქანის ლამპრ ხალონში ჩაჯდომაზე, თუკ: მის ვიეს საკუთარი ავტომანქანა ეკნვიოდა. მაშ რატომდა წყვეტლის დედა მანქანებს? ამორიგად, უნდოდა ეს ავტორს თუ არა, დედის წყვეტლ მანქანებისკენ ეკ არა, ამ მანქანების მატრონებისკენ გამოდის მიმართული. ეს კი ცუდად ახასიათებს ამ პერსონაჟს. ქალს, რომელიც იწყვეტება, ძნელია თანაუგრძნობ მეთხეელმა.

ეი მივიდნენ ვაგონთან:

„იქ კი — ვაგონის გამცილებელი: „ბილეთებიბ?" და დედა აწვდის. „თქვენი, ბატონო?" „მე ვაცილებ... ახლავე ეკან!" „კარი, ბატონო!" (რაოდა ეკრა ხასიათზე) და ჩვენ ავდივართ".

ფრანგლებში ჩასმული სიტყვებში ირონიაა. ალბათ, ის იგულისხმება, რომ რადგან ჩხუბი არ დაიწყო და „ბატონობით" ელაპარაკათ, ამიტომ არა ჰგავდა თავის თავს ეს გამცილებელი.

უბეში გამცილებელი, ცხადია, არაა ფშვინიერი, მაგრამ ამ წუთში, როცა დედოსგდში ახლთი სინაზითაა ავსილი ლეკსის გმირი, მას არ უნდა ჰქონდეს სურვილი, რომ ვინმეს ირონიულად უცქიროს. ის აზრი, რომ „არიან ქვეყნად უბეში გამცილებლები" სწორია, მაგრამ აქ მისი ადგილი არაა.

მატარებელი რომ დაიძვრება ამ გამცილებელზე ლზე კვლავაა ლაპარაკი ლეკსში:

„ვაგონზე ახტა სასწრაფოდ. (დამშვიდობების ჟამს გულქვაც კი ხდება გულჩიელი!)".

ლეკსში გამცილებლის გულქვაობის დამადასტურებელი არაფერი მომხდარა. მაშ რად უფროდეს მას ავტორი ასე?

იქნება, იმიტომ, რომ გამცილებელი სხვას არ უშვებს ხოლმე ვაგონში?

ეს არაა გულქვაობა.

თუ მას აკეთებს, რაც ევალება, რას ვერჩით. ხოლო თუ წესს არღვევს, ეს ნიშნავს არა გულქვაობას, არამედ სხვ სხვა რაგეს.

ერთი სიტყვით, კარგი იქნება ეს გამცილებელი საერთოდ არ იყოს ლეკსში.

გააცილ ლეკსის გმირმა დედ და მოდის:

„გადასასვლელზე რისი წესი — მე ასე უფრო მეხერხება... (მე ვიცი, უფრო დიდ წესს არღვევენ და მომჩივანი არ ჰყავთ არავინ). დიე, მაგინონ ამ შოფრებმა... მათ რა იციან, რომ დედა გავაცილე მატარებელზე და ახლაც რომ იმას ვაცილებ".

აჭ რამდენიმე შეცდომაა დაშვებული.

ჯერ ერთი: ის ამბავი, რომ ვიღაცები „უფრო დიდ წესს არღვევენ", ჩვენ არ გვთავისუფლებს მოვალეობისაგან, რომ დავიცვთ წესები. ყველა საკუთარ საქციელზე აგებს პასუხს.

მეორე: საერთოდ მცდარია აზრი, თითქოს საკოდაცმოვრენი წესების დარღვევაში იყოს რაიმე პოეტური. პოეტური სულის ამბობი გამოიხატება ისეთ საქციელში, რომელიც არღვევს ობივატელის სათავისო დაბვეხებულ სამყაროს და ამ სამყაროში გამეფებულ შეხედულებებს. ხოლო ისეთი რამ, როგორიცაა: ქუჩაში სიარულის, სისუფთავის, მისალმების თუ მაგიდასთან ჯდომის წესები, საყოველთაოა და ყველამ უნდა დაიცვას. მეამბოხე სულის პოეტმაც და დამყაყეზოვნელ ობივატელმაც. ეს ასე რომ არ იყოს, ეაშინ ის ემაწვილიც ამორებად უნდა ჩავთვალოთ, ავტობუსში პაპაროსს გამომწვევად რომ ამოლეკნ, აი, ჩვენ ფეხებზე გვკიდია თქვენი წესები, ჩვენ თავისუფალი ვიეკაცები ვართო.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ გადასასვლელზე უწესოდ გადასვლა არც ისე პატარა დანაშაულია, როგორც ავტორს ჰგონია. როგორც არაერთმა შემთხვევამ დაადასტურა, ამ დროს ბიფალთ ვაგდები სხვათა სიცოცხლეზეაც. ამას კი ვერანაირი „პოეტური განწყობილება" ვერ გაამართლებს.

ეს რომ გახაგეთია, თუ რატომ იგინებიან შოფრები.

მესამე: მცდარია პოზიცია, როდესაც ლეკსის ლირიკული გმირს ჰგონია, რომ თვითონაა სამყაროს ცენტრი. „დიე ეაგონონ ამ შოფრებმა...

გურამ პეტრიაშვილი
მოგვიდოგა თქვენსა მოსაკლასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ რა იციან, რომ მე დედა გავაცილე მატარებელზე". მე დედა გავაცილე მატარებელზე, მე მიუვარს დედაჩემი, მე მასზე ვფიქრობ, სხვა არაფერი არ ღირს სათვალეში ჩასაგდებათო. კი, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ახლა რომელიმე „შოფერს" იმიტომ ეჩქარება, რომ მატარებელს მიეგზავნოს, რათა დახვდეს თავის დედას.

სხვასაც ჰყავს დედა — ეს მარტივი ჭეშმარიტება არ უნდა დავივიწყოდეს, როცა დედაზე ვწერთ ლექსს.

შემდეგ კვლავ გამოჩნდება ტრამვაი, და კვლავ დასცინის მას ავტორი:

„მოფერეს" ტრამვაი, მეც „მიმფერეს" მერე ტრამვაი".

ტრამვაის, ცხადია, არა აქვს ძალიან დიდი სიჩქარის განვითარების უნარი, მაგრამ ეს მას ხომ არც მოეთხოვება.

ლექსიდან დამრჩა უსიამოვნო შთაბეჭდილება, რომ გავეცანი კაცს, რომელიც ქედმაღლურად დასცქერის ადამიანებს, აჭაოდა მე ისეთი დიდი განცდები მაქვს, თქვენი თავი ჩემთან რა მოსაკანონო.

როცა კაცს ცოლი ეკითხება „გული გაწუხებს"? — ო, ეხე იგი სწუხს მასზე და ამის სანასუხოდ ფიქრი „რა უადგილო შეკითხვაა... სადა მაქვს გული, ის პაწაწინა ბალიშია, ნემსებისათვის დაკიდული მკერდის კიდელზე..." არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მაღალფარდოვნებაა.

(აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს სახე „გული ნემსების ბალიშია" სხვა კონტექსტში შეიძლება კარგიც ყოფილიყო).

დასკვნის სახით უნდა ვთქვა, რომ ავტორს სურდა სიმპათიით გაგვეწყვეთ თავისი გმირისადმი, მიადწია კი საწინააღმდეგოს და ამაში ბრალი მიუძღვის „ფილოსოფოსობას".

ახლა კი მინდა მოვგანონ ადგილი ბათუ დანელიას კრებულიდან. ფფიქრობ, რომ სწორედ ეს სტრიქონებია მისთვის, როგორც პოეტისთვის ყველაზედ უფრო ბუნებრივი. დავამბეჭდავ ეს სახეები ისეთია, რომ წაკითხვისას გრძნობა გრჩებათ, თითქოს უცებ გული გაგვიღეს და შიგ ჩაგვაბეჭდესო.

„მერე მე ორი მდინარის ტალღებს ვეთბობდი მკერდითა... მათ შესართავთან ჩაეკვეხთავდი, ზეცა ყურებში მიწოიდა, ისე ღრმა იყო... და გავეახლდი იქიდან ცირაააააა, ცირა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი აზრი, რომელიც დაებადება, თითქოს უკვე იძლევა ლექსის წერის საფუძველს და ავტორი ცდება.

ახლა მოვიტან მაგალითებს იმ ავტორების კრებულებიდან, რომლებზეც პირველ წერილში უკვე ვილაპარაკე, როგორც საკუთრი ინდივიდუალობის მქონე პოეტებზე.

ვნახოთ ნუგზარ კობერიძის ლექსი:

„დღეკანდელი სიმართლე, რომ არ იქცეს
ტყვიად
დაუკვირდი, ძამიკო,
ზვალ იქნება გვიან.
გუშინდელი ღმერთები
სანაგვეში ყრია."

ვის ეუბნება ამას ავტორი?

რადგან ბოლოს გუშინდელ ყალბ ღმერთებზეა ლაპარაკი, ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყალბ ღმერთებს მიმართავს ასე. დღეკანდელი სიმართლე ზვალ ტყვიად იქცევა და მოგსპობსო. ალბათ, ეს აზრია ლექსში გაგარებული. მაგრამ რაღას დაუკვირდეს დღეს ეს „ძამიკო"? თუ ის ყალბია, მაგრამ ვიღაცებს ღმერთად მიუჩნევიათ და მასაც სჯერა, დაკვირვება რაღას უშველის, უკვე დღესაც გვიანაა.

უფრო ზუსტად რომ ყოფილიყო აზრი გამოთქმული, ეს სტროფონები მაინც ვერ გახდებოდა ლექსი, რადგან აქ არაა არავითარი დამოკიდებულება იმისადმი, ვისაც „ძამიკოთი" მიმართავს ავტორი. არც სიყვარულია, არც სიძულვილი. არც სიბრალული, არც დაცინვა და არც სხვა რაიმე გრძნობა. არის მხოლოდ აზრი, რომ დღეკანდელ დაუმსახურებლად განდიდებულს, ზვალ სანაგვეში გადაისროლებ. მაგრამ ეს ხომ მკითხველმა ისედაც იცის.

ფიქრობ, ამოოდა ლექსში სიტყვა „ღმერთები". იმავე აზრის უკეთ გამოსახატავად ალბათ უკეთესი იქნებოდა „კერპები". რა კონტექსტშიც არ უნდა იყოს „ღმერთები სანაგვეში ყრია" არაა კარგი ნათქვამი. ალბათ, ავტორიც სწორედ კერპებს გულისხმობდა.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვათ, რომ ახალგაზრდებიც და საერთოდ ყველანი უნდა ვერიდოთ ისეთი სიტყვების ხშირად ხმარებას, როგორიცაა სამშობლო, ღმერთი, თავისუფლება, სიმართლე, პატიოსნება, მარადისობა და სხვა, რადგანაც ანგელოზი ნშვიათად იმეტებს ჩვენთვის ისეთ სტრიქონებს, რომლებიც ამართლებს ამ სიტყვების გამოყენებას.

ახლა არ მახსოვს, ვინ იყო ავტორი, მაგრამ თავისი, რბილად რომ ვთქვათ. გულუბრყვილო სითამამით, მეხსიერებაში აქამდე ჩარჩა რამდენიმე წლის წინათ წაკითხული სტრიქონი:

„და ღმერთების ჯოგს ეამპორასებდი".

შეიძლება ამის დამწერი თვითონ პოეტისტა, მაგრამ წინაპრები ხომ პყავდა ღვთის მორწმუნენი? პოეზია ხომ ზნეობის ღვიძლი ძმაა, განა შეიძლება, რომ ასე ილაპარაკო იმაზე, რაც ვინმესთვის ძვირფასია?

დავუბრუნდეთ — „ფილოსოფოსობას":

განვიხილოთ ვახტანგ ხარჩილავას ლექსი „ზღვისსარეთი. ზაფხული".

ჩვენს ნამდვილ სახეს აქ ადვილად ვუახლოვდებით
და ამიტომაც მოვისწრაფით აქეთკენ ხოლმე,
მორალური და ეთიკური კოდექსებისგან
გამეზარებული სოფლებიდან, ქალაქებიდან.
აქ ისეთნი ვართ,
ისეთები ვხდებით ყველანი.
როგორც ბუნებამ გაგვაჩინა თავდაპირველად.
ჯადოქრულია ეს კუნძული ფერიცვალების,
მილიონ წლობით ნასწავლ სირცხვილს და
მოკრძალებას
რომ ჩამოგვაფხრეწს თვალებიდან ერთი
დაქნევით.
...მერე მთავრდება შვებულება,
ავიბარგებთო,
კვლავ გადავიცვამთ ჩვენს პიჯაკებს, კაბებს,
კოსტუმებს...
სპეცტანსაცმელს სამუშაოსთვის,
რომელსაც ჰქვია კაცის ცხოვრება
და სანაპიროს ვეთხოვებით გულდაწყვეტილნი.

ჩანს ლექსის დაწერის იმპულსი გახდა შემდეგი აზრი:

რადგან, როცა ვშიშვლდებით, გარეგნულად ისეთები ვხდებით, როგორიც ბუნებამ გაგვაჩინა, ამიტომ აქ დროს შინაგანადაც ჩვენს ნამდვილ სახეს ვიღებთ.

მაგრამ ასე ფიქრი, ცხადია, შეცდომაა.

თუ სად რა გვაცვია, არის ეტიკეტის პირობით კანონი, რომელიც იცვლება არსებული მოდის შესაბამისად და ეს არავითარ კავშირში არაა ჩვენს შინაგან არსთან.

წესიერი კაცი პლაჟზეც წესიერია, უწესო კი დედაჭალაჭის პროსპექტზეც უწესოდ იქცევა.

გურამ პეტრიაშვილი
მშვიდობა თქვენსა მოსვლასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარმა შეცდომამ რამდენიმე შეცდომა გამოიწვია.

პირველი. აქ ნათქვამია

ა) რომ ზღვისპირეთში ჩვენ ვკარგავთ სირცხელეს და მოკრძალებას.

ბ) რომ აქ ისეთები ვართ, როგორებიც ვართ სინამდვილეში.

დასკვნა: ჩვენ სინამდვილეში ყველანი უსირცხელოები ვყოფილვართ.

მეორე:

თუმცა ჰქვეთ იმიტომ მოვიხსწრაფოთ, რომ გავოვეკცეთ მორალურ და ეთიკურ კოდექსებს.

მაგრამ განა არის საფრე ადგილი სადაც შეიძლება თავისუფალი ვიყოთ აღნიშნული კოდექსებისაგან?

მესამე. შვებულება რომ მთავრდება, იწყება სამუშაო, რომელსაც კაცის ცხოვრება ჰქვიაო. ნუთუ შვებულება არ შედის კაცის ცხოვრებაში?

მეოთხე. ბოლო სტრიქონი მთლად კოშმარულ აზრს მოიცავს. რომ ისეთი ცუდები ვყოფილვართ, ბუღლიკ კი ვეწეწებინ. როცა ეტოვებთ ადგილს, სადაც ჩვენ უსირცხელონი ვართ ხოლმე.

მე არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება, მართლაც მონანობის რაქცენიმე კაცი, რომლებიც მართლა ასე ფიქრობენ: არიქა, რადგან გავშიშველდით, პიჯაკთან ერთად სირცხვილიც მოკიშროთ და ნამუსიკო, მაგრამ მათზე სულ სხვა ეანრის ნაწარმოებები უნდა დაიწეროს.

მართლაც გულდასაწყვეტი ისაა, რომ ისეთი ინერიოზული ავტორიც კი, შეიძლება ასე შეაკეთინოს „ფილოსოფოსობამ", როგორიც ვახტანგ ხარჩილავაა.

ამ კრებულებში „ფილოსოფოსის" პოზზეი ლგომის დროს ავტორებმა ისეთი შეხედულებები გააბნიეს, რომ განგაშის ატეხვა გვმართებს.

ზოგიერთის იმ შეხედულებათაგან აქ ამოვიწერ.

რადგან ეს შეხედულებები იმიტომ დაიბადა, რომ ავტორებში იმძლავრა „პოეტმა" ამიტომ კვლავ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ყველა შეხედულება სწორედ ამ განზოგადოებულ „პოეტს" ეკუთვნის.

ჯერ ვნახოთ, რას ფიქრობს ის საერთოდ ცხოვრებაზე:

> ოომ მარტივია ჩვენი ცხოვრება
> და ზედა ვკიდებთ სათამაშოებს
> ეით ნაძეის ხეზე —
> განშორებას, ცოდვას, სიძულვილს,
> როგორმე თავი რომ შევიქციოთ.

ავტორს ჰქვს პრეტენზია საერთოდ ადამიანის ცხოვრების დახასიათებისა და ეს შეიძლება კარგიც. მაგრამ, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია ის აზრი, რომ ადამიანები თავშესაკევად შორდებიან ერთმანეთს, და ასევე თავშესაკევად ჩადიან ცოდვას ან ხძულთ ერთმანეთი. აი, მაგალითად, არის ვინმე კაცი. ის მოწყენილია, რადგან ცხოვრება მარტივია და, რომ გაეიფიროს, გაადწყვეტს, მოდი ამას შევიძულებო.

არა, ცხოვრება რთულია და რთული სწორედ იმიტომაა, რომ თუმცა სულაც არ უნდათ ადამიანებს, რომ კვეანად იყოს სიძულვილი, რომ ვინმე ცოდვას ჩადიოდეს, რომ ძმმე განშორებებით იტანჯებოდნენ, მაინც კვლავ და კვლავ არის ჭვეანად ეს ყოველივე.

საერთოდ, ადამიანის ცხოვრებას აქვს ასეთი თვისება. მას როგორც შეეხედავთ, ისეთი მოგვეჩვენება. თუ იოლად შეეხედავთ, პარტნეს დავინახავთ, თუ ჩაეუფიქრდებით — რთულს.

აი, კიდევ ერთი მაგალითი თუ რა მარტივად ეჩვენება ცხოვრება „პოეტს".

> „და დღემდე ვინც კი ვინმეს მტრობდა, მიწაში წვანან.
> დღეს ვინც მტრობს ერთიერთს, მათაც ივე მოელით ბედი".

ლექსის კონტექსტში ეს სტრიქონები ამას გვეუბნებიან, რომ მტრობა უაზრობაა, რადგან ყველანი სიკვდილის შვილები ვართ.

ავტორს ავიწყდება, რომ ადამიანთა შორის ეტრობას სხვადასხვა მიზეზები აქვს. თუ ორი მეზობელი მტკვალი მიწისთვის წაჰკიდებია ერთმანეთს, ეს, ცხადია, სიხულელეა, მაგრამ ზზრაფა ხომ ისეც ხდება, რომ მტრებს შორის ერთი მართალია, მეორე კი მტყუანი. თუ, მაგალითად, ერთი მოვიდა და მეორის დამნაზენ მოინდომა, მათ შორის, ცხადია, მტრობა ჩამოვარდება. ჩვენ რა, ვურჩიოთ ამ მეორეს, ნუ მტრობ მოსულხარ?

ახლა ვნახოთ, თუ რას ფიქრობს „პოეტი" სხვადასხვა კერძო საკითხებზე.

> „და დღესაც, დღესაც ასწავლიან საბრალო ბავშვებს,
> რომ ორჯერ ორი არის ოთხი და ამ კანონით
> უნდა ავაგოთ ჩვენი ცხოვრება".

„მეზობელი ნითხითებს და შვილს ასწავლის: ერთს ერთი დაუმატე, ორი იქნება".

„დატვიფრულია ჩემი ტვინი ათასი ციფრით
> უნდა გვაასოვდეს! ორჯერ ორი, რომ
> არის ოთხი!"

ეს სტრიქონები განზოგადოებულმა „პოეტმა" სამი სხვადასხვა პოეტის ხელით დაწერა.

რას ერჩის „პოეტი" ელემენტარულ მათემატიკას?

არა, მათემატიკა აქ არაფერ შუაშია. „პოეტი" ამ ტოლობას, $2 \times 2 = 4$, აიგივებს ობივატელის არაპოეტურ, მშრალ ცხოვრებასთან. და ფიქრობს, რომ თუ ამ ტოლობას დაუპირისპირდება, ამით დაუპირისპირდება ობივატელს.

„პოეტს" კვლავ ხელს უშლის ცხოვრებაზე მარტივი შეხედულება. ეს რომ არა, ე�gინებოდა, რომ არც ობივატელის ცხოვრება არაა

ისე მარტივი, რომ ერთი პატარა ტოლობით გამოხატოს.

ამ ტოლობას ავტორები ტუუილად უცქერიან თვალწუნებით და ტუუილად ცდილობენ გაუტეხონ ბმა სახელი.

თუ კარგად შეუხედავთ ტოლობა $2 \times 2 = 4$ არის სიმპოლოს და თუ გნებავთ, პატიოსნების სიმბოლოც.

ღმერთმა შეგვაძლებინოს ისეთივე მართლები ვიყოთ ყველგან და ყველაფერში, როგორც მართალია ეს ტოლობა.

აქვე უნდა ვთქვათ, ეს ტოლობა არავითარ შემოხვევაში არც პოეტურ ცხოვრებას ეწინააღმდეგება.

იმ ზუსტია, ხოლო სიზუსტე ჯერ შეიძლება ცუდი იყოს.

(თვით პოეზიაც განა ზუსტი სიტყვებით არ იკმნება?)

საერთოდ პოეტურ ცხოვრებაზეც „პოეტს" ვერა აქვს მთლად სწორი შეხედულება.

წაიკითხოთ ხტრიქონები:

„ქალაქი კი ცემენტის ფეხებით,
ტელეფონრის ელამი თვალით
საქმეებიდანსაქმეებისკენ მიიჩქაროდა"

„გაყიდულია ბავშვობის ქუჩა,
იქ ახლა მხოლოდ საქმეების ლოდები ყრია".

„მნათი კაბ მაინც ამოდის, ჩადის,
საქმით დაკანცულს ვხედავ ჯამაათს",

ავტორის ინტერესია აქ ყველგან ისეთია, რომ ჩანს. ის სპმბოს არ მიიჩნევს პოეტურ რაფდენ საქმე მისთვის პროზუული, მდაბალი ყოფის ნიშანია.

ეს კი არასწორი და მავნე შეხედულებაა.

თუ პოეტური ცხოვრება ყოფაზე ამაღლებას გულისხმობს, ბაშინ რით შეიძლება უკეთ ავმაღლდეთ. თუ არა ჩვენი საქმით?

არგუმენტების მოტანას ალარ გავაგრძელებ, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ „პოეტისაგან" განსხვავებით ზოთა რუსთაველი სხვაგვარად უცქერის ჟ ცნებას. საქმე — მისთვის უმაღლესი ღირებულების შემცველი ცნებაა.

(სხვათა შორის ავტორები საერთოდ საქმეს დ, ,ეტრეოდ, თავისას უფრო პატივისცემით რომ ეკეცოდენენ მათ კრებულებში, ჰმდენი შეცდომა არ იქნებოდა).

საქმეს რომ საერთოდ ჯეროვანი პატივისცემით არ უცქერის, ამიტომაც კონკრეტული საქმის შეფასებაში „პოეტი" შეიძლება შეცდეს:

„ყაენის ჯიში ამაღლებდა კედელზე კედელს,
ხიდებს აგებდა კაცი კეთილი".

ავტორი აქ გამოცის გარეგნული ნიშნიდან, რომ კედელს რაღაცას, რაღაცისგან გამოპყოფს, ხიდი კი მდინარის ნაპირებს აერთებს. მაგრამ ხაგანი თავისთავად არც კეთილი და არც ბოროტი. ციხის კედელმა შემოხეული მტრისგან შეიძლება დაგიფაროს, ხოლო ხიდის აგება იმ მიზნითაც შეიძლება, რომ ტანჯვებით შეესიო მდინარეს იქით მაცხოვრებლებს.

ახლა ისევ სიყვარულს დავუბრუნდეთ. ვნახოთ, რას ფიქრობს „პოეტი" ამ მარადიულ თემაზე. ეს თემა ზომ ხანიჭ ჭკვანავთაა. ადვილად შეგვიძლია მივხვდეთ ვინ ვინაა იმით, თუ ვინ რას ფიქრობს სიყვარულზე.

ჩემი სიყვარული დედამიწაზე დაიბადა და
გაიზარდა
ის არა მხოლოდ ცნობიერების, ყოფიერების
შვილიცაა.

მაგრამ, როცა შექსპირის, ვან გოგის ან ბეთჰოვენის თანდასწრებით გვხვდები.

მე გამოვდივარ ჩემი ადამიანობიდან,
როგორც კოსმონავტი — ხომალდიდან ცაში
და მავიწყდება, რომ შენ ადამიანი ხარ.

„გამოვდივარ ადამიანობიდან", აქ ნიშნავს იმას, რომ ადამიანზე უკეთესი ვხვდებიო. აქ ნათქვამია, რომ როცა ლიქსის ლირიკული გმირი და მისი სიყვარული ადამიანი ერთად უცქერიან შექსპირის პიესის დადგმას, ან ვან-გოგის ნახატს, ან ერთად უსმენენ ბეთჰოვენს, ,ეაშინ ისინი მაღლდებიან ადამიანობაზე მაღლა. ერთი სიტყვით, აქ ლაპარაკია ორი ხელოვნებას ნაზიარები ადამიანის სიყვარულზე.

ხელოვნების ხაწინააღმდეგო აბა რა უნდა გვქონდეს, მაგრამ როგორღაც მეჩოთირება შექსპირის, ვან-გოგის და ბეთჰოვენის, თუ შეიძლება ასე ითქვა, სიყვარულის დოპინგად გამოყენება. თუ ჩვეულებრივ ციტირებული სტრიქონებიდან ავტორის უნებლიეთ ის აზრი გამოსჭვივის, რომ ნამდვილი, ამაღლებული „არაადამიანური", „ღვთაებრივი" სიყვარული მხოლოდ იმათ ხვედრია, ვინც ბეთჰოვენს უსმენს ხანდახან. ეს კი სწორი არ გახლავთ. სიყვარული საბედნიეროდ, არც ეხოტიტიურ განათლებაზეა დამოკიდებული და არც ნებისმიერი სახის ინფორმაციის ფლობაზე.

მე რომ არ შევმცდარვარ და სწორად მიგრძენია, რომ „პოეტს" ერთგვარი ქედმაღლობით შეუძლია უცქერის სხვებს, ამის დასტურია შემდეგი სტრიქონები:

როცა ვინებას მუშტივით ურტყამ იმათ, ვისაც
სიყვარული შემოეხარკა,
ვინც ხშირ-ხშირად იმეორებს „მიყვარხარო",
რომ სიტყვა მაინც არ დაავიწყდეს,
მიყვარხარ, რადგან შენი ვინება მაშინ ლოცავ
ადამიანთა გადასარჩენად!
შეიგინე, არ გაგიჩუმებ, არ მეშენება!

როდესაც ვიღაცა თავს უფფლებს ალერეს აგინოს სხვებს და თან იმის პრეტენზიაც აქვს, რომ ეს ვინება „ლოცავა ადამიანთა გადასარჩენად", ეს,

ბუბამ პეტრიაშვილი
მწვიდობა თქვენს მოცალესა

სულ ცოტა, თავხედობაა. „შეიგინე, არ გაგაჩუმებ. არ მეწყინებიან!“ ეუბნება შეუვარებულს ლეკსის ლირიკული გმირი, მაგრამ იმას არ ფიქრობს, რომ სხვებს შეიძლება ეწყინოთ გინება. (ბოლოს და ბოლოს, სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის ზომ კანონით ისჯება დამნაშავე).

მაგრამ სხვებზე არა ფიქრობს ლეკსის ლირიკული გმირი და გვთავაზობს ასეთ აფორიზმს:

„თხილის გარშემო ნაუუქია, სიყვარულის
გარშემო — ადამიანთა ჭუკყი“.

აი, თურმე რა: ჩვენ ვუსმენთ ბეთმოვენს, გვიანბავს ვან-გოგის ნახატები და ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი ამალლებული, „ირადამიანური“ სიყვარული. ირგვლივ კი „ადამიანთა ჭუკყია“-ო.

ერთ ცნობილ გამოთქმას თუ გადავკეთებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველივე ეს საღრარალი იქნებოდა, სასაცილო რომ არ იყოს.

არა სწყალობს „პოეტი“ უბრალო მოკვდავთ. აი, წარსულზე წერს:

სისხლიანი მზე ამოვიდა — მაკედონელი!..
საკუთარ სურვილს შეალეწა ბრიყვთა
ბრბოები.

გვეუბნებიან მაკედონელი თუმცა სისხლიანი, მაგრამ მზეა, დანარჩენები კი ბრიყვები არიანო.

მაკედონელის მიერ ჩატარებულ ბრძოლებში ბევრი ადამიანი მოკვდა ატტიოსანი, ვაჟკაცური სიკვდილით ქა ცოდვანი არიან ახლა მათ ბრიყვები ვუთანხოთ.

ახლა ჩვენს დროზე გადმოვიდეთ:

„ეაკეტიანი უკაცრიელი ქუჩები.
ხმაურიანი სიჩუმე და სიჩუმის ხმაური.
მიცვალებულნი — მუნჯი პროპაგანდისტები სიეოცხლისა
ზოგი მიწაზე მოსიარულე, ზოგიც — მიწაში“.

„რაც თავი მახსოვს
არ მშორდება მსახვრალი გრძნობა:
თითქოს აქამდე მარტოობის უფსკრულში
ვცხოვრობ
პირთამდე რომ ამოუვსია
უღიმღამო და ურცხვ ღრიანცელს
უსულგულო და უმომავლო ძეხორციელთა
ყოფაც რომელთა
თუ კიდევ ჰგავს რასმე ამქვეყნად,
ზოოპარკებში დამაღებულ!
მხეცუნთა ცხოვრებას თუ ედრება
მხოლოდ“.

იუმორის გრძნობა ჰფლატობს „პოეტს“ თორემ თვითონაც შეამჩნევდა, რომ სასაცილოა „მხეცუნებსა“ და „მიწაზე მოსიარულე მიცვალებულებს“ შორის მცხოვრები მარტოსულის პოზა.

ეს უკეთესი რომ წერდეი განცდით იყოს დაწერილი, მაშინ „პოეტი“ შესაბრალისი იქნებოდა, მაგრამ რადგან ის წიგნებში ამოკითხულს იმეორებს, უნდა ვთქვაროთ: წერის მაშინ, როცა გაუნელდება ზოლმე წაკითხულით მიღებული შთაბეჭდილება.

ბოლოს კი ერთ განცხადებას უნდა მივაკვდეთ ყურადღება:

„თქვენი არ ვიცი, მე კი, რომ ჩავრთავ ტელევიზორს, ან გავშლი გაზეთს, — მაშინვე თელმა მერევა...“

ეს „თელმა“-ც ალბათ, თავისი განსაკუთრებულობის არგუმენტი ჰგონია „პოეტს“. ჰქადილ, ჩემს მაღალ და ფაქიზ მისწრაფებებს და ნატიფ გემოვნებას არ შეეფერება ეს პიწიერი ამბებია.

ცდება ავტორი. თუ მას სურს, რომ პოეტის სახელი ერქვას, მაშინ თელმა საერთოდ უნდა დავიიწყოს. პოეტი ქვეყნად იმისათვის კი არაა, რომ ცხვირი აიბზუოს, ეს არ მომწონს, ეს არ მაკმაყოფილებსო, არამედ იმისთვის, რომ სილამაზის, სიკეთის და სიმართლის დამკვიდრებისთვის იბრძოლოს.

და ჩვენი მსჯელობაც ახალგაზრდა პოეტთა კოლეგიტულ ლექსებზე და სტრიქონებზე უნდა დავამთავროთ სწორედ იმ ლექსების განხილვით, სადაც ისინი გვიხატავენ თუ როგორ წარმოუდგენიათ მათ საერთოდ პოეტი და მისი ადგილი სამყაროში.

აი, სტრიქონები ლექსიდან „ვაჟა“:

ძნელია იყო გველის ჭმაენი
ნაბეერად ღმერთო მოკვდავების გვერდით
ცხოვრობდე.

ვაჟა-ფშაველა, ცხადია, ასე არ ფიქრობდა. ეს ბრრები ავტორს ეკუთვნის.

დავიპახსოვროთ ეს დაპირისპირება ნაბეერა-ღმერთი პოეტსა და მოკვდავ ადამიანებს შორის.

ერთი ლექსი, რომელის სათაურია „პოეტი“ ასე იწყებინა:

აყრილავებულ ვეები ლოდთან შეჩერდა
მგზავრი...

ვერ მოაცილა თვალი ერთხანს
ამაზრზენ სურათს —
ათასი ჯერის სულიერთა,
ლოდქვეშ შობილთა,
ბნელეთში ყოფნას შეჩვეულთა
ფუთფუთს და წრიალს
აშმორებულ ნალოდარზე რომ
დაცოდვილობდნენ.

იგულისმება, რომ სწორედ ეს მგზავრია პოეტი.

ახლა საინტერესოა, რას იზამს პოეტი, მას შემდეგ, რაც ნახა „პოკვდავ ირაპოეტთა“ საცოდაობა.

უმზირა ერთხანს...
მერე ანაზდად, მოეულოდნელ ხილვით
შეძრეული,
მეკუსეულად გაუდგა გზას
ბაურკვეველი მიმართულებით.

შემდეგ პოეტი მოიხედავს და დაინახავს, რომ იმავე სურათს არნეინად და მშვიდად დაჰყურებდა ღმერთი.

ღმერთმა თავისი ამბავი თვითონ იცის. მე პოეტთან მაქვს საქმე, ამაზრზენი სურათის დანახვის შემდეგ სწრაფად რომ გაეცალა იქაურობის და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაურკვეველი მიმართულებით წავიდა. იმ საცოდავ არსებებს ზემოდან დასცქერის, არც ღმერთია. ესე იგი ეხსე ნახეკარაღმერთია.

კვლავ ლექსი „პოეტი". მთლიანად მოვიტან ამ ლექსს:

გათენების მსგავს ბურუშია სივრცე
და მირიწევა უმსუბუქესი ამ ლაჟვარდებზე.
ნუ გაიღვიძებთ,
ნუ დაუყრით ნათელ ბილიკზე,
(რომელზეც, ასე ბედნიერი მიეხეტება),
თქვენი კარიდან ახეკტილ ნაკარს.
ყელზე შებმული მთვარის სხივებით ის სადღაც
მიყავთ
დაკ ნურასთდეს შეეცდებით მის მობრუნებას,
რადგან სიმორე და მანძილი სკირდება მუდამ,
რომ დაგინახოთ ყველი ერთად და
შეუყვარდეთ.

აქაც ისევ ნახეკარაღმერთთან გვაქვს საქმე. ის მძინარი „მირიწევა ლაჟვარდებზე" და ჩვენ უბრალო მოკვდავნი მხოლოდ იმდენად ვარსებობთ მისთვის, რომ მის ძილს შეიძლება შევუშლოთ ხელი. ისიც გაურკვეველი მიმართულებით მიდის. „სადღაც მიყავთო" გვეუბნება ავტორი. ბოლოს კი გვეიმედებენ „სიორეი და მანძილი სკირდება მუდამ, რომ დაგინახოთ ყველი ერთად და შეუყვარდეთ"-ო, მაგრამ ეს ნაკლები იმედია. ჯერ ერთი სადღაც რომ მიყავთ, ვინ იცის სად წაიყვანენ და ექნება მერე სურვილი რომ ჰქიდან ჩვენ გვიყურობს? მეორეკი — ვაითუ ისე შორს წაიყვანონ, რომ ვეღარც კი შეგვიჩნიოს და მესამე — შორდან რას გვარგებს ჩვენ ‘ეისი სიყვარული? ან კი შორიდან როგორღა შეგვიყვარებს, როდესაც გვერდით ეინარეშე ჩაგვიარა?

მცდარი მიზანია „ყველას ერთად შეუყვარეაც". ბრძენს უთქვამს, გაცილებით ადვილია გიყვარდეს მთელი კაცობრიობა, ვიდრე შენი კარხს მეზობელთო.

ერთი ხიტყვით, პოეტი ჩვენს გვერდით ფიდა ტრიალებდეს და მისი სიყვარული საქმით უნდა იგრძნოს მოყვასმა.

დოგმატიკოსობაშიც რომ ჩამომართვას ვინმემ მაინც უნდა ვთქვა, რომ საერთოდ ამ კითხვაზე, თუ ვინაა პოეტი და როგორ უნდა ცხოვრობდეს ის, პასუხი ამომწურავადაა გაცემული.

ქართველი პოეტის (და საერთოდ ხელოვანის) კრედო დიდი ხანია დაწერილია.

ერთხელ და სამუდამოდ.

ბრწყინვალედ.

და დადასნკვა არაა საჭირო.

მხედველობაში მაქვს, ცხადია, ილია ჭავჭავაძის ლექსი „პოეტი".

აქვე ერთიც უნდა დავამატოთ: ილიას ცხოვრებამ დაადასტურა, რომ მისთვის ეს ლექსი იყო არა ლამაზი სიტყვები, არამედ სამოქმედო პროგრამა, ფიზიკურად ეს ადამიანი, ეს ადამიანი, ეს ადამიანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ გადაამწყვეტი მაინც ჩვენი სუბიექტური შინაგანი თვისებებია.

ხომ ვიცით, რომ ცოხე შიგნიდან ტკდება.

ლიტერატურული მოდა მაშინ მოგვეტეგა, როდესაც ვერ შევამჩნევთ მის სიყალბეს, ჩაკვლეთით კარგ რამედ და ვეცდებით ჩვენც მივბაძოთ მას.

რამ უნდა გვიშველოს?

გვიშველის ლიტერატურული გემოვნება: ჯერ ერთი მას შეუძლია გაპოიცნოს სიყალბე. მეორე — ის გვკარნახობს, რომ შეუძლებელია და არცაა საჭირო ვჩანდეთ იმაზე უკეთესი, ვიდრე ვართ, რომ ყველაზე კარგები ჩვენ მაშინა ვართ, როცა ჩვენ თავსა ვგავართ და რომ უნდა ვეწიოთ ისე, როგორც ჩვენს ბუნებას შეეფერება და არა ისე, როგორც ახლაა მოდაში ამიღებული.

გემოვნებაც ნიჭის შემადგენელი ნაწილია და ის დამაღებით დაპაკეცება ხოლმე ავტორს. მაგრამ ეს სწორედ ის ნაწილია ნიჭისა, რომელის გარკვეულად განვითარება და დახვეწა შესაძლებელია.

— რა არის ლიტერატურული გემოვნება?

ის ჩვენი შინაგანი მკითხველია. და იმის გარდა, რომ უნდა იცოდეს თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი, მას მოეთხოვება შეეძლოს ისევე, ობიექტურად წაიკითხოს ჩვენი ნაწარმოები, როგორც კითხულობს სხვისას.

რაც უფრო კარგად გრძნობს შინაგანი მკითხველი ლიტერატურას და რაც უფრო ობიექტურად შეეძლოთ შემხედოს ჩვენს ნაწარმოებს მით უფრო ვერ შემოიპარება ლექსში ლიტერატურული პოზის ბაცილა. და მით უფრო გულწრფელი იქნება ლექსი.

როცა ლექსის ორგანულ მთლიანობაზე ვლაპარაკობდი, ვთქვი, რომ მკითხველზე ყველაზე მძლავრად სწორედ ეთილიანობა ახდენს შთაბეჭდილებას.

ახლა უნდა დავუმატო, რომ ლექსის ორგანული მთლიანობის მიღწევაშიც შინაგანი მკითხველი უნდა დაეხმაროს ავტორს.

ბოლოს და ბოლოს, ჩემმა! ორივე წერილის მთავარი აზრი ისაა, რომ ლიტერატურული ოსტატობის არსი მაღალ ლიტერატურულ გემოვნებაშია.

სწორედ ლიტერატურული გემოვნებაა ის იარაღი, რომელის კონტროლითაც ავითარებს ავტორი პირველად ჩანაფიქრს, არ უშვებს ლექსში არაფერს უცხოს და ზედმეტს და თანდათან აუჯობებს ნაწარმოებს.

ოსტატობის კრიტერიუმად სწორედ ეს შეიძლება მივიღოთ: თუ რამდენად შეუძლია ავტორს თავისი ნაწარმოების თანდათან გაუმჯობესება ჩანაფიქრიდან სახლოო რედაქციამდე.

სამწუხაროდ, ახალგაზრდების პირველ კრებულებში ხშირად ჩანს ოსტატობის ნაკლებობა.

ვფიქრობდ, ჩემს მიერ მოტანილი მაგალითები გარკვეულად ასახუოებს ამ დასკვნას.

რაც შეეხება სიტყვის ნიჭს, ის ხშირად იგრძნობა.

იგრძნობა უცებ გამკრთალ "პეტაფორაში", დაბალ ხულ სტროფში, ცალკეულ სტროფებში.

„ხოდაბუნებში ხარი მოდის რქასანთლიანი"
(ლალი ჯაფარაშვილი)

„სად ალაგ-ალაგ ზეკა ჩამოწვიმს
ვარსკვლავთა ცოგას" (ბალდადერ არაბული).

„დიპბორიალობ ამ ჯაგარეულ
ველებზე რჩება
დაფუთილი ხორცის ფიფქები" (ცირა შალაშვილი).

„საოცარია, როს შენზე ვფიქრობ
რა გამჭვირვალე ხდებიან მთები" (შაბურა არაბული).

ეს სტროფნები იმ ანგელოზის ნაჩუქარია, იშვიათად რომ გამოიფრენს ხოლმე.

მაგრამ ახლა საჭიროა ისინი გახდნენ უფრო დიდ ორგანულო პოეტური მთლიანობაში — ლექსის ნაწილი და ეს ისე მოხდეს, რომ არ დაიკარგოს, ამ სტროფნების გულწრფელობა.

ახალგაზრდა ავტორები (ისევე, როგორც ყველა სხვა), შეუძამ უნდა ისწრაფოდნენ ეიმაღლონ თავიანთი ლიტერატურული გემოვნება და ამით ამაღლდება მათი ოსტატობა.

ერთხელ და სამუდამად უნდა მოისპოს შეხედულება პოეტზე, როგორც ბედის ნებიერ მსუბუქ არსებაზე, რომელიც დღისით უზრუნველად დადის ამქვეყნად და ღამით მუზის კარნახით აწიკწიკებს ლექსებს.

ლექსის წერის ხელოვნებაში დიდი ადგილი უკავია ხელოსნობასაც.

ხომ არ გვიკვირს, რომ არის სპეციალური სასწავლებლები, სადაც სწავლობენ ხატვას, მუსიკას, მსახიობობას, რეჟისორობას. ასევეა საჭირო მწერლის ხელოსნის შესწავლა. ოღონდ ამისთვის არაა აუცილებელი სასწავლებელში სიარული. რამდენი კარგი მწერალია, იმდენი მასწავლებელი შეგვიძლია გვყავდეს. ამისთვის საჭიროა გადავშალოთ მათი წიგნები და ვიკითხოთ ფანქრით ხელში. დავკვირდეთ როგორ წერენ, როგორ ახერხებენ ჩვენი გულების აღელვებას. შემდეგ კი ისევე წავიკითხოთ, რას ფიქრობენ თავის ხელობაზე.

უფროსი კოლეგები რით უნდა დაეხმარონ ახალგაზრდებს?

ლიტერატურული პეიზაჟების ძირითად უბნად ჩაითვალოს ახალგაზრდა ავტორებზე ზრუნვა.

ეს ზრუნვა არ გამოიხატება მხოლოდ ლექსების დაბეჭდვაში.

შემდეგ უნდა ვილაპარაკოთ დაბეჭდილის ავკარგზე.

კარგი იქნება მოკმედებდეს ოსტატ-შეგირდის ინსტიტუტი; როდესაც რომელიმე უფროსი კოლეგა შეეფინს ახალგაზრდა ნიჭიერ კაცს.

აუცილებელია ამ უფროსმა კოლეგებმა გაუზიარონ ახალგაზრდებს თავისი გამოცდილება ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდანაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენშიც უნდა გამოდიოდეს ისეთი წიგნები, როგორიცაა მაგალითად რუსულად გამოცემული „ფრანგი მწერლები ლიტერატურის შესახებ", „პუშკინი — კრიტიკოსი", „ლორკა ხელოვნების შესახებ" და ასე შემდეგ.

საჭიროა ქართველმა ახალგაზრდამ, რომელსაც პოეტობა გადაუწყვეტია და ამის ნიშიც აქვს, თავის ენაზე წაიკითხოს ასეთი წიგნები.

დასაწყისისათვის აუცილებელია ორი კრებული.

ერთი. ქართველი მწერლები ლიტერატურის შესახებ.

მეორე. მსოფლიოს მწერლები ლიტერატურის შესახებ.

ამ პირველ ორ კრებულში თავი უნდა მოიყაროს მასალამ, რომელიც ქართველ ჭაბუკს, მომავალ პოეტს ჯერ კიდევ სკოლის მერხზე შეახვევლის ლიტერატურის ანბანს.

ახლა მინდა გავიმეორო, რომ ეურნალ „ცისკრის" წამოწყება მისასალმებელია. თუ დავამკვიდრებთ ტრადიციას, რომ ლიტერატურაში შემომსვლელებს ეურადღებით შევხვდებით ხოლმე, ეს დიდი საქმეა.

განსაკუთრებით საჭიროა, რომ დისკუსიაში ჩაებნენ პოეტები, რომელთა სიტყვა ჭვირფასია ახალგაზრდებისათვის.

ეს ხომ ამ პოეტების ,,ეპრალური ვალიცაა.

ლექსში „ხელოვანი" შაბერა არაფული ამბობს:

შენ კი კაცი ხარ ჩვეულებრივი
ყველა ქვისმთლელზე უფრო დაღლილი.

ეს სიტყვები მინდა გავუგზავნო ჩვენს ცნობილ პოეტებს და დავამატო, რომ ქვისმთლელზე უფრო მეტად პოეტი ვერ დაიღლება ხხოლოდ საკუთარ ლექსებზე ფიქრით. ძნიმეი არა პოეტობა, არამედ ლიტერატურობა ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, როცა შენი ზრუნვის სფერო მთელი შენი ქვეყანაა. ქართველი მწერალი ვალდებულია იყოს ყველა ქვისმთლელზე უფრო დაღლილი. თავისი პირადი მაგალითით, ეს დაგვიმტკიცეს წინაპრებმა.

მაშ მოდიით და შევაწიოთ თითო სიტყვა ახალგაზრდა ავტორებს და ამით მცირედ მაინც დავიდალოთ თავი.

დაბოლოს. ჩემი წერილების წაკითხვის შემდეგ, შეიძლება ვინმემ იფიქროს, თან ეუბნები „მშვიდობა თქვენსა მოსვლასაო" და თან ამდენი წწერე სიტყვები დაიყარე ეგ სადაური ლოგიკაოო.

ვუპასუხებ. საქმეს სპირდება ასე.

ჯერ ერთი. ახალგაზრდა ავტორი თავიდანვე უნდა შეეჩვიოს შენიშვნების მოსმენას.

მეორე და, რაც მთავარია, ჩვენ სიხარულით კი უნდა შევხვდეთ მომსვლელებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ვეფეროთ და თავზე ხელი ვუსვათ მათ.

ისინი მოდიან არა გასართობად და თავისი ჭიის გასახრებლად, არამედ ღირსეული მიზნით, რომელსაც ჰქვია ქართული ლიტერატურის მოპაჯალი.

და ჩვენც ღირსეულად უნდა დავხვდეთ მათ.

ესე იგი — საქმიანად.

P. S. ნაკლოვანებანი, რომელზედაც ჩემს წერილებში ვილაპარაკე, მხოლოდ ახალგაზრდა პოეტთა კრებულების კუთვნილება არაა, ისინი მთელ ჩვენს პოეზიაში შეიმჩნევა.

ვფიქრობ ამ ნაკლოვანებების გამოსწორების ერთ-ერთი გზაა ცალკეულ ლექსებზე, სტრიქონებზე თუ მხატვრულ სახეებზე კონკრეტული მოსაზრებების გამოთქმა.

კერძოდ, მე როგორც ავტორი ყოველთვის მადლიერი ვარ, როდესაც კრიტიკოსი კონკრეტულად მსჯელობს ჩემს ნაწერზე. ეს მეზმარება უკეთ დავიანახო ნაწერის ავ-კარგი.

როგორც დისკუსიაში მონაწილემ ერთიც უნდა დავამატო: კონკრეტული მსჯელობა იმითაცაა კარგი, რომ ნორმალური ლიტერატურული კამათის საშუალებას იძლევა. კონკრეტულ ლექსზე, თუ სტრიქონზე გამოთქმულ აზრს უფრო ადვილია ვეკამათოთ, ვიდრე ზოგად ანხტრაქტულ ფიზზებს.

დაბოლოს, ლოგიკა მოითხოვს, რომ კონკრეტულ ლექსზე გამოთქმულ აზრს უნდა დაუპირისპირდეს ამავე ლექსზე გამოთქმული სხვა აზრი და ეს თავიდან აგვაცილებს საშინელ საფრთხეს, რომ კამათმა ლიტერატურიდან პიროვნულ ურთიერთობათა სფეროში არ გადაინაცვლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

„ძმ მარტოხელა ვიქავი კაცი“

ბევრი გვახსოვს ამის მაგალითი — ღირსეულ კაცს კუთვნილ პატივს სიკეთილის შემდგომ მოიგებენ; მოგვიანებით ხდება მისი ნიჭისა და პიროვნების აღიარება. შოთა ჩანტლაძესაც, სამწუხაროდ, ეს ხვედრი ერგო.

26-26 წლის ვაჟკაცი იქნებოდა, პირველად რომ დავინახე. შავგვრემანი ლამაზი პირისახე და არაჩვეულებრივი ცოცხალი, მოძრავი თვალები უთუოდ მიიქცევდა შემხვედრის ყურადღებას. სიარულისას ხელებს გან-გან იქნევდა. ეს ეტეტი, მოგვიანებით, ძალზე მახვილგონივრულად აღბეჭდა ერთ-ერთ მინიატურაში, ორსული ქალის მუცელზე რომ მოუხვდა გაქნეული ხელის მტევანი.

გვიანი შემოდგომა იდგა. შოთას (შემდეგ გავიგე, რომ ეს კაცი პოეტი შოთა ჩანტლაძე იყო) კოხტად შეკერილი შავი კოსტუმი ეცვა. შავი თმა ოქან ჭკონდა გადავარცხნილი. იგი მასავით უჭუოდოდ მიმავალ მურავ მაკავარიანს მიმკუებოდა ვვერდით. მურავანს კეფაზე სცემდა დიდი ფაფარი და დიწკად მიალაკებდა. მსხვილად, ჯაკვის ოორივით ნაკსოვი სვეტრი ეცვა და გარეგნულად ძველ რაინდს გავდა. შეუძლებელი იყო, ეინშეს შეუმჩნეველი დარჩენოდა ამ წყვილის გამოჩენა და თვალი არ გაეყოლებინა. რამდენიმე თვეში დავუახლოვდი მათ. კიროვის ბაღში შეველ და იქ გამართული ხკა-ბაასი საამისოდ ძალზე შესაფერი აღმოჩნდა.

შოთა ახალგაზრდობიდანვე. არცთუ ძალიან, მაგრამ მაინც შესაჩნევად იყო ბეკეაში მოხრილი. მახსოვს, ერთხელ ამაზე ჩამოვარდა ლაპარაკი. უთხრეს, ახალგაზრდა კაცი ხარ, ასე წახრილი რად დადიხარო. შოთამ ჩვეულებისამებრ ამაყად, რიხით უპასუხა ამის მოკმელს — ეს ინიტიმ ხდება, რომ ბეკეაზე მოელი ცის ნიმძიმე მაწევსო. მოხრილმა გულითაღნა გადაიხარხარა, ეს კი ნამეტანი მოგვიდა. მაგრამ თქმა ღმერთისაც გაუვარდებოდაო. შოთასაც გაეღინა. ხუმრობა უყვარდა, ხსენებაც გაახურთავებდა და თავადაც ოლად იტანდა მსუბუქ. უბოროტო

გაჭილიკებას. მარკვენა ხელის საჩვენებელ თითზე ერთი ფალანგა აკლდა. რა დაგემართებოდეთ, დავინტერესდი ერთხელ. ბავშვობაში საწერელი მჭონდა და ამან მიქნაო, მიპასუხა. ამ საწერელს წერასთან ხომ არაფერი კავშირი ჭკონდაო, რომ ვკითხე, გაეცინა.

დღეს არავის ეპარება ეჭვი — შოთა, მისი ნიჭისა და უნარის პატრონი, განუზომლად მეტს გააკეთებდა, თავის დროზე საჭირო ხელშეწყობა და მხარდაჭერა რომ ჭკონოდა. დიდი ცოდვა და მკრეხელობა იქნებოდა ამის თქმა, თითქოს იგი სამსახურს, მუშობას გაურბოდა. როგორღაც არ აეწყო მისი საქმე. კარგად მახსოვს ის დრო (1954), როცა თეთრი წყაროს სოფელ პატარა ირაგაში, რომლის მოსახლეობა ძირითადად ბერძნებია, ქართული ენის მასწავლებლად დაიწყო მუშობა. ოქ მარტო ყოფნას და სძინელეებს არ შეუშინებია. დროდადრო თბილისში ჩამოდიოდა, დიდ ჩანთას კონსერვებით, სხვადასხვა საჭირო, გამძლე ხორაგით დატენიდა და ისევ აღბუღალიხაკენ (ასე ეძახდა „თეთრი წყაროს“) გასწევდა. ერთხელ ზამთრის არდადეგებზე იყო ჩამოსული. შავი პალტოს ხაყელო აეწია. შავი, მაღალზე აკეცილი კოკარდიანი ქუდი ეხურა. როცა ვკითხე, რაგორ მოეწყვე-მეთქი, ხელი გაიქნია — მე სოფელს კაცი არა ვარ, მიგრის სოფელში ცხოვრება, მაგრამ ძალიან კარგი ბავშვებია, მათთან მუშაობა მსიამოვნებს და ეს მაძლებინებსო.

ეტყობოდა, შოთაც უყვარდაო იქაურებს. ნამოწყურებები არასოდეს ივიწყებდნენ ან მათთან გულითადი მეგობრობა, მიწერ-მოწერა ჭკონდა. ერთ წელიწადს გასტანა შოთას მასწავლებლობამ. მერე იმ სკოლაში ქართული აღარ ისწავლებოდა და შოთაც თბილისს დაუბრუნდა. უმოქმედოდ არასოდეს ყოფილა; წერდა, თარგმნიდა და დროდადრო თარგმანებს აქვეყნებდა. თავისი ლექსები ადრე, ერთადერთხელ წაუღია რედაქციაში. რედაქტორს, თავად ცნობილ პოეტს, ვერ გამოუჩენია საჭირო გულისხმიერება და

შოთასაც, ამის მერე, არსად უცდია ლექსის დაბეჭდვა. ბოლო წლებში, როცა რამდენჯერმე სიტყვა ჩამოუგდია ახლო ამხანაგებმა ნაწერების გამოკვეყნებაზე, არაფრით არ დათანხმდა.

პატარ-პატარა ნაკვეთებსა და იუმორესკებს ეწერეყნებოდა „ნიანგში". ნოდარ დუმბაძე იყო მაშინ რედაქტორი და ყოველთვის ხელს უმართავდა. „ნიანგის" ახლანდელი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძეც, იმ წლებში უნივერსიტეტის გაზეთს რომ ხელმძღვანელობდა, მუდამ თანაუგრძნობდა, რამდენადაც შეეძლო, ეურჩადღებას არ აკლებდა. რა თქმა უნდა, ყველეზუბოდ ედგა ზმარში ხიერის მეგობარი მუხრან მაჭავარიანი და უბედური შემთხვევა რომ არა, მალე ალბათ ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლებოდა შოთას ცხოვრებაში.

იმ ადრეულ წლებში ბევრჯერ სცადა რაიმე შუსაფერისი სამუშაოს დაწყება, მაგრამ არა და არ მოხერხდა. ერთხელ უნივერსიტეტის ამხანაგთან (დიდი თანამდებობის პირი იყო) მივიდა სათხოვნელად, გეგმე რაიმე გამომძიებენო, მაგრამ, სამწუხაროდ, ამასაც არ მომყოლია სასურველი შედეგი.

მახსოვს როგორი გახარებული და გამოცოცხლებული იყო, როცა რადიოკომიტეტში რომელიღაც ქალი დეკორტელ შვებულებაში გაუშვეს და მის ადგილს დროებით შოთა მიიღებს. დიდი მონდომებითა და პასუხისმგებლობით მიეკიდა საქმეს. ყველაზე მეტად ის უხარიოდა — რა კარგია, საუზმეს ჩემი ხელფასით ვყიდულობ და სხვისი დამატებითაც შემიძლიაო. ამ ყოფაშიც ცოტა ხანს, სულ რამდენიმე თვეს გასტანა. შოთა მონაწილეობდა ფოლკლორულ ექსპედიციებში, მოიარა საქართველოს სხვადასხვა კუთხეები (დარჩენილია ის ხანის დღიურები და ჩანაწერები).

ბოლო დროს სხვამიდ ბევრს მუშაობდა (ბინი თაოსნობით ითარგმნა (მუხრან მაჭავარიანთან და გივი ძნელაძესთან ერთად) ცნობილი ფინური ეპოსი „კალევალა", რომლის თვითეული რუნის გაგაცნებით, დაუზარებლად ხვეწდა და სრულიფუფდა. შოთას გემოვნებასა და ლექსიკის არაჩვეულებრივ სიმდიდრეზე მეტყველებს ბინ მიერ თარგმნილი „ირლანდიური საგები". შოთა ჩანტლაძის სხვა, თვალსაჩინო პროფესიული ოსტატობით შესრულებულ თარგმანებზე სიტყვას ოდარ გავაგრძელებთ, რადგან ერთად თავმოყრილ ამ თარგმანებს ალბათ გაეცნობა ჩვენი მკითხველი.

აქვე გვინდა მოვიტანოთ შოთა ჩანტლაძის ხანმოკლე ცხოვრების ზოგიერთი ძირითადი ფაქტი. იგი 1925 წლის 18 ივნისს დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ზემო აკეთში (ლედის სოფელია). ადრეული ბავშვობა (შვიდ წლამდე) მამის სოფელ ბეოლიეთში (ჩოხატაურის რაიონი) გაატარა და იქაური შთაბეჭდილებები არაერთი ადრინდელ ლექსში იჩენს თავს. 1934 წელს ჩანტლაძეების ოჯახი ჩოხატაურიდან თბილისში გადმოვიდა საცხორებლად. 1940 წელს მეორეკურსელი ეკონომისტი (№45) მთ მისცეს ერთოთახიანი ბინა, სადაც ამჟამადაც ცხოვრობენ შოთას დედა და უფროსი ძმა.

1947 წელს შოთამ დაამთავრა 25-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს შევიდა უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სწავლა 1952 წელს დაამრულა.

შოთა ჩანტლაძე გარდაიცვალა 1968 წლის 29 ნოემბერს, ღამის 11 საათზე, უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე მდებარე საავადმყოფოში, დაგვიანებით გაკეთებული ბრმანაწლავის ოპერაციისთან დაკავშირებული გართულებების გამო. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა შოთა ჩანტლაძის ოჯახის წევრებზე. მამამისი, ანანია, დაბალი, ჩადგმული, ჭმუნი კაცი იყო; შავი, რამდენადმე უნდო, გამბერტები თვალები ჰქონდა. სიტყვაძვირი გახლდათ, ხაუბარს მინდცდამინც არ გაგიბამდა. თუ რამეს ეკითხავდი, მოკლედ გიპასუხებდა. ნარდის თამაში უყვარდა. როგორც ჩანდა, ადამიანში უფრო მოზერხებას, პრაქტიკულ ნიჭს აფასებდა. ამიტომაც მიაჩნდა, რომ „ზეიელი ეზარალა", შოთაზე იმთავითვე ხელი ჰქონდა ჩაქნეული.

შოთასაც არ ჰქონდა მაინდამაინც გულთბილი დამოკიდებულება მამისადმი, მაგრამ უპატივცემლობა არასოდეს გამოუმეჟღავნებია. „ვაჟარი კაცი იყო, — უთქვამს, — ადრე კარგად გვაცხოვრებდა, მაგრამ მერე რაღაცაზე ჩავარდა. ღირსია, რაც მოუვიდაო", ღიმილით დაატანდა.

დედა, ყველასათვის პატივსაცემი ქალბატონი ელისო, მართლაც რომ ანგელოზივით პიროვნება, უსაზღვროდ უყვარდა. სწორედ ასეთი ქალების შემხედვარენი თუ თბზავდნენ ძველ საქართველოში ღვთიშობლის საგალობლებს. უფრო სპეტაკი და კეთილი არსება ალბათ წარმოუფიგენელია. შოთას ლექსებსა და ეხეკიზებში ალაგ-ალაგ შემოგანთებთ ამ უსაზოსოები მანდილოსნის წმინდა ჭაღარა...

შოთას დალუპვის შემდეგ, უნივერსიტეტის გადაღმა, გაზეთის ეიხოერთან, რამდენსაც წელიწადს ვხედავდი მამამისს. შინაური, თბილი პიტამო ეცვა და შავი, ჩატეხილი, მოკლე ბეწვიანი ქუდი ეხურა. ღიღლის პრესის გადათვალიერება უყვარდა და ამ ჩვეულებას ბოლომდე არ ღალატობდა. მინახავს იქვე, მარმარილოს მოაჯირზე ჩამოჭყდარი და გადაშლილ გაზეთს უძრავი თვალებით ჩაჰერებული. ოთხკუთხედი

ემზარ კვიტაიშვილი

„მე მარტოხელა ვიყავი კაცი"

ნიკაპი კიდევ უფრო მოკუმვოდა და ჩახურულ ხახეზე კვლავ კუშტი, უკმაყოფილო გამომეტყველება ეკრა. მალე გარდაცვალა კიდეც.

შოთას ნაწერების მოსაგროვებლად და შეძლებისდაგვარად მოსაწესრიგებლად დიდი შრომა გახარა მისმა ძმამ რომანმა, პროფესიით ინჟინერმა, რომელიც, მანამდე ტკბილულში მუშაობდა და ამჟამად თბილისშია, მოხუც დედას პატრონობს. ის მზრუნველობა, რასაც ეს ჩუმი, ტანმორჩილი კაცი შოთას ხსოვნისა და მისი დანატოვარის მიმართ იჩენს, უნებურად გაგახსენებთ თეო ვან გოგის თავგანწირვას გენიალური ძმისადმი.

●

შოთა ჩანტლაძე არტისტული ბუნების კაცი იყო; შთაბეჭდილების მოხდენა უყვარდა. თავის ლექსებს (განსაკუთრებით ადრე) სიამოვნებით უკითხავდა ყველას, ვისაც ამის სურვილი ჰქონდა.

ლიტერატორთა, პოეტთა სხვადასხვა, ერთმანეთს მიყოლებული თაობები, უნივერსიტეტის ბაღში მოდან უხვად რომ ეხეთა შოთას, ყოველთვის სიამოვნებით იხსენებენ გარდასული წლების და გულწრფელად ემადლიერებიან ამ დაუდგრომელ პიროვნებას, რომელთან სიახლოვეც ძიებისა და შემოქმედებითი წყურვილის ენით ალაგსებდა თვითოეულ მათგანს, სიამლის გრძნობას ფლვიძებდა. ამდენად, შოთა ჩანტლაძე თავისებური ფორმით და საკმაოდ აქტიურადაც მონაწილეობდა ლიტერატურულ ცხოვრებაში და ლექსების დაუბეჭდობის დიდად არ უშლიდა ხელს.

თავის სიყმაწვილისდროინდელ რვეულში შოთას ასეთი რამ ჩაუწერია: „იყავი ორიგინალური ადამიანი, თუნდაც სულელი, ოღონდ ნუ იქნები ჩვეულებრივი ადამიანი“ .

ახორება, აჩემებული ორიგინალურობა ვერაფერი სახარბიელია. შოთა ჩანტლაძეს ყველა მონაცემი ჰქონდა ორიგინალურ შემოქმედად და პიროვნებად დარჩენილიყო და ეს შესძლო კიდეც, საამისოდ ძალდატანება და არაბუნებრივი დაძაბვა არასოდეს დასჭირვებია. ტკეთრად გამოვლენილი ინდივიდუალობა, ხატვის ერთგვარი ექსპრესიონისტული მანერა, მეტად თავისებური კონტრასტული აზოვნება გამორჩეულ იერს აძლევს ყოველივე მნიშვნელოვანსა და ღირებულს, რაც მის კალამს შეუქმნია.

შოთა ჩანტლაძემ ადრევე გამოკვეთა თავისი შემოქმედებითი მიზანი, ოსტატობისაკენ მიმავალი ძირითადი მიმართულება. ჯერ კიდევ უმაწვილობიდრონდელ ნაწერებში გამოჩნდა კლასიკური ფორმებიდან გადახვევის ტენდენცია. ამ ტენდენციას, კერძოდ, რითმიანი ლექსისადმი აგრესიულ დამოკიდებულებას ავი აზკარად ამჟღავნებს.

რითმა თითქოს ბორკილად ჰკიდია, ბილიკებად და ამ კეთილსმოვანი სამკაულისაგან თავის დახსნას ლამობს:

ვხედავ — გრძნობებში ვინთქმები.
რითმა გავტყორცნე შორეთს,
არა, არ მინდა რითმები,
მისთვის მეკალი სწორედ.

ეს უმაწვილური ინფინსტინგებით ნათქვამი ფრაზა არ არის შემთხვევითი. რითმაზე გამოდევნება მოგვიანებით დაწერილ ლექსშიც მომაბეზრებელი საქმიანობად არის ფრმოსახული:

ხშირად გაპყვები საცოდავად რითმების
ჯაბირს,
დასცხრება გული, უძლურობით გადაირევი,
თითქოს ათასი მოპირული დასცხეს ნაჯახი,
ლექსიც დაფროთხავს ნაცემი და ნაგანირევი.

ამ ტენდენციამ შემდგომ აზკარად გამოხატული პრინციპის სახითაც მიიღო და შოთა ჩანტლაძის შემოქმედებაში იყო პერიოდები, როცა იგი თითქმის ხელაღებით გაბუდგა რითმას (შინაგანი მოთხოვნით, მოდას არ აპყოლია), არაერთი ბრწყინვალე თავისუფალი ლექსი და მანიატერა დაწერა. მოვკვრია, შემოქმედმა შეუცდომლად შეურჩიოს სათქმელს ფორმა, ხურად და მოეცი სიძლიერით გამოავლინოს თავი; ურითმოსა მაშინ ხედება თვალსა და ყურს, როცა ლექსი გულგამოცლილი, ფიტულსავით უძრავია, სტროფებში მაცოცხლებელი ძარღვი არ ფეთქავს. გიორგი ლეონიძის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, როცა ლექსი „გულისხთხრით დაწერილია“, არავინ იკთხავს — რითმა რა იქნაო.

საგულისხმოა, რომ რითმისადმი უარყოფითი დამოკიდებულება დღეს და გუშინ არ ჯარნილა. ჯერ კიდევ შეკსპირის თანამედროვეს, გამოჩენილ დრამატურგს და პოეტს ბენ ჯონსონს მოეკოვება მშვენიერი რითმით გაწყობილი და რითმის გასაკილად, ერთგვარი ხუმრობით დაწერილი ლექსი (ფფიკრობთ, ამ ლექსისგან ერთ ადგილას დავალებულია ბორის პასტერნაკი), სადაც „რითმის ტირანიაზეა“ ნათქვამი.

უფრო კატეგორიული ტონით გამოიჩრეკა, ადგილივე შეკსპირისდროინდელი ესპანელი მწერალი ლუის ვეღეს და გევარა (1570-1644), რომელიც თავის რომანში („კოკული ეშმაკი“) ამბავრუეს შამლონური, გაცვეთილი გამოთქმების გამომყენებელით, ამუშად იგდება „რითმის გამო“ დაწერილ ნაწარმოებებს და ოქვე მოაქეს ორი ტაროკენი, რითმის მიიძულებენ ზემოქმედებას რომ გმობს:

რითმა ხშირად გვათქმევინებს
იმას, რისი თქმაც არ გვინდა.

ეს გალეკსილი სენტენცია უნებურად გვახსენებს სიმონ ჩიკოვნის ცნობილ სტროკონებს:

მე სულ სხვა რამე მინდოდა მეთქვა
და სხვას მაძალებს წყეული რითმა.

რითმასთან თავის ჩანტლაძეს საკუთარი დამოკიდებულება ჰქონდა და სანამ თავის ნიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულარის ვერლიბრის ნაირგვარ სახეობათა ათვისებისაკენ მიმართავდა, მაგრამ (ორმოცდაათიან წლებამდე) საფუძვლიანად მოსინჯა ტრადიციული ლექსის ფორმები და საზომები და აჰკიე გამორჩეული ხელწერით აღბეჭდილი სიტყვა თქვა.

ზოთა ჩანტლაძის აღრინდელ ლირიკაში, იქ სადაც იწყება ნამდვილი ფორმის ფლობა, საკმაოდ ჭარბადაა ერთგვარი ნაგვიანები ბოჰემის გამოძახილი. ეს სამყარო და ეს განწყობილებანი, ძირითადად, ვალერიან გაფრინდაშვილის „დასიხებიდან“ იღებს სათავეს და „დასიხების“ ავტორის (აღრეული ეტაპზე) ზოთა ჩანტლაძე ანარქიზმივად, თემატური რკალითაც ენათესავება („პაპიროსის გამფდველი“, „მზესუზნორის გამფდველი“, „ავალაბარი“, „ახალი ლოთები“, „ყარტის თამაში“ და სხვ). ბოლო სამი ლექსი პოეტის აშკარად გამოხატული ინდივიდუალურ თვისებებს, წერის მისეულ მანერას ავლენს და წინამდებარე კრებულშეიცავ შეტანილი.

ძველი რიყის ავანიან ფოლლრიცებში მოხეტიალე ყმაწვილმა კაცმა უცნაურად ჩაკიდულ-ჩაგრეხილი ქუჩების სურნელი შეისუნთქა, თავისი თვალით იხილა ძველი თბილისის უკანასკნელი ნამსხვრევები და ნანახს, განცდილს ხელშესახები სურათების სიმკვრივე მიანიჭა („ავალაბარი“):

აქ კინტის სული და სიფთი ჯერ არ
წაშლილა,
მამის სამოსი გასცევთია კინტის ნაშიერს,
აქ ისევ ძველი ნიმფეები მითხრა აშოეს,
ახალი კაცი სიახლეზე მყის დამაშრეს.

ზოთა ბუნებით ძალზე აზარტული, რისკიანი პიროვნება იყო. ეს აღნიშნეს კიდეც. ნარდსაც საოცრად აღგზნებული თავგადადებულად თამაშობდა. მას უყვარდა მძაფრი განცდების გამოხატვა და ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ზემოთ ნახსენები აღრინდელი ლექსი „ყარტის თამაში“ (სხვათა შორის, ამ ლექსს იგი კითხულობს რომელიღაც სუფრაზე, ნაცნობთა წრეში და ხმის ჩანაწერი დარჩენილია). აქ უყვლაფერი დამსწრის, დამკვირვებლის თვალითაა გადმოცემული და იმდენად ზუსტად ვგრძნობთ ნატურას, თითქოს ჩვენც ჩახუთულ, გაბოლილ ოთახში მოვხვდით, თავზე წვავდექით სანთლის შუქზე გაფითრებულ, თვალებდაცეცებულ, მღელვარებისგან მოლრეცილ სახეებს. პირველივე სტრიქონები მიგვანიშნებენ ამ სიტკვი ბუნგის ადგილსამყოფელს:

ვიწრო ქუჩები და ქუჩაზე ბნელი ოთახი.
დაბალი ჭერი, ხეიბარი ქონდრის სკამები.
პატარა სანლითი ანთებული დაბრილი
ტახტი.

ყარტის ტლაშენი და სანთელის აკანკალება.

აქ ყველა ყველას ატყუებს, ყველას მოგება უნდა. ფონდალიორი მიამიტის სახით ჯდება და მსხვერპლს ნელ-ნელა ატყავებს; მოგების იმედზე მოსულ „ჩამწყობს“ მასზე უფრო დახელოვნებული თვალთმაქცი გაფეკქვნის:

შეხედეთ, კაცი, სალამოს რომ დაჯდა არიფავ,
დასტა ფულებით მას ჩარსტონი ექცა
გალიფვდ,
შეხედეთ, კაცი, სალამოს რომ დაჯდა
თაღლითად,
ვიღაც თაღლითმა უბედურად დასწვა,
გალეტა.

სეირის მაცქერალს არ ბეზრდება ფირდაკარგული, უპეებჩალეულჯეფული წიწკი სიფათების ცქერა, იცის, ეს ორმმტროანი დილამდე გახტანს და უსაპირისოდ დარჩენილი ფიორმმანად ქცეევთ ნატრობს. ამ ნატვრის მიზეზიც იქვეა გამხელილი:

რომ ეს სურათი ამოვხატო ამ ოთახიდან
და ლუდის ფასად მოვთხერხო სადმე
გაყიდვა.

ამ ღიმილიან ირონიაში სიმპოთლეა შეფარული. ზოთას საყვარელი სასმელი ლუდია, მსუბუქი, ოდნავ საგრძნობი გაბრუება რომ მოსდევს; ლოთობა მის ბუნებასთან შეუთავსებელია; ეს არაერთხელ გაუმოუხატავს.

როგორც პიროწეშვილს, მუდამ აწუხებდა რაღაცნაირი უკმპრობის გრძნობა, გარდაუვალსა და ტრაგიკულის მოლოდინში თითქოს ბედნიერების უფლება არა ჰქონდა და ეგონა სხვებიც ეკვით, ირონიულად უყურებდნენ მის არსებობას. ასეთი განცდები თრგუნვავდა სრულიად ახალგაზრდას, როცა სილამაზით, ჩაცმულობითა და სიკოხტავით გამოირჩეოდა. ეს, ეტყობა, თავადაც უცნაურად ეჩვენებოდა და ვერ აეხსნა. ერთ ლექსში გულნატკენმა გადმოსცა თავისი გაორებული მდგომარეობა; განზრახ დაბნეული, გაკვირვებული კაცის ტონი აქვს აღებული, თითქოსდა პასუხს სხვისაგან მოელისო:

ო, მე არც თუ ისე ცუდად ვარ მოსილი,
დავდივარ ქუჩაში, დავდივარ მძიმედ და
შემხედავა ვიღაცა — მთლად ჩამოძონძნილი
და დამცინავად გაეღიმება.

საეჭვოდ, ავი წინაგრძნობა და ნაადრევ სიკვდილზე ფიქრი ზოთა ჩანტლაძეს მთელი სიცოცხლის მანძილზე არ მოშორებია. ერთ ხუეეთსო მცირე ლექსში იგი საყვარელ ჭალს ახსენებს ფიცს, სადაც სამარეში ჩაყოლა იყო აღლქმული და სეკდიანი ირონიით მიმართავს:

დიდი ხანია მე მიმეღის ჩემი სამარე,
წამობრძანდებით?

ასეთივე შინაგანი წყობისა და ღირსებისაა მეორე ლექსი, იმავე არსებისადმი მიმართული, მთრთოლვარე ბაგით წარმოთქმული იგივე გამტყუნებული ფიცის ხელახლა წარმოჩენა, წლით გაუმხელელი წუხილის გამჟღავნება, ტკბი-

---

ემზარ კვიტაიშვილი

„მე მარტოხელა ვიუავი კაცი“

ლი ბურანი მეოცნებე კაცისა, ულმობელი სინამდვილის დანახვა რომ არ უნდა:

მახსოვს იგრძენი ხეივანი, მთვარის დუმილი
და სიყვარული შემომმფიცე ღიმილით მერე,
მე დაგიჯერე, რადგან არის ქვეყნად
ტყეული,
რომელიც გინდა დაიჯერო და დაიჯერებ.

აქ არაფერია ისეთი, ვინმეს მანამდე რომ არ გადაეტანოს ქაღალდზე. ჯერ კიდევ მონატენს აქვს მთითიებული ამ მომენტზე, როცა ადამიანი განზრახ იტყუებს თავს. ზოთა ჩანტლაძეს ეს საყოველთაოდ ცნობილი აზრი უმაღლესი პოეზიის სამსჯელოში მოაქცია, სულ სხვა მაღლი და მომხიბლათა შესახებ.

მიუხედავად თავისუფალი ლექსნისადმი თავიდანვე გამოხატული აუკარა მიდრეკილებისა, ზოთა ჩანტლაძე საკმარისად ფლობდა კლასიკურ საზომებში ჩაქეული ლექსის ფორმებს, სრულიადაც არ იყო მოალებული მუსიკის, რიტმის, ტემპის გრძნობას. ამის დასტურად არაერთი ლექსი შეიძლება ჩაითვალოს და მათ შორის „ბულაწმარო", იგი ალბათ ერთ-ერთი საუკეთესოა იმ ლექსთაგან, „ვეფხისტყაოსნის" თემაზე რომ შექმნილა. ლაღად იკოხება, თავისუფალია ყოველგვარი წიგნური შტამპებისაგან და ძალდაუტანებლად აცოცხლებს ოუსთაველის ოდუშად, განუმეორებელ სამყაროს.

ცხოველმყოფელობა, სისადავე, უშუალობა ახლავს ზოთა ჩანტლაძის იმ ლექსებს, სიყვარულით რომაა შთაგონებული. მსუბუქი ნაღველი ელეგიურ შეფერილობას აძლევს პოეტის მართალ ხმას, მისი გულის სიღრმიდან დაძრული ნეტარ დღეთა მოგონებას. ასეთია მეერე უსათაურო, ძველებური რომანსის სილაღითა და სიწრფელით რომ გამოირჩევა:

გამომელია შენი ღიმილი,
შენი ცრემლებიც გამომელია;
მე ვიცი, ახლა აღარ მომელი,
ჩემი თვალებიც არ მოგელიან;
მე შენი მსგავსი ენახო რომელი,
ან ჩემი მსგავსი სხვა რომელი...

ეს სტროფნები არ აღძრავენ სიახლის გრძნობას. პირიქით, შეიძლება ხაზასმულად ძველმოდურიც მოგვეჩვენოს, მაგრამ სწორედ აქ ვლინდება მათი ღირსება და მომზიდველობა. გასული საუკუნის ერთი რუსი პოეტი სამართლიანად ამბობდა, ანტიკვარულ ნივთებსაც თავისი მუშტარი პყავსო. მართლაც, ზნრად გამოთქმის მარტივი ხერხი და ძველებური ფორმა უფრო მიესადაგება ჩვენს სულსა და განწყობილებას, ვიდრე ნაძალადევი ნოვატორული ძიებანი. ზემოთ მოტანილ პატარა ლექსსაც, ერთი ამოსუნთქვით დაბადებულს რომ ჰგავს, რა თქმა უნდა, მეტი ფასი ედება.

სულ სხვაგვარადაა დაწერილი ასეთივე მეორე მოცულობის მეორე ლექსი, სადაც ტემპი აჩქარებული და მოკვეთილია. თითქოს მართლაც სუნთქვაშეკრული, ნადირის გეშეფერული ავაზა ჩასაფრებიაო მსხვერპლს, ისე ფეთქავს პირველი ორი სტრიქონი, მაგრამ უმალვე შემოდის ნაღვლიანი ტონი, მინორული განწყობილება და ეს ძალზე ბუნებრივად ხდება. ჩვენთვის ნათელია — სასურველი არსების გულში არც ამ ლოცვასავით წარმოთქმულ ცეცხლოვან ბგერებს ეშნება გამოძახილი, წაკითხვით კი გუფდგრილად ვერავინ წაიკითხავს ხსენებულ ლექსს:

შენ — დამფრთხალი ნუკარი, მე —
დამდგარი ავაზა,
შენ — დამფრთხალი ნიავი, — მე
დამდგარი ქარი,
საღამოზე მზე ჩავა, საღამოზე ჩავა მზე,
მოვა ფერი მწარე, მოვა ფერი მწარე.
შენ სიხარულს ეძლევი, როცა მე მეტირება,
და შენ წუხელს ეძლევი, როცა მე მიხარია,
მე ვერ შეგიდგარები, შენ არც გსურს
შედგარება,
შენ ზომ მზეს ედგარები უკვე დიდი ხანია.

კონტრასტის უმეველესი და მარადიული ხერხის მარკვედ გამოყენება და სტრიქონთა ელიპსური წყობა არის ძირითადი წყარო, რითაც ეს ლექსი მძაფრ, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. უკიდურესად შეკუმშული ფორმის გამო აქ ბევრი რამ სიტყვათა მიღმა უნდა ვიგრძნოთ. შეიძლება ერთ ფრაზაში („შენ არც გსურს შედგარება") დავინახოთ ლექსის მთელი სული და გახადება.

ზოგჯერ პოეტი კიდევ უფრო აშიშვლებს, კონტრასტს, ყოველგვარი ხამაკულებისა და მოიარების გარეშე ამბობს სათქმელს, მაგრამ ამ პირდაპირ ნათქვამშიაც საოცარი მორიდება, სიკეთე და მისი გამმეტებელის უსაზღვრო სიყვარული ჩანს, რაც მხოლოდ რაინდული ბუნების კაცს შეუძლია:

მე მინდა სიცოცხლე შენი,
შენ გინდა სიკვდილი ჩემი,
რადგან შენ სიცოცხლე გშვენის,
რადგან მე სიკვდილი მშვენის

მინდა აქვე გავიხსენო ამავე პერიოდის ერთი ექსსტრიქონიანი ლექსი, სადაც სასურველ განწყობილებას ქმნის სასუბრო მეტყველების ილუზია. ჩვენს თვალწინაა ბენნერეტაზზე ხელჩაჭნეული. ცრემლისგან ზაფრადაბნეულები, მაგრამ შინაგანად გაუტეხელი პირო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუნდაც ამ სხეულს ალისფერი სისხლითა
შეცდებავ,
ოღონდ სიყვარულს დამიფასებდე.

ტონალობით და პარაფიკუზადაც ამის მსგავსია მეორე ლექსი, სადაც შემზარავად არის განსხეულებული ავი წინათგრძნობა. ადრესაკი ოგიეე უნდა იყოს, ოღონდ ფერები უფრო გამოქვეყნებულია და ტრაგიზმი — გამძაფრებული. ჩვენ თითქოს ბადეში მოხვედრილის ხმას ვისმენთ და არამკეთეფნიური სევდით გვავსებს გულდაწყლიანებული მეუბარე სიმღერა:

მე ვმღერი, როგორც დამსხვრეული
ლერწამის ღერო
და შენ კი გალობ ხმით ნარნარითა,
მე ვმღერი სევდით, შემოდგომის ფოთლების
ფერის,
ნეტავ მზის სხივი ვინ განმარიდა?
მე ვმღერი, როგორც სამარეში საკვდილი
მღერის
და ბანს მაძლევენ ბნელ სამარიდან.

ადრე შოთა ჩანტლაძის არაერთი ლექსი პოეზიაში ჩამდგარი კაცის ნაკლებად დასაჯერებელი რიტორიკა ყვეგონა, მაგრამ პოეტის მოულოდნელმა, ტრაგიკულმა სიკვდილმა მის ნაწერებში თეატრალური ეფექტის თუ ლიტერატურშინის ცვალი წაშალა და უყველფერი განსხვავებულად აღიღერდა, სხვადაგნი მნიშვნელობა შეიძინა. ძნელია მღელვარება არ დაგებუოს და ისე წაიკითხო თუნდაც ეს სტროფონება:

ახლა საკვდილი ბეღია ჩემი,
ვარ მიწაში და თან მიხარია,
არა, არ მინდა ამოსვლა ზევით,
რადგან სიცოცხლე სიმწუხარეა.
რადგან გარდაცვლილი — სიცოცხლე
გვიმძიმს,
ისე ვით ცოცხლებს — სიკვდილი თვისი.

ბოლო ორ სტროფონში აუხსნელი, მწუხარე სიბრძნეა ჩაბუდებული, ორი, თვალი და გონდაუწვდომელი, სასწაულის — სიცოცხლისა და სიკვდილის მიჯნაზე რომ გადის. იგი უკვე, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, იმ ქვეყნად წასულთა სახელით ლაპარაკობდა, თითქოს გრძნობდა, რომ მალე დაუდგებოდა ეს დრო.

ოდნავ მოგვიანებით მარტოობისა და მიუსაფრობის გრძნობამ უფრო ფართო სადინარი აშოვა და სულის ტკივილს გზა მიეცა, სათქმელი უფრო მოურიდებლად ითქვა:

მე ყველფერი მომწყენდა ეხლა,
მზის მხურვალება, მთვარის სინათლე,
ნიავის ქროლა, ქარვების შეხლა,
ყველა ტყეული, ყველა სიმართლე.

ამავე ლექსში ჩემი საყვედურია გამოთქმული ვიღაცეების მიმართ, უფრო რომ ივარგებს. ერთმანეთს თუ ვითარება მხარი აუბეს და თავისი გაინაღდეს, როგორც იტყვიან, ცხოვრებაში არ დაბნეულან, გაუმართლდაო. მოწყენინა და ხელის ჩაქნევის მიზეზიც ამ ადამიანთა გულგრილობას უკავშირდება:

რადგან ეს სული, ასე ობოლი,
არ იყო მათი სულების მსგავსი...
არსად ძმობილი, არსად დობილი,
მე მარტოხელა ვიყავი კაცი.

შოთა ჩანტლაძეს კერძოდ არავინ გაუკეცხავს, არავინ შეეჩეხენებია, უბრალოდ დაინიჩოლა. იგი ბევრს უყვარდა. მაგრამ თანგგომა დაუგვიანეს, როგორც ხდება ხოლმე. მოხმობილ სტროკონებში დემონის პირისახარ მდგარი ბარათაშვილის წუხილის გამოძახილი ისმის. ბარათაშვილისეული მარტოობის განცდა სხვადასხვა არაერთხელ გამკრთალთა მის ადრეულ ლირიკაში („მე დავალ მარტო და დავეძებ მეგობარს სულის“) პოეტი თავადვე გვამცნობს, რომ ეს ძენნა უშედეგოა და გაცრუებულ იმედს თავის გულისტკივილს ამოატანს:

ეს შემოდგომაც ქარიგით გავა
და არვინ ქვეყნად არ შეტყვის ძმობას.

შოთა ჩანტლაძეს აქვს ერთი ორსტროფიანი ლექსი; ჩახუთულ ოთახში „კიროვგაზეზ“ ხარჩოლავს. ყველფერიდან ჩანს გვიანი შემოდგომაა; მალე თუნუქის სახურავზე ამაგრებენენულ ტყვიისფერ წვიმას ტაატი წამოსული ფანტელები შეცვლის, მაგრამ მათაც არ უწერიათ დიდი ხანგრძლივობა. ოთახში ბრენეგას მორჩილებს. დღე, ყველფერი დროთა ბრენეგას მორჩილებს. ოთახში დარჩენილის გარშემო მხოლოდ წელიწადის დროები იცვლება და მიჯრით დაგრანალებული, ფანჯრიდან დანახული ნაირგვარი სურათები, გამოზომილ მონაკვეთებში კვლავ რომ მეორდება, კიდევ უფრო ცხადად აჩენს ამ ცვალებადობის მორჩენებითობას. ყოველივეს წარმავლობა ჰქ ისე ლამაზადაა ნაგრძნობი და დანახული, ლამის ჩვენც ავგიჭრელდეს თვალი, გადმოგვეფიოს მსუბუქი თავბრუსხვევა;

მალე ზამთარი მოვა და მოთოვს,
მალე გადნება თოვლი და ყინვა,
მალე ატმის ხე მოისხამს ფოთოლს,
გაზაფხულის ზზეს მოაყვება წვიმა.

ფეიერფიერ მოახლოებული ფოთოლცვენის სევდა მოდან ზაბარეთვი იბედებდა პოეტის ახლებში და მას არაერთხელ, ეეშმარიტი შთაგონებით გამოუხატავს განძარცული ბუნებასთან თანაზიარობის გრძნობა, სულის ფსერამდე შეძრული გაზეცცია ეამთა მონაცვლეობის ულრმეები მისტერია:

მე შემოდგომის ბალში ვიყავი,
მე მოვისმინე ფოთოლი ოგავი,
მე შემოდგომის ბალში ვიყავი,
მე შემოდგომა ვიყავ ოგავე.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ამას ამბობს ძალით, ენერგიით სავსე ახალგაზრდა კაცი,

---

ემზარ კვიტაიშვილი
„მე მარტოხელა ვიყავი კაცი“

ვინც ამავე დროს დაწერილ ლექსში ხაზს უსვამს თავის სიახლოვეზრდავეს და მხილოდ უფულობას უჩივის.

უჩვეულო სიმძაფრით აქვს შოთა ჩანტლაძეს გადმოცემული კუჭაში ყიალის მომაბეზრებელი ერთფეროვნება, მოსაწყენი ყოველდღიურობა, არაფრისმომქმელი სახეების სიმრავლე, როცა სიარული ერთი ადგილის ტკეცნან გაეს, გზას არსად არ მიყავხარ:

ხალხი მიზზინიმს ირგვლივ უსალისოდ —
რამდენი ლამაზი, რამდენი მახინჯი.
ირგვლივ არაფერი აღარ გიხარია —
ნაბიჯი. ნაბიჯი. ნაბიჯი.

პოეტის თვალს ყველაზე მეტად ელამუნებოდა ზამთრის გარინდული პეიზაჟი, როცა შენობათა უზეში წამხანაები რბილდება, სანთლებივით ჩრიგგებულან მსუბუქი ფიფქებით შებუმბლული ხეები და ზმაურიც ისე მკახედ აღარ გიახმის კუჭებში. მის ლექსებში ხშირია ხვავრიელი თოვლის მოხატრება და ერთგან ბუნების ამ საოცრებას უსაყვარლესი დედის თმების სიხსპეტაკე აგონებს. ეს ის წამია, როცა ღუმელთან მიმჯდარი დედა შვილის ბედზე ქაღალდს გაწლილს და მიყოლებით „ჩალგდება შავი კარტები". შვილი თითქოს ამშვიდებს შეძრწუნებულ მშობელს:

ო, დედაჩემის თეთრი თმების სათნო
ციმციმი
ჩემში აღვიძებს პირველ თოვლის
მელანქოლიას;
ოთახში თბილი და კუჭებში დაძრწის
სიცივე.

ოთახი მძიმედ დაგმანულა, როგორც სკოლიო. თბილი, ჩაკეტილი ოთახი, სადაც ჰაერი არ იძერის, სკოლიოსთან ერის შედარებული და ამ შედარების მიელ აზრის რომ ჩავწვდეთ, შოთა ჩანტლაძის ერთი მცირე ზომის საუკეთესო მოთხრობა „სკოლიოზ" უნდა ვიკოდეთ. კ ტეტსტთან დაკავშირებული და ძირს ჩამოტანილი განმარტება მუუდრო, ჩაობუნებულ სამარეს აგონებს ავტორს, რომელიც სკოლიოზში მოხვედრას და უშფოთველ ყოფნას ნატრობს, ღრმადღრო კიდევ შესძახებს: „აბ, რა კარგია სკოლიო, მაგრამ ვინ მაღირსებს მე მას". საერთოდ, რეფრენი ხშირია ხოლმე შოთა ჩანტლაძის მოთხრობებში, რაც ლირიულობასთან ერთად, მის პროზას ეოლა ლომთოთიმისეული პროზის იერს ანლევს.

რადგან სიტყვამ მოიტანა, გვინდა ადვნიშნოთ, რომ შოთა ჩანტლაძეს აქვს მეტად საინტერესო (თუმცა ყველაფერი და ყველა ადგილი თანაბარი ოსტატობით არ არის დაწერილი) მოთხრობები. ამ მოთხრობებს, აგრეთვე, საყურადღებო დღიურებსა და პირად წერილებს შეკრება, მოწესრიგება და ცალკე წიგნად გამოცემა ესპირობება, რაც ახალი კუთხით დაგვანახებს მთ ავტორს, ღრმად წარმოგვიჩენს მის ხასიათს.

შოთა ჩანტლაძის ლექსებსა თუ მინიაატურებში მრავალჯერაა აღწერილი ის ერთადერთი ოთახი, სასადილოც რომ იყო მისიანები, სახტუბრიც და საძინებელიც. იგი მტკივნეულად განიცდიდა ამ სივიწროვეს, თუმცა ამაზე წუწუნით არავინ შეუწუნებია. ოჯახის შექმნა არ გამომივა ჩემი მდგომარეობის პატრნს, მაგრამ ერთი შვილი კი მინდოდა დამრჩენოდაო, სინანულით მითხრა ერთხელ. ერთ უსათაურო ლექსში („ახმენ მომეჩრდილო თამბაჯოს კვამლი"), სადაც რამდენიმე ალაგას ბრწყინვალე ასოციაციურ აზროვნებას ამჟღავნებს, გამოხატულია ხალისიანი განწყობიდან, ახალი შშენებლობებში რომ აღძრავს და იმედოვნებს, რომ ძველ შენობას დაანგრევენ და ბოლოსდაბოლოს დაადგებიან საშვილი, წესიერ ბინან ბინადენენ. ეს განცდები ერთგვარი ხუმრობის კილოთი, იუმორისტულად აქვს გადმოცემული:

ვარაზის ხევის ამოვსებას, როგორც იქნა,
ბოლო მოეკო,

თბილისს მოემატა ახალი ქუჩა.
თბილისში შშენებლობას კარგი პირი უჩანს.
იქნება დაანგრიონ ჩვენი სახლიც
და ახალი ბინები დაგვირიგონ,
სიხარულით კედლებს თავს ვახლი,
მასალას მივცემ სატრიკოოს...

ინ სამსართულიანი, მწვანედ შეღებილი და შეთეთრებული ცრუკლასიკური ფრიზებით გაწყობილი (შესაძლოა ბერძნული პანფიონის ქალღმერთთა იმიტაციები) შენობა ახლაც მკვიდრად დგას მელიკიშვილის კუჭაზე და დასადს აშენების თარიღიც (1912 წელი) გარკვევით აჩნია.

შოთა ჩანტლაძეზე ბევრი (ვინც ახლოს არ იცნობდა) ფიქრობდა, რომ იგი ირონიით აღსავსე, სარკასტული პიროვნება იყო, მაგრამ ასეთი აზრის პატრნები ნამდვილად ცდებოდნენ; შოთაზე კეთილ, ერთგულ და პატიოსან კაცს ძნელად თუ ვინმე მოეძებნდა და მე თითქმის არც შეხვედრია. ეს კი, მისი ამპარტავნობა უფრო ნიღაბს გავდა; რომელიმე აღზევებული ბრიყვის მოსაგერიებლად და საკუთარი ღირსების შესანარჩუნებლად ჭირდებოდა.

ისევ ლექსებში შეგვიძლია დავინახოთ შოთა ჩანტლაძის ჭეშმარიტი სახე და ხასიათი. ავტორ-პორტრეტების მთელი სერია შექმნა, საიდანაც მრავალად შეგვეძლო ამოგვეწერა წრფელი, უტყუარი სტრიქონები. აქედან ერთ ფრაგმენტს დავჭერდებოთ:

მე მაბრალებენ, თითქოს არ მაქვს არავის
ხათრი,

ვარ საზიზღარი, ირონიის ხშირი ტარეთით,
პატიეცემოლებს თითქოს არ ვეცემ შესაფერ
პატივს

და თითქოს ვიყო მსახიობი აუტანელი.

პასუხი თვით ამ სტრიქონებსა მოცემული ფა უსაფუძვლო ეჭვებიც უმალ ქარწყლდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასაცილო იერი ეძლევა პოეტის პიროვნებისადმი წამოყენებულ ბრალდებებს. მომდევნო სტროფებში ისიცაა ნათქვამი თუ რა იყო საჭირო (ლუდი და სანდომიანი ქალი) ამ ლექსის დამწერის ცმაყოფილს და გახარებულს რომ ეკლო ბერელ წუთისოფელში.

აქვე გვინდა მოვიტანოთ სამად სამი სტრიქონი, ალბათ თავის ეპიტაფიად რომ ჰქონდა ჩაფიქრებული ავტორს და ახე ისადაგება მის ხანმოკლე ცხოვრებასა და პიროვნებას:

არ გსურდა სიცოცხლე და მაინც იცოცხლე,
არ გსურდა სიკვდილი და მოკვდი მაინც
და შენ აღარა გაქვს ეხლა სურვილები.

ყველა ნამდვილი ტალანტის მსგავსად, შოთა ჩანგლაძესაც მძაფრად ჰქონდა განვითარებული სიახლის გრძნობა და გამოსახვის თავისებურ ხერხებს ზომიერი არტისტიზმით, ოსტატურად იყენებდა. ერთი ფრანგი პოეტი ამბობს (და ეს გამონაოქვამი, უპირველეს ყოვლისა, პოეზიას ეხება), რომ „ორიგინალური აზრის გამოსახატავად ახალი ფორმაა საჭირო“.

შოთა ჩანგლაძის შემოქმედებას, ინერციის დაძლევის ცვლილებაზე, მალე დაეტყო თვისებური გადახალისების, ფერისცვლილების ნიშნები, რაც საოქმელის შესაფერ ფორმაში მოქცევას ისახავდა მიზნად. პოეტის არქივში აღმოჩნდა, შედარებით ადრეული ხანის, ფანჯრით დაწერილი (ლექსს, როგორც წესი, ფანჯრით წერდა), ბოლოშიდე დაუმუშავებელი მოზრდილი, მეტად საინტერესო თვისებებით ლექსი „ზანიფეტები“, რომელშიც გამოკვეთილია ავტორის პოზიცია, პრინციპები, სისადავის, უბრალოებისადმი ლტოლვა, სიახლის დაუცხრომელი ძიების სურვილი, დაგმობილია ვიწრო, კარჩაკეტილი ესთეტიზმი.

ძირითადი მახვილი სწორად დღინაკლული ლიტერატურული სკოლების, უნიადაგო, მოდური მიმართულებების წინააღმდეგ არის გამიზნული. მოგვაქვს ზოგიერთი ფრაგმენტი:

პატივისცემით უნდა მოგახსენოთ —
წინაპრებისგან განსხვავებით ; —
ჩვენ მიგვაჩნია:
ალემიკოსი როდა პოეტი,
იგი სხვასავით ადამიანია,
იგი კალატოზია სახლის მშენებელი,
იგია მშენებელი, ჯრიმელიც კედელში
ფართო კარებს და ფანჯარას ჭკვეს.

დედამიწაზე იმისათვის არსებობს პოეტი,
რათა ხე მოდედან არ ამოიზარდოს აროდეს,

სანამ ისინი აფუძნებდნენ —
შენინდების, პოეზიის,
ღამის პოეზიის
ჩვენ ვიცავდით
განთიადის ლექსებს.
ცისკრის პოეზიას.
პოეზიის სინათლე უნდა უნათებდეს
ყველას დედამიწაზე,
ყველგან დედამიწაზე,
ყველამდე აღწევდეს...

რა თქმა უნდა, აქ საგრძნობია მოკაობებული რიტორიკა, დეკლარაციული ტონი, მაგრამ ამას თვით ლექსის პათოსი, ავტორის მიზანდასახულობა განაპირობებს. მხოლოდ ერთი რამ არის დასანანი — „ზანიფეტების“ ავტორი ბოლომდე და თანმიმდევრულად არ გაჰყვა ამ საგულისხმო ლექსში დასახულ გზას.

შოთა ჩანგლაძის თავისუფალი ლექსები დიდი საუბრის საბაბს იძლევა, მაგრამ ამჯერად ჩვენ მოკლედ ვიტყვით ზოგიერთ სპეციფიკურ ნიშნებზეც. პოეტი ძალზე მარჯვედ იყენებს განმეორების ისეთ ეფექტურ ხერხს, როგორიცაა ანაფორა და ეს ლექსს არაჩვეულებრივ მოქნილობას ანიჭებს, წამითაც არ ვგრძნობთ რიტმის მოდუნებას, ხოლო კლასიკური მწერლობიდან (ვაჟა-ფშაველა) მომდინარე ერთი რემინისცენცია, ბუნების ფრანდიოზული სურათის დახატვაში ცოცხლად მონაწილეობს:

თანდათან იცრიცება უკუნი ღამე,
ღამე საზარელი და ვეებერთელა
თანდათან ამოდის მზე დიდებული,
ამოდის, ნათდება თანდათან.
ამოდის, ნათდება,
ნათდება, ამოდის;
ამოდის, ნათდება თანდათან.

(„დედამიწიდან ავარდა წვიმა“)

ზოგჯერ ლექსის რომელიმე მონაკვეთში მთელი სიმძიმე ერთ ზმნას აწვება, დაპირისპირებული მოვლენები ერთ ფოკუსში ექცევა და თვით ლექსში ერთი მთავარი, ნაღელვანი განწყობილება ისადგურებს. ფონიც შესაფერია — უკაცრიელი ქალაქის თავზე შორეულ მნათობთა მოლურჯო შუქით დალამებული უსახურული სივრცე გადაჰვიმეს. რამდენიმე სტროფის ჩათავებისთანავე ჩვენს თვალწინ პოეტის ნაცნობი სილეტები იხატება:

როდესაც ზეცა გაჩაღებულია მთვარით და
ვარსკვლავებით,
და როდესაც ზეცაზე დადის მთვარე და
ვერ დადიან ვარსკვლავები,
მე ამ დროს დავდივარ ქალაქის ქუჩებში,
დავდივარ დაქანცული და სევდიანი,
მე პირველყოფილი და მთვარეული.

(„როდესაც ქალაქში ღამეა“...)

შოთა ჩანგლაძის ლექსებში ერთ-ერთი საუკეთესოა „ჩემი მაგიდის წიგნი“, მშობლიური

ემზარ კვიტაიშვილი
„მე მარტოხელა ვიქავი კაცი“

ქალაქის სულისა და მისი ყოველი კუთხე-კუნჭულის უმცირეს წვრილმანებამდე ცოდნას რომ გვიმტკიცებენებ. თითქოს ანაკრძალის გაკეთილის ატარებსო, ავტორი ახლა-ახლა ალაგებს და ბატავს სახეს ყველა წიგნიერი გადაშლილი ქალაქისა რომელსაც ბავშვობიდან კითხულობდა და ახლა ზეპირად იცის, თვალდახუჭულს, ოთახში დამქდარს შეუძლია მოგვიყვეს, დაუფიქრებლად ჩამოთვალოს მთელი მისი ავლადიდება. და მაინც, ჩვენს წინაშე ათასნაირი წერტილიდან დანახული ცოცხალი, მოძრავი, მფეთქავი არსებაა და არა დანაკუწებული სახე. დგება ეჟამი, როცა ეს წიგნი არაფრის ახალს არ ამცნობს მის წამკითხველს და ეწყება მობეზრების, მოყირჭების ძმაგ შეგრძნება. შეავლებით თუ ვიფიქრებთ, რომ ღამეულ ქუჩებში მოხეტიალეს ეს ქალაქი ადარ უყვარს. უბრალოდ, იგი დაღალა საკუთარი ცხოვრების ერთფეროვნებამ და გამოსავალს ეძებს. თუ რა ბუნებრივია ავტორის მეტაყველება, შეუცდომლად მოძებნილი ოდნავ ირონიული ტონი, ამას რამდენიმე ადგილის მოტანაც ცხადყოფს:

ქალაქი ჩემთვის წიგნია —
სქელტანიანი,
ეპოპეტური და მოსაწყენი. —
ეს წიგნი დასტამბულია მაღალლერარისხოვან
ასფალტზე.

ეს წიგნი დასტამბულია მაღალხარისხოვან
შლის სტრიქონებს,
მთელ თავებს, ქვეთავებს,
ეპიგრაფებს და წერს ახალს.
იგი წერს ძალიან ძნელად და ნერვების
მომშლელად.
ადამიანები სტრიქონებია ამ წიგნის.

ვინ დაწერა ეს დამტანჯავი წიგნი?
ვინ არის ამ წიგნის იდუმალი ავტორი?
ვინც უნდა იყოს, ეს — სულ ერთია,
მე ვიცი, რომ იგი იტანჯება თავად,
იგი დატანებულია ამ წიგნის ყოველ
სტრიქონში,
მისი გული ტანჯვით ფეთქავს,
ამ გულის ფეთქვა სუნთქვაა ამ
სტრიქონების,
ამ სუნთქვას ჰქვია ამ ქალაქის ცხოვრება.
მე ღმერთმა მომისაჯა ამ წიგნის
ყოველდღე კითხვა.
ეს წიგნი ჩემი მაგიდის წიგნია.

წამკითხველმა შეუძლებელია არ იგრძნოს რა განმაზოგადებელ, სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს ეს გაშლილი მეტაფორა, ლექსის სხეულში მრავალ ფუსფად განტოტილი. ეს ნაწარმოები საგანგებო შესწავლისა და საგულდაგულო გარჩევის ღირსია.

ხშირად მაგონდება შოთა ჩანტლაძის ცალი, უცნაური ლექსი („სადაც მშვიდი"...), სადაც ქეროვი ქალის ოთახს აღწერს და ცალად დარჩენილი ადამიანის აფორიაქებულ სულში გვაზედებს. თითოეულ ნაგანს შეიძლება ხელით შეეხო, იმდენად მკვეთრია ყოველი დეტალის მობაზუოლობა და იმდენად შთამბეჭდავია ავტორის მიერ დანახული სამყარო. გაქვავებული და მოძრავი კაცრები ერთმანეთს ენაცვლება და ლექსს უჩვეულო დინამიურობას იძენს. აქ არაერთი ხაუკეთესო ოვნიებაა რეალიზებული, ფრომლისოდაც ლექსი, და განსაკუთრებით ვერლიბრი ფერ-ხორცისაგან გაცლილ, სიხლისგან დაწრეტილ ჩონჩხს ემსგავსება. აი, ამ ლექსის რამდენიმე ნაწყვეტიც:

კედელზე დიდი სურათი ახალგაზრდა კაცის.
ჩარჩოზე — შავი არშია.
ოვალები ამბობენ: — მე ვკვდები!
არშია ამბობს: ის მოკვდა.
მაგიდაზე დაღლილი ვაზა.
ვაზაში — დამჭკნარი ყვავილები.
მაგიდაზე დამჭკნარი ფურცლები.
როიალი — ჰანგების კუბო.

კარადები დუმან.
ხალიჩა იატაკზე — გაფენილი.
ხალიჩა-ტახტზე.
ხალიჩები სუნთქავენ.
ხალიჩები იძერიან,
კარები ღია რომ დაგიჩნეს, —
ხალიჩები გაიპარებიან ოთახიდან.

შოთა ჩანტლაძეს აქვს ერთი მოზრდილი თავისუფალი ლექსი „ქალი", ქუჩაში დანახული ოშვიათი გარეგნობის არსებას რომ წარმოგვიდგენს. მის ასხლეტილ სხეულს ხარბად აკაროაენ მზერას რეგდასხმული, ადგილზე გაქვავებული მამაკაცები და მზერათა ალმურში უეცრად იბადება გასაოცარი ხილვა:

„გეგზერნებიან თვალები ათასობით; თქვენი სხეულის ყოველ ნაკვთზე სხდებიან თვალები, თვალებზე კიდევ თვალები, უამრავი, რომლებიც იურეტებიან ერთმანეთში და აღწევენ თქვენამდე.

თუ ვინმემ გაბედა აიღოს ფუნჯი და მოიხურვოს თქვენნი დახატვა. მე ვისურვებდი დაგხატოთ ასე:

დახატოს სხეული, რომელიც შედგება. თვალებისაგან.

ქალი თვალები მამაკაცის".

ამ დიდი შთაგონებისთა და მღელვარე ტემპერამენტით დაწერილმა ლექსმა შესაძლოა უნებურად მოგვაგონოს ძალზე ორიგინალური გადმოცემა. ანტიკური დროის სახელგანთ-

ქმულ მხატვარს ზეკვანისს (V-IV ს. ჩვენს წელამდე) რომ უკავშირდება.

მისი ხელოვნების თაყვანისმცემელმა ულამაზესმა ქალებმა გაჰაკანონ არ მისცეს მხატვარს; თხოვდნენ, მშვენიერი ელენე დაეხატა, ხოლო მოდელად დაეინებინა სთავაზობდნენ თავიანთ თავს. მხატვარმა ყურად იღო მათი თხოვნა, დაკვირვებით შეათვალიერა ისინი და თვითეული მათგანის გარეგნობისაგან აიღო თითო რამ, რაც საუკეთესო გაიჩნდათ და სხეულთა ამ თავისებური მოზაიკიდან შექმნა ჭეშმარიტად ღვთაებრივი სილამაზე, მნახველზე გამოოვნებელი შთაბეჭდილებას რომ ახდენდა.

ვვიანდელი ხანის ესთეტიკოსები ამ უნიკალური პორტრეტის დახატვას ზეკვანისს არ უთვლიან დიდ დამსახურებად, ვინაიდან მან მხოლოდ გაიერთიანაო რეალურად არსებულ ულამაზეს ქალთა უმშვენიერესი ნაკვთები.

ჩვენი პოეტის ხსენებულ ლექსში განსაცვიფრებელია ფანტაზიის სილაღე, ყოველ ფრაზაში იგრძნობა შემოქმედის დაუოკებელი ენერგია და ნაყოფიც ავტორის ნიჭის შესაფერისია.

ჭალის ღვთაებრივ სილამაზეს შოთა ჩანტლაძის მრავალი ლექსი ეძღვნება. ზოგ მათგანში, („მე თქვენ გიყურებთ და თვალები ჩემნი დნებიან“...) აშკარაა ბიბლიერი სახეებთან სიახლოვე, ჩანს, როგორ შეუსისხლხორცებია „ქება ქებათას“ მეტაფორული აზროვნების მონუმენტურობა და სითამბამე, მაგრამ თავისთავადობა და საკუთარი ხელწერა, ორიგინალური ხედვა თითქმის ყველგან შენარჩუნებულია.

ლექსის ყოველ მონაკვეთს ამაღლებული, იდუმალი სუდარა დაჰყვება; ალბათ იმის გაუმხელელი შიში, რომ ახეთ არნახულ სილამაზეს იავარქმნა, განადგურება მოელის, ადრე თუ გვიან დროის მსახვრალი ხელი წაშლის, დაშრიტავს:

„თვალები შენნი — ორნი დანნი ტაუსნი და ტოლნი, თალნით შემოსილნი, წვიმიან ამინდნი ბაღტრალს მავალნი“.

ამ ლექსსაც ავაგნებო ყურადღება და დაკვირვება ესაჭიროება, რასაც ალბათ მოშავალში არ დაიზარებენ ქართული პოეზიის დამფასებელნი და მეცოდნენი.

ერთი დეელარაციული ხასიათის ლექსში („იცით თუ არა ვინ ვარ მე“), სადაც შოთა ჩანტლაძე ბაზზასმით პათეტურად და დაუფარავი ირონიითაც ლაპარაკობს საკუთარ თავზე, მკითხველს ურჩევს წაიკითხოს მისავე ეხაში „როგორი ვარ მე გარეგნულად“. იგი პირადად მოიხსენიია შოთასავან; ერთ ადგილას, მახსოვს, სიცილი წამსკდა და თვითონაც გაეცინა (ასეთი ფრაზა იყო: „ეტვებენ სიმპათიურად მოხრილი“). სამწუხაროდ, პოეტის არკვნში არ აღმოჩნდა მისი გარეგნობის ეს მეტად მოხდენილი და ზუსტი აღწერილობა. ხსენებულ ლექსში კი ერთი ასეთი ხაკმაოდ თამამი განცხადებაა:

მე ისე ვიმორჩილებ ქართულ სიტყვას,
როგორც ლექსის კითხვის დროს საკუთარ ხელებს.

ეს არ გაბლავთ უსაფუძვლო, ცრუ ქადილი, რისი ყველაზე მეტყველი ნაბუთიც თავად ეს წიგნია (თვითონვე ამბობს ისეთ: „დანარჩენს მოგახსენებენ ჩემი ლექსები“).

განსაკუთრებული კუთხით და მრავალფეროვნად წარმოგვიდგენს ამ წიგნის ავტორს პროზაული პეროიდებს მიმსგავსებული, ლექსთან შედარებით ნაკლებად რიტმიზებული მინიატურები, ისე რომ უახლოვდება სახაუბრო მეტყველებას. აქ თვითეულ სიტყვას თავისი ალაგი უნდა ჰქონდეს მიჩენილი, ზუსტი. შეუცვლელი უნდა იყოს, ამ კანონს საუცხოოდ გრძნობს შოთა ჩანტლაძე და მისი ფრაზა მუდამ ტევადი, დამაჯერებელი და ბუნებრივია:

მაღე გაიგლის „ნასესხები“
და მოვა ნამდვილი გაზაფხული.
გავიხდი ძველ პალტოს
და ვიცვი ძველი კოსტუმით.
სხეულს მოვამატება სითბო
და ლუფს სიგრილე.
კარგია...

ეს სიამოვნებაც ხანმოკლეა, მოჩვენებითი. გაზაფხულის დადგომისთანავე ისევ ეძალება განურეველობის, ყველაფრის მობერზების უმძიმესი განცდა და სხეულში მომწიფებული ტრაგედია ისევი აუდელვებელი ტონით აქვს გადმოცემული, თითქოსდა სადმე სასეირნოდ წასასვლაზე ან არწასვლაზე იყოს ლაპარაკი.

ეი, ყველავ მოვიდა გაზაფხული
და ჩემში იგი ალარ იწვევს სიახლის გრძნობას.
და მე ვგრძნობ. —
თუ ვინ იბადება ჩემში არყოფნის სურვილი.

ეჩამეცალარამეკ არ შეიძლება ითქვას, თითქოს შოთა ჩანტლაძე უნუგეშობასა და აწყვეულიდან წასვლას ქადაგებდეს. იქაც კი, სადაც ალეგალასტური ხილვები ეძალება („ჰიმნი სიკვდილს“) და განკითხვის დღე წარმოუდგება, ჩუმი გოდება სიცოცხლის საგალობლად გაისმის. ბუნება არსებობს წყვეტს უადამიანოდ:

სამყაროში მიიძინებს ყოველი.
ალარ იქნება ადამიანი,
ალარ იქნება სულიერი
და მზეს და მთვარეს დაეკარგებათ ნათების
ხალისი.

უდიდესი შინაგანი ძალითა და ექსპრესიითაა დაწერილი შოთა ჩანტლაძის ერთი მინიატურა („ზაზაფხულის მზე. სამყაროო ამოქარავს გადალღილი“), სადაც მიწიდან ადენილი ორთქლის ფონზე თავიდანვე გაზაფხულის ხაოცარი სურათია დახატული: „მზე ანათებს ალვივებული და გაჩერებული. მზე თითქოს ბუღეა ჩიტების. თით-

---

ემზარ კვიტაიშვილი
„ამ მარტიროლა ციცაკი კაცი“

ქოს ბუდეს ცეცხლი მოსდებია და დამფრთხალან ჩიტები და ეხლა დახრილებენ დაღვრილ, ზეცაში. უფრთხიან მზეს და ეშვებიან დაბდა. ავსებენ ჭვეკანას სიცოცხლით და სიხარულით. მათ დანახვაზე ხეები იმოსებიან მწვანით".

ზოგი რამე ამ ნაწარმოებში განზრახ არის გამძაფრებული, როგორც იტყვიან, პედალიზებულია და პირდაპირ არ უნდა გავიგოთ, თუმცა ამ უკიდურესობასაც აქვს გასამართლებელი მიზეზი; ჩვენ დროზე ვერ გავიგონეთ საგანგაშო ზარი და ვერ გადავარჩინეთ „ადამიანი, რომელიც მზეზე თბება", ვერ გავიგონეთ მისი სევდანი ამოძახილი: „ხულს ადარა აქვს ტკივილის ღონე". ამიტომაც არაა გასაკვირი მისი გალიზიანებული ტონი, როცა ამ სილამაზისა და ყოველდღიურობისაგან გამოთიშული გულისმსმოქცველ მონოლოგს წარმოსთქვამს!..

„მე ახეთ ამინდში არ შეიძლება არ ვიჯდე ბაღში. ბაღში „გაზაფხული ორმაგია. მე ვზივარ ბაღში და მზეზე ვთბები. ბაღში თვლემს ყოველი, ბაღში თვლემენ პენსიონერები და დახალი ხმით საუბრობენ პოლიტიკაზე. თოონმ ხადაც ვიღაცა აჯანყდა. სადღაც ვიღაცა დამორჩილდა. ვიღაცა რაღაცას თხოულობს. თოონმე თავისუფლებას. მე ვარ ადამიანი, რომელიც მზეზე თბება. ადამიანები ზრუნავენ. ადამიანები ფიქრობენ ადამიანებზე. მე ვარ ადამიანი, რომელიც მზეზე თბება. მე არ ვმსაზღვრობ არსად. მე არა მაქვს პასპორტი. მე არა ვარ მოქალაქე. მე ბინა არა მაქვს. ჩემს ბინაში ცხოვრობენ ჩემი მეზობლები. მე ღამეს ვათევ მზოლოდ. მე არ მსურს ომი. მე არ მსურს მშვიდობა. მე არ მსურს სიცოცხლე. მე არ მსურს სიკვდილი. მე არ მსურს არაფერი. მე ვარ ადამიანი, რომელიც მზეზე თბება. მე დავივიწყე ხალხი. მე დავივიწყე მეგობრები, ამხანაგები და ადარც მათ ვახსოვარ მე. მე ჭუჭაში ვეღარ მამჩნევს თვით მილიციელიც.

მე ვარ ადამიანი, რომელიც მზეზე თბება. მე ვარ ტკვინი ადამიანი".

შემამჩნეუნებელი დოკუმენტია კაცთა მოურჩენელ სენზე, გულგრილობაზე, რაშაც ყველა უნდა შეაწუხოს, სინდისის ქენჯნა აგრძნობინოს.

ასევე დაუფიწყარია მცირე ჩანახატი, ზაფხულის მზით გათანგულ ბაღში, ამოჩემებულ სკამზე მთვლემელი პოეტს რომ წარმოგვიდგენს. ძნელია სახელი გამოეძებნო შემაწუხებელ ვრძნობას, ამ რამდენიმე სტროჭონის წაკითხვა რომ აღძრავს:

„შევედი ბაღში, სკამზე ჩამოვჯექი საყვარელზე ნერვიული წვალებით. ირგვლივ თვლემა. ჩემს გვერდით თვლემს პენსიონერი. მეც გადავდივარ თვლემაში და ვერ ვიგერიე პატარა ბუზებს, რომლებიც ჩემს დასიცხულ სახეზე დაეძებენ დღიურ საზრდოს".

შედარებით მოზრდილი მინიატურებიდან საგანგებო დაკვირვებასა და გარჩევას საჭიროებს: „გოგო იყო პატარა, ობოლი", „მე ოდესღაც ხსოვნა ეფეთ ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის აღმა თუ არ წარმოიდგენი დღევანდელი ფილარმონიის ადგილზე მორკალული ლიანდაგი, საღგურიდან ვაკეში მიმავალი ორვაგონიან ტრამვაის მოხეტიელში ბრუნაილით რომ აატარებდა.

ერთმა მინიატურამ („მზე ამოსულია"). შესაძლოა შამისის ცნობილი ზღაპარი მოგვაგონოს საკუთარი რრნელის დაკარგვაზე, მაგრამ ოსტატურად, მახვილგონივრულად მიგნებული ფინალი თავისთავადობას უნარჩუნებს შოთა ჩანტლაძის პოეტურ ქმნილებას.

შოთა ხშირად წერდა ხოლმე სახელდახელო ლექსებს რაიმე თემაზე. რომელიმე ეპიზოდის დაკვეთით, ერთი ასი ნაუცხაოვეი ლექსი ან კრებულშიც არის შეტანილი და იმდენად დამფიქრებელია მასში ჩადებული აზრი, არცკი ეგგონება, ოროოდე წუთში თუ დაწერა მისმა ავტორმა:

ასანთი, რომელიც უნდა აენთოს,
არა იმიტომ, რომ უნდა ანთება,
არამედ იმტომ, რომ გაამართლოს
თავისი სახელი.
ნეტავ შენც ასე იქცეოდე,
ადამიანო!

შოთა ჩანტლაძის ლექსში ხშირია კონტრასტკა თუ სიტყვის გამეორებაზე აგებული თქმები, არტისტიზმის იერი რომ დაჰკრავს. მაგალითად, ამგვარი:

ვარ მოწყენილი და მოწყენა მე აღარ მიკვირს,
რადგან მოწყენაც მოიწყინდა ეკვე.

რა თქმა უნდა, ასეთი ასხტაჭკუული, მისთვის თუნდაც საკირო და ნიშანდობლივი, აზროვნების ამარა ვერ დარჩებოდა პოეტი და არცთუ იშვიათად განწყობილება, სურათი, ფერი თუ ხმა მის ხელში ნივთიერ სიცხადეს იძენს. ძნელია ერთადერთი ფრაზით ისე ოსტატურად დახატა პასტორალური სიმაუდროვე, როგორც ეს შოთა ჩანტლაძემ შესძლო:

გუგული ხმას აბედავს ჰაერში,
როგორც ლურსმანს.

ჩვენ ვხედავთ სოფლის განაპირას, ხის წვეროზე შემოჭედილ ფანარს ფრინველის და კრიალა ლურჯ ჰაერსაც, გუგულის მკერდიდან ამომსკდარ მოკლე-მოკლე, მკვეთრი ბგერები რომ აპობს...

სიცოცხლის ბოლო ხუთ-ექვს წელიწადს შოთა ჩანტლაძეს თითქმის აღარ დაუწერია ლექსი, თარგმნილი და ამ საქმეხაც სანმიშო კეთილსინდისიერებით ეკიდებოდა, მასალას მუდამ გულმოდგინედ ხვეწდა და აშალაშინებდა, ვიდრე საბოლოო სახეს არ მისცემდა.

მაინც, დროდადრო, კალამატს ვერ პოულობდა ეს დაუდგ�dენელი კაცი, შინაგანი წინააღმდეგობა ღრღნიდა ქუჩაში სახეტიალოდ გამოსულს. ეს არ იყო მისი ცხოვრების წესი; არც არყის ხმა, რომლის დალევაც ხანდახან უწევდა, მაგრამ ნაღეელს ვერ უქარავებდა:

ჩემი ცხოვრება არის მოწყენა,
უშინაარსო მოწყენა არის,
ამაში დილა დამემოწყება,
დამემოწყება ნათელი მთვარის.
[illegible] მოწყენა,
ძლიერ გათრეული არყით ბოლომდე,
გაგრძელებული, გადიდებული
და სიბორიტე.

მიუხედავად ასეთი კოშმარული განცდებისა, წონასწორობას ინარჩუნებდა, დაორობა არასოდეს ყოფილა მისი მიზანი, პირიქით, სძაგდა და თითქმის არასოდეს დაუკარგავს გონების კონტროლი. ამაზე მეტყველებს ეს მწუხარე ვედრებაც:

და როცა სხეულში ძალუმად დაცხება
და შემაწუხებს სიცხე,
ვილაცას შევხვდები მლაძღველად, მაწყევრად
და ჩემთან შეხვედრას იწყვნს,
ღმერთო დაუდე რიცხვი
ამდენ სიმთვრალეს და სირცხვილს.

ზოგჯერ ბოლომდე ვერც მიყავდა რომელიმე ხაინტერესოდ ჩაფიქრებული ლექსი, ნერვები აღარ ყოფნიდა და ასეთ წუთებში წამოიძახებდა მწარე სიმართლეს:

გადავეჭვივე საწერ მაგიდას,
სადილის მაგიდას გადავეჭვივე.

ეს სამდურავი არ გავს ჭანეგაწყვეტილი ადამიანის ჩივილს. მისი დაკლი და გულაცრუება არ არის საბუდამო და შემოჭმედებითი ენერგია, შთაგონება არასოდეს დაშრეტია. მოდუნება წამიერი შეგრძნება იყო, რასაც ნათელუოფს პოეტის ერთი საუკეთესო ლექსი, კიკინდ, ბოლო ორი სტრიქონი:

როგორც შემოდგომის დაღლილა ფოთოლი,
როგორც დაღლილი სკამი ფოთლოვანი,
როგორც დაღლილი ლოდინი: მოთოვე!
როგორც დაღლილი კეთრით კეთროვანი,
ასევე დავღლილვარ...

*

როგორც დაღლილია ოთხმოცი წელი
და შადრევანის წვეთები აუზში,
როგორც დაღლილია აუზთან გველი,
საათის ხმაური სამყაროს ხმაურში, —
ასევე დავღლილვარ...

როგორც ისვება წყარო წყაროს თვალით, —
ვივსები ასევე!...

ამ უაღრესად შეკრულ, ნატიფი კომპოზიციის წმენე ლექსში გამოყენებული ხატები, მინიშნებები თუ სიმბოლოები წრეში დატრიალებული მარადი ბრუნვისა და დროთა თანნიმდევრული ცოცლის განსაზღვრებაა, კვდომასა და აღდგომას რომ განაგებს. აქ ყველფერი თავის ადგილასაა. რაოდენ ზუსტია თუნდაც მიწის ბნელი წოალიდან აღმომსკდარ და ყვეთებად დამარცალულ

წულის სტაჟიასთან გველის ხსენება, რასაც ასოციაციათა მთელი ჯაჭვი მოაქს.

შოთა ჩანტლაძეს ჩაუწერია რამდენიმე სტრიქონი, სადაც მორიგებული ვარაუდია გამოთქმული მისი, როგორც შემოქმედის, მომავალზე და თუ ამას ბედნიერება ჰქვია, ნიფიერი აუხდა პოეტს, მისი ცხოვრების გზა და პიროვნება სიყვარულისა და უუნადოესის საგნად იქცა. ისევ მოვუსმინოთ, რა თქვა ქალალდზე დაბრილმა:

მე ახლა ვწერ ლექსებს
და ცოცხალი ვარ.
ოდესმე მეც მოვკვდები.
და თუ ჩემზე დასწერენ ლექსებს,
ეს იმას ნიშნავს,
რომ მე სხვისთვის მიწერია ლექსები.

იმ ლექსებიდან, გარდაცვალების შემდეგ რომ მიეძღვნა შოთა ჩანტლაძეს, ყველაზე მძაფრად და დიდი გულისტკივილით პოეტის ტრაგიკული სახე ტარიელ ჭანტურიამ წარმოაჩინა. ვინც შოთას იცნობდა, წინამდებარე ლექსი მას უფრო მეტს ეტყვის, მაგრამ ისიც იგრძნობს და დაინახავს, ვისაც ეს ათას კაცში გამორჩეული კაცი სიცოცხლეში არ უნახავს. შოთა ჩანტლაძის ერთ განზოგადებასაში წარმოდგენა შეუძლებელი იყო და ტარიელ ჭანტურიამაც დამაჯერებლად გვიჩვენა მისი მოუხვენარი, წინაალმდეგობრივი ბუნება, ერთსა და იმავე დროს რომ გაღლიზიანებს და უზომო სიკეთისკა ასხივებს:

...და იყო ღამე თბილი და ბნელი, როგორც ინვრის ღამეში ნიეში!
და გვერდით მედგა ის, არყით მთვრალი...
და მე ვფიქრობდი მის ჯვარცმულ ნიჭზე...
ვხედავდი, როგორ ღნებოდა იგი, ქალწულის ხელში გამდნარ თოვლივით,
ანდა ოთახის სუსტი ყვავილი ყრუ და გულმავიწყ ბებრის მოვლილი...
იდგა, მიმზერდა და ირწყოდა მწარე ღიმილით ბაგენაღრძობი...
მეც შევცქეროდი ზურინ, სიბრაზით, სინაზით, ზიზღით, და თანაგრძნობით...

„სინანული“ ჰქვია ტარიელ ჭანტურიას ლექსს და მართლაც მოუნელებელი სინანულია უმთავრესი გრძნობა, დღემდე სულს რომ გიშფოთებს, იმ ყოველად უაზრო სიკეთილის გახსენებაზე. მოტანილი სტრიქონებიდან რამდენის მთქმელი და გამომხატველია თუნდაც ეს ფრაზა: „მწარე ღიმილით ბაგენაღრძობი“.

შოთა სიკვდილზე ხშირად ლაპარაკობდა ხოლმე. ფატალური ზაში ჰქონდა მისი. ერთხელ აიკვეატა რომელიღაც თარიღი (მგონი 33 წელი) და ფერდაკარგული ამბობდა, ამ ასაკს თუ გადავცდი, მერე ას წლამდე ვიცოცხლებო. სხვა დროსაც ჰქონია მსგავსი განცდა, მაგრამ მერე და მერე ალარ ელოდებოდა ხიფათს.

ბევრს გვახსოვდა შოთა ჩანტლაძის ერთი ლექსი, მისივე აჩემებული წინათგრძნობით დამთავრებული:

სწორი მაქვს ალღო და სიკეთილის
მენინმნა,

ამ თაობიდან მე პირველი მივალ ფინიშთან.

მაშინ ეს ჩვეულებრივ ახირებად ჩავთვალეთ და უეცრად, როცა გავიგეთ შოთა ცუდად გახდა, საავადმყოფოში წაიყვანეს, მანამ არავინ ფიქრობდა ტრაგიკულ დასასრულზე. ბრძა ნაწლავის შეტევა მოსვლოდა. საღამოთი სასწრაფო გამოიძახეს. ექიმს (ნასვამი ყოფილიყო) ეთქვა, აპენდიციტია, ამლავე ოპერაცია უნდა გაკეთდესო. იფიქრეს, მთვრალია, შეეშალაო და სხვა სასწრაფო გამოიძახეს. ამბობენ ტკივილის გამაუუნებლები მისცეს, ნათბორი დაადეს, როგორც იტუვიან, „სურათი წაიშალა“. მეორე სასწრაფოს გამოეპარა საშინი მდგომარეობა და ეს ამბავი საბედისწერო გამოგდა. მგონი საავადმყოფოშიც ვერ გამოიჩინეს დროზე უურადღება. მესამე თუ მეოთხე დღეს ყველა დაბრიალდა, ამლილებმა, მეგობრებმა ცნობილი პროფესორები მიიყვანეს, მაგრამ სანუგეშოს ვერავინ ვერაფერს ამბობდა. მახსოვს ნათესავებს კიბეზე როგორ ჩამოყავდათ (ხელს აშველებდნენ) ლამენტიები, ქანცგაწყვეტილი, გაწამებული შოთას დედა, გაგვიღიმა (საწყალს ბოლომდე არ გადაუწურავს იმედი, რომ შვილი გადაურჩებოდა). დღემდე ვერ დამივიწყებია ის შიშჩამდგარი, დაბნეული ღიმილი — შეკითხვას, ვედრებას, ლოცვას ერთდროულად რომ გავდა.

იმდენი შეწუხებული ხალხი მე იშვიათად მინახავს. საავადმყოფოს კიბეებსა და ფანჯრის რაფებზე ჩამოსხდარი გოგო-ბიბეები, ვისთანაც შოთას მეგობრები, თბილი ურთიერთობა ჰქონდა, ღამეებს ათევდნენ, ერთმანეთს ცვლიდნენ, მეთვალყურეობდნენ მომაკვდავს, ეგეთ რამე დაჯერდეს და გამოვადგებეთო. საშვილი არ ჩანდა.

27 ნოემბრის ხალამი იყო. უსიამოვნო, ქარიანი. მავთულების წვიანი ისმოდა სახუროავებზე. გოგი გაჩერილალეკ შემოშიარა, სახლში ვერ გავჩერდით და შოთას სანახავად წავედით საავადმყოფოში. ძრწოლით ავედით მეორე სართულზე. ალალის კარი ღია იყო. დავინახეთ შოთას ნაშინელი, წამებისაგან ირეული სახე, ოფლიანი შუბლი შავად უბზინავდა. გაბზარებულად ხუნთქავდა, ხნელ კედელზე მოტარებული ფარანივით დაურბოდა აწრიალებული ოვალები.

— მოხვედით...?! — ძლივს ამოსთქვა, სახელებით მოგვმართა. ჩვენ ნუგეშისცემა ვეცადეთ, რაღაც ამოველაპარაკეთ.

მიეხედით, სულს ებრძოდა შოთა. თავი ბალიშებით ჰქონდა ამალლებული, რკინის სავარძელში იწვა. ზემოდან, მის აქელვებულ პირთან ეშვებოდა რეზინის ორი ვიწრო მილი და ეანგბადის ნელი შიშინი ისმოდა. ტბურეტზე გაბანდვერებული მაწვნიანი ჭიქა იდგა, ამოთეორებულები...

ორიოდე წუთში გამოვბრუნდით. ზურგი არ გვინდოდა შეგვექცია, უკან-უკან ვიხევდით, თვალს ძლივს ვუსწორებდით; ჩამოწეწილი თმა ალაგ-

ალაგ მიწებებოდა შუბლზე და საფეთქლებზე...

მეტად ადარ მინახავს. მიედოოდა საავადმყოფოთან გულდამძიმებული, ამბავს ვიკითხავდი და გამოვტრიალდებოდი.

29 ნოემბერი მისი ცხოვრების ბოლო დღე აღმომჩნდა, უკანასკნელად და საამდამოდ დაუღამდა. ჭარი, მთელი კარი რომ ბორგავდა, გაოენებისას ჩადგა. უცნაური, თითქოს წმინდა ზეთით განბანილი ცა იყო. მზე არ ჩანდა. სადღაც მახათის მხარეს მიმალულიყო, მაგრამ რაღაც ზღაპრულად, თეთრად მოეკვარაულებინა ვეება ღრუბლის კიდეები, თითქოს სინდიყი გადაადგარო. ერთი ვიფიქრე. ამ საწყალის სულის ამოსვლას ხომ არ უცდიდა ეს ჭარი, ახე რომ გაიტრუნა-მეთქი.

ნიკვდილს აქვს ერთი უცილობელი თვისება — მთელი სიგრძე-სიგანით დაგანახვებს პიროვნებას, გაგრძნობინებს თუ ვინ დაკარგე. ■

ცოტა ვინმე თუ დაუტირებია ჩვენს ახალგაზრდობას (და არა მარტო ახალგაზრდობას) ისე გულწრფელად, მდუღარე ცრემლებით, როგორც შოთა დაიტირა. ყველა მიხვდა, რომ ამ კაცს ქვეყანაზე ამაოდ არ უცხოვრია.

როგორც ჩვენში ხდება ხოლმე, ყველაფერი თავისი რიგითა და წესით წარიმართა. ახლოახლებმა, ნათესავებმა, მეგობრებმა მიეცალეს ბოლო დიდი პატივი სცეს. ჰა-იქ საუკეთესოსაც გაიგონებდით — სიცოცხლეში რომ ამის მეათედი ყურადღება გამოეჩინათ, შოთას ხაშმი სხვანაირად წაეიღოდაო. ეს ჩვენი ხალხის ძველთხეული სენია და ამაზე მსჯელობა არაფერს შეცვლის. ■

სასიფლაოდან რომ ვბრუნდებოდით, რეზო ჭეიშვილმა თქვა, ერთ რამეში კი ჭკონია შოთას ბედი — სამოდამო განსვენების ადგილი ისეთი მუყდრო მოუძებნეს, მის უსმაურო, განმარტოებულ ცხოვრებას რომ შეეფერებოდაო.

მართალია, შოთა ჩანტლაძის ლექსებში საკმაო ადგილი უჭირავს ამჭეეფენიერ წარმავლობისგან გამომდინარე ნაღვლიან განწყობილებებს, სიკვდილის თემას, მაგრამ გაუგებრობა იქნებოდა იმის დაუნახავობა, რომ იგი სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცია. გავიხსენოთ რა სინაზით წერს იგი ბავშვებზე, მათზე, ვინც დედაწიწას ალამაზებს, აზრს და მომხიბლაობას ანიჭებს ჩვენს ცხოვრებას. უმზერს ყვავილების ზღვაში აერიამფეფენილ პატარებს და გაბარებულია, რომ მათ გულში ერ ბუდობს ქვეყნა გრძნობები, ცბიერება და ანგარება. პოეტის სურვილია, არც არასოდეს წარიყვნას ეს ფაიფლწოს მათი ბუნება, ბოლომდე შეინარჩუნონ სიწმინდე. ამ სურვილმა წარმოთქმევინა მხურვალე ვედრება:

■

იცოცხლეთ დიდხანს ბედნიერად და უდარდელად,
წრფელი ხალისი ნურასოდეს დაკეკარგებთ,
თქვენს დანახვაზე ჩემთვის მუდამ გამოდარ-
დება,
თუ ერთ თხოვნასაც ამისრულებთ, ჩემო კარ-
გებო, —
გაიზარდეთ და სამუდამოდ დარჩით ბავშვ-
ბად!..

ამ წიგნის ავტორს დაუმუშავებია ერთი ლეგენდა მოხეტიალე ფაკირზე, რომელმაც უძველეს დროში ჭადრაკის თამაში გამოიგონა. ბაღდადში ჩასული, საჭადრაკო შეჯიბრებაზე წაადალილი ფაკირი აბუ-ყაირი ოცნებაში ზეპირად „ეთამაშება“ პარტიას მდინარის პირას ჭალთან განმარტოებულ ვინმე უბარ ყმაწვილს და საშამათო სვლების ძიებაში ვერ ხედავს — როგორ ეპარება პატივს ბაჩქენში მიმალული ვეფხვი. „მოწინააღმდეგე“ დაინახავს თვალებანთებულ ნადირს და თავსაც უშვეელის, მოკურცხლავს. ვეფხვი ყელს გამოლადრავს თავისი დიდი ენებით გატაცებულ აბუ-ყაირს. „ჭადრაკის მსხვერპლი“ ჰქვია ამ პატარა ნოველას და იგი ბევრი რამით გვგავს ოებს ყოველდღიური ყოფითი ფუსფუსისაგან განზე გამდგარი ხელოვანის ცხოვრებას.

ნამდვილი შემოქმედება უმსხვერპლოდ არ არსებობს და შოთა ჩანტლაძემაც თავის დაუზოგავად, უდრტვინველად შესწირა ყველფაერი პოეზიისა და შთაგონების მიუწვდომელ ქალღმერთს.

მე შედარებით მოკლედ, ძუნწად მივანიშნე მისი, როგორც პოეტის, ძირითად თვისებებურებებზე და იმედია, მთავარ საოქმელს ამის შერე იტყვიან ისინი, ვისთვისაც ძვირფასია ქართული ლექსი, მისი დღევანდელი დღე და მომავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალა არდაშელია

ქმთმვანი

ქვეყნად იდიდა ღვაწლითა,
ზეცად აღვიდა ქებითა.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘ.

...ᲘᲣᲠᲘᲡᲓᲘᲥᲢᲘᲝᲜᲘ სისხლიანი მე-18-ე საუკუნე — მძაფრი ტკივილებია და ჭრილობებით სავსე. და აი ასეთ ტრაგიკულ ვითარებაში „ღვთისმშობლის საუფლისწულოსნი“ კვლავ გახაოცარი ძალისხმევით გამოანათა ქალის ღვთაებრივმა სახემ. მისი საარაკო ცხოვრებისა და მოწამეობრივი სიკეთლის ამბავი ჯერ უკვე მერამდენე საუკუნეა აღელვებს ქართველი კაცის გულს. „ამ პატარა საქრისტიანო სამეფოში, როგორც ღვთისმშობლის საუფლისწულოსნი, პირველობა ყოლიფერში ქალებს ერგოთ: ერთი უბრალო მოგზაური, უძლური კაპადოკიელი ქართველი ქალის, წმინდა ნინოს წინაშე, რომელსაც გარდა მისივე თმებით ჭვარადშეკონილი ვაზის მეტი არა ეჭირა რა ხელში, ემხობიან თავიდან ფეხებამდე აღტურვილი მეფე და დიდებულები!!. ხოლო თამარს — მეფე უწოდა ისტორიამ — მამაკაცის სახელი მიანიჭა და მით გვერდში ამოუყენა მსოფლიო მამაკაც გმირ-მორწმუნეებულებს... არც ერთი მეფის დროს ისე არ განოქმულა საქართველო, როგორც თამარ მეფის დროს, თუმცა ქალი კი იყო. არც ერთ მოწამეთაგანს იმდენი ტანჯვა არ მიუღია რჯულისა და ქვეყნისათვის და მისთანა მაგალითი არ უჩვენებია ხალხისათვის, როგორც ქეთევან დედოფალმა...

ეს სამი ქალი „მოიებია სამია“ ნათლის სვეტად წინ უძღოდა ჩვენს დედებს, ქართველ ქალებს, და მათდა სადიდებლად უნდა გამოვსტეფდეთ, რომ არც იმათ არ უღალატნიათ ისტორიული სიმარცლისთვის და ღირსეული მიმდევრები ყოფილან ამ სამთა წინამორბედთა“, — წერდა აკაკი წერეთელი.

„ქეთევან დედოფლის დახლეჩილმა ძუძუებმა მეტი გმირი აღუზარდა საქართველოს, ვიდრე ახი ათასი დედა გაუზრდიდა მას“, — აღნიშნავს გ. ქიქოძე.

* ნაწყვეტი ისტორიულ-მხატვრული ნარკვევების წიგნიდან — „ქართველი ქალები“.

●

დაიწყო ქეთევან დედოფლის ათწლიანი ტყვეობის მატიანე, ანუ გოლგოთის წლები.

მაგრამ ჭვარზე იყო გაკრული მთელი საქართველო. კიდურებმოგლეჯილი, სისხლისგან დაცლილი, ძლივსღა მფეთქავ სხეულს ყოველი მხრიდან დახეოდნენ მტაცებლები, პიეტრო დელა ვალე თავის რელაციოსნში პაპ ურბანუს VI-ს წერს: „აჭამიდე რომ საქართველოს თავი შეუნახავს, ეხეც საკვირველია, და არა მცირედი მიზეზი ამისა არის ქართველების მამაცობა. რაცხვით საქართველოს ხალხი ძლიერ მცირეა და ამასთანავე დაყოფილიც რამოდენიმე მოთავეების შუა, რომელნიც მის მაგიერ რომ ერთად ებრძოლონ მტერს, ხშირად ერთმანეთს ებრძვიან. გარდა ამისა ქართველებს არა აქვთ არავითარი არტილერია, თოფებსაც ცუდად ჰხმარობენ ან თითქმის სრულებით არ ჰხმარობენ. ამდენ ნაკლულოვანებასთან, ვამბობ მე, მათ მაინც დაიცვეს თავი უცვლელად და თავისუფლად. ეგრეთვე მათ დღემდი დაიცვეს თავისი რჯული, თუმცა ყოველის მხრით გარს შემორტყმულნი იყვნენ ურჯულოებით და მტრებით. ყველაზედ უფრო შესანიშნავი ის არის, რომ ისინი მარტოკა იყვნენ ორ ულძიერესთა, სპარსეთისა და თურქების იმპერიათა შუა და არსაიდგან არავითარ შემწეობას არ ელოდნენ. როგორც სპარსელებს, ისე თურქებს შუადამ მათის გაკრობის და დამბობის განზრახვა ჰქონდათ... ამიტომაც მე მგონია, რომ ისინი არამც თუ ღირსნი არიან ქებისა, არამედ მთელი ეკლესია რამდენადმე დაკალებულია მათგან იმ სათნოებით და იმ მხნეობით, რომელიც მათ მრავალჯერ გამოიჩინეს ომებში და რომლის შემწეობით მათ არა ერთხელ დაამარცხეს ან უკუაქციეს მთელი ჯარები ხან [illegible]ასრულებისა და ხან თურქებისა. უფრო საუკ[illegible]�ებო ის არის, რომ

აღეთის სიმტკიცის შემწეობით იგინი მუდამ იცავდნენ და იფარავდნენ რამდენადაც შეეძლოთ, ქრისტეს სარწმუნოებასა...

ამ ჩვენს საუკუნეში კი, რომლისამე მათის ცოდვის გამო თუ ღვთის სამართლიან განგებით, ქართველები დიდად შევიწროებულნი დარჩნენ, უფრო შინაურ განხეთქილების გამო, ვიდრე სხვა რამე მიზეზით, იმათ ძალას ბევრი მოაკლდათ, თუმცა ეს არა მცირედი ძალა კიდევ დარჩაო"...

ის საზარელი ტრაგედია, რაც ქართულ-ეახეთმა განიცადა, მთელი თავისი სიღრმით აირეკლა ირანის ყოველდღიურ ცხოვრებაში: შაპის და ხანების, დიდებულების თუ უბრალო მეომართა სახლები გაიგსო უფშვენერესი ქართველი ქალებითა და ვაჟებით.

გაიგსო ისპაჰანისა თუ შირაზის ბაზრები გასაყიდად გამოყვანილი ქართველი უმაწვილებით. „ბურიის დარი" ასულები იყიდებოდნენ პირუტყვებივით — ზოგჯერ თითო ეპაზად! შაპი შეპარდა თავის ჯარისაკაცებს, თითო ეპაზად შეგაძენინეთ ულამაზეს გოგონის ასულებსო და აკი შეასრულა კიდევ დანაბარები.

„სპეართველოში ყველაფერი კარგია, მაგრამ ქართველ ქალებზე უმშვენერესი მე არაფერი მინახავს. მე ოქთო რომ ვუცქერდი, უნებლითად განცვიფრებაში მოვდიოდი. ამ ქვეყანას კაცმა შეიძლება უწოდოს მშვენერითა სავანე... ძნელია წარმოიდგინოთ უკეთესი მოყვანილობა სახისა, წერწეტა ტანისა და მისი სასიამოვნო ჩხვეთისა, რომლითაც განთქმული არიან ქართველი ქალები".

„მე ვთვლი ქართველებს ერთ-ერთ ულამაზეს ხალხად მთელს დედამიწაზე", — წერდნენ უცხოელი მოგზაურები თუ მიხილნერები. ხოლო სპარსელი ისტორიკოსი ისპანდერ მუნში ალნშსავს: „ეგეშმარტადვ, ქართველ ბატონშვილთა უმრავლესობა, ის კი არა, ის ქვეყნის მთელი ხალხი, მამაკაცები და ქალები, ჰავის სინაზისა გამო, ნატიფ ღაწვთა და ლოყათა სხუტურფით და სინარნარით, ნაკვთებისა და ხალების შემკულობით, სხვა ადგილებისა და ქვეყნების ხალხებს ხკობნი. ყველანი ჰგრიან მსგავსნი ფაოიოების (მშვენერის) ღაწვთა მჭონნი არიან, მოსეს შუქმფენი ხელის ხსივებნი გამოკრთის მათი სახიდან და ქრისტიანული სახეფაილი ცხადად ჩანს მათი ეხატებილობიდან და სახიამო ქცევიდან"...

„...დღეს, არ მოიპოვება არც ერთი სახლი მთელს სპარსეთში, რომელიც სავსე არ იყოს ამისთანა ქართველებით: კაცითა თუ ქალით. იქ არ არის ამისთანა დიდი კაცი, რომელიც არა ცდილობდეს, რომ ყველა ამისი ცოლები ქართველები იყვნენ. იმიტომ, რომ ქრთველი ქალები არიან მშვენერნი. თვით შაპის სახლნი სავსე ქართველი ქალებითა და ვაჟებით", — შენიშნავს ყოველივე ამის თვითმხილველი იტალიელი მოგზაური.

შაპის სასახლე რომ სავსე იყო ქართველი ქალებითა და ვაჟებით, ეს უცხოელ პიტერო დელლა ვალეზე უკეთ თვით ქეთევან დედოფალმა(!) ყოფა: „კაი მისი ქალიშვილი, მუფი, ლეკრსანის და და მამიდაც, და მრავალი სხვა ქართველი დიდებულის ასული პარამბანის ბინადარი იყო.

შემდეგ, მოგვიანებით ერთი ევროპელი მოგზაური იტკვნის: „ზეცეფრმა განგებამ ამიტომ მიაყენა საკართველოს ეს უბედურება, რომ ალმოსავლეთის ხალხთა სისხლი განწმენდილიყოო". ალმოსავლეთის ხალხთა სისხლის განწმენდაზე რა მოკახსენოთ, მაგრამ ქართველი ქალისათვის არ არსებობდა იმაზე დიდი უბედურება, ვიდრე პარამბანაში ყოფნა. თუნდაც ე. წ. პირველი და საყვარელი ცოლი ყოფილიყო ყიზილბაშისა; არ არსებობდა ალბათ უფრო მძიმე სულიერი ტრაგმა და დამცირება ლაღი, თავისუფლებისმოყვარე ქართველი ქალისათვის, ვიდრე ეს არაადამიანური, ქალური ღირსების შეურაცხმყოფელი პარამბანა იყო, სადაც ქალი პირუტყვის დონეზე იყო დაყვანილი და სადაც ქალს, როგორც ნივთს, იხე გაასაჩუქრებდნენ ხოლმე. (ეს ხვედრი არც აცდა თვით შაპ-აბასის „საყვარელ" ცოლს, ლეკრსანის და თინათინ-ლელა ბაგრატიონს — ლეკრსანის დასჯის შემდეგ იგი შაპმა თავის ხელქვეითს — ფეიქარ ხანს უბოძა!).

უზნეო და ბარყვნილი პარამბანებში მეტოქეობა, შური, ვერაგობა, ცბიერება ძმენვარებდა. სხვადასხვა დედის, თუ ერთი დედ-მამის შვილები სამკვლერო-ხასიათოცხლად იყვნენ ერთმანეთზე გადაკიდებულნი: მოწამლვა, თვალის დათხრა, დასაჯერისება, მოკვლა, ძალზე ჩვეულებრივი და ბუნებრივი ამბავი გახლდათ! ალარაფერი აღარ იყო წმინდა. შეუბღალავი — არანაირი გრძნობა. ასე მოსწონდათ, ასე ეამებოდათ, ასე სურდათ ყიზილბაშებს. მაგრამ შენთვის მოსაწონს ხვეასაც თავს რომ მოაზეკვა ძალით, აიძულებს ხვასაც ასეევ მოსწონდეს, ასევე იწამოს, ასევე იფიქროს — ეს ძალდატანება ადამიანის ნებაზე, მის სურვილზე, მის გრძნობაზე — ალაშფოთებდა ყოველ გონიერ არსებას.

ეს აღშფოთება ედო საფუძვლად ერთი მხრივ ქართველ ქრისტიანან და მეორე მხრივ მაჰმადიან სპარს თუ ოსმალთა ურთიერთობას.

ამას ახლა განსაკუთრებული სიმწვავით და თვალნათლივ ხედავდა ტკვე ხედოფალი, ქალი, რომელიც განსწავლული იყო „სარწმუნოებითთა ბსკულდებულებითთა, სწავლოთ სამღვდელოთა წერილთა და სათნოებათა მომგები".

ქეთევან დედოფალი ყოველდღე ხედავდა თავის თვისტომთა დაცემისა და დაკნინების, გადაგვარებისა და გადარჯულების შემზარავ სურათებს. ქართველთან ყველაფერი დაკარგა:

ციალა არდაშელია
ქეთევანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, ცოლ-შვილი, და-ძმა, ახლობლები, ქონება, სახლ-კარი.

პიეტრო დელა ვალე შენიშნავს, რომ გარდა იმისა, რომ ირანის ჯარში 30 ათასამდე გამამადიანებული ქართველი მსახურობს, და რომ ირანის „ჯარის მთავარი ნერვი ამჟამად შედგება ქართველი მხედრებისაგან", გარდა იმისა, რომ აყრილი ქართული მოსახლეობა, ვინც გადაურჩა შაშმლის და სიკვდილს, მიმოფანტეს ირანის სხვადასხვა პროვინციებში, „გარდა ზემოხსენებული ქართველებისა, რომელნიც დასახლებულნი ან ჯარში აყვანილნი არიან იმ საშინელი გადასახლების დროს, რომელიც მოახდინა შაჰმა საქართველოში, იმათი რიცხვი ისეთი დიდი არის, რომ დღეს არ მოიპოვება არც ერთი სახლი მთელს ხასრსეთში, რომელიც საცხე არ იყოს ამისთანა ქართველებით: კაცითა თუ ქალითა"-ო.

დიახ, ქართველობამ ყველფერი დაკარგა, მაგრამ „ისინი მოთმინებით იტანდნენ თავიანთ სიღარიბეს, თუმცა აღიზარდნენ საქართველოს სიუხვეში და პატივში, ვინაიდან მათ არ ჰქონდათ თავიანთ ქვეყანაში დაბრუნების ნება, დიდ ტანჯვას განიცდიდნენ... იმის შემდეგ, რაც მათ დაკოდეს და დახარჯეს ის, რისი წამოღებაც კი შეძლეს თავიანთი ქვეყნიდან, ისინი ირჩენდნენ თავს და არსებობდნენ თავიანთი მარჯვენით, შრომით და ხშირად, მოწყალებითაც..."

ქართველთა საშინელი ხვედრის გამო გულშერეული იტალიელი მოგზაური ჩაწერს თავის დღიურში: „ყველფერი ეს ჩხლეტს ყოველი კეთილშობილური ადამიანის გულს".

შაჰი განაკუთვრებული სიხასტეკით მართლმადიდებელ ქრისტიანებს ხდეენდა და ავიწროებდა. მაშინ როცა გარკვეულად „მფარველობდა" კიდევ ქრისტიანთა სხვადასხვა ფრთებს — კათოლიკობას, გრიგორიანობას.

ქართველ მხედრებს კარგ გასამჯერელოს აძლევდნენ, მათ მამაცობას დიდად აფასებდნენ, გერმანელი ისტორიკოსი ებერჰარდ მაპელი გამოხატავს იმ ხანად ხაზოგადოდ განმაკაცებულ აზრს ქართველებზე: „ქართველები საუკეთესო მებრძოლები არიან და ეროს შეუძლია გაუშვალადეს 20 თურქს"-ო. სეფიანთა სამსახურში მრავალი ნიჭიერი ქართველი დაწინაურდა. თუნდაც უნდილაძეების ანდა როსტომ და ბეჟან საკაძეების და სხვათა მაგალითი რად ღირდა.

დიდი ასპარეზი უნდა დიდ გონებას და ნიჭიერებასო, ამტკიცებდნენ რენეგატი ქართველები და ასეთ ასპარეზსს ისინი საქართველოს მოხსნილი ტტრის — ხასრსეთის იმპერიაში ხედავდნენ, შაჰ-აბაზის კარზე. ხოლო მიბასთვის, რომ დაწინაურებულიყავი, „ცეცრე" რამ იყო საჭირო: უარის თქმა ქრისტიანობაზე, ანუ ქართველობაზე და გამამადიანება ანუ გათათრება.

„თავადაზნაურობამ, — წერს დელა ვალე, — რომელიც არ არის დაჩეკული მოთმინებას, მხედრობის უმეტესმა ნაწილმა და ბევრმა ხალხთა-

www.nplg.gov.ge

განმაც მიიღეს მაჰმადიანობა, ზოგმა [illegible] მოუვარეობის გამო და ზოგმა სიხარბის გამო, რადგანაც ჩრდილო გამოცვლილთაგის მოელიან რაიმე ნაჩუქარს ხელმწიფისაგან, რომელიც ამ შემთხვევაში ძლიერ ხელგაშლილია და თავის ჩრდილკენ სხვების მოზიდვისათვის ყოველთვის უნდად ბრძანავს. ზოგიერთები კი იძულებული არიან მაჰმადიანობა მიიღონ, რომ შაშმლილთ არ მოკვდნენ... ეს ამბავი ყოველ დღე ბზდები ბაზ შორის და ამისთანა მაჰმადიანებით ხელმწიფის ჯარი გავსებულია. მათი რიცხვი თანდათან მატულობს შაჰ-აბაზის მოხერხებულობისთან". თუმცა იტალიელი მოგზაური შენიშნავს, რომ ბევრია იმათი რიცხვიც, ვინც მოჩვენებითად იღებს მაჰმადიანობას, ჩუმად, ფარულად კი ქრისტიანი რჩებოდ.

მაგრამ ბევრი მართლაც ვერ უძლებდა ცთუნებებს. თავს „ინუგეშებდნენ" იმით, რომ საქართველო აწი ვეღარასოდეს წამოდგებაო ფეხზე. ის, როგორც ერი, არ არსებობსო. აბა რა ხასხენებელია ის მცირერიცხოვანი მოსახლეობა, რომელიც დადარჩა? რას გააწყვიტს იგი ფუზარმაზარი, გარს მომდგარი იმპერიების წინაშე? საქართველო პატარა კუნძულელთაგანა, რომელსაც ოკეანის ტალღები განუწყვეტლივ ეხეთქებიან, ერთ მშვენერ დღეს ეს ტალღები ჩასძირავენ კიდეც ამ პაწაწკინტელა კუნძულს — ირგვლივ ურიცხვი მტერია ოკეანე რომ არტყია. არხადან ჩანს ხაზვილი. ამოიდ უწვდიან ხელს ხაზვილად ჩრდილოეთის დიდ მეფეს თუ დასავლეთ ქრისტიან ქვეყნებსი.

ზოგს სწორად მიაჩნდა შაჰ-აბასის წადილი: ქართველობა უნდა გამამადიანდეს. დაიღალა ქართველობა ხმლის ჭნეგაში. დაიღალა და დაიღალა. და ხალრთდაც, რა სიკეთეა იყო ისეთი ერის შვილი, რომელსაც დასაბამიდან დღემდე ერთი მიზანიდან ამოძრავებს, ერთი საზრუნავიდან განჩენია: ვიქნებიან, არ ვიქნებიან? გავუძლებთ, ვერ გავუძლებთ? მოვიხსომებით, არ მოვიხსომებთ? გადავიტანთ, ვერ გადავიტანთ? ყველა ადამიანი ადამის მოდგმაა. მაგ, რა ბედენაა, ქართველი ვიქნები, სპარსელი, თურქი თუ სხვა ვინმე? განა ალაჰ-ყული ხან უნდოლაძე—შორაზის მმართველი ნაალბია ვინმეზე იმიტომ, რომ იგი მაჰმადიანია? კეკუთ ან სიმამაცით, შეძლებით ან ძალაუფლებით ჩამოუვარდება ვინმეს? მისი სამფლობელო ათჯერ აღემატება მთელ ქართველკახეთს და ზედ მიყოლებულ ამირე საქართველოს. და განა რითი მოიპოვა ეს ოდენ დიდი პატივი და დიდება?

მწარე ღიმილით უსმენდნ დედოფალი ამგვარ მსჯელობებს. შორაზის ხანი მართლაც დიდი მაგალითი იყო ამისა, თუ როგორ შეუძლია გამამადიანებულ ქართველს აღზევდეს შაჰის კარზე. და განა მარტო ალაჰ-ყული ეანი იყო ასეთი? როსტომ და ბეჟან საკაძეები? ბ კიდევ რამდენი ვინმე! ალაჰ-ყული ეანი ნაფტალუნად მეორე კაცი იყო სახელმწიფოში. მაჰმადის —

ალავერდ ხან უნდილაძის — პირველი ყუელარაღახის და გამოჩენილი ხალეფმწიფო მოღვაწის დამსახურება იყო შაჰ-აბასის ტახტზე აყვანა. შაჰ-აბასი მას მამამ ეძახდა და უდიდეს პატივს სცემდა. ამის და მიუხედავად, თანამედროვენი გადაურჩენად შენიშნავენ, რომ მის სიკვდილში თვითონ შაჰის ხელი ერია. შაჰ ბოლო ხანებში უმაყოფილო იყო ალავერდი-ხანის საქციელისა თუ განწყობილების გამო, თუმცა ამ უმაყოფილების მიზეზსაც არ ასახელებენ და არც ფარსის ბეგლარბეგთან მისი ცარე კამათის შინაარსს გადმოგვაცემენ. ასე იყო თუ ისე, ფარსის ბეგლარბეგობა მაინც ალავერდ ხანის ფფროს ვთვს — იმამ-ყული ხანს უბოძა. „ალტაცების ვარდმა" — როგორც ეძახდნენ მას უცხოელი, მოგზაურნი — ალაშენა თავისი პროვინცია, მოინადირა ხალხის გული. ცნობილია ისიც, თუ როგორ უთხრა ერთხელ შაჰ-აბასმა: კარგი იქნება იმაზე ერთი შაურით ნაკლები დახარჯო დღეში, რასაც მე ვხარჯავო. მცირეოდენი განსხვავება მაინც ხომ უნდა იყოსო შაჰისა და ხანის ხარჯებს შორის.

რითი დაიმსახურეს შაჰის ასეთი ნდობა უნდილაძეებმა? ცხადია, უსაზღვრო ერთგულებით თავიანი პატრონისადმი, საარაკო სიმამაცით და ვაჟკაცობით და რაც მთავარია, უზომო თავგადმოდებით შაჰის დამპყრობლური ზრახვებისადმი. ხოლო შაჰ-აბასის გეგმებში, როგორც ცნობილია, შედიოდა დაპყრობა ქართლ-კახეთისაც, მისი ხრული მოსპობა და განადგურება. ხანდანწიფოში მეორე კაცი კი არ შეიძლებოდა ამ იდეის ერთგული არ ყოფილიყო, თუმცა ისტორიკოსები შენიშნავენ, კახეთის ომრებაში უნდილაძეს წილი არ ედო. საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობაში პირადად მას მონაწილეობა არ მიუღია. ფარსის ჯარს, ისპანდერ მუნშის ცნობით, მეთაურობდა იმამ-ყული ხანის ხელქვეითი გურჯი ხოლთანი. ხოლო მეორე ლაშქრობის დროს იმამ-ყული ხანს ავადმყოფობა მოუმზიზებია და თავრიზში დარჩენილ. შაჰს აბჯარად ალავერდ-ხანის ფფროსი ვაჟი ფფრო სჭირდებოდა ხან-ბრეთ ირანში დიდი საქმეების მოსაგვარებლად და შესაალია, ამიტომაც აცდა ბას მამის ხედრი. იქნებ უნდილაძეთა ნამდვილი განწყობილების ანარეკლია ისიც, რომ თეიმურაზ I მას ქებით მოიხსენიებს: „შორაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანონ".

გარეგნულად იმამ-ყული ხანი ფრიად სასიამოვნო კაცი ყოფილა. ღვინის სმაც ეკარებია და სპარსეთის სხვა პროვინციებისგან განსხვავებით, თავის მაფაში. ღვინო მოჰყავდა კიდეც. ბარამხანაც ისევე ჰყავდა სავსე ქართველი ქალებით, როგორც ყველა სხვა ხანს. ქველმოქმედიც იყო და ქრისტიანებსაც „წყალობდა" ფორმე, განსაკუთრებით უბიფთონ იქნებოდა მისთვის კათოლიკეებზე „მზრუნველობა", რამეთუ შაჰიც მათ ხანდახან „მფარველობდა" კიდეც. ქეიფის, ქალების, გართობის მოყვარული ხანი უმამაცესი ვაჟკაცი იყო ბრძოლებში, დაუზოგავად ღვრიდა ქართველი ლუდამთა სისხლის ინანის ეს პერიის განსაადგილებლად. მაგრამ ერთი რამ ვერ განმეტრატა მაინც ეგნიერმა ხანმა — როგორც არ უნდა ემოდვაწნა, ებრძოლა, რანაირადაც არ უნდა გამოდგო თავი შაჰისათვის, მისი ბედის ჩარხი უკუღმა შეტრიალდებოდა ოღესმე. რადგან ის მაინც უცხო თესლი იყო ირანისათვის, მისი წარმომავლობა ანუ უკეი, მისი გურჯობა გულში მუდამ ეკლად შეეხობოდათ ყიზილბაშებს. შერით და ფარფილი ბოლმით ალავსებდა ხოლმე მათ გულს. ხხვის კარზე მოღვაწე კონდოტიერთა ხერხთო ტრადიციულ ხვედრს ისიც ვერ აცდენოდა, ამ კანონზომიერ ხვედრს ვერანაირად ვერ გაეკეცეოდა...

ცნობილია, რომ ქეთევან დედოფალს განსაკუთრებით პატივისცემით ეკავოდა ირანელი დიდმოხელე. პირადი სიმპატიის გამო? ან იქნებ, ეხეე შაჰის ერთგულებით იყო ნაკარნახევი: ამ მოკრძალებისა და პატივისცემის მიღმა ხომ არ იდგა ერთი ფარული მიზანი: აი, მე გახანგრძლივებული ქართველი რაბეცა მწვერვალს მივწვდი. შენ, დედოფალმა, დედამ უნდა დაინახო ეს მობავალი შენი შვილისთვისაც, შენი თეიმურაზისთვისაც. შენ, დედამ შეგიძლია ნაადრნი შენს შვილს... შენ შეგიძლია მაგალითი მისცე შენ შვილიშვილებს, შენს მხლებლებს, ირანში მცხოვრებ ყველა ქართველს...

ბევრი რამ შეუძლია თურმე ტკვე დედოფალს! დედოფალმა კი...

„მოიღო ძღვანი ხორცთა ზედა..." „თავი თვანი შეასაკუთრა ლიცუთათ და ფასალმენებათა ღამთა და დღისათა", „თან აკუნდა ყოველნი საღმრთონი წოვნი, ხატნი და ნაწილნი წმიდათა თანა აკუნდეს"...

და განუცადელად ლიცულობდა და მარხულობდა, რადგან ხჭეროდა „ცოდვათა ჩუენთათვის მოიწივნეს სახიკუდინენი ესრე განსაცდელნი".

შორაზის ხანის მოელი სასახლიდან, მოელი მისი აღნაგობიდან გადმოსჩქეფდა ამქვეყნიური სიცოცხლის ხალისი და წყურვილი, ხორციელი შვება და სიამე, ამა ხოფლის სიტკბო და მიმზიდველობა. დღენიადაგ იღვრებოდა ხაამ ჰანგები მის სასახლეში: მეთარენი, მესაზანდრენი, ატკბობდნენ მის სმენას, სიამისა და ნეტარების ბადეში ხვევდნენ „ალტაცების ვარდს" — იმამ ყული ხან უნდილაძეს. ცეკვავდნენ და ყველანაირ ეგრეხებოდნენ ბარამხანის მზეთუნახავები: მხოლოდ აქ, ამ ქვეყნიდან სამოთხე და ედემი და ეს სამოთხე და ედემი — შორაზის ხანის სასახლეეო.

შესაცქროდა ქეთევან დედოფალი წუნარი ღიმილით „ხვებდნენის" დიდკაცს, ზრდილობიანი

ციალა არდაზელია
ქეთევანი

ყურადღებით უსმენდნენ მის ბაასს და გუნებაში ეკი ერი კითხვა უტრიალებდა: „მერე?“ „რაი მერე?“.

„მეც გამოვცადე ამა ჭვეყნის ძირმწარეცა და სიტკბოც, სიყვარულიც და სიძულვილიც, მტრობაც და ერთგულებაც, ტკივილები და სიმწარე. მაგრამ ყველაფერი ეს წარმავალია, ამაოა. ყოველივე იქცევა მტვრად და ნაცრად. წაიშლება და დავიწყების ფიფლი მიეყრება. წარეცალია ერთი რამ: სული ხიდიადე, მიხი სიწმინდე. სული, ვისიც სტკივა სხვათა სატკივარი, იტანჯება სხვათა ტანჯვით, ხარობს სხვათა სიხარულით. სული, რომელიც მარტო საკუთარი ნაშობის სიყვარულით არ ცოცხლობს, სული, რომელიც აი იქ, იავარქმნილი, გაპარტახებულ და გაფერფნებულ მამოეს დასტრიალებს, სული, რომელიც გოდებს თავიხი ერის წყლულთა და ჭრილობათა გამო: „ისმინეთ ყოველთა ერთა და იხილეთ ხალმობაი ჩემი, ჭალწულნი ჩემნი და ჭაბუკნი ჩემნი წარვიდეს ტყეეობამდი“...

„მონანი გუეუფლნენ ჩუენ, დახსნა არ არს ხელითსაგან მათიხა... სულთა ჩუენთა შორის მივიღოთ პური ჩუენი პირისაგან მაზეიღისა“...

●

ქართლს გამამამდიანებული ბაგრატიონი მართავდა, კახეთს — ყიზღლბაში ფეიქარ ხანი.

ქართლსა და კახეთში თურქმანთა ველური ტომებს ახახლებდნენ.

თეიმურაზი ახლა თურქეთს უხმობდა საშველად, თუმცა კარგად უწყოდა, რომ თურქეთიც და ირანიც ფოცხვერი და ბაბრი იყო ქართველთათვის.

ლუარსაბი კვლავ გულპაის ციხეში იტანჯებოდა. იგი მტკიცედ და შეუპოვრად იცავდა თავის ქართველობას იმ ერთადერთი იარაღით, რაც მარტოობაში შერჩენოდა — ქრისტიანობით. შაჰ-აბასმა ყველაფერი წაართვა მას — მეფობა, ხახლ-კარი, ახლობელები, ჭვეყანა. შეუძლია ყოველ წუთს, ყოველ წამს გამოახალმოს სიცოცხლეს, მაგრამ სულზე ხელი ვერ მიუწვდება, სული ხელთუუპარობელია. ეს იცის სახარებაზე აღზრდილმა ლუარსაბმა, ეს იცის ქეთევანმა. ამას ვერასოდეს გიიგებს ვერც ერთი მტარვალი და მოძალადე.

1618 წელი. ოსმალეთი ვერ ურიგდება ირანის გაძლიერებას.

ბონთერის ჯარი სპარსეთში შეიჭრა, ოსმალთა ჯარის ავანგარდში სამი ათასი ქართველი მხედარი იმყოფება თეიმურაზის მეთაურობით. არდებელს მიადგნენ. სეფეკვიდების დინასტიის სამოვეს. თეიმურაზ შერისხიპის წადილით ანთებული მის მიწასთან გასწორებას იმედოვნებდა, მაგრამ ოსმალებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს და უკან გამობრუნდნენ.

თეიმურაზის გეგმები იფუშენა. იგი ახლა რუსეთს ევედრება დახმარებას, მაგრამ რუსეთს სულაც არ აძლევს ხელს გაიფუჭოს ურთიერთობა ირანთან, რომელთანაც იგი მეგობრულ კავშირში იმყოფება. მაგრამ „რატომღაც“ თავის ხელდებულ ივერიისათვის მაინც „ზრუნავს“ და დიპლომატიური ზზნი ცდილობს შაჰზე ზეგავლენის მოხდენასა და თეიმურაზისა და ლუარსაბის დაბრუნებას თავის სამეფოში. ეს ჩარევა შაჰ-აბასს უფრო აღიზიანებს.

რუსეთის მეფეს ხურს ერთმორწმუნე ლუარსაბის გამოხსნა? ლუარსაბი უნდა მოკვდეს. შაჰის ბრძანებით, ბუღანის ციხეში მოაშორებენ ლუარსაბს. ძმის მკვლელობა აღაშფოთებს შაჰის ცოლს? მაშინ საჭიროა მისი თავიდან მოცილება და... შაჰ-აბასი თავის „უსაყვარლეს“ ცოლს, დიდი სიმონის შვილიშვილს, უმშვენიერეს და უგონიერეს ლელა ბატონიშვილს... ჩუქნის ფეიქარ ხანს; სახიფათოა მრავალთა შორის თუნდაც ერთ-ერთ ცოლად გეხვას გაბოროტებული ქართველი ქალი. ვინ იცის, რას მოიმოქმედებს იგი? შაჰ-აბასმა კარგად უწყის, რომ მას ქართველი ქალის უნდა ეშინოდეს, რამეთუ გიორგი ქალი, თუ გარემოება მოიტანს უშიში ხდება, „ვითარცა უზორცო“.

მაშ, ლელა ბაგრატიონი ნივთივით გასაჩუქრებულია. ლუარსაბი მოშორებილია. რჩება თეიმურაზის ბოკვერები და ქეთევან დედოფალი. მისიონერთა თქმით, შვილიშვილებს „არანიდეს ანახვებენენ დედოფალს, რათა ამ უღვთო ჩაწულის სიყვარული არ გაეკარვებინა მათში“. თავადაც ტუსაღივით იყო დედოფალი. მარტო შიროზის ხანთან თუ შეეძლო მისულიყო. მისი ამალის წევრებს აკრძალული ჰქონდათ სახლიდან გასვლა. მათ ყოველ ნაბიჯს მსტყორები უთვალთვალებდნენენ. პიეტრო დელა ვალე აღნიშნავს, რომ დედოფალი „დიდის სიმტკიცით ადგა ქრისტეს სარწმუნოებას... ძველთას საეკლესიო ნივთებს, წიგნებს და სამოსლებს დიდის თაყვანისცემით ინახავდა: მაგრამ იმ დროს მას გვერდით არ ჰყავდა არც ერთი თავისიანი მღვდელ-მთავარნი წირვა-ლოცვის შემსრულებელი. ერთი კი ჰყავდა წინდე, რომელიც ეფიქრობ, იყო რაღაც საეკლესიო თანამდებობისა, მაგრამ რადგანაც ის იყო ძლიერ კეთილი ქრისტიანი და მამმადიანებს ეგონათ, რომ ის იმგაზეხსო დედოფალს, და რაკი მოშორიდება, დედოფალიც გადაუდგება თავის სარწმუნოებასო, და ამისთვის მას შესწავლეს, არ ვიცი, რაღაც დიდი დანაშაულითა და მოკლეს. ის მოკვდა ცეცხლზედ დაბმულარი შიროზში, თავდადებული სარწმუნოებისათვის და აღსავსე დიდის მოთმინებითა“. (გრიგოლო ორახნოს ცნობანი, ამ ბერს მოსე ეერკვა. სწორედ მის მეშვეობით დაუმყარებია ურთიერთობა ესპანელ ელჩს ფიგეროას დედოფალთან. ირანელებს ეშვი რომ არ ეიღოთ, ფიგეროას ვერ გაბედა დედოფლის პირადი გაცნობა. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა დედოფალი უკვე ცოცხალი აღარ იყო, ფიგეროა ისევ ირანში ჩამოვიდა. მაგრამ ვერც ახლა შესძლო დაწერილებით გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეკითხა დედოფლის წამების ამბავი, რადგან ყაზილბაშები ცდილობდნენ, დიმელათ უცხოელთათვის ამ ტრაგედიის დეტალები... ამ ბერს უჩვენებია ელჩისთვის ორი ქართული წიგნი — შშვენიერად მოკაზმული — ფსალმუნნი და სახარება. ელჩს მოსწონებია ბერი. შემდეგ ფიგერია ადასტურებს დელი ვალეს სიტყვებს დაწერს, რომ ბერი ირანელებმა სასტიკად აწამეს ხო"). „მეორე მღვდელთაგანი, — განაგრძობს პიეტრო დელა ვალე, — რომელიც ქეთევან დედოფალს თან ჰყავდა... იყო ვითარცა მოერავი. განაგებდა მთელ მის სახლს და უფრო კარის-კაცად ჩათვლეთო, ვიდრე სხვა რამეთ... ის არასოდეს სწერიადა". ეს ხუცესი-მოერავი გიორგი შესანიშნავი მეხილე ყოფილა, რომელიც შირაზის ხანის ბაღსაც უვლიდა და საზოგადოდ, უცხოელთა აზრით, ქართველები საუკეთესო მებაღენი და მევენახენი იყვნენ და ირანში დიდად ფასობდა თუმრე მათი ხელობა...

შაჰ-აბასი ხედავდა, რომ ქეთევანი თავისი სიმტკიცით, ქედუნრლობით უფრო და უფრო ხაშში ხდებოდა. აკი უთხრეს კიდეც გამაშმადიანებულმა ქართველებმა, ჩვენი დედები და ცოლები ამიტომ არ გადადიან მაჰმადის ჩრდილზე, რომ ქეთევანს უყურებენ: თუ თეიმურაზის დედა ქრისტიანია, ჩვენ რატომღა უნდა გავთათრდეთო.

თეიმურაზი არ ცხრებოდა. ბან ხონთქართან გარბოდა დაბრაზული ხათხენელად, ბანაც რუსთა ხელმწიფეს მოუშმიდა ხაშველად. „თეიმურაზმა ასეთი სწერაფვა რუსეთისაკენ, მაშინ როდესაც ირანი თვით ცდილობს ასეთივე დაენებებთან კახეთის ხელში ჩაგდებას, რასაკვირველია შაჰ-აბასს არანაკლებ ამძვინვარებდა" — აღნიშნავს აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი. აქეთ კიდეც რუსთა ელჩები ყამიდან ყამზე შეახსენებდნენ ხოლმე ყიზლს, წყალობა მოიღე და გამათავისუფლე ძმეთანაო.

და კიდევ ერთი შემზარავი ტრაგედია დატრიალდა შაჰის სასახლეში — ესოდენ ჩვეულებრივი და ნაცნობი ყაზილბაშთათვის: ეფშვენიერი ყმაწვილები, რომელთა სილამაზე, მოხდენილობა, ნიჭიერება თავად მპრეანის განცვიფრებასა და აღტაცებას რომ იწვევდა — პირუტყვებივით დაკოდეს (ან ვით შეკერთობდა შაჰ-აბასს ეს საზარელი ბეოოდი სხვანი შვილების მიმართ, როცა შეეძლო საკუთარი შვილებისთვისაც ყელი გამოეღადრა).

უმცროსმა ვეღარ გაუძლო ამ არაადამიანურ მოკვლედებას და გული გაუსკდა. უფროსი კი ეკუოდან შეიშალა. (ანტონ კათალიკოსი აღნიშნავს, რომ ამ შეშლილმა ღრმა სიბერემდე იცხოვრა და მას დედაჩემიც მოსწრებიაო).

მე-19 საუკუნის ერთმა დიდმა მწერალმა თქვა: „დედას არა აქვს უფლება მიუტევოს თავის შვილების მტანჯველებსო. არა აქვს უფლება, თუნდაც მაეშვებმაც რომ მიუტევენო მტარვალებს ყველფერიო").

იტალიელმა მოგზაურმა პიეტრო დელა ვალემ უფრანსაზარმეტყველეს სეფიანთა იმპერიას — სიხლალან სპარაკველნენ აზნეებიდან ყოველი იმპერია დაიქცეაო. უფალი დაუსჯელად არ ტოვებს ადამიანის მიერ ჩადენილ ბოროტებას, მით უფრო არ პატიობს ქვეყანას სიხლალან ბოროტებას და რაც მთავარია, თვით ბოროტების მსხვერპლნიც არ ივიწყებენ თავის მტარვალებსო...

დედოფალს უმალვდნენ ამ შემაძრწუნებელ ამბავს. უმალვდნენ ბედნიერების მწვერვალზე მყოფი შირაზის ხანივ და ევროპელი პატრიბიც, რომლებთანაც ქეთევანს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, უმალვდნენ შინაურებიცა და გარეშენიც. მაგრამ დედოფალი კარგად იცნობდა შაჰს. იცოდა, რომ მისი შვილიშვილები განწირულნი იყვნენ. თეიმურაზ I თავის პოემაში „ქეთევანიანში" დედოფლის ამ პერიოდის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას ასე გადმოგვცემს:

„მოთქმისა, ტირილისაგან მოაკლდეს თვალთა ნათელი,
სიბრწყინვალე და სინათლე, აღარა ჰქონდეს ნათელი,
ბაგე და კბილი მოშლოდეს, ძოწ-მარგალეტთა ნათელი".

ქეთევან დედოფალს მიაწერენ მკვლევარები „ფსიტიკიურად" წოდებულ ანბანოქენას ანუ საგოდებელს.

დედოფლის ნუგეშისცემას ცდილობდნენ ევროპელი პატრეანი, ხოლო იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე თავდადებული მეგობრობას სთავაზობს ქეთევანს, რომლის სიმშვენიერე, გონიერება და განწირულება მისი უბედური ქვეყანის სიმშვენიერის, გონიერების და განწირულების სიბნელოდ ქცეულ უცხოელისთვის. იტალიელ მოგზაურს თვალით არ უნახავს ბაკრთველო. მაგრამ მისი ტრაგიკული ზვედრი ტკივილით ჩსვლეტდა მკრძნობიერი, რაინდული ბუნების მქონე იტალიელის გულს, და მთელ მის არსებას აღანთებდა სურვილით, რითიმე ეწამება აღმოსავლეთში მდებარე ამ პატარა ქრისტიანული ქვეყანისათვის, სისხლის წვიმები რომ აწვიმდა დასახამითან დღემდე, რომლის გვემული, განაწამები სხეული მიწეკვ სისხლისა და ცრემლის ზღვაში ცურავდა და ხაშელს ვერსაიდან ხედავდა. არავის ძალუძდა უანგაროდ გამიეწოდებინა მისთვის მაშველი ხელი, უანგაროდ შეხიდებოდა, უანგაროდ გაეწია მეგობრობა, იხე, როგორც ეს მის ღირსეულ შვილებს შეეძლოთ. არავინ ჩანდა ისეთი, ვინც უწამლებდა, დაუეუოჩებდა ტკივილებს. მოუშუშებდა იარებს.

სწორედ ამ უანგარო სიყვარულისა და თა-

ციალა არდაშელია
ქეთევანი

ნაგრძნობის აღძვრას ცდილობდა დელა ვალე, როცა რობის პაპს უგზავნიდა თავის რეალაციონებს. ამ უნაგარო სიყვარულის გამოწვევას ეცდება იგი თავის წიგნშიც, სადაც საოცარი გულისტკივილით, გულმართლად და ჭირისუფლის კილოთი აღწერს ტანჯული ქვეყნის ავბედით თავგადასავალს. პიერო დელა ვალეს კეთილშობილი გული თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ ამ გაუბედურებულ ქვეყანას და ხალხს, თუკი იგი ოდესმე აღდგებოდა, არც მომავალში ეწერა უნაგარო თანადგომა, რომ მას მარტოდმარტო მოუწევდა ხმლის ქნევა, და უმძიმესი ტკივილების გადატანა, რადგან გულწრფელი მეგობრობის ნაცვლად, პირიანი, ფშაკვერუალად, ვერაგულად ეცდებოდნენ მის დათრგუნვას, მოსპობას და გადაშენებას, ტკბილი ღიმილითა და ზმამიანი გულით დაუგებდნენ მახეს; არავინ დაინდობდა — არც დენენი და მის მადლს და სიკეთეს შემოფარებული მეზობელი, რომელიც მადლიერების ნაცვლად მისივე მიწა-წყალს შეეცილებოდა, ხარბი, გაუძღომელი წადილით, მისსავე სულიერი თუ ნივთიერ განძს დაიტაცებოდა მტაცებლის ეინით და გაიფარებით, უსირცხვილოდ და უნამუსოდ მოითვისებდა მის სულიერ საუნჯეს. არავინ დაინდობდა: არც ახლობელი და არც გარეშე. არავინ მოიწყალებენდა უფსკრულის პირზე მისულისათვის ხელი შეეშველებინა: პირიქით, შურითა და ბოღმით გატენილნი ,,შეეცდებოდნენ ხრამში გადაეჩეხათ სამუდამოდ.

დედოფალი გულით გრძნობდა ამ კეთილშობილი კაცის წმინდა განზრახვას და წადილს (რა ცოტანი ჰყავდა მის ქვეყანას ასეთი უანგარო გულშემატკივრები!). — როგორმე მალამად დადებოდა მისი ქვეყნის ჭრილობას. სულის სიმძიმილის ეამს უფალმა მოუვლინა მას ეს სტატკი ადამიანი, მოუვლინა ჭეშმარიტი, ნამდვილი ნუგეშისმცემელი კათოლიკე პატრების სახით. ეხერი არ ჰგავდნენ იმათ, ჩრდილოეთის მეფემ რომ გამოუგზავნა მის შეგირვებულ ქვეყანას: ნუგეშის ნაცვლად მტრობა და სიძულვილი რომ მოიტანეს თან.

ეუროპელ პატრებთან ურთიერთობის დროს ქეთევან დედოფალმა ერთხელ კიდევ იგრძნო სიმწვავე ის სიტყვებისა, რაც ძველმა ჭართველმა მწერალმა მრავალი საუკუნის წინ თქვა: „ეურესა ამა მცირესა დაშთომილ ვარო“-ო. მაგრამ ამ მცირე ეურესაც არ ანებებდნენ, ამ მცირე ეურესაც აცლიდნენ ხელიდან ხალხს, რომელიც პირისპირ მარტო შერჩენოდა ორ უძლიერეს იმპერიას... სიმძიმავლით სჯობნიდნენ მტრები... ხოლო ეროპისათვის და საერთოდ დანარჩენი ქვეყნიერებისათვის ამ მამაცი, ქრისტეს ჯვრისთვის თავგამოდებული ხალხის ტრაგედია მხოლოდ შორიდან ჭვრეტის ობიექტად ქცეულიყო... ამისდა მიუხედავად, საქართველო მაინც იმედს ამყარებდა ხსნების თვალით შესცქერიდა დასავლეთს — ქრისტიანული ცივილიზაციის მტკიცე საყრდენს...

ქეთევანი სალოცავად ზმრიად დადიოდა პორტუგალიელი მისიონერის, მამა ამბროზიო დოს ანეოსის ეკლესიაში, უფლის მიმართ მხურვალე ლოცვას დედოფალი თანაბარი ხიამოვნებით აღავლენდა როგორც კათოლიკურ, ისე მართლმადიდებელ ეკლესიაში, რამეთუ იესო ქრისტე ჭეშმარიტი უფალი და მოწყალე ღმერთი იყო ყველა ქრისტიანისათვის, რომელ ფრთასაც არ უნდა შეჰკედლებოდნენ ისინი. მაცხოვრის წინაშე ყველანი ერთნი იყვნენ. დედოფლისათვის უცხო რჩებოდა ის შეუწყნარებლობა, რაც ზოგჯერ თავს იჩენდა კათოლიკე და მართლმადიდებელ სასულიერო პირთა ურთიერთობაში. შეშფოთებულობა და ლმობიერება ყოველი აღმსარებლობის მიმართ მას ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი, როგორც თავისი მშობელი ერის ღირსეულ შვილს. დედოფალი ხსოვნობი ინახავდა პიერტო დელა ვალესგან მოძღვნილ ღვთისმშობლის ხატს. თავის მხრივ, დედოფალმა პატრებს უსახსოვრა ლათინურად დაწერილი წიგნი და ხატი.

დიდმარხვაზე ქეთევანმა შეუთვალა მამა ამბროზიოს, რომ მიეღო მისგან ლოსარება, ხოლო წმ. ავგუსტინეს დღესასწაულის დღეს დედოფალმა გაუგზავნა თავისი სამლოცველოდან ხატები, შანდლები და ხალიჩები ეკლესიის მოსართავად. მერე თვითონაც მივიდა და მოისმინა მესა. ღვთისმშობლის ხატის წინ დამზადებული, დიდნაწილ ლოცულობდა დედოფალი.

პატრებმა ამბროზიომ და გრეგორიომ მოწწერეთი გამოაცალეს დედოფალი კრებამდე (მაშინ ვერ წარმოიდგენდა დიდებული დედოფალი, რომ სწორედ ამ კათოლიკე ბერების მეშვეობით ევროპას მოედებოდა მისი გმირობისა და თავგანწირვის ამბავი. რომ სხვადასხვა ერის შვილები: გერმანელი თუ ინგლისელი, ფრანგი თუ. ჰოლანდიელი, იტალიელი თუ პორტუგალიელი, აღწერენდნენ მის მოწამეობრივ სიკვდილს და ქებათა ქებას მოეძღვნენდნენ ქალის გაუტეხელ სულს, რომ ინდოეთის ქრისტიანთა წმინდანად იქცეოდა ქართველი ქალი, რომ მე-17 საუკუნის გერმანელი პოეტი და დრამატურგი გრიფიუსი მომავალ თაობებს გადასცემდა მის ამაყ სიტყვებს: „ოდესმე ეტყვით სჯართველოს რაც უნდა მოხდეს, ის არ წახდება, ვისაც ძალუძს ჩემსავით მოკვდეს!“).

დედოფალი სულ უფრო და უფრო განმარტოებული რჩებოდა თავის თავთან. იგი გუმანით ხვდებოდა, რომ მის შვილშვილებს სანშილი ხვდური არგუნა ბედმა. გრძნობდა, რომ შორაზის ხანის დათმაფლული ღიმილსა და სიტყვების მიღმა იმალებოდა სასტიკი სი-

ხამდვილე, რომელსაც გულმოდგინედ უმალავდა ყველა.

მარტოდ დარჩენილი დედოფლის აზრი და გონება დაეინებთ. ჩაცეიები უტრიალებდა ერთსა და იმავეს: სიიდანაა, რატომაა ამდენი სისასტიკე ადამიანში? როგორ შეუძლია ადამიანს, ნაშობს დედაკაცისას — დედას ააგლეჯოს მკერდიდან ჩვილი და ქვაზე დაანთხეთინოს ტკენინ? ცხენის ფლოქვებით გადადაქეროს უმწეო ბალღები, მშობლების თვალწინ ნამუში ახადოს ქალიშვილს, ჩაიგინოს ათასგვარი სისაძაგლე... როგორ შეუძლია ადამიანს, თუნდაც ჯალათს, ცოცხალი თანამოძმე ნაწილ-ნაწილ დაგლეჯოს ცხილებით, მოაკვიოს ცხვარი, ყური, ასო-ასოდ აკნას და შეანესლოს, როგორც ამას ხრდიან „თაჯი-ბიუკის“ და „ჩი-იანის“ რაზმელები... როგორ შეუძლია შვილწოს და შეაგინოს ღვთისმსახურნი — ანთებული სანთლებით ხელში მლოცველნი? საიდან, რა ძალა კვებავს ამ სიძულვილს, მტრობას, ბოროტებას. უზნეობას?

— თქვენ ხომ არ გინდათ ბრძანოთ დედოფალო, რომ ეს სისასტიკე მარტო ირანელთა თვისებაა? ადამის მოდგმას თავიდან მოსდევს ცოდო-ბრალი; კაენმა მოაკლა ღვიძილი ძმა... ქრისტიანებიც არასაკუთა სისასტიკეს ხრადიან ხანდახან, — თითქოს ყურში ჩასმოდა შირაზის ხანის სიტყვები.

— ქრისტიანები? ეშმპარიტი ქრისტიანნი ისევე, როგორც სხვა რჯულის ყველა ნამდვილი: ადამიანი სისასტიკეს ვერ ჩაიდვნს, მაცხოვარი ამბობს, გიყვარდეს მოყვასი. შენი, ვითარცა საკუთარი თავი. და განა მარტო მოყვასი, „გიყვარდეთ მტერნი თქუენნი და აკურთხეცდეთ მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდეთ მოძულეთა თქვენთა და ილოცევდეთ მათთვის, რომელნი გმძღვარობდნენ და გდევნიდნენ თქვენ“. ქრისტიანელი ზნეობა ქადაგებს „სულითა ვიდოდეო. ხოლო ნაყოფი სულისა არს. სიყვარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სიტკბოება, სახიერება, სარწმუნოება, მეუფლოება, მარხვა, მოთმინება...

ხოლო აწ ესერა ჰგიეს: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული სამი ესე: ხოლო უფროს ამათსა სიყუარული არს“.

სიყვარული და სათნოება ქრისტიანელი ზნეობის საძირკველია, როცა ეს საძირკველი მორღვეა, ქრისტიანული ზნეობაც მოიშლება, ხოლმე, ხოლო მარადფამ ხმლის ქნევა, სიხსლისღერა, აწიო

ინარჩობენ თავს, ზოგნი თვალებს ითხრიან. ზოგნი ცხვრის იჭრიან, რათა ურწმუნოებმა აღარ იყიდონ... ეს საზზოლარი ჩვეულება ამბოგთ გავიცელდა ასრე ადვილად, რომ პატიანნები არიან მრავალნი და მეტი უღმერთობი". — წერს მისიონერი პატრი ოოსბეი 1675 წელს.

ბოლო ისე. ფეშჭაშად შაჰებს და ხონთრებს რამდენ დარჩეულ ქალ-ვაეს უგზავნიდნენ. (სხვათა შორის ქეთევანის ასულმაც, და თემურიაზის ქალიშვილმაც გაიზიარეს ბევრი ქართველი ქალის ხვედრი... უღმერთობამ, ქრისტიანული ზნეობის შერეულმა, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო გაუთავებელი, ოთხსაუუნოვანი ხისხლისმდგრელი ომებითა და ალბრებით, მოიტანა ეხოდენი სიბოროტე, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოშიო. აღნაშნავს თითქმის ყველა უცხოელი მოგზაური, მისიონერი თუ ქართველი მემატიანე.

დაუძლურებულ, დასუსტებულ „პატარა საქართველოებად" დაყოფილ ქვეყანაში ყველა პირველობას იჩემებდა, რადგან ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, ყველანი იყვნენ „ამაყნი, ლაღნი, სახელის მაძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა ბრძოლებენ ქვეყანასა და მეფესა ოვისსა". არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანასაო, ხოლო ამით მტერმა „უფრო ძალა წამოაგანა და დაჩაგრა, თორემ თუ ამათ ერთი პირი ჰქონებოდათ, ვერც არას უზამდნენ. ვერც ამას სხვა მტერი წაართმევდა რასმე. ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მეხისხლეობით გათავებული და წამხდარა, მაგრამ ამ საქმეს არც მოყლებიან და არც მოუშლიათ".

„ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მეხისხლეობით გათავებული და წამხდარაო", — ჩივის საქართველოს ეპირით გულდაკოდილი უცნობი მამფლუშვილი. ამ მეხისხლეობის, შურის სამეფისწერო შედეგი თავად გამოსცადა დედოფალმა, გამოსცადა მეუღლის, მამამთილის და რაც ყველაზე მწარე იყო, ერთადერთი საფიცარი ვაჟის მეობისთან.

უცოდველთა, უბრალოთა ტუუილ-უბრალოდ დაღვრილი ხისხლი, ხისხლი თანამოძმეთა ზეცას შეშფოთადებდა. ეს ხისხლი მძიმე ცოდვად აწვა ქვეყნის მეხვეურებს.

ცუდი მაგალითი ქვეყნის მეხვეურთა ბაძვას იწვევდა, იგი ავი სენივით გადამდები იყო, ორიოდე ხაუკუნის შემდეგ „ქართლის ჭირის" გამო შეურვაგული პოეტი იტყვის: „ბაძეთ მორცხვიც ბოურცხვიცა". ხაწუთრიზე უზომოდ შეუვარებელნი, მხოლოდ გულისთქმას აყოლილნი, „მიბაძეებითა მათითა, უსათნო იქმნენ ქრისტესგან და „დამფრწყეტელნი ხაუკუნოსა ცხორებისანი".

„და მოაწია ღვთის რისხვამ ამ ცოდვათა გამო, რაიც ჩვენდინეთ უფლის წინაშე, ქეეყნის წინაშე. ერის წინაშე და კიდეე ვინ იცის, რამდენი ხისხლი უნდა დაიღვაროს მართალთა, ვინ იცის, კიდეე რამდენ დიდ მამეულნაგებ დაუხშობს გზას შური და უზომო „ხასელის მეძიებლობა", როგორც ამიერ, ისე იმერ.

„ეცოდეთ ღვთისა და ერის წინაშე, რამეთუ დავივიწყეთ მოუვანის სიყვარული. დავივიწყეთ სიყეთე და მადლი უფლისა".

..დადგა თვით დედოფლის ჯერი: ეეროპელ მოგზაურთა თუ მისიონერთა ჩვენებით, შაჰ-ახასმა ცოლობა შესთავაზა ქეთევანს, რაზეც დედოფალმა სასტიკი უარი განაცხადაო. შეურაკეხუოფლმა შაჰმა მაჰმადიანობაზე გადასვლა მოსთხოვაო. ქართველი მემატიანეთა თანახმად კი, შაჰ-ახასმა იმამ-ყული ხანს დაავალა ემცნო დედოფლისთვის: „ეთაობრედ ქეთევან დედოფალო თუ გათთარდეს, ნურას აწუეენო და, თუ არ გათთარდეს, აწამე და სახეკენით მოგაკლო".

უნდილაძეს ერთხელ კიდეე უნდა დადგახტუნებინა თავისი ერთგულება „პატრონისადმი", მაგრამ... ქეთევანის მამრთ პირადი სამპატიოსნა თუ ამ ბრძანების უგულნურებისა გამო, ან კიდეე, ვინ იცის, რის გამო, იგი სამი თვე აყოვნებდა დედოფლისათვის შეეტყობინებინა ეს ამბავი. მაგრამ ტარანის ხელქვეითობა, თუნდაც მეორე კაცივე რომ იყო მის საბრძანებელში, ნიშნავს დათრგუნო შეზნი ყოველივე ადამიანური, კეთილშობილური და ტარანის ნება-სურვილის ეუმოოკრიელი მონა გახდე.

დედოფალს ბოლოსდაბოლოს ეეუწყა სთქმელი. მემატიანეთა თქმით, დიდდა ეუცხოვა დედოფალმა შაჰის შემონათვალი: „სისხლისმსმელმან მან პირველად ასწეეტა სამეფოი ჩემი და ეკლესია ეო ძე ჩემი და მოსწეეტა ერმანი მინანი, სულიერად და ხორციელად ივარჩეო ალენკენი და მონაგებნი მეფეთანი და დაკარგნა ყოველნი", და ყოველივე ამის შემდეგ „მაინც ჩემი გადმობრეება და გათთრება უნდაო?" „მე მზა ვარ ქრისტესთვის სიკუდილად", — ალაპარაკა ხელეები დედოფალმა ზეცისაკენ.

იმამ-ყული ხანი ეეედრა, მოსაჩენებლად მიიღე მუსულმანობაო, უნდილაძე შაჰზე უკეთ იცნობდა დედოფლის ბუნებას, მის უტეხ ნებას და მაინც ეეედრებოდა, რადგან ფიქრობდა: მარტოდ დაშთომილი ქალი, სამშობლოდან შორს მყოფი, ყველასგან მიტოვებული, გულდაწყლეულებული და გამწარებული, იქნებ ჩაებღაუჭოსო ერთადერთს, რაც შერჩენია — სიცოცხლეს?

არაქელ თავრიზელის გადმოცემით, დედოფალმა პირდაპირ მოახსენა შაჰის მოციქულს: „მეეის ასული, მეეის მეეღლე და მეეის დედა ვარ. ჩემი მეეღლის შემდეგ მე თვითონაც მიმეფენია, მაგრამ წარმავალია და ამაოა ამქვეეენიერი დიდება: თუნდაც შენი ხელმწიფე ყველა სულდგმულის უფალი იყოს და მთელი თავისი სახელმწიფო მე მომცეს, არ ვუპატიოდ

ქრისტეს, ჩემს უფალს და არ ვუღალატებ სიყვარულს, რომელიც მისადმი მაქვს...

თუნდაც ნაკუწ-ნაკუწად დაგმერნა, არ დავსუსტდები ქრისტეს სიყვარულში და არ მოვიქცევი თქვენს რჯულზედ.

ჩემს სხეულს კი შეუძლია ისე მოექცნენ, როგორც მოესურვებათო".

კიდევ ეეფერა შარაზის ხანი, ეკედრნენ ახლობლებიც, გაკვირვებული ყიზილაშნიც: „რათა არა გასწიროს სული თვისი".

„მრწამს მამაი ძისა თანა სული წმიდითური და უბრწყინელი იგი დდოფალი მშობელი სიტყვისა ღმერთისაა. ამა სარწმუნოებასა ზედა აღვსარულო, დაფდუარო სიხმელეცა ჩემი, უკეთუ ენებოს ქრისტესა. აწ რაცა გენებაოს, ყავო ყოველივე"-ო, განაცხადა კელავ დედოფალმა.

მემატიანის თქმით, არ უწყოდა, უგუნურმან შაამინა, რომ დედოფლის გულში, მოელ მის არსებაში დამკვიდრებული იყო ცეცხლი „მატკუნარე სიყვარული ქრისტესი და სამშობლო ქვეყნისა, რამეთუ დედოფლის სარწმუნოება, მისი სძირკეელი ქვაშაზე კი არ იყო დამყარებული, არამედ „ძლიერსა მას შეურყეველსა"-ო. და უშიშარმა, ვითარცა ლომმა, თავის მტარვალებს მოუწოდა: „მრწამს მე, რამეთუ არცა სიკუდილმან, არცა ცხოვრებამან, არცა ანგელოზმა, არცა მთავრობამა, არცა ძალთა, არც ამან სოფელმან, არცა მან სოფელმან, არც სიმჯელეთა, არცა სიღრმეთა, არცა სხუამან დაბადებულმან შემიძლოს ჩუენ განშორებად სიყვარულსა ღმერთისასა, რომელ არს ქრისტე იესოს მიერ უფლისა ჩუენისა".

ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ უზარმაზარი იმპერიის თვითმპყრობელი მონარქი, შაჰ-აბას I, რომლის სახელის ხსენებაც კი შიშის ზარს სცემდა მის ქვეშევრდომებს და რომელსაც განუსაზღვრელი უფლება ჰქონდა ადამიანებზე — და ასაკით მისივე ტოლი, ქართველი მანდილოსანი, საქართველოს ერთ-ერთი პატარა კუთხის, კახეთის სამეფოს დედოფალი. ქალი, თითქოს თავის ბუნებით სუსტი და ლმობიერი, მაგრამ „უშიშ, ვითარცა უზოროკუ". ქალი, რომელსაც მემატიანენი ლომს ადარებენ, რომლის თოვლი არსება თავისთავად ღაღადებდა დაჩაგრულ-დამცირებული თანამემამულეების მიმართ: „არ მოგდრეკინთო!", „მხნედ იუავითო!".

რაკი ნახეს დედოფლის გაუტეხელობა, ახლა სხვა საშუალებას მიმართეს: „შეიპყრეს და დაუშიერს მხლებელები და წინა გაუთათრეს. თეიმურაზს თქმით: „წინ დაუთათრეს მხლებელნი, ვერცხინ თქვა ხიტყვა მჭაბნია".

შიშით გათათრდა დედოფლის ზუკესი გაორგიე. „აღირჩე სიკვდილი და ანუ უარჰყავ ქრისტესა", — მოსთხოვეს ზუკესს. შეშინდა ზუკესი, ალარ ეეო თევდორე მღვდლის ნეტიოფა და თავგანწირვა: „რამეთუ შიშისაგან ბიკვდილისა საწუთრო ესე შეიუვარა და საუუკონო იგი წარწყმედა, მტერნმან ბოროტმან ანგელოზმა ცა ცხოვარი იგი ნამალევ იქმნა". ახლა გათათრებული ზუკესი მოუგზავნეს დედოფალს და ზუკესმაც ტირილით აუწყა დანაბარეი. ცოტმელ-მორეულმა დედოფალმა უსაყვედურა: „რაკამმე მოიწეევინ ჭირნი და ანუ განსაცდელნი, დაუტეევინ და უნაყოფო იქმნიან", მაგრამ თავად დედოფალს გული ეკუმშებოდა სიბრალულისთვის. ეკიდებოდა შიშისაგან დათრგუნვილნი. ყველას ალარ ძალუძს, ტატუობ, დასძლიოს სიკვდილის ელდა; ეს გრძნობა ზშირად ყოველსმომცველია და ყოველი ჭეშეტუანიდან მოძგრება, ბლანტ გარსში ახვევს შემკრთალ სულს. შიში სლიპნად ლოფორძენსსავეთ. უთვალავი საცეცების მქონეი ობობასავით და დაუნდობლად ფატრავს და წიწკნის შიგნეულს, რამეთუ იგი ეშმაკეულ არს.

ჯალათებმა ხელსაწყოები მოიმარჯვეს, უბრძანეს დედოფალს, მიმბრალდებულიო საწამებლად. თავზარდაცემული მხლეთელები ზოგი უეცნებზე ეხვეოდა, ზოგი იატაკზე ფოთრიხალობდა ტირილითა და ვიშით, დედოფალო, შეიბრალეე თავი შენი, შეგვიბრალეე ჩვენცაო.

— უარჰყავ! — უარჰყავ! — უარჰყავ! — ჩასჩაჩინებდნენ შარაზის ხანი, მხლეთელები, შიაუონი თუ გარეშენი... უარჰყავ, ღმერთი შენი! უარჰყავ ჩრმენა შენი! უარჰყავ ერი და ჭვეყანა შენი!

უარჰყავ!

„წინასწარმეტყველნი მოსწყვიდეს, საკურთხეველი შენი დაარღვიეს, მე მარტო დაშთომილ ვარ და სულსაცა ჩემსა ეძიებენ მოკლვადო", დაიჩურჩული დედოფალმა.

თითქოს ანაზდად ცის გუმბათი ჩამოიწია და უზარმაზარი სამძიმე დაანეკა მხრებზე. წამით მოეჩვენა, რომ ეს-ესაა გაკუალტაკვს ეს სიმძიმე. სუნთქვა დაუშძიმდა. მარტოსულად, ეულად იგრძნო ერობაშად თავი და ამ ჩამოქუფრულ ირგვლივეთში უცეტ ეურის ძირში ასისინდა უხილავი არსების ხმა, ასისინდა ნიშნისგებინო, იქედნურად: ხომ ხედავ, ჩემს ხელთ ხარ, ეელარფერს გაბედავ. შენ მარტო დარჩი. განიძარცვე სრულიად ეოველივე და ეველაფრისგან. უმწეოდ ფართხალებ ფრთებდაგლეჯილი ჩიტივით, ალარავინ შეგრჩა. ეველამ მიგატოვა. ეველა თავის სიცოცხლის გადარჩენაზე ფიქრობს. შენი ხუცესიც კი.

რა უნდა გაანეო ახე უძლურმა, სუსტმა, ულონო დედაკაცმა, ახე ეველისაგან მიტოვებულმა ამ უზარმაზარი ურჩხულის წინაშე, რასაც ბოროტება ჰქვია, რასაც უსამართლობა, ძალმომრეობა და სისასტიკე ჰქვია, რაიც ქაღა-

ციალა არდაზელიანი
ქეთევანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებს: მოჰკალ, მოსპე. გაანადგურე შენზე სუსტი, შენზე უძლური, შენზე პატარა. დაამცირე და დაკანონე იგი. გადაუშენე და გადაკიზმე თუ ძალით ვერა, მელურად, ცბიერად, მოყვრული ღიმილითა და ლიქნით, ჩაუსახლე სულში სიხარბე, შური, გაუტანლობა, სიძულვილი, მტრობა, მრუშობა, ანგარება, ბილწება და ათასგვარი სისაძაგ�e.

ქვეყნიერების დასაბამიდან დღემდე განაგებს ბოროტების ძლიერი ძალა. არც ერთი სახელმწიფო არ აშენებულა „არა კაც ჭკლას“ მოძღვრებაზე. სიკეთე და მშვენიერება არარის შემმლელი, არა რაის მქონე. ვეღარ დაიცვა შენმა კეთილმა უფალმა, ვერც შენმა სათნოებამ და ლოცვა-ვედრებამ შენი შვილიშვილები, შენი ხალხი, შენი ქვეყანა, მოისრა და გავერანდა იგი სამუდამოდ. შენს უგუნურ ვაჟსაც — გარეგარე მოწამწყალს, მალე ხელთ ვიგდებ. მაშ რაღა შეგარჩენია სიცოცხლის გარდა? მე ძალმიძს დარჩენილი შენი სიცოცხლე ავავსო სიამით, სიხარულით, ქმაყოფილებით.

კოცონი გაჩაღებული იყო, რკინის მაშებს ახურებდნენ, ნარშუეკლელი იდგა დედოფალი. მხოლოდ გულში იმეორებდა: „მიუტევე ამათ, უფალო, რამეთუ არა უწყიან, რასა იქმნან“. ქედდრეკილ დედოფლის შეკეთრე მისი მხლებლები ცდილობდნენ, თავადაც დაეოკებინათ მწუხარება და ტირილი. „ღმერთი მშვიდობისა, სიყვარულისა და კაცთმოყვარეობისა იყავნ თქვენ თანა ყოველადვე“..., — ლოცულობდა დედოფალი: რადგან ბოროტება წარმავალ არს, სიკეთე, სიყვარული და სათნოება რჩება სინათლის სხივად ამ წუთისოფელში. რადგან სიყვარულია თავად ღმერთი, სიყვარული უნათებს გზას კაცობრობას სამარადამოდ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

დედოფლის გულისხმედგა უკვე გასცდენოდა ამქვეყნიურ სამანებს და მარადყმულ უსაზღვროებაში იმზირებოდა, უზნეოებს ზეალსავლისკენ, ცის სუფთვლისკენ ისწრაფოდა მისი ტანჯულ-გვიფული სული.

მადლი ციური მოჰფენოდა მის მაღალ, ნათელ უუბლს, მოციალე შარავანდედი ადგა თავზე ზეცასთან წილნაკარს.

დედოფალი გააშშველეს, ხელ-ფეხი შეუკრეს:

„ავრენ დასჯილია დედათაან მისებრივ
გამომეტებით,
ხორცს გლეჯდნენ ცხელი გაზებით,
ლურსმნებით ჩხვლეტდნენ
მწვეტებით,
მოქუფროთ სისხლი სწყდებოდა ძარღვების
დასაწყვეტებით“

ყველა ისტორიკოსი, თვითმხილველი თუ მომდევნო თაობის, ქართველი თუ უცხოელი, ერთხმად აღნიშნავს იმ განსაკუთრებულ სიხასტიკეს, რითაც შაჰმა დასჯა ქეთევან დედოფალი.

„ძუძუთა ხლეჩდნენ, ტანს სწვავდნენ
ხორცსა ულნობდნენ ძალითებრივ“

გვირგვ

ის ადგამდნენ სამეფოს, თხემს
ხეთქდნენ რკინა-რვალებით“-ო.

გახურებული ვაგრგვინად დადგეს, ცხელ ბარს — ჯოღდ ურჭობდნენ, შაჰფურს — სკიპტრად, ჯაჭვს — ზოსტატად არტყამდნენ წელზე: გრძნობადაკარგული, მაინც ლოცულობდა ჩურჩული, ძლევა მიეც, უფალო, მეფე თეიმურაზსაო...

„ცა გააკვირვა, ქვეყანა განაკრთო მისმან თმენამან“-ო, იტკვნის პოეტი დიმიტრი ბაგრატიონ, ორი საუკუნის შემდეგ.

„ქეთევან დიდი სახელით, კვლავ საკმით
უმეტესითა
ზე აღხდა ცათა ხუფევად მოწამეთ
ღვაწლთა წესითა.
უმხნეს გამოჩნდა მამათა დედათ ბუნება
ლბილია“, —

დიმიტრი ბაგრატიონმა ამ სტროფონებით მთელი ქართველი ერის აზრი და გრძნობა გამოხატა დიდებული მოწამისადმი. ხოლო ანტონ კათალიკოსმა, რომელმაც განსაკუთრებული სიყვარულითა და რუდფუნებით აღწერა ქეთევან დედოფლის ცხოვრება და მოწამეობრივი სიკვდილი, ცალკე საგალობელი უძღვნა მას:

ქეთევან დედოფლის წამებას ესწრებოდნენ პორტუგალიელი მისიონერები. ბერი ეგნატა-შვილი, რომელიც დაწერილებით აღწერს ქეთევან დედოფლის წამებას, ბოლოს დასძენს: „ხოლო ბუნ დაეწყნრნენ ფრანგნი და ალილეს ნაწერნი წმიდისა ქეთევანისანი, ფრანგთა და წარიღეს თვისთა თანა“. ხოლო თეიმურაზ ბაგრატიონის თქმით. ქეთევან დედოფლის გვამი ქალაქის ფოლორტენ დაადგეს, მცხოვრებლებმა იხილეს ნათელი ზეცით გადმოსული, ვითარცა სვეტი დადგომოდა წმინდანის გვამსო. შორაზის ხანმა მცველები დაუყენა გვამს, რომ ქრისტიანეთაგან არავის მოეკარა, მაგრამ შეიქნა შეეშინდა ხლხის აღშფოთების და ბრძანა: „რათა ალილილ გვამი წმინდისა და დაკრძალონ ჭეროვანსა ადგილსა საგლახა შინა“.

ავგუსტინელი ბერის ამბროზიოს რელაციის მიხედვით, პატრუბნა იცოდნენ, სად იყო დაბარხული ქეთევანის გვამი, ამხანაგების დახმარებით ამბროზიომ ჩუმად ამოთხარა ცხედარი და წაასვენებ თავის ეკლესიაში.

იოანე ბაგრატიონი კი აღნიშნავს, პატრუბმა ფული შესთავაზეს შაჰ-აბასს, რომ დაეფიცა მათთვის დედოფლის ნეშტი. შაჰი არ დათანხმდა. და ამის შემდეგ ბერები იძულებულნი გახდნენ, დედოფლის ცხედარი მოეპარათო.

დედოფლის ნეშტის ნაწილები გაგზავნეს ინდოეთში, გოაში. ქართველი წმინდანის ნეშტი იქმაერ ქრისტიანთა თაყვანების საგნად იქცა. ხოლო როგორც ანდასან პორტუგალიელი მეცნიერის რ. გიუფბეკიანის ნაშრომიდან გამოირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვა. ლისაბონის ძველი ეკლესიის კედლები მე-17 საუკუნეში შეუმკიათ დედოფლის წმიბის ამსახველი რამდენიმე ნახატით.

მამა ამბროზიო. იეზუიტ მისიონერ სებასტიანი და ავგუსტინელი პიტროსთან ერთად გაემგზავრა საქართველოსკენ, რომ ჩაეტანა წმინდანის ნეშტის ნაწილები მეფე თეიმურაზისათვის, რომელმაც დედოფლის წმიბის ეკვანი თვის შემდეგ მარტყოფის ომში ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვების წყალობით, ქართულ-კახეთის ტახტი დაიპყრა. ბერებს განზრახული ჰქონდათ აგრეთვე დაეარსებინათ საქართველოში თავიანთი მისიონი, მაგრამ ერთ-ერთი ბერი გზაში ავად გამხდარა და იძულებული შეიქმნენ, უკან გამობრუნებულიყვნენ. მეორეჯერ დიდთოვლობამ შეუშალა ხელი. მესამედ, 1628 წელს როგორც იქნა, დიდი ტანჯვა-წვალების შემდეგ ჩამოსულან საქართველოში.

თეიმურაზ მეფემ „მდდუელნი იგი რომისა ეკლესიისანი, კათოლიკენი, დიდისა მონაწილეობითა და პატივისცემითა შეიწყნარა, და ფრად შეიტკბო იგინი და პატივსა უყოფდა მათ"... და „აუწერელი სიხარულით აღვსებული დიდი მადლობით ადიდებდა ქრისტე ჩვენს უფალს, რადგან ღირსყო დიდ პიბი მოწამებრივი სიკვდილისა, რამეთუ მისი მეობრები ჩვენს სამეფოს უფალი მტკიცედ დაიცავსო, შეკრიბნა მეფემან თეიმურაზ ზაკარია კათალიკოზი, მღვდელმთავარნი, და ყოველნი სამღვდელოننი სრულიად საქართველოსანი, და დიდისა დიდებითა და ლიტანიობითა მიასვენა და დასხნა წმინდანი ნაწილნი გვამისა დედოსა თვისისანი კახეთს, დედოსა მას ეკლესიასა შინა წმინდისა დედისა და ძლევაშემოსილისა გიორგისა, ალავერდს".

დედოფლის ხსენების დღე დაუწესებიათ 1 მარტს, მაგრამ ირაკლი ნაზარალიხანის მეულემ, დედოფალმა ანამ ქეთევანის ხსენება დაწესა 13 სექტემბერს: „ენთანგან ნაწილნი წმინდისანი ალავერდს ეკლესიასას შინა მოავარმოწამისასა გიორგისსა მდებარე არიან, ამისთვის განაწესეს იგი სეკდენბერსა, ერისა ყოველისა მიერ დასწრებისათვის", — შენიშნავს ანტონ კათალიკოსი.

ქეთევან დიდი, ღვაწლით გაბრწყინებული — ასეთი ეპითეტებით შეამკეს მისი სახელი არა მარტო თანამედროვეებმა, არამედ მომდევნო თაობათა მწერლებმა და პოეტებმა, ჭყანელებრებმა და მემატიანეებმა. დღესაც, მე-20 საუკუნის არა ერთი შემოქმედისთვის არის ქცეული შთაგონების წყაროდ, დიდი წინაპრის მოწამებრივი სახე: პოეტმა ანა კალანდაძემ ბრწყინვალე ლექსი უძღვნა ქეთევან დედოფალს:

მას ალავერდის დიდებული ტაძარს,
ალაზნის პირად თეთრად ანთებულს,
კვლავ მოიხილავს, კვლავ მოიხილავს,
მის ქეთევანის წმინდა ხატებს...

მრავალმოწამე გურჯთა დედოფალს,
კალთა სავსე აქვს თეთრი თქვენებით
და დიდებული თვისი ნაბიჯთ
ცით მიწისაკენ მიეშურება...

შენ ნათელი ხარ, დედო ნათელი
მარადიული მწუხრის წინაშე...
გზა გეფინება წითელ ვარდებით.
ეს, დედოფალო, ნანობს შორაზი...

ასევე შესანიშნავი ლექსი უძღვნა ქეთევან დედოფალს პოეტმა ჭალმა მედეა კახიძემ:

„დუმილი ჩამოწვა მძიმე,
კოცონი ღუდღუდებს წითლად,
დათმეო-რამეთუ მცირე
არისო ქართული მიწა...

მე ვითმენ წამებას დიდხანს
და ყელში მოხჯენილ კიდელს,
რამეთუ ნაშენი ვიყავ,
ქართული მიწით და კირით...

მე ჩემს ხიზნიადეს ვენდევე,
ტანი ამჯრად სიმშვიდე მეცვა.
ეგრე, დედოფალო, ეგრე,
ცოტაც და იწუება ზეცა".

...1663 წელს ქეთევანის შვილმა თეიმურაზ I გამამამადიანებაზე უარი თქვა და ირანში, ტუვეობაში დალია სული.

სპარსეთიდან შემახია-განჯის გზით უკან სამშობლოში ბრუნდებოდა რუსთა ელჩობა. შემახია-განჯაში მათ ხალხში დიდი მოუსვენრობა შეამჩნიეს. ერთმა მათგანმა, არსენ სუხანოვმა იკითხა, რა ხდება, რატომ არის ასეთი განგაშია.

ხანებმა უპასუხეს: „ამას წინათ ერთი თეიმურაზ მეფე იყო და შაჰი მრავალ წელს ეიმა მას მთელი თავისი ქვეყნის ძალებით და დიდი გაჭირვებით დაძლია იგი. ახლა ეს რუსტამ მეფე რომ საქართველოს სამ ნაწილს ფლობს და მას იმერეთიც შეურთოდეს, მათთან ბრძოლა არავის შეეძლება, ისინი რომ 50 ათასი იყვნენ, ხოლო ჩვენ ესი ათასი, მაშინაც კი ვერ შევძლებთო".

თურმე ამაოდ ზეიმობდა შაჰ-აბასი. ამაოდ ეგონა, საქართველო ხერხებელში გადავტეხეთო. საქართველოს სული გაუტეხელი იყო. ამას თვითონაც გრძნობდა გუმანით. ამის ჯავრი — ჯავრი მარტყოფის და მარაბდის, სამარეში ჩაჰყვა.

...პეტრო დელა ვალეს აკი უწერნასწარმეტყველა სეფიანთა დინასტიის დალუბვა. ღვთის სასჯელის გარეშე არ დარჩებაო ასეთი სისასტიკე. თვითონაც გრძნობდა შაჰი, რომ მართალი დაღვრილი სისხლი არ შერჩებოდა არც მას და არც მის შთამომავლობას, ხოლო ორი საუკუნის შემდეგ ქართველი ისტორიკოსი და

ციალა ალდაშელია
ქეთევანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალი იოანე ბაგრატიონი დაწერს: „რა ამ წყეულმან წმინდა დედოფალი აწამა და ესოდენი ქრისტიანენი შეაწუხა, ღმერთმან ასეთი რისხვა მოუელინაო. იმ შაჰ-აბაზს, რომ ხუთს წლამდინ სნეულობით იტანჯებოდა, და მერე მოეცალს სენი დაებრთა და ნაწ�ავად განსაცდელიამ დაჰკარა და ისე ამოხდა ის მყოფი სული და სამოცი წელიწადი ვერაფი ინელ-მწიფა ამისშინა ხანმაგნ. ასე გაწყვეტს ერთმანეთი და სხვათაც, რომ იმათი ვგარისა ერთი აღარავინ მოიპოვება“.

სეფიანთა სისხლიანი დინასტიის გამლიერებაში, შაჰ-აბასის აღზევებაში ქართველ კაცს ედო წილი, მის დამბობაშიც ისევ ქართველებმა თქვეს თავიანთი გადამწყვეტი სიტყვა...

პიეტრო დელა ვალე წერს, რომ ბოლო დროებში ქეთევან დედოფალს კარმელიტების წესის პატრები ეწეოდნენ სულიერად და მათი ჩაგონებით გამხნევებული, კათოლიკედ აღესრულო. მთავარი არ არის, ცხადია, კათოლიკედ თუ მართლმადიდებლად აღესრულა დედოფალი, რამეთუ ამ მაღალ სულს კვებავდა სიკეთილითა სიკეთილის დამთოგუნველი მაცხოვრისადმი უსაზღვრო, უბოლოო სიყვარული, სიყვარული ასევე ჯვარცმული თავისი ჭეშმარიტადმი.

ქეთევან დედოფალმა ქართველ ერს დაუტოვა სახსენებელი მარტყვილობისა თავისა, რადგან ქრისტეს მორწმენენი დღესაც „ჰნატრიან მისსა დიდებულებასა, მისსა მოდგაწეოჰ.ესა, მისსა სიმხნესა, მისსა მარტვილობასა, მისსა გვარგვინონსებასა“.

ქართველი ერი ალბათ ერთადერთია დედამიწის ზურგზე, ვინც ქალწულმა მოაკცია თავისი თმით შეკრული ვაზის ჯვრით. იგი ერთადერთია აგრეთვე, ვისაც ამდენი თავშეწირული ჰყავს ამ ვაზის ჯვრისთვის. ამ თავშეწირულთა შორის უპირველესთაანია ქეთევან დედოფალი....

ქეთევან დედოფლისნაირი ხასიათები საუკუნეებს განმავლობაში იძერწებოდა. „სრულქმნისკენ მიდრეკილი ეს ეროვნული გენი“ შე-12 საუკუნეში განსახიერდა თამარ მეფის მზიერ პიროვნებაში.

ამ გენმა ერთხელ კიდევ ნათლის სეტყვად გაბოროტათა ჩამოქუფრული, ჯანღით დაფარული მე-17 საუკუნის საქართველოს ცის თავზეზე.

ნინო, თამარი, ქეთევანი — განუყოფელ სამებად იქცა ქართველი ერის ცნობიერებაში და სამარადჟამოდ ჩაიკირა მისი სულის იდუმალ შრეებში. დიდმა აკაკიმ „თორნიკე ერისთავ“-ში გაბრიელ ბერის ჩვენებაა ამ სამეულს დაუკავშირა:

„მაგრამ სულმნათსა საქართველოსას, ღვთისმშობლობა დღეს, ერთი სიზმარი ენახა: ქვეყნად ჩამოსულიუყენენ ნინო, ქეთევან და თვით თამარი. თამარს თავს ედგა ძლევის გვირგვინი, და ქეთევანსა — წმინდა მოწამობის, ნინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა, ნიშანი დიდი ქრისტიანობის. ზენად აეპყრთ სამთავეს თვალნი, საქართველოსკენ აშვერდნენ ხელსა და შეერთებით, ხმაშეწუოებილად ჰგალობდნენ ტკბილსა საგალობელსა: „დედაო ღვთისაგ- შენი ხვედრია ეს საქართველო დიდჭირნახული, შეუნდეგ ცოდვა!.. ნუ აადებ ხელს ლმობიერებით იბრუნე გულის!.. მოეც კურთხევა ზეკეთი, მაღალო, და გადმოსახე ძლიერად ჯვარი, რომ აღადგინო ქართველთა ერი, დღეს დაცემული და ცოცხალ-მკედარი“.

ქეთევან დედოფლის სახით ერთხელ კიდევ გვიმეს და აწამეს ქართველი ერი და ქეთევან დედოფალმა ერთხელ კიდევ დაანახა კაცობრიობას, რომ შეუძლიათ ზორციელად „მოპსწყვეტონ“ მისი ჭვეყანა, ხოლო სულის მოსახ — ვერ ხელეწიფებათ მოკვლა, რადგან: გაუტეხელი და უდრეკი იყო რწმენა და სიყვარული ღვთისა და მამფოს მიმართ, რაც თვედორე მღვდლის, ლუარსაბის, ქეთევანის და ათასობით წმიდაულთა გულში ენთო ჩაუქრობელ კოცონად, რადგან: ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას მაცხოვრისა და ყოველდღეშინდას მადლი იცავდა და იფარავდა.

გიბაროდეს საქართველო, რამეთუ შენთა მოწამეთა გულს „უკვდავთა მოსაგებით“ შეურთოდა ერთი შენი რჩეული ასულთაგანი.

გიბაროდეს დედოფალო, რამეთუ შენი წმინდა სისხლი, დანთხეული ქრისტეს საკურთხეველზე, იყო იმ უშრეტი, მაგიური ძალის შემცველი, რამაც შორისძიების ცეცხლი დაანთო მარტყოფის ველზე თუ მარაბდაში. ეს იყო იმ ასოთასობით დედების, უმწეო ყრმების დასახიჩრებულ-გვეშულ სულთა ღაღადისი და მოწოდება ქართველი ერისადმი:

„მღვიძარე იყვენით, მტკიცედ ხდეკით სარწმენოებასა ზედა, მხნე იყვენით და განძლიერდით — ყოველივე თქვენი სიყვარულ იყვნ!“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბადიხედე ჩემი გულიდან“

„ვეძებ შვილი მოგეც ომში გულადი და ვერც დავქმრივდი შენითვის მამული“, ასე იწყებს დოდო ჭუმბურიძე ერთ უსათაურო ლექსს ახალ წიგნში რომელსაც „ბადიხედე ჩემი გულიდან“ ჰქვია („მერანი“, 1981). აღნიშნული სტროფონები აშკარად განსაზღვრავს ავტორის პატრიოტულ შემართებას. იგი ვრცელდება ქრებულში წარმოდგენილ თითქმის ყველა ლექსზე. პოეტის ხელიერი მღელვარების ფონზე გამოკვეთილი მხატვრული სახეები მამულის სიყვარულის გრძნობითაა გამთბარი და ნახაზრდოებია საქართველოს კონკრეტული კუთხეების, მისი ხრეების თუ ადამიანის ხელით შექმნილი სიდიადით: „მომინდა წასვლა, ლოცვა ბერთუბნით და ბეთანიის ლურჯი ბალახი, ალაზნის ველი ნისლებს შერთულ ზვრით და ცით, სვანეთი გადასალახი. ველათათან წმინდა გიორგის ხილვა, ღვთისმშობლის ხატთან ცხელი ჩუქჩიული, გეგუთის მოვარე, მარტვილის ბრწყინვა და სიყვარულის ჩუმი კუნძული“, წერს ავტორი ერთ უსათაურო ლექსში, ამგვარი განწყობილებებით აღსავსეა მისი ახალი ლექსების კრებული.

დ. ჭუმბურიძის ახალ წიგნში გამოქვეყნებულ ლირიკულ ქმნილებებში, როგორც უკვე ალვნიშნეთ, მძლავრი პატრიოტი ნაკადი ჩქეფს, მაგრამ პოეტური ოცნებებიდან მომდინარე ხილვებით იმგვარი სტროფონებიც იბადება, სადაც ნაირნაირი განწყობილებებიც გამოხატული. ისინი თითქოს ნაკლებ სიმსაზარს უწევენ ლექსში გაკარებულ საერო იდეურ ჩანაფიქრს და ინარჩუნებენ თავისთავადი ღირებულების განცდას. აი, მაგალითი ერთი უსათაურო ლექსისან: „დავიწყებების მხარე მასწავლე, რომ წავიდე და იქ მივიძინო, მწუხარების დროვ, როგორ გასტანე, როგორ მაწვალე იწილ ბიწილოდ...“ მინორული ტონალობაზე აგებული ლექსის დასაწყის ნაწილს მოსდევს ტაეები, სადაც ბუნების ლამაზი სურათებია გადმოცემული: „ია ელნი მიჰკრის ბრინჯაოს ოვლებით და თრიალეთი ბოლად ღრუბელით. ბრწყინავენ ჩუმად ზედაზნის მთები, მშვენიერნი და დაუღუბველნი“. მომდევნო სტროფონებში კი სიყვარულის მძაფრი განცდაა გამოვლენილი: „და სიყვარული ისე მაწვალებს, ვით სიძულვილი, რომ ვერ ვიცილებ..“ პოეტურ განწყობილებათა ამგვარ მონაცვლეობა ამრავალფეროვნებს დ. ჭუმბურიძის მიერ შექმნილ მხატვრულ სამყაროს და ზრდის ლექსის ემოციურობა ზემოქმედების ძალას.

პოეტის ახალ წიგნში არც თუ ისე იშვიათია ლექსები, რომლებშიც ნაღველიანი ტონია გაკამკრული. ეს ოვისება ზოგიერთი ლექსის სათაურშიც მეძღვნება. აი, როგორი სახელწოდებები აქვთ მათ: „სადაც ჰაერს სუნი აქვს ცრემლის“, „მოწყენა“, სევდითი გალობა“, „მოწყენილი არეკჯილი“, „გულის ხიდრმეში ჩაღწეული წვიმა“ და სხვ. დ. ჭუმბურიძეს აქვს ერთი უსათაურო ლექსი, სადაც იგი „უეცარ სევდაზე“ გვესაუბრება. რა არის უეცარი სევდის წარმომშვები მიზეზი; „მაინი რომ მთავრდება“, გვეუბნება ავტორი, მაგრამ სევდის მიზეზების შეცნობა ყოველთვის ადვილი როდია. ადამიანმა ზოგჯერ არც კი იცის, თუ რატომ დაეუფლება ხოლმე ფარული კიენაში. მითუმეტეს, ძნელია სევდის წარმომშვებ მიზეზებში გარკვევა, როდესაც საქმე პოეზიას ეხება. ზოგჯერ ეს პრინციპულად შეუძლებელიცაა, რადგან როგორც რილკე ამბობს: „ხელოვნების ქმნილებანი უსახელო სამარტოვიდან მოდიან“.

ხალსი და ცინცალი მეტაფორის სიკაბე ალამაზებს და ასხივოსნებს დ. ჭუმბურიძის პოეტურ ქმნილებებს. უჩვეულოდ ამაღელვებელი განცდა გვეუფლება, როდესაც ვეცნობით, მაგალითად ამგვარ სტროფონებს: „ვნეც ზედაზნიდან დაღვარა ცრემლად ხიზბრის მდინარე ველებზე ქართლის“ („დუშეთის ტკივილი“.) ან: „აპრილის ბოლოს, როდესაც ნუშის ტბა ახარხარს ლურჯ ქართლს და დდეა მთვრალი, მომიალერსოს ინ ტკეცოვ გულში, რომ დაუუკა ცხრა ძმის დას თვალი“. („მოჩვენების გარეშე“) ამგვარი ხალეკსო ფორმებისაკენ მისწრაფებით, რომლებიც მეტაფორული აზროვნებისათვის დამახასიათებელი ხტიმულებით ამუსტება, პოეტი ერიდება ცრუ პატრიოტული ლირიკისათვის დამახასიათებელ მოსაწყენ ერთფეროვნებას. დ. ჭუმბურიძის პატრიოტული განწყობილების ლექსებში უკუფდებულია იმგვარი პათეტიკური შეძახილი, რომლისგანაც არ შეიძლება აღმოცენდეს ჯანსაღი ემოცია. პოეტი ლება აღმოცენდეს ჯანსაღი ემოცია. პოეტი ძალზე ფაქიზად გვიმბენს თავის სათქმელს, თავის ნაღველს თუ სიხარულს: „ჩე ვზოვარ ბინდის უფერულ თავშლით და ჩემი ქვეყნის

დუმილი მტკივა", წერს იგი ლეკსში „დუმილის ტკივილი" და გვაგრძნობინებს, თუ რა სათუთია პოეზიის ენაზე ამეტყველებული სამშობლოს სიყვარულის განცდა.

დ. ჯუმბურძის ახალ წიგნში წარმოდგენილი ლეკსების უმეტესობა სახეებით აზროვნებისათვის დამახასიათებელ პრინციპზეა აგებული. პოეტური სტატუალურობის ამგვარი საშუალებით იწერებოდა და იწერება ჩვენში ლირიკული პოეზიის ბევრი საინტერესო ნიმუში. ავტორი ამ მხრივ არ ღალატობს ტრადიციას, თუმცაღა, მხატვრული გამოსახვის სხვა საშუალებათა მიმართაც არ არის გულგრილი. შემოქმედებითი აღმფრენა, რომელიც მის ლეკსებშია გამოვლენილი, აძლიერებს ემოციურ იმპულსებს, რის შედეგად იბადება ხალასი და მართალი განცდებით შექმნილი პოეტური ხატები: „ამ ცრემლის თქროთი ნაზარდ ბალახებს თქვენი თვალების ცა დაანახვეთ..." წერს იგი ლეკსში „ბინდის ყვავილი" და ამავე ლეკსში ისეთ სტროფონებსაც გვთავაზობს, საიდანაც რჩება შთაბეჭდილება თითქოს ფიზიკურად განიცდის ტკივილსა თუ ნეტარებას პოეტური ინსპირაციის პროცესში: „მატკინეთ სევდა სიმშვიდის გამო ჭაობად ნაქცევ დღეთა ტბორებით, თვალს არ შევავლებ ცნობერებას ზედაც და ამ ამაყ წუთებს დაყვმონები".

დ. ჯუმბურძე თავის ლეკსებში ნაკლებად გვეხვიბრება სტროფების შორის დაფარული სტროფონებით. მან კარგად იცის, რომ „...მეტისმეტი განსწავლულობა აკვდინებს და ბღალავს პოეტურ მგრძნობელობას" (ელეოტი), დ. ჯუმბურძე არ არის საგნებს ამოფარებული პოეტი და ამიტომ უშუალოდ გვეხაუბრება საკუთარ განცდებზე. ქალი იგი და ეს ი ოგრძნობა ყველგან: „...ბრაც არ უნდა ჩუმად მეთქვა, სუნთქვა ხმაურობდა ქალის. ან ქალური რიდით სავსე სულ რომ მივნდობოდი ლოდინს მიხვდებოდი, ამ ლურჯ თოაზე ამაყს მწარედ რომ გეტყოფდი" („ეკლის ხამკაული") ან: „და რადგან გავჩნდი ამ ქვეყნად ქალად, დაბადებიდან დამკონდა თრთოლვა და მომეკუთვნა ნიჭად და ვალად მამულის — როგორც ოჯახის მოვალა" („უნდა მეზიდა ქალობა ტკბილად"). ეს ბოლო სტროფონები კი ერთგვარი ლეიტმოტივია, დ. ჯუმბურძის ლეკსების კრებულისა „გადაიხედე ჩემი გულიდან", ეს არის მოკმედი აზრი, რომლითაც ხაზგასმულია დ. ჯუმბურძის პოეზია.

ცოტა რამ „ცისკრის" ახალგაზრდა აქტორებზე

ანდრო ბუაჩიძე დაიბადა 1957 წელს თბილისში. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი.

მუშაობს ალმასან „საუნჯეში". თარგმნის სხვადასხვა ენებიდან.

იბეჭდება პირველად.

ბაადრი ჭოტნელიძე დაიბადა 1947 წელს თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება, არის მწერალთა კავშირის წევრი, ამჟამად მუშაობს ეროსტუდია „ქართული ფილმის" სასცენარო შემოქმედებით გაერთიანებაში

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, „ცისკრის" დამატება — 72-17-01, საკორესპონდენტო — 72-47-62.

ვადაეცა ასაწყობად 14. 02. 83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 03. 83 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11, სალრ.-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 445. უე 08052. ტირაჟი 56.500.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აპრილი

აპრილის ცაზე
სულ სხვაგვარი
სილაჟვარდეა,
აპრილი ჰკურნავს
კაეშნიანს,
ბედკრულს,
დარდიანს.

აპრილის ცაზე
ლაღად ბრწყინავს
ჩახჩახა მზე და,
აპრილში გიყვარს
შენიანი
ყველაზე მეტად.

აპრილში გესმის
საოცარი ჭექა-ქუხილი,
აპრილმა იცის
დავინყება ყველა წუხილის.

ნეტავი აპრილს
ამოდენა ძალა ვინ მისცა! —
აპრილმა იცის
დაბადება
უჩვეულ ყრმისა!

და მერე ეს ყრმა
ხალხს ცხოვრებას
გაუპრილებს,
ხალხი მიჰყვება
და ენდობა
მის დანაპირებს.
აპრილის ცაზე
სულ სხვაგვარი
სილაჟვარდეა...

ლეილა ერაძე

27/32

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ